

114 / 3
1954



მნათობი

10

მამობა



1954

ბიბლიოთეკის
გენერალური

ბიბლიოთეკის
დირექტორი

ენათმეცნიერება

საქართველოს ლიტერატურულ-მეცნიერული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეთერთმეტი

10

★

ოქტომბერი



19

სახელგამი
თბილისი

54

6638



შინაარსი



მხატვრული ლიტერატურა

აღიო შირცხულავა — ჩინელ მძას. ლექსი	83-3
აკაკი ზღლიაშვილი — ულელტეხილი. რომანი, გაგრძელება	4
კონსტანტინე ტიქინაძე — ახალგაზრდა ვაჟებს. ლექსი	33
ანრილ ჩაჩიბაია — ზრდილქვეშ. მოთხრობა	39
სამედ ვურგუნ — მულანელი გოგონა. ლექსი, თარგმანი ლეილა ვრამიძისა	62
ედისერ ყიფიანი — დირიჟორის შეუღლე. მოთხრობა	65
გიორგი კალანდაძე — გამახსენდება შენი სოფელი. ლექსი	70
შალვა ფორჩხაძე — ოთხი ლექსი	71
ალექსანდრე ზეგაშვილი — ახალი სახლი რუსთაველის მოედანზე. ლექსი	73
ოთარ შალამბერიძე — მავზოლეუმთან. ლექსი	74
ზაგრატ შინკუბა — ჩემი თანამემამულენი. პოემა, თარგმანი შურმან ლებანიძისა	75
ვ. ბილ-ბელიცერკოვსკი — სილის გარტყმა. მოთხრობა, თარგმანი ერ. ტოროტაძისა	87

მოგონებანი

გერონტი ქიქოძე — განთიადიდან შეადღეღდე. გაგრძელება	101
--	-----

ლიტერატურული კრიტიკა

კარლო კლაძე — ქართული საბჭოთა პოეზიის საკითხები	118
პეტრე ბახტურიძე — მოწინავე საბჭოთა მწერალი	134
ვ. წიწელია — ნ. ოსტროვსკი	140
ა. მაჰმადოვი — კოსტა ხეთაგუროვის ურთიერთობანი ქართველ მოღვაწეებთან	145

ბიბლიოგრაფია

ნ. კაკაბაძე — ნარკვევები საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე	149
ირ. ქავერაძე — ლაღო ავალიანის ნოველები	152
ლუბა შიფარაშვილი — ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა	154
ნ. ნაჭყვია, მ. სვანიძე — თურქეთი უოლსტრეიტის სამფლობელოა	156
ვიკი შიქაძე — საფურაღლები ნაშრომი ქართული ლექსის შესახებ	158

რედაქტორი

აღიო შირცხულავა

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (მასუბისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბანაშვილი, ნიკო კახიკაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხიძე, სერგი ბილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/X-54 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შპ 17319. შეკვეთის ნომერი 694. ტირაჟი 5300.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბიბლიოთეკა-ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси ул. Марджанишвили, № 5.

ალიო მირსხულაჳა

ჩინეღ ძჳას

...თუ ეს ქვეყანა დასაგმობია,
დასაშობია და სატილო,
მონურ ცხოვრებას, ძჳაო, სჯობია,
რომ ხელში თოფი დაატრიალოს...
(„რიქშა“, 1927 წ.)



გახსოვს პირველი ბრძოლის დღეები,
შორიდან მკვიდრ ძჳას რომ გიწოდებდით,
გატყდნენ დღეები, ვით ციხეები,
მტრის დასათრგუნად მოგიწოდებდით.

მეფობდნენ დრონი უსამართლონი,
გმინავდი რიქშა, ეტლში გაბმული,
კისერზე გაწვა უცხო ბატონიც,
შენც არ იყავი სულგანაბული.

კიდევ აზვირთდა ცხოვრება, ვით ზღვა,
ტალღამ წალეკა ძველი კედელი,
და აბობოქრდა ზღვა ხალხის რისხვა
ჩინურ კედელში ჩაუკეტელი.

გაჰქრენ ყორნების შავი ღრუბლები,
კონსტიტუციით ხარობს ჩინეთი,
ხარობს ნანატრი თავისუფლებით,
შრომის, მშვიდობის მტკიცე იმედით.

დამონებული ძალით, ღალატით,
დღეს ტაივანის ღელავს კუნძულიც,
და ჩან-კაიში, ხალხის ჯალათი,
კუნძულიდანაც წავა ძუნძულით.

აღსდგა ჩინეთი! ანჩლობენ მტრები
თქვენი გმირობით გაოცებულნი,
ლენინ-სტალინის ნათელი გზებით
ზღვა ხალხს შიუძღვის მათ ძე-დუნე.

ძმებო! დაიძრა ცხოვრება დიდი,
დროშის აფრებით წინ გაექანა,
თქვენს გამარჯვებას კიდიდან-კიდით
მიესალმება ჩვენი ქვეყანა.

ერთად ვართ! მტრებმა ველარ დაგვკლიონ,
მზეს არ გვიბნელებს ცა დაღვრემილი,
ჩვენს ღიმილს ერთვის, ვით ალიონი,
ექვსას მილიონ ხალხის ღიმილი.

უღედბენილი

რომანი *

☆

თავი მეთვრამეტე

რეზომ ბოლო ხანებში მოსვენება დაკარგა. ლექციებს, მართალია, ესწრებოდა, მაგრამ პროფესორებს დაბნეული უსმენდა და მის თავში არაფერი შედიოდა. თუ აქამდე თავის ცხოვრებაში აპათიური განწყობილებით იყო შეპყრობილი და არაფერი არ აინტერესებდა, არაფერი არ უხაროდა, არაფრისკენ არ მიილტვოდა, ახლა მის არსებაში მოულოდნელად იფეთქა აკრძალულ ხილთა კრეფის სურვილმა და თავდავიწყებით მიჰყვა მემორინეთა ვნებათა ლელვას. ყოველთვის, როცა კი შეიპყრობდა აზარტული თამაშის სურვილი, მაშინ მისთვის სხვა არავითარი საქმე არ არსებობდა და გახელებული დაეძებდა პარტნიორს. ეს სურვილი ალქაჯივით უკან დასდევდა და მოსვენებას არ აძლევდა. თუ ფული არ ჰქონდა, მისი შოვნის ზრუნვით იყო შეპყრობილი და, თუ რამეს ჩაიგდებდა ხელში (უმთავრესად დედის ჯიბიდან), მაშინ ხომ შინ ვეღარ დაბამდი.

იმ საღამოს, როდესაც მშობლებს ასეთი ცხარე საუბარი ჰქონდათ რეზოს შესახებ, ლაბორატორიაში პრაქტიკული ვარჯიში არ შედგა, ხელმძღვანელი ავად გამხდარიყო, ამიტომ სტუდენტების ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, დრო ტყუილ-უბრალოდ არ დაეკარგათ და ერთად ემეცადინათ. რაკი გზად ყველაზე ახლოს ნანული მჭედლიძე ცხოვრობდა, ჯგუფხელის, გოგოლა კუპატაძის, წინადადებით, გადაწყვიტეს ნანულისთან

შეკრებილიყვნენ. ამ ორის გარდა ამ პატარა ჯგუფში კიდევ სამი ქალიშვილი იყო: ქერათმიანი ტატა ქოჩაკიძე, შავტუხა და ლოყებდასიებული გულნაზ კარაპეტინი და ტანდაბალი, მუდამ ხითხითა ეველინა ჟღენტი. სამივე თავდავიწყებით იყო შეყვარებული და რადგან მათი დამწველი პარისი რეზო გავაშელი იყო, ამიტომ ყოველთვის ცდილობდნენ, როგორმე დაახლოებოდნენ ამ ახალგაზრდა კაცს და თავიანთ წრეში ჩაეთრიათ. ისინი შემოეხვივნენ გოგოლას და დაუწყეს ხეყნა, რეზოც მივიწვიოთ სამეცადინოდ ჩვენს ჯგუფშიო.

— მე რა მენადვლება, უთხარიო და, თუ წამოვა, წამოვიდეს, — უთხრა მათ თავისი ბოხი ხმით გოგოლამ.

რეზომ საქმეები მოიმიზეზა და უარი განაცხადა, მაგრამ გრიშა არ მოეშვა.

— თუ ძმა ხარ, წავიდეთ. ეგ გოგონები ზუთებზე აბარებენ საგნებს და მაგათთან ერთ საათში მოვამზადებთ იმდენს, რასაც მერე მთელი თვე ვერ მოვერევით.

— შენ რას დამპირდი!

— იქაც მოვასწრებთ წასვლას. რა გეჩქარება. ის ჯერ არ იქნება სახლში. მანამდე ამათ გავყვეთ. ხომ ხედავ, რა მკაცრად მოგვკიდეს ხელი. ვინც ფრიადზე არ ჩააბარებს, გარიცხავენ.

რეზო ისე გაჰყვა მათ, თითქოს დიდზე დიდ მოწყალებას იძლეოდა. მას გულს ურევდა ქალიშვილების გადაჭარბებული ყურადღება და თანაც ეთაკილებოდა მათთან მეცადინეობა. შეურაცხყო-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 9.

ფად მიიწინადა ის, რომ გოგოები მასზე უკეთეს ცოდნას ამკლავებდნენ.

ნანული ახალ სახლში ცხოვრობდა. ეს შენობა კოოპერაციულ ამხანაგობას ეკუთვნოდა და ხეირიანად მოთავებული არც იყო. ომმა ხელი შეუშალა მის მშენებლებს, საბოლოოდ მოეწყოთ ის, ამიტომ შეპატრონებმა აღარ დაუცადეს არც უკანა აივნების აგებას, არც კიბეების გამართვას, არც ფასადის მოპირკეთებას, ადგნენ და შესახლდნენ თავთავიანთ ბინებში. კიბეების მაგივრობას სამშენებლო საბიჯელები ასრულებდნენ და, თუ ფრთხილად არ იქნებოდი, შეიძლება კისერი მოგეტეხა.

ნანულის მამა — ავთანდილ მკედლიძე ძველი კომუნისტი იყო და ახლა ერთერთი სამკერვალო ქარხნის დირექტორად მუშაობდა. მისი ქარხანა ახლა სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა და ავთანდილი, ანუ როგორც მას სამსახურში უწოდებდნენ, ავთანდილ ყარამანიჩი, დღედაღამე ქარხანაში იყო. შინ იშვიათად თუ შემოიხედავდა და, თუ დასაძინებლად მოვიდოდა, ისიც ღამის ორ ან სამ საათზე ადრე არ გამოჩნდებოდა.

— ბარემ მოგიწყობ იქ ლოგინს და იქვე დაიძინე ხოლმე, — ეუბნებოდა მთლად გათეთრებული მეუღლე მარიამი, — შინ რაღაზე მოდიხარ, ტყუილუბრალოდ კარგავ დროს მისვლა-მოსვლაში, ცოტაოდენ ძილს მაინც შეიმატებ, თორემ შვილები ვიდარდო თუ შენ, აღარ ვიცი!

მარიამის სამი ვაჟი ფრონტზე იყო და გულდათუთქულ ღედას მართლა ბევრი ჰქონდა სკდარდო. უფროსი ვაჟისაგან აგერ რამდენი ხანია ბარათი აღარ მიეღო და ამის გამო მოსვენება დაკარგული ჰქონდა. მან, ცხადია, არ იცოდა რომ, მისმა მეუღლემ კარგა ხანია სამსახურში ცნობა მიიღო შვილის დაღუპვის შესახებ, მაგრამ არაეისტვის არ გაუმხელია. სამი დღე შინ არ მოსულა, ქარხანაში იყო და უზომო მოქანცვამ შეაძლებინა დაემალა ცოლისთვის უბედურება.

ნანულის კარი დედამ გაუღო და, როდესაც მასთან ერთად ამდენი ახალგაზრდა დაინახა, მუდამ უბედურების მომლოდინე ადამიანს გული შეუხტა, ხომ არაფერი მომხდარაო.

— მობრძანდით, შვილებო, მობრძანდით, — მიმართა მან ახალგაზრდებს. — ნანული, შენ რად მოხვედრი ასე ადრე?

— ლექცია გაგვიცდა, დედა, სამეცადინოდ მოვედიო...

— მართალი მითხარი, ხომ არაფერი მიმალავთ?

— არა, დედა, შენ სულ რაღაცა გულანდება. მამა არ მოსულა?

— მოვიდა ახლაც წასვლას აპირებს. ოპ, რა მეშველება მე უბედურს, რა მეშველება? მობრძანდით, შვილებო, მობრძანდით!

ყველანი სასადილო ოთახში შევიდნენ. მთელი ბინა ძალზე დარიბულად იყო მოწყობილი. უბრალო, იაფფასიანი ავეჯი, ვენური ძველი სკამები, კედლებზე ორიოდ ფოტოსურათი. ეს იყო სულ მთელი მორთულობა. მაგიდასთან იჯდა საფეთქლებშევერცხლილი ოჯახის უფროსი და გაზეთს კითხულობდა. ახალგაზრდების შემოსვლა გვიან შენიშნა, დამნაშავესავით ფეხზე წამოიჭრა და საითითაოდ ყველას ხელი ჩამოართვა.

— მაპატიეთ, ყმაწვილებო, დაბრძანდით, აგერ ერთ საყურადღებო წერილს ვკითხულობდი. რა შესანიშნავად წერს ეს ჩვენი ილია ერენბურგი. მე ვფიქრობ, რომ ასეთი ენამხვეილი ჟურნალისტი ახლა მსოფლიოში არ არის. დაბრძანდით, ყმაწვილებო, დაბრძანდით. მე ახლაც მივდივარ, ასე რომ ხელს არ შეგიშლით.

ქალიშვილები ნანულის მიჰყენენ თავის ოთახში, რომ ჩვეულებისამებრ სარკეში ჩაეხედათ, წინდები შეეცხოვრებინათ, სახე პუდრით შეექიმქლათ და თმები დაევერცხნათ.

ვაყები კი დასხდნენ და მასპინძელთან მუსიადი გააბეს.

— თქვენ რა გვარი ბრძანდებით? —

მიმართა რეზოს მასპინძელმა — გავაშე-
ლი? რომელი? პროფესორ დანიელ გავა-
შელის ვაჟი ხომ არა ხართ?

— დიან.

— სასიამოვნოა. თქვენა?

— ჯაგნიძე, ჩემო ბატონო.

— ჯაგნიძე... ჯაგნიძე... — გაიმეორა
რამდენჯერმე ავთანდილმა და შუბლ-
შეკრული ცდილობდა რაღაც მოეგო-
ნებინა. — ერთი ჯაგნიძე იყო ბანდოტი,
ის ხომ არაფერია თქვენზე?

— რა მოგახსენოთ, მე არც გამიგო-
ნია, — იცრუა გრიშამ და უცბად დეც-
ვარა შუბლი სიმწრის ოფლით.

— ძალიან ვაქცავი იყო. იმის დევნა-
ში მეც მიმიღია მონაწილეობა. ეს დიდი
ხნის წინათ იყო. შენ ალბათ დაბადებუ-
ლიც არ იყავი მაშინ. ეჰ, კარგია სტუდენ-
ტობა თქვენს ასაკში, — შეცვალა უცბად
საუბარი ავთანდილმა. — მე რომ უმაღ-
ლესი დავამთავრე, უკვე ოთხი შვილის
მამა ვიყავი და ნახევრად ამ ჩე-
მი დაუღალავი მეუღლის კმაყოფაზე
ვიმყოფებოდი. ბევრი გაკირვება გვინა-
ხავს მე და ჩემს მეუღლეს. ახლანდელ
ახალგაზრდებს რა გიჭირთ, ყველაფერი
მზამზარეული მოგდით.

— ნეტავ ის ჩემი სამი ვაჟი ჯანმრ-
თელი და ცოცხალნი დამიბრუნდებოდეს
და, თუ გინდა, ათას იმაზე უარეს გა-
კირვებაში ჩავვარდე, არ ვინაღვლებ, —
ამოთხვრით წამოიძახა მარიამმა და
თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

— კარგია ერთი, ცრემლად ნუ დად-
ნი, შე უბედურო, შენა, — შეუტია
ცოლს ქმარმა. — განა მარტო შენი შვი-
ლები იბრძვიან ფრონტზე? მტერს
მტრულად უნდა დახვდომა, აბა როგორ
გგონია. ზოგი დედაა, ათი შვილი ჰყავს
და ათივე ფრონტზეა. მამ როგორ გგო-
ნია. მაგრამ ათი შვილის დედაზე უფრო
მწარე ღღეში მე ის დედა მგონია, რო-
მელსაც ერთადერთი შვილი ჰყავს და
ისიც ჯარშია წასული. აბა იმის სიმწარე
იკითხე. შენ სამი შვილიდან იქნება
ერთი მაინც დაგიბრუნდეს...

— გაჩუმდი, სისულელეს ნუ ლაპარა-
კობ, — შეჭკივლა მარიამმა ქმარს. —
ენამ არ გიყვილოს, შე სასიყვედოლე, წა-
დი, მომშორდი, აღარ მიდიხარ იმ შენს
ქარხანაში?

— ვაი, შენ ჩემო თავო, — ნაძალა-
დევად გაიღიმა ავთანდილმა და ფეხზე
წამოდგა. — ცრუმორწმუნეც გახდი? ნუ
დარდობ, ყველაფერი რიგზე იქნება, წა-
დი, სუფთა ცხვირსახოცი მომიტანე.

როდესაც მარიამი გავიდა, ავთან-
დილს ნაძალადევი ღიმილი უცბად გა-
უქრა და თითქოს გულის არეში დიდი
კრილობა გახსნოდეს, სახეზე მძიმე სევ-
დის ჩრდილმა გადაურბინა. პორტსიგა-
რი გასხნა, პაპიროსი ამოიღო, ღერში
სული ჩაბერა და ყოველი მწვეველის ჩვე-
ვის მიხედვით ახალგაზრდებსაც გაუ-
წოდა.

მათ თავზიანი უარი უთხრეს.

— არ ეწვეით? ძალიან კარგი გიქ-
ნიათ. ახლა იშვიათია ახალგაზრდა კაცი,
რომ არ ეწვეოდეს. — თითქოს გამოერკვა
ფიქრებიდან ავთანდილი და ოთახში
უაზროდ მიმოიხედა. ამასობაში მეუღ-
ლემ ცხვირსახოციც გამოუტანა.

— მამ წავედი, — თქვა ავთანდილ-
მა. — ამაღამ შეიძლება ვერ მოვიდე. მე-
სამე ცვლა იწყება და თავზე უნდა და-
ვადგე. ნახვამდის, ყმაწვილებო.

რეზო ფეხზე წამოდგა და მორიდე-
ბული თავდახრით დაემშვიდობა ოჯა-
ხის უფროსს, გრიშა ნაგვიანევად წა-
მოიჭრა ფეხზე და სკამი გადააბრუნა.

— ნახვამდის, ჩემო ბატონო, — უთხ-
რა მან ავთანდილს, მერე სკამს დასწვდა
და ხმამაღლა ჩაილაპარაკა. — ამ სკამ-
საც ჩემი უინი აქვს, თავს რომ მჭრის?
კიდევ კარგი, როცა ვზივარ, მაშინ არ
მიბრუნდება!

მალე გოგოებიც გამოვიდნენ სასაღი-
ლო დარბაზში და მაგიდას შემოუსხ-
დნენ.

— რეზო, ხომ არ მოგეწყინათ? —
ჰკითხა ნანულიმ.

— აი, შევუდგეთ მეცადინობას და აღარ მოეწყინებათ, — მკაცრად თქვა ჯგუფებელმა გოგოლა კუპატაქემ, რვეული გაშალა და მიმოიხედა. — წიგნი რა უყავით?

— აგერ მაქვს, — გაუწოდა საკმაოდ სქელი სახელმძღვანელო გულნახ კარაპეტჩიანმა გოგოლას და ვითომ სხვათაშორის დასძინა: — განა რეზომ იცის, რა არის მოწყენა?

— არ გცოდნიათ თქვენ! — ეშმაკურად მოჭუტა თვალები გრიშამ და ღიმილით გადახედა ქალიშვილებს. — მაგის გამართობი, მე მგონია, ჯერ არ დაბადებულა ქვეყნად. მოწყენა მაგან რომ იცის, ისე, მე მგონია, ერთი მაიმიდა მყავდა, ეპისტიწე ერქვა, იმან არ იცოდა.

— მართლა? — გაოცებით წამოიძახეს ქალიშვილებმა. — რატომ?

— რატომ, ჰკითხეთ თქვენ. რა ვიცი, რატომ, — თქვა გრიშამ.

— მართალს ამბობს? — მიუბრუნდა ნანული რეზოს. — მე ეს რატომღაც არ შემომჩნევია თქვენთვის.

— ეგ რალაც დაუჯერებელი ამბავია, — შენიშნა გულნახ კარაპეტჩიანმა.

— არც მე მჯერა, — მორცხვად ჩაილაპარაკა ეველინამ და უადგილოდ გადაიქისკისა.

— თუ არ გჯერათ, წადით და სასამართლოში იჩივლეთ, — მრისხანედ გადაუბრიალა თვალები თავის ამხანაგებს გოგოლამ, — თქვენ აქ სამეცადინოდ მოხვედით, თუ რეზოს მოწყენილობის მიზეზის გამოსარკვევად?

რეზო ოდნავ ღიმიებოდა და ქალიშვილების შეკითხვებს თითქოს ამ ღიმილით აძლედა პასუხს, მაგრამ გოგოლას ამ უკმეხ შეტევაზე გული მოუვიდა და შეურაცხყოფილი ფეხზე წამოიჭრა.

— გრიშა, ამათ ჩვენ ხელს ვუშლით, წამო. ან, შენ თუ გინდა, დარჩი. მე წავალ.

ქალიშვილები შეწუხდნენ, განსაკუთრებით ნანული. მათ ერთსულოვნად შეუტიეს თავის ჯგუფებელს, მერე რე-

ზოს ეცნენ, სკამზე დასვეს და მეცადინობას შეუდგნენ. კითხულობდა ნანული. ხანდახან მას გოგოლა შეაჩერებდა და წაკითხულის განმარტებისათვის ხან ერთს მიმართავდა, ხან მეორეს. ქალიშვილები კარგად პასუხობდნენ, მათ არ ჩამორჩებოდა გრიშაც. იგი ხარბად უსმენდა ყველას და ცდილობდა ყოველივე დამეახსოვრებინა. მარტო რეზო ვერ ჩაება ამ ფერხულში. მისი გონება სულ სხვაგვარი ფიქრებით იყო შეპყრობილი და მის ყურში არაფერი არ შედიოდა. რამდენჯერმე სცადა, მიჰყოლოდა მეცადინეობას კვალდაკვალ, მაგრამ ის ჯიუტი „მე“, რომელიც ასე მზრუნველობით აღზარდა დედამისმა მის არსებაში, მოსვენებას არ აძლედა და ყურში ჩასჩურჩულებდა: „მაგათ უნდათ მეცადინეობაში ჩაგთირონ. საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევიან თავისი ჭკუით. ვინ ეკითხებათ ახლა ამ მეტიჩრებს ჩემი მეცადინეობის ამბავს. აჰ, რა გულმოდგინედ სწავლობენ, ვითომ ბევრ რამეს ისწავლიან მაგ უბედურები. გრიშა რა გაფაციცებით უგდებს ყურს, ოცნებობს, გინეკოლოგი უნდა გაგზდეთო. „აბორტებით რა ფულს აკეთებს ხალხი, იცი?“

— რეზო!

— რეზო, არ გესმის?

— ეგ რალაც სხვაზე ფიქრობს, — გოგოლას ხმაში სიღბილე დაეტყო, მას თითქოს შეებრალა ახალგაზრდა კაცი, იქნება რაიმე უსიამოვნება შეემთხვა და ჩვენ არაფერი ვიცითო, გაივლო გუნებაში, — რეზო, რა მოგივიდათ?

— ა, არაფერი, — გამოერკვა რეზო. თქვენ განაგრძეთ, შე ყურს გიგდებთ.

— საქმეც ისაა, რომ არ გვისმენ. ნანული, დაიწყე თავიდან, — უბრძანა გოგოლამ თავის მეგობარს, — ან არა და, რეზოს მიეცი წიგნი. მაგან იკითხოვს, ჩვენ კი განემარტოთ ზოლმე.

ეს ხერხი უფრო კარგი გამოდგა, რეზო გულმოდგინედ კითხულობდა. ქალიშვილები დროდადრო წაკითხულს დაწვრი-

ლებით განმარტავდნენ ხოლმე, მაგრამ რეზოს თავში მაინც არაფერი შედიოდა. ის მოუსვენრად ფიქრობდა იმ შეხვედრებზე, რომელიც გრიშას დახმარებით ამ საღამოს უნდა მომხდარიყო. ამიტომ ჯიუტობის ეშმაკი კვლავ შეუჯდა სულში და მოსვენებას არ აძლევდა: „ვითომ ამ გოგოების სათრევი ვახდი, რეზო? ჯერ სასწავლო წელი თითქმის არც დაწყებულა და ახლავე იზეპირებ საგანს. რასაც ეს გოგოები ერთ თვეს მოუნდებიან, იმას ერთ დღეში ვერ აითვისებ? თითქოს სოფლის სკოლიდან ახლად მოსული სტუდენტი იყო, ჩაგირგავს თავი წიგნში და მთელი საათი უნდები იმის გარკვევას, თუ რა განსხვავებაა ორგანულსა და არაორგანულ სიმკვავებს შორის. მერე ამ გოგოებს გინდა ატრახებენო, რეზო ჩვენ ავიყვანეთ „ბუქსირზეო“?“

რეზომ ტაკუნით დაკეცა წიგნი და ფეხზე წამოდგა.

— თქვენ განაგრძეთ. მე უნდა წავიდე.

— რატომ? — ეწყინათ ქალიშვილებს.

— გადაუდებელი საქმე მაქვს. გრიშა, მოდიხარ?

— თქვენ თუ გინდათ, წადით, გრიშასთან რა გინდათ? — წარბშეკვრით უთხრა გოგოლამ და შემდეგ გრიშას მიუბრუნდა, — განაგრძე.

— არა, მეც წავალ, — ოდნავი გაკიანურებით თქვა მან და ნელა წამოდგა, ეტყობოდა, წასვლა ეზარებოდა, მაგრამ რეზოს ხათრს ვერ უტეხდა.

ვაჟები წავიდნენ. მარტოდ დარჩენილი ქალიშვილები ერთხანს ჩუმად იყვნენ, მერე ერთად ალაპარაკდნენ.

— რა უცნაურია, — თქვა გულნაზმა, — ეგო ტრუდნო პონიატ!

— კარგი ერთი შენც, — შეუტია გოგოლამ, — დიდი ჩაილდ ჰაროლდი მყავს, მაგისმა თავის ვახეთქამ. რომ იბღინძება, რას იბღინძება?! სულ თქვენი ბრალია ყველაფერი. შეციციენტბთ თვალბში,

ასე გგონიათ, მაგის ბადალი არ ყოფილიყოს ამქვეყნად. თქვენ ასულელებთ მაგისთანა ბიჭებს, რომ განხმარდნენ და ხართ ერთ ამბავში... *გინდობენ*

— რატომ, ეგ კარგი ბიჭია, — წყნარად ჩაილაპარაკა ოცნებაში წასულმა ქერთამიანმა ტატამ. — მე მიყვარს სწორედ მაგისთანები.

— თუ გიყვარს და გყავდეს, — გულმოსულად გადაუბრიალა თვალბი გოგოლამ ტატას, — გამიჩნდი შენც რომანტიკოსი!

— რომანტიკა რა შუაშია. ეგ ცოტა განებვიერებულბია მშობლებბის მიერ, მეტი არაფერი.

— სწორედ ეგ განებვიერებულბი იქნება, ცხოვრებას რომ მოგიწამლავს და გაგაუბედურებს... ერთი ხომ გააუბედურა...

— ვინ, ლილი? — ცხარედ ჩაერია ლაპარაკში ვაშლივით მრგვალი ეველინა, — ლილი მაგან კი არ გააუბედურა, თვითონ გაიუბედურა თავი. მაგის გასაჯავრებლად გაჰყვა დათიკო ბექაიას, მერე მიატოვა და ახლა ისეე მაგას ელოლიავება.

— რეზო ლილის აღარ შეირთავს, — დარწმუნებით თქვა გულნაზმა.

— სწორადაც მოიქცევა, — შენიშნა ეველინამ.

— მოდი, ვიმეცადინოთ, — მიმართა მეგობრებს ნანულიმ და წიგნს მიწვდა, — თქვენ რაც გინდათ, ისა თქვით, მე კი ეგ რეზო არ მომწონს. საერთოდ მაგისთანა ეგოისტური ტიპის ადამიანები ჰირივით მეჯავრება. მაგისთვის არაფერდ წმინდა არ არსებობს. აი ახლა, იმის მაგივრად, რომ გაფაციცებით სწავლობდეს, რათა ამით ოდნავ მაინც გაუტოლდეს იმ ადამიანებს, რომელნიც მტრის წინააღმდეგ ფრონტზე თავგამეტებით იბრძვიან, ეგ რაღაცას იბრანქება და არტიტივით სულ თამაშობს უცნაურობას. წავიდეს, დაიკარგოს აქედან...

— შენ კი გენაცვალე, ნანული, ამიტომ მიყვარხარ, ასეთი ჭკვიანი რომ მყავხარ, — მოეხვია გოგოლა თავის მეგობარს და ლოყაზე აკოცა.

•
•

— უპ! შე სახეძალო, სად მივდივართ?

— გამოთიარე, კაცო, — მიიძახა გრიშამ.
— მოიცა, ბნელა.

რეზომ ფრთხილად ჩააბიჯა საფეხურებზე. მარჯვნივ გაუხვია და ხუთი ნაბიჯის შემდეგ კედელს დაეტაკა.

— აქეთ, — გაისმა გრიშას ხმა მარცხნიდან.

რეზომ მარცხნივ მოუხვია და ახლა დაინახა, დერეფნის ბოლოს ქვემოდან ოდნავ ამოდიოდა სინათლე.

გრიშამ დაუცადა, სანამ რეზო მიუახლოვდებოდა და შემდეგ ჩააბიჯა კიბეზე.

— ქვესკნელში მივდივართ? — იკითხა რეზომ.

— მოიცა, ჯერ სადა ხარ.

კიბე ჩაიარეს, ნესტიან დერეფანში ამოჰყვეს თავი, ახლა მარჯვნივ გაუხვიეს, კიდე კიბეს მიადგნენ და რიყით მოგებულ ხელისგულივით პატარა ეზოში ჩავიდნენ. სარდაფს წინ ხის აივანი მიუყვებოდა. აივნის იატაკი ორი საფეხურით ეზოზე დაბლა იყო. გრიშამ აივანი გაიარა, კიდე დერეფანში შევიდა და მარჯვნივ კარებზე დააკაკუნა.

— თბილისში დავიბადე, გავიზარდე, მამრამ, თუ ასეთი ჯურღმულები იყო, არ ვიცოდი, — თქვა რეზომ.

— ახლა ბნელა და იმიტომ გეჩვენება ასე.

კარები მოგვიანებით გააღეს და ოთახიდან გამოჰკრილმა სინათლემ ორივეს თვალები მოახუჭვინა.

— მოდი, — მოისმა ოთახიდან ხმა. ოთახში სიმეავის უცნაური სუნით იდგა. შუაში დაკიდულყო უაბაყურო

ელექტრონის ლამპა თვალისმიერგულად ანათებდა.

მასპინძელს მეზღვაურის ზოლოანი უსახელო პერანგი ეცვა. შკლავეები და გული დატატულირებული ჰქონდა.

— გამარჯობათ, — თქვა მასპინძელმა, კარები მიხურა და ჩაჩაჩული შარვლის სწორებით ტახტისაკენ წავიდა. ეტყობოდა, სტუმრების მოსვლაზე წამოწოლილი იყო, ბლუნჯას მისწვდა.

— რა ჰქენი იმ საქმის? — ჰკითხა გრიშამ.

— რა საქმის? — გაოცებით წამოიძახა მასპინძელმა.

— ეს ჩვენია, ნუ გეშინია. — ანიშნა თვალით რეზოზე.

— ოთხ ნაკლებ არა ქნა, კაცო, იძახის, გუშინ გამომიშვეს, დღეს ისევ ჩაეჯდეთ?!

— პაპაშამ რა თქვა?

— ერთი იმისი!.. დაჯექით, რას დგახართ, კაცო!

რეზომ მხოლოდ ახლა დაინახა, რომ ოთახში მასპინძლის გარდა კიდევ ვიღაც ქალი იყო, რომელიც კუთხეში მიდგმულ კარადასთან იდგა, კაბა მუხლებს ზემოთ აეწია და წინდებს ისწორებდა.

— ესეც აქ არის? — თქვა გრიშამ და ქალს ხელი უზრდელად წაუბოტინა. — მუსკა, როგორა ხარ?

ქალმა უხეშად ჰკრა გულზე ხელი გრიშას.

— დაიკარგე, შე მუქთახორავ, შენა!

გრიშამ უტბად აიტაცა ქალი ხელში, ერთი მოქნევით ტახტზე გააგორა და, როდესაც ქალმა შეაგინა, სიცილით ხელი უშვა და ისევ მასპინძელს მიუბრუნდა.

— აბა, დავიწყეთ... ეს ქალი ჩვენიანია, ხელს არ შეგვიშლის!

სამივემ საქმიანი სახე მიიღო. რეზომ მისთვის საგანგებოდ დაგებული ნოხის პატარა ნაგლეჯზე მოიკეცა, ვერცხლს პორტსიგარი და მოკეცილი ფულის დასტა წინ დაიღო. გრიშამაც მამინვე მოიკეცა. ცალ მუხლზე ჩაიჩოქა, მეორე

მუხლს იდაყვით დაეყრდნო და ფული ფეხქვეშ ამოიღო, რეზოს პორტიგარს გადასწვდა, პაპიროსი ამოიღო და მაშინვე გააბოლა.

— წადი, რაღა, თუ მიდიხარ, კარები უნდა დაეკეტო, — უთხრა გურგენამ სტუმარ ქალს.

— მე რა, ხელს ხომ არ გიშლით? — ქალს წასვლა არ უნდოდა. გარეთ უკვე ბნელოდა და არც შინ წასვლა ეჩქარებოდა, — ცოტახანს ვიქნები.

— კარგი, იყავი, ოღონდ არ დამნავსო, — უთხრა მასპინძელმა და თვითონაც მოიკეცა, ჯიბიდან კამათელი ამოიღო და წრის შუაგულში დაყარა. მერე ათთუმნიანების სქელბ დასტა ერთი ჯიბიდან მეორე ჯიბეში შეინახა, სამთუმნიანების დასტა მოძებნა და მანაც გრიშასავით ფეხის ტერფის ქვეშ ამოიღო.

ათი თუ თხუთმეტი წუთის განმავლობაში სამივენი თავგამეტებით აგორებდნენ კამათელს. ბედის ისარი ხან ერთისკენ იხრებოდა, ხან მეორესკენ, ხან მესამესკენ. გრიშამ ადრე შეატყო, რომ მისი საქმე ცუდად მიდიოდა, ცდუნებას მოერიდა და, როდესაც გურგენამ შაში ბეში დასვა და მთელი მოგება წაიღო, განაცხადა ფული აღარა მაქვსო.

ქალმა გრიშას წასჩურჩულა:

— იცი რა, მეცოდება.

— ვინ?

ქალმა თვალით ანიშნა რეზოზე, რომელიც უკვე ხელისკანკალით იღებდა ჯიბიდან ფულის ახალ დასტას. გურგენამ სამჯერ ზედიზედ წყვილი გააგორა: სამჯერვე მოიგო. მერე ათასი მანეთი დადო.

რეზომ ფული დაითვალა და დათანხმდა.

გურგენამ გააგორა და დუშაში დაჯდა.

— ვაჰ! შენი... — დაირტყა. მუხლზე ხელი რეზომ და გრიშას შეხედა. მერე დაქმუნული ფული ცივად მიუყარა მოწინააღმდეგეს. გურგენამ მშვიდად დაკეცა ფული და ჯიბეში ჩაიწყო. გაფით-

რებულმა რეზომ კამათელს სტაცა/ხელი და გურგენას მტკიცედ უფხრავდა.

— პრისტავკას მოვდივარ, — უთხრა გურგენამ ზანტად გადახედა გრიშას და ასევე ზანტად ჰკითხა:

— რეგისტრაცია ამას ჰქონია?

— არა.

— მაშ ადამი არ ეცოდინება.

— რა ადამი? — იკითხა რეზომ.

— იცი რა, რეზოჯან, პრისტავკაზე წამოვალ, მაგრამ ყავლს რომ ვიტყვი, ერთი მინუტი არ უნდა დააგვიანო ფულის მოტანა. მამაშენის დაკვლა რომ მოგიხდეს, უნდა მოიტანო, თორემ მერე შენი მოტანილი ფული კამიკად აღარ ეღირება.

— კაცო, ვიცი ეგ ყველაფერი, შენ რას მასწავლი.

— გინდა ბარახლოზე ვითამაშოთ. ეგ ნაღდია, არც შენ შეწუხდები, არც მე. წავაგებ ფულს, წაიღებ, მოვიგებ კოსტიუმს, დატოვებ. გინდა?

— მოდი.

— მხოლოდ იცოდე, „პოსლე იგრა“ (ესე იგი რეზოს თამაშის დამთავრებისთანავე უნდა გაეძრო კოსტიუმი).

— ვა, აქედან შიშველი წაიღე? ზვალ მოგიტან.

— ზვალ რათა. ბლუზა-შარვალს გათხოვებ. სახლამდე იმით ვერ მიხვალ? სულ კოსტიუმით უნდა იარო?

— კარგი, „პოსლე იგრა“ იყოს. რამდენში?

— ორასში მოდის? მეტი არა ღირს. ნახმარი კოსტიუმი.

— წადი, შე უსვინდისო, — შეუტია გრიშამ გურგენას, — არიფები ხომ არ გგონივართ. ორასში! თუ გინდა, პრისტავკაზე ითამაშე.

— კარგი პრისტავკა იყოს. ყავლი?

— ერთ კვირაში მოგიტან.

— არა ძმავ, — წამოიწია გურგენა და აღგა, — ახლა ომია, ერთ კვირაში რა ვიცი, რა მოხდება.

რეზო არ დგებოდა და მუდარით აღსავსე თვალებით შესცქეროდა გურგე-



ნას. მას კიდევ ჰქონდა მოგების იმედი და, ამ მწველი აზარტით შეპყრობილი, ადგილიდან არ იძროდა. რამდენჯერმე ისე, სხვათაშორის, გააგორა კამათელი, სულ მომგებიანი წყვილები ჯდებოდა — დუშაში, დუბეში, დუსე.

— კარგი, ხვალ მოგიტან, სალამოს. თანახმა ხარ?

— ხელო? — გაჭიანურებით თქვა გურგენამ, თითქოს ესეც დიდ ვადად მიაჩნდა, — კარგი, შენი ხატრი, თორემ...

ხანტად დაჯდა, მხოლოდ ფული არ ამოუღია ჯიბიდან.

რეზომ გააგორა და ტუჩებზე იკბინა, კიდევ წააგო.

— ამისი!.. ისე გვაგორე, დუშაში ჯდება! თამაშში დორჩარი! ბედი არ მწყალობს! — წამოიძახა რეზომ.

— ვილაკას უყვარხარ. — უთხრა რეზოს ქალმა, — სანამ იმას უყვარხარ, ხელი არ მოგივა.

რეზომ არ უპასუხა, კამათელი გურგენას ეჭირა. ის გაგორებას აყოვნებდა. მან იცოდა, როგორ ემოქმედა მოწინააღმდეგეზე. კამათელი მუშტში კიდევ ააჩხაკუნა, ზედ შეუბერა და თქვა:

— წავაგებ, ჩემმა მზემ, აი!

— გააგორე, ნუ... — დასძახა გრიშამ. გურგენამ გააგორა. ბეშდორთი დაჯდა. არც მოგება, არც წაგება. კამათელი რეზომ აიღო, ხელში მძლავრად გააჩხაკუნა, მაშინვე გააგორა და გაქანებული ხელი წვივზე გაატყაბუნა. დორჩარი დაჯდა.

— სამასი თუმანია შენზე. — წყნარად უთხრა გურგენამ.

— ვაჰ, ამის... რას ამეკვიცა ეს დორჩარი! — წამოიძახა რეზომ და გაფართოებული თვალებით გრიშას გადახედა.

— მოდიხარ კიდევ? — ჰკითხა გურგენამ.

— ბარახლოზე ვითამაშოთ. მხოლოდ ორასად არა.

— კარგი, ესეც შენი ხატრი, სამასი იყოს.

— სულ სამასი?

— სულ.

— იცოდე, პოსლე იგრანქინეშლი.

— მიდი.

გრიშაც და მუსიაც ისე გაიტაცა ამ ჯგრზე გაგორების შედეგმა, რომ ველარ მოითმინეს და მოთამაშეების გვერდით ჩაიჩოქეს, უნდოდით მათთან ერთად დაენახათ, რა დაჯდებოდა.

გურგენამ გაიქნია ხელი და კამათელი გააგორა.

— შაში ბეში. — აღმოხდა გრიშას და თავის მეგობარს გაშწარებით გადახედა.

— ჩემი ბლუხა-შარვალი სუფთაა, — თქვა გურგენამ, — თქვენ ქუჭყიანი არ გეგონოთ!

ქალაქში უკუნეთი ღამე იდგა. რეზო გაბრუებული მიყრდნობოდა კედელს, მწარე ფიქრებით შეპყრობილი, და არაფერი არ ესმოდა, თუ რაზე ელაპარაკებოდნენ გრიშა და მუსია. გაშწარებით იკვნიტდა ტუჩებს და იმის ფიქრებში იყო გართული, თუ სად ეშოვნა ხვალ სალამოსათვის სამასი თუმანი. კოსტიუმის დაკარგვას არ ჩიოდა, რაიმეს მოიმიზეზებდა და სახლში იტყოდა ამხანაგს ვათხოვეო, ან არა და, კიდევ უკეთესი, იტყოდა, ბნელაში დამხვდნენ და გამხადესო. ეს შესანიშნავი გამოსავალი მოიგონა. უცბად თავისუფლად ამოისუნთქა, თითქოს დიდი ლოდი მოშორებოდეს გულზე.

მაგრამ სამასი თუმანი? სად იშოვოს სამასი თუმანი? რა სისულელე მოუვიდა. დათანხმებულიყო ორას თუმნად, კოსტიუმზე ვთამაშა, იქნება სწორედ იმ ხელზე იგებდა ყველაფერს მნიშვნელობა აქვს თამაშის დროს. ერთი წუთის ან იქით ან აქით გაცდენას შეუძლია თამაში სრულიად შეცვალოს. იქნება იმ ხელზე გურგენა რომ არ ამდგარიყო და გაეგორებინა, კიდევაც წაეგო. დაუწყო ვაჭრობა, ორასი არა, სამასიო.

გრიშამაც, ხელი შეუწყო, ვითომ ეშველებოდა და ნამდვილად კი გურგენას საქმე გაუტეოთ.

კიდევ რომ წასულიყო „პრისტავკას“ შეიძლება მოეგო და გურგენა მთლად გაეტყუებინა. შეუჩნდნენ ორივენი, აღარ დააცალეს. გაუშვი, აღარ ეთამაშოთ, ვინ ეკითხებოდა ამ მეტიჩრებს.

იქნება იგებდა?

მაგრამ კიდევ რომ წაეგო, მაშინ? წაეგო ხუთი, მერე ათი... არა, კარგად მოიქცნენ, რომ თამაში აღარ დაანებეს.

სად იშოვოს ხელისთვის სამასი თუმანი? უთხრას მამას? კოსტიუმი რომ არ დაჰკარგოდა, მაშინ... არა, უკეთესია, ეტყვის: მამა, კოსტიუმი დავკარგე და ფული მომეცი, ახალი ვიყიდო! მამა უარს არ ეტყვის, მაგრამ ასე უცბად ფულს ვერ მისცემს. მაშ ვის მიმართოს, დედას? ჰმ! — მწარედ ჩაიციხა, — დედა ერთ კაპისაც არ მისცემს.

ისესხოს? ვის ესესხოს? ვისა აქვს იმდენი ფული, რომ რეზოს თუნდაც რამდენიმე დღის ვადით ასესხოს, და მერე იმ ფულს განა გასტუმრება არ უნდა?! გააყიდოს მეორე კოსტიუმი? აგრე უცბად ხომ ვერ გააყიდის. ან ტანზე რა ჩაიცვას. ამ ბლუზა-შარვლით ხომ ვერ ივლის, სხვისი გაცვეთილი ბლუზა-შარვლით.

ლილის სთხოვოს, უშოვოს ფული? მართლა, ლილის ეტყვის! მას თავისუფლად ეტყვის თავის გაჭირვებას. ის უშოვის. ან მამამისს გამოართმევს, ან სადმე იშოვის. ქალები ეშმაკები არიან. ეს, რა კარგი მოაგონდა! ახლავე უნდა ნახოს...

— რომელი საათია? — იკითხა რეზომ, — მას გაახსენდა, რომ ათი საათისათვის რუსთაველის კინოთეატრის ვესტიბიულში უნდა შეხვედროდა ლილის უკანასკნელ სეანსზე დასასწრებად.

— არ ვიცი, — უპასუხა გრიშამ და მერე დასძინა, — გესმის, ეს რას გეუბნება?

— რას გეუბნება? წამოდი, კინო რუსთაველში საქმე მაქვს. — რეზოცასულაყ არ სურდა მოესმინა, ვინ არის ეტყვნებოდა, და ბნელში თამამად გადააბიჯა, ფეხი რაღაცას წამოაკრა და შეიფინა.

— რა, განა მართალს არ გეუბნები? რატომ უნდა გაფუქდე, ძმაო, — უთხრა მას მუსიამ, — ქვეყანას ჩვენისთანა დაკარგულებიცი ვეყოფით. შენ, გეტყობა, კარგი ოჯახიშვილი ხარ. გურგენასთან ზარის თამაში რა შენი საკადრისია.

— ჰკუას გარიგებს, ბიჭო, ჰკუას, — მიიძახა გრიშამ რეზოს და უკან დაედევნა, — რას მოესწარი, ვინ გარიგებს ჰკუას, ხედავ?

— ჰკუას კი არა, კარგი სიტყვა რომ ვთქვა, ნება არა მაქვს?

რეზოს უცბად მოუვიდა გული. მობრუნდა და ქალს შეუტია.

— წადი, დაიკარგე აქედან, ბრიყვო!

— ბრიყვი შენა ხარ, მამაშენის ნაყიდ კოსტიუმს ზარში აგებ.

— წადი, თორემ ისე ვაგზდი, რომ... — მუქარით წაიწია რეზომ ქალისაკენ, — ვინაა ეს...

— აბა, აბა, — მტკიცედ აუწია ხმას ქალმა, — შენისთანა პუწაწკებისა მე არ მეშინია. სიტყვას გეუბნები, თავი კაცურად დაიპირე, არ გინდა და წადი!

გრიშამ სწრაფად მოხვია ხელი რეზოს, რომელიც ისევ უბრიალებდა თვლებს ქალს, შეაბრუნა და ტროტუარიდან ქუჩაზე გადაიყვანა.

— უჰ! შენი... — კბილების ხრჭილით იცქირებოდა უკან რეზო, თან გრიშას ბიძგებით წინ შიბიჯებდა, — მამაჩემი ვერ მიბედავს ჰკუის დარიგებას და ეს ვინ არის, ეს ვინ გამოჩნდა...

— წამოდი, კაცო, — ეწეოდა გრიშამ რეზოს და თან ცდილობდა დაემშვიდებინა, — გული რაზე მოგდის. შეეცოდე, შე კაცო, რას ერჩი. ყველას ეცოდები, შე სახეძალლო. მე რატომ არავინ მიცოდებს. მკვდარი რომ მნახოს დედაჩემმა, ერთი ცრემლი არ გადმოუყარდება თვალიდან და შენ, ხედავ... მუ-

სია! — მოიხედა გრიშამ, — მუსია! სადა ხარ? წასულა...

— წავიდეს იმისი...

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. ბნელი ქუჩა ცარიელი იყო.

— არა, ძმაო, აგრე თამაში არ შეიძლება, — დაარღვია სიჩუმე გრიშამ, — ხელზე ცოტას უნდა წახვიდე. მოიგე, მოგებული თამამად წადი. წააგე, შენსას ცოტას წადი, სანამ ხელი არ შეგიბრუნდება. ასე თუ ითამაშე, შენ რომ მიდიოდი, რა გაუძლებს მაგას.

— უნდა წავსულიყავი კიდევ პრისტავკას, — სინანულით თქვა რეზომ.

— არ ივარგებდა.

— რა იცი, იქნება წყვილს ვაჯენდი.

— ეგეც მართალია, მაგრამ... ახლა რაღა დროსია მაგაზე ფიქრი. რას აპირებ ახლა ხვალისთვის? მე, ძმაო, ხვალ სადილის ფულიც სად ვიშოვო, არ ვიცი თორემ რომ მქონდეს, ხომ იცი... ეგ ისეთი ვალია, საქმე საქმეზედ რომ მიდგეს, თუ დაჭირდა, კიდევაც უნდა გაძარცვო ვინმე და ფული მიუტანო.

— არ იქნება ისე, არა? — შიშნარევი ხმით ჰკითხა რეზომ.

— აჰ, რას ამბობ! — შესფოთებულად წამოიძახა გრიშამ და რეზო მაშინვე მიხვდა, მიწა უნდა გაეხეთქა და ფული ეშოვნა.

— წამოდი, თუ კაცი ხარ, იქნება მივესწრო, — აუჩქარა ფეხს რეზომ.

ორივენი რუსთაველის პროსპექტზე გაჩნდნენ. აქ ბლომად მიდი-მოდიოდა ხალხი. ალაგ-ალაგ შენიღბული მალაზიის ფანჯრებიდან ოდნავ გამოკრთოდა სინათლე.

ფოსტის შენობასთან გრიშა გამოეთხოვა რეზოს და სიბნელეში ჩაიკარგა. რეზომ მარტო განაგრძო გზა.

კინოთეატრ „რუსთაველის“ ვესტიბული სავესე იყო ხალხით. ისმოდა მზიარული ყრიაშული. ბავშვები მზესუმზირას აწყაპუნებდნენ და დაურიდებლად ჰყიდიდნენ შინ დამზადებულ პაპირო-

სებს. რეზომ შეათვალიერა ხალხი. ლილი იქ არ იყო. ვიღაცას დრო ჰკითხა. ათს თხუთმეტი წუთი აკლდა.

რეზო ქუჩასთან გასასვლელ კარებთან აიტუხა და ლილის ლოდინი დაუწყო. ვესტიბულში ცუდი სუნი იდგა. რეზოს გული ერეოდა. ამ ბლუზა-შარვალსაც ცუდი სუნი ასდიოდა, რაღაც უცნაური შმორის თუ ოფლის სუნი.

დრო საოცრად ნელა მიდიოდა და რეზო ნერვულად დეჰავდა პაპიროსს. მას ახლა მოუთმენლად სურდა ლილისთან შეხვედრა, რათა წაეყვანა სადმე ბნელ კუთხეში და დაურიდებლად მოხვეოდა. სურდა დამტკბარიყო მისი წინდაუხედავი მორჩილებით. რეზომ იცოდა, რომ, რაც არ უნდა ებრძანებინა ლილისათვის, ყველაფერს აუსრულებდა. ეს გრძნობა სასიამოვნო ურუნეტელს ჰგვრიდა მას. რომ ებრძანებინა, თუნდაც ამ ხალხის წინაშე გაშიშვლდებოდა. ლილი იცოდა, რომ თავის დანაშაულს აგრე ადვილად ვერ გამოისყიდდა და ამიტომ ტყავში ძვრებოდა, რათა გაეცოცხლებინა პირვანდელი სიყვარულის გრძნობა, იმ სიყვარულის გრძნობა, რაც მათ შორის არსებობდა, სანამ ლილი დავეთს გაჰყვებოდა ცოლად.

რეზომ ახალი პაპიროსი ამოიღო, ძველზე მოუყიდა და გააბოლა. ბრაზობდა, რომ ლილი იგვიანებდა. მესამე სეანსი იწყებოდა და ხალხი უკვე შედიოდა დარბაზში. რეზო აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ ცდა უხდებოდა, პაემანზე ყოველთვის ლილი უცდიდა ხოლმე, რადგან თვითონ მუდამ აგვიანებდა, ან სულაც არ მოდიოდა.

სრულ ათ საათზე ლილი კიდევ არ ჩანდა. სეანსი დაიწყო და დაგვიანებული მაყურებლები ფუსფუსით ვარბოდნენ სალაროდან დარბაზისაკენ. სანამ ქრონიკის ჟურნალს უჩვენებდნენ, კიდევ შეიძლებოდა დარბაზში შესვლა.

მორიგე მილიციონერმა ვესტიბულში მოყაყანე ბიჭუნები გარეთ გარეკა, თან რეზო იქვეუღალდ ჩაათვალიერა.

ლილი ფეთიანივით შევარდა ვესტი-
ბიულში და გაფაციცებით მიმოიხედა.
რეზო ვერ იცნო და გაბრუნება დააპი-
რა. მან კი წყნარი ხმით დაუძახა:

— ლილი.

ლილი შეკრთა. მოიხედა. მერე ლოყა-
ზე იტყია ხელი.

— რეზო! — ნელა მიუახლოვდა, — ნა
კავო ტი პახოე, რა მოგვლია?

— წამოდი. — მოკლედ უბრძანა რე-
ზომ და ქუჩაში გავიდა.

მუხუთმთან თავდაყირა დაკიდული
ლურჯი ლამპა ბეჭუტავდა და ოდნავ ანა-
თებდა ქუჩის კუთხეს. ორივენი ლამპის
ქვეშ შეჩერდნენ.

— მოიცა, სად მიდიხარ. სურათი არ
ენახოთ?

— არა.

— ეს რა ჩაგიცვამს?

— წამოდი, ასე ჩაუხევიოთ.

— აქ ვიდგეთ. მოიცა, მითხარი მა-
ინც...

— მოდიხარ თუ არა. — უთხრა სიბ-
რანისაგან ყებზეშეკრულმა რეზომ.

— მოიცა. რა მინდა მაგ ბნელაში...

დამთავრება აღარ აცალა რეზომ. უც-
ბად სტაცა ცხვირში ხელი და ისე გადა-
უგრიხა, თითქოს სურდა მოეწყვიტა.
შემდეგ მძლავრად მოიქნია მკლავი და
ტკივილისაგან წელში მოკაეული ლილი
კედელზე მიანარცხა.

მერე შებრუნდა და საოცრად მძიმე
ნაბიჯებით სიბნელეში დაიწყო ჩაძირვა.

ლილი ერთხანს გაოცებული უძე-
როდა რეზოს. მერე მაკინტოშის საყულო
შეისწორა და რეზოს დაედევნა. გა-
უსწორდა და მის გვერდით წაეიდა, მოს-
რესილი ცხვირი უხურდა და ტკიოდა.

— რეზო!

არ უპასუხა.

— რეზო!

კიდევ არ უპასუხა, მერე უცბად შედ-
გა, მისწვდა ლილის, მკლავში ხელი წა-
ავლო და გულზე მიიჭრა.

— გიყვარვარ? — ჩააოროტლა სახეში
თამბაქოსა და პირის სიმწარის სუნე.

ლილის ახლა ამოუჯდა გული, მაგ-
რამ ტირილს ვერ ბედავდა. ემინოდა,
რეზო კიდევ არ გაბრაზებულყო, მხო-
ლოდ გამწარებით იკვნეტდა ტუჩებს და
ხმას არ იღებდა.

— გიყვარვარ?

— ჰ, ჰო... — თითქოს ამოახველა ლი-
ლიმ.

რეზოს უნდოდა ახლაც ებრძანებინა
მისთვის, კი არ ეთხოვა, ებრძანებინა,
წადი, სადაც გინდა იშოვე და ერთ საათ-
ში სამასი თუმანი მომიტანეო, მაგრამ
ვერ გაბედა. ამ გაუბედობამ უფრო გა-
აბრაზა და თავის სატრფოს ისე მოუქი-
რა ხელეები მკლავებზე, რომ ლილიმ სიმ-
წარით ამოიკენესა:

— ვაი, მოვკვდი! — თავი გაითავი-
სუფლა და ცრემლნარევი ხმით უთ-
ხრა: — რა მოგივიდა, გაგიღი? — ცო-
ტა ხანს გაჩუმდა და გაოცებით უთ-
ხრა: — ეს რა ჩაგიცვამს?!

— ჩამაცვეს.

— ეინ ჩაგაცვა? სადაა შენი კოსტი-
უმი? რას ჰგავხარ! კიდევ კარგი, რომ
ბნელა.

— გამაძვრეს კოსტიუმი.

— ეინ? — შედგა ლილი.

— ეინ! — გააჯავრა რეზომ, — ქუჩა-
ში მივიდიოდი, დამხედნენ და გამაძვრეს.

— რას ამბობ, სად?

— სად! — კიდევ გააჯავრა რეზომ, —
რა მნიშვნელობა აქვს, სად!

— რა საშინელებაა. როგორ მოხდა...
სად, სად გაგძარცვეს. ოჰ, ეს როგორ ძქ-
ნება, მილიციას ვერ დაუძახე? მერე, ეს
რა ჩაგიცვამს, მეორე კოსტიუმი ხომ
გაქვს... მოიცა! გამახსენდა. იცი რა, წა-
მოდი, მე მოგცემ კოსტიუმს. მე მაქვს...

— შენ საიდანა გაქვს...

ლილი შედგა, დაიბნა, მოაგონდა და-
ვითის კოსტიუმი, რომელიც ზანდუქში
ჰქონდა შენახული.

ლილის ემინოდა, რეზოსთვის ეთქვა
მისი პატრონის ეინაობა, ვაითუ ეწყო-
ნოსო.

— წამოდი, რას კითხულობ, საიდანა მაქვს, — უთხრა ლილიმ, — მამას კონსტიტუცია, ტანზე ვიწროდ მოუვიდა და ვერ იცვამს.

— ცრუობ!

— არ ვცრუობ.

— მე ვიცი, ვისიყნა ის კონსტიტუცია.

— ვისი?

— შენი ყოფილი ქმრის. ალბათ განგებ დატოვა, იქნებ კიდევ შევეურიგდეთო. წამოდი, მე უკანონოდ გამაძვრეს, მას კი კანონიერად გავხადოთ. მადლობა გვითხრას, ასე მცირეს რომ ვჯერდები...

ლილის არ ესიაზოვნა რეზოს ეს ტლანქი მოსაზრებები, თითქოს შეცივდა, ისე ააძვრდა. ხმაამოუღებლად მიამბობდა ახალგაზრდა კაცის გვერდით.

სახლში ლილიმ უამბო მშობლებს რეზოს თავგადასავალი და ამ ამბავში მთელი აურზაური გამოიწვია, დაწვრილებით გამოჰკითხეს, სად და როგორ მოხდა ყოველივე, რამდენი იყვნენ, იარაღი თუ ჰქონდათ. რეზო იმუღებულ იყო ყველაფერზე პასუხი გაცეა. მას ბნელ ქუჩაში სამი კაცი დაედევნა, რევოლვერები გულზე მიამბინეს და უბრძანეს, ტანსაცმელი გაიხადეთო. გაიხადა, მერე შეეხვეწა, შიშველს ნუ გამოშვებთ, ქუჩაში ასე როგორ წავიდეთო, და ერთმა ეს ბლუზა-შარვალი მისცა.

— თან ჰქონდა თუ როგორ? — გულუბრყვილოდ იკითხა ოლიკომ.

— არა. ვინც ჩემი კონსტიტუცია ჩაიცვა, იმან მომცა. გაიხადა ეს ბლუზა-შარვალი და მიიხრა, შენ ჯქონდესო.

— დედა, ღმერთო მომკალი, არაფერი ესიოს, — ამრეხით თქვა დიასახლისმა.

— წამოდი, სააბაზანო ოთახში გამოიცვალე, — სტაცა ხელი ლილიმ, — როდემდის გინდა გეცვას. საშინელი სუნის უდის...

* რეზო სააბაზანოში შეაგდეს, კონსტიტუცია მიუტანეს და რამდენიმე წუთის

შემდეგ ისე, ახალთახალ ტანსაცმელში მორთული, უკვე სარკის წინ იდგა და თავის თავს ათვლიერებდა.

— ცოტა სრული გაქვს, — უთხრა ლილიმ და ბეჭებზე ხელი გადაუსვა.

— ცოტა კი არა, კარგა სრულია.

— არა უშავს რა, არაფერიც არ გეტყობა, თითქოს შენს ტანზე იყოს შეკერილი.

შემდეგ დასხდნენ და დიდხანს საუბრობდნენ. ყველანი იმ მოსაზრებისა იყვნენ, რომ რაც შექმნილბდა შემოიღეს, ღამით ქუჩაში აღარ გაისვლებათ.

კარგა ხანს ისაუბრეს. შემდეგ რეზომ საათს შეხედა და შინ წასასვლელად გაემზადა, ლილის უთხრა, რომ ბლუზა-შარვალი ქალაქში შეეხვიათ.

— რად გინდა? — გაოცდა ლილი, — იმას გადაეყრით.

— არა, უნდა დაეუბრუნო, — წამოცადა რეზოს და უცებ შეკრთა. ტუჩზე იკბინა, შემდეგ გამოასწორა, მილიციაში უნდა მივიტანო, იქნება მაგის შემწობით ქურდები აღმოვაჩინოთ.

— კარგი! — უთხრა ლილიმ და სააბაზანოში გაიქცა.

როდესაც რეზო ქუჩაში გავიდა, გაახსენდა, რომ ხვალისთვის სამასი თუმნის შოენის საქმე ისე გამოურყვეველი ჰქონდა, და გული ისე შეეკუმშა, რომ წაბარბაცდა. ბნელაში ისე მიამბინებდა, თითქოს საღვაც უკუნეთის სიღრმეში უნდოდა დამალულიყო, ისე დამალულიყო, რომ ვერავის ვერ მიეგნო და უცხად მოუნდა, რომ ხვალ ღლით ქალაქს მტრის თვითმფრინავები დასხმოდნენ, ქალაქი დაებომბათ, ყუმბარა მაინცდამაინც გურგენას მოხვედროდა თავში და გათავდებოდა საქმე. უცხად მოეხსენებოდა მთელი დარდი რეზოს, მაგრამ მას ბედი არ წყალობდა.

— სულელი ვარ, სულელი, ამბობდა გუნებაში რეზო, — სულელი, სულელი, რატომ არ ვუთხარი ლილის?!.. სად ვიშოვო?!.. სულელი ვარ, სულელი!..

თავი მცხრამეტე



როდესაც რეზო შინ დაბრუნდა, მშობლებს ჯერ კიდევ არ ეძინათ. დედაც და მამაც სასადილო ოთახში დაუხვდნენ. ორივენი დაღვრემილები იხსდნენ.

— რეზო, სადა ხარ, შვილო აქამდე? — უთხრა დედამ და უწყებაზე მიუთითა, — ხედავ ამას?

რეზო მივიდა და დახედა ქალალდს, სადაც ეწერა, რომ მას მეორე დღისთვის იბარებდნენ სამხედრო კომისარიატში და თან უნდა ჰქონოდა პასპორტი და სამხედრო ბილეთი.

რეზომ იცოდა, რომ ეს უწყება არ ნიშნავდა ჯარში გაწვევას. მიმდინარეობდა ჩვეულებრივი რეგისტრაცია. ასეთივე უწყება მოუვიდა გრიშას და მთელრიგ სტუდენტებს, და მათ ეს რეგისტრაცია კიდევაც გაიარეს. ამიტომ რეზოს უწყების მოსვლა არ გაკვირვებია, მხოლოდ მშობლების დაღვრემილმა სახეებმა აგრძობინა, რომ მათ ამ უწყების ნამდვილი მნიშვნელობა არ იცოდნენ. ალბათ ეგონათ, რეზო ხვალვე მიჰყავდათ ჯარში, ეს კი მათთვის თავხარამცემი ამბავი იყო.

— ხომ უნდა მოვიკლა თავი, შენ რომ წაგიყვანონ. ერთხელ ძლივს გამოგლიჯეთ ხელიდან და ახლა... — დედამ ისევ დახედა უწყებას, — ეს... რა დაუინახე ეს, დღეს, რა უბედურ დღეზე ავლექი.

— როდის მოიტანეს? — იკითხა რეზომ.

— ახალი წასული იყავი, შვილო, ვილაცამ დარეკა, სამხედრო რომ დავინახე, მაშინვე დამცეცხლა თავში. არ ვიტოვებდი. სახლში არაა-მეთქი. ვიცით, სადაც არისო, ხელიც კი მომაწერინა...

რეზომ მხრები შეათამაშა, პაპიროსი გააბოლა, მაგიდას მიუჯდა და ისევ დახედა ქალალდს. უწყებას თავზე ეწერა: „ფრიად სასწრაფოდ“.

— მდაა... ცხადია, მიყვავართ.

— უიშე, რას ამბობ? — იტიცა დედამ.

— მაგას ალბათ კიდევაც უხარია ჯარში წასვლა, — თქვა მამამ, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა.

— რატომაც არ მიხარია? — ღიმილით გადახედა რეზომ მამას. მას სურდა გაეჯავრებინა მშობლები, — სამშობლოს დაცვა ჩვენი წმინდა მოვალეობაა!

— სისულელეებს თავი დაანებე, — საფეთქლების სრესით შეუტია დედამ. — გინდა გული შემიღონდეს? — მერე ქმარს მიუბრუნდა. — შენ არაფერი შეგიძლია გააკეთო? ინსტიტუტში ყველას იცნობ. უთხარი კაცო, პროფესორი ვარ-მეთქო, და ერთი ვაჟიშვილი დამიყენონ სახლში! აღარ შემიძლია მეტი...

— მე რა უნდა გააკეთო. რას ემგვინება, რომ ავდგე და ვიძახო, ჩემი შვილი ჯარში არ წაიყვანოთ-მეთქი. სხვების შვილები თუ მიჰყავთ, მე რა წითელი კოჭი ვარ.

— კაცო, გაიგე, რომ ჩვენ სხვა ვართ, სხვა...

— მე არ შემიძლია! აბა, დიფქრდი ჩვენი შვილი სახლში იქნეს და სხვების ტყვიას მკერდით ზედებოდნენ? — გადაქრით უთხრა ქმარმა.

— არ შეგიძლია და ეგდე მაგრე, შე ბებერო ძაღლო! — წამოიჭრა ზეზე გაკაპსებული ტასო, მაგიდას მოცილდა, თითქოს მეორე ოთახში უნდოდა გასვლა, მაგრამ ისევ მობრუნდა და გაცეცხლებულმა განაგრძო: — რად გაგაჩინათ ღმერთმა კაცები, ასეთი ღვთისპირისაგან გადავარდნილები, რად? ჩვენს საწამებლად! ღმერთო, რა უბედური ვარ, რა უბედური!

— დაიწყო ახლა, — წაიბურტყუნა დანიელმა, მერე შვილს შეხედა და უცბად ჰკითხა: — ეგ რომელი კოსტიუმი?

თითქოს შენი არ იყოს, ისე ვადგია ტანზე.

რეზო აქამდე ღიმილით უსმენდა მშობლების კინკლაობას, მაგრამ მამის ამ მოულოდნელმა კითხვამ შეაკრთო. ტანსაცმელზე დაიხედა და სახეზე წამოწოლილი სიწითლე რომ დაეფარა, თავგადახრილმა წაილაპარაკა:

— ამხანაგის კოსტიუმი. ვაეცვალეთ. — მერე, ამის შესახებ რომ ლაპარაკი მიეფუჩეჩებია, სწრაფად დასძინა: — ტყუილად კი გავრჯილვარ, ხვალ ამას ვამხდიან და საწყობში შეინახავენ.

— ტანისამოსს ვინ ჩივის, ოღონდ თავს დაგანებებდნენ, — დაიკვნესა ტასომ.

დანიელმა ხელი ჩაიქნია და მეორე ოთახში გავიდა.

დადგა მოქმედების დრო. რეზო უცბად გაიმართა.

— დედა, მე გავაკეთებ ისევ საქმეს.

— როგორ, შვილო? — აფუსფუსდა ტასო და ისევ მაგიდასთან დაჯდა, — მითხარი, როგორ? არ მინდა არაფერი, გავეყდი, რაც გამაჩნია და თავს არ დაეზოგავ, როგორ?

— მყავს იქ ერთი კაცი.

— მერე?

— ის გააკეთებს, მხოლოდ... — რეზო შედგა.

— რამდენი უნდა?

— დაჭირდება ერთი სამი, ოთხი...

— დედა, გენაცვალე, ეგ რაა. მაგას ვიშოვი.

— ხვალვე უნდა მიშოვო თორმეტი საათისათვის, თორემ შემდეგ გვიან იქნება.

— ჰო, შვილო, მაგას მოვხებრებ. ცოტაოდენი მე მაქვს, დანარჩენს ნესტორს გამოვართმევ. მხოლოდ ნამდვილად გაკეთდება საქმე?

— აუცილებლად.

— აბა, შენ იცი, შვილო, თუ ნამდვილად გავაკეთებ საქმეს. ტყუილად ვალს ნუ დამადებინებ. რაც მე შენი გული-სათვის დარდი და ვარამი მაქვს გამოვლილი, ახლა რომ ომში წაგიყვანონ, ჯერით გული გამისკდება.

— არა, აუცილებლად გავაკეთებ. დედა საქმელი გაქვს?

— სად იყავი აქამდე. აღბათ ისევ ლილისთან. არ გაგმისპინძლდნენ? დანებებ, შვილო, იმას თავი. არ შეირთავ და რაზე ატყუებ, — ტასო შვილისთვის ვახშმის თადარიგს შეუდგა. კარადა გამოაღო, მაგიდაზე დააწყო პური, ცივი კატლეტი, ყველი.

რეზომ არ უპასუხა და ვახშამს ხარბად დაეძგერა, ისე კარგად დაეწყო მისი საქმე, რომ თავი სიზმარში ეგონა, კარგ უუნებაზე დადგა და დედას ღრეკით თხოვა:

— დედა, ერთი, მხოლოდ ერთი ჭიქა.

ტასომ აღარ აწყენინა შვილს, კარადის ზედა სართულიდან ბოთლი გამოიღო და შვილს ქარვისფერი კონიაკით ჭიქა გაუღესო.


თავი მეოცე

ლეიტენანტი დიდხანს ფათურობდა თავის საძილე ტომარაში, ბოლოს მიავნო, რასაც ეძებდა. ეს იყო ალუმინის მათარა, რომელშიც მას კონიაკი ეგულეობდა. სახურავი ჭიქის დანიშნულებას ასრულებდა, ღრაქუნით მოხსნა და მათარა ზედ გადმოაპირქვევა. რაღაც ორიოდვე წვეთი ჩამოწდა და მან მხო-

ლოდ ენის წვერი დაუსველა. გარეთ მხეცივით ღმუროდა ქარი და კარავს გულის გამაბეზრებლად ეჯავჯავურებოდა.

— არ იცი, რომელი საათია? — ჰკითხა ლეიტენანტმა საძილე ტომარაში გატრუნულ დავითს.

პასუხი კარგა ხანს არ მიუღია. ლეი-



ტენანტს შეეშინდა, ვითუ ცოცხალი აღარ არისო, და ხელი უბიძგა.

— დათიკო! დავით გეორგიევჩი, გძინავს?

— რა დამაძინებს, — ყრუდ უბასუხა დავითმა.

— მაშ რატომ არ მიპასუხე? თუ ჩათვალე, რომ აღარ ღირს პასუხის გაცემა.

— აღარ ღირს.

— რატომ? მოახლოვდა ჩვენი აღსასრული?

— აღსასრული რა შუაშია. არ მინდა სულელურ კითხვებზე გაგვე პასუხი.

— სულელური რადაა?

— შენ საათს კითხულობ, როდესაც დღეებს უნდა კითხულობდე.

— მე უკვე ანგარიში ამერია. დღეს მეხუთე დღეა თუ მეექვსე?

— მეშვიდე.

— ჰოდა, დღეებს კი არა. სწორედ საათებს უნდა ვკითხულობდე. ნეტავი ჩვენი მებრძოლები როგორ არიან. თუმცა ისინი, მგონია, ჩვენ გვაჯობებენ. კონიაკი თუ გაქვს?

— არც მქონია. რად გიბოძა კონიაკი.

— მინდა სიკვდილის წინ ცოტა გავთბე.

— მოიცა, სიკვდილი ჯერ ადრეა.

— უკანასკნელი შოკოლადის ნატეხი როდის შეგვკამეთ? გუშინ თუ გუშინწინ? გუშინ კიდეც არა მცოიდა. ახლა კი, ვატყობ, ცუდადაა ჩემი საქმე. წელან თითქოს წამძინებოდა. მერე უცბად გამეღვიძა. ეეპ, გული მწყდება, ასე სულელურად რომ ვიღუპებით, ტყვიას მაინც მოვეკალოთ.

— შეიდი დღე რაა, მე ცხრა დღეღამე ვიყავი ასეთ ქარბუქში, და ისიც მწვერვალზე.

— ცხრა დღეღამე? შენ გინდა მანუგეშო?

— ამაზე საბჭოთა კავშირის გაზეთები წერდნენ. ბეზინგის კედლის ტრავერსის დროს, მოასვლელებს ქარბუქმა რომ მოუსწრო.

— ვიცი, წამიკითხავს, — გამოცოცხლდა ლეიტენანტი.

— მეც იქ ვიყავი მაშინ.

— მართლა?

მცირე ხანს ორივენი დღემდე ერთად იქი განუწყვეტლად ღმუოდა და ღმუოდა. ხანგამოშვებით თოვლის ხოშორს ქვიშასავით აყრიდა კარავს და შემდეგ ისევ ხვეტავდა. ხანდახან თითქოს უფრო მოდიოდა გული, ღმუილში ყეფას გამოუჩრევდა, დაებღვინებოდა კარავს და ბრაზიანი ძალიევით კბილებით უბარებდა დაგლეჯას, ღმუოდა, ღმუოდა ყეფდა, ისევ ღმუოდა. მერე თითქოს მთებში ჩამალულ სხვა მხეცებსაც აიყოლიებდა და ყველანი ერთად აყვირდებოდნენ; ზოგი მაღალი წვრილი ხმით წიოდა, ზოგი ლომივით ღრიალებდა, ზოგი აფთარივით ახველებდა, ზოგი ტურასავით ყიოდა და ამ გაუთავებელ ყეფა-ღრიალში ისეთი გაბმული სისინი ისმოდა, თითქოს უთვალავი დაკლავნილი უნასი დაღვენებოდა მსხვერპლს და გაუთავებლად გადარბოდა თოვლით დაფარულ უღელტეხილზე.

— სიკვდილი არ არის საშინელი, თუ იცი, რომ ვინმეს ახსოვხარ. — კარგა ხნის ღმუილის შემდეგ თქვა ლეიტენანტმა.

— რას ჩააცივდი ამ სიკვდილს, — შეუტია დავითმა.

— გეშინია მაგაზე ლაპარაკი?

— მე კი არა, მგონი, შენ გეშინია და იმიტომ წამოიწყე.

— პირიქით, რომ მეშინოდეს, მაშინ ხმას არ ამოვიღებდი. თამამად უნდა შეხედო ამ არასასიამოვნო არსებას თვალებში.

— ჯერ მანამდე შორია. საერთოდ კი, სჯობს მაგაზე ლაპარაკს თავს მიანებებდე. ახლა ენანობ, რომ ის გერმანელი ოფიცერი გვერდით კარავში გავასახლეთ.

— რატომ? იმას ხომ იქ ურჩევნია.

— იმას კი ურჩევნია, მაგრამ შენ აღარ ილაპარაკებდი ასე. აღამიანს მტერი ყოველთვის გაფხიზლებს.

ლეიტენანტს უნდოდა ეპასუხა, მართალი ხარო, მაგრამ წინათ გამოცოცხლებული ძალ-ღონე უკვე კვლავ მიუხედავად და აპათიამ შეაპყრო. იწვა ცალ გვერდზე და, მართალია, ქვემოდან სიცივე საკმაოდ კბენდა, მაგრამ გადაბრუნება ეზარებოდა.

დავითიც გაჩუმდა. ამდენმა ლაპარაკმა ისიც დაღალა. თითქოს კიდევაც წათვლია და ამ თვლემასში ისევ აეკვირბა ის სიზმარი, რომელიც უკვე მეორე დღედაღამე მოსვენებას არ აძლევდა. ვითომ თავის სოფელში, სამზადში, შუა-ცეცხლთან იჯდა და ქოთანში, ლობიოში ჩაფხენილ ჭადს ხის კოვზს ურევდა, მერე ამოიღებდა ამ ქინძის და ომბალის გამაბრუნებელი სურნელებით შეკაზმულ საჭმელს და, როგორც კი გააქანებდა პირისაკენ, იმ წამშივე გაელვებებოდა.

... და ისევ ესმოდა გაუთავებელი ზუზუნი, ღრიალი, ზითხითი, თითქოს მთელი სამყარო ახლა თმაგაწეწილ გიევებს თუ ალქაჯებს დაეპყროთ და ხან ერთ მხარეს გაპკიოდნენ, ხან მეორეს, ერთმანეთს დასდევდნენ და კარვის თავებზე შლივინით გადარბოდნენ, თოვლის კორიანტელს აყენებდნენ, თმებში ჩაფრენილი ცოფიანებივით იკბინებოდნენ, წივილ-კივილით იკლებდნენ * მიდამოს...

...ისევ მიდიოდა თვლემასში დავითი, ისევ წამოიჭრებოდა მის თვალწინ კერია. ცეცხლთან მიდგმული პატარა ქოთანი, ბავშვობისას რომ ბევრჯერ ენახა, ისევ ის ნაცარდაყრილი ჭადი, ისევ ის ძველებული ხის კოვზი, ერთი ლაზათიანი ამოწება და...

ელღანაკრავი დავითი თვალებს ახელდა.

— რას ჩამაცივდა ეს ლობიო და ჭადი, — ბუტბუტებდა თავისთვის დავითი, — რაღა მაინცდამაინც ლობიო მესიზმრება! შემწვარი და მოხრაკული დამესიზმროს. ამაშიაც აღარ უნდა მწყალობდეს ბედი?

ისევ იწყებდა თქლიმას, ნაწოლი გვერდი ახლა მალმალე უცივდებოდა, მაგ-

რამ გადაბრუნებაც ეზარებოდა და ცდილობდა როგორმე გაეძლო. ქვემოდან კი ყინულზე დაგებული საძირკე ტოპირისძირი სულ უფროდაუფრო მწარედ კბენდა და მოსვენებას არ აძლევდა, მეტი გზა არ იყო, ახლა მეორე მხრით უნდა გადაბრუნებულიყო.

ქარი კი ისევ ზუზუნებდა, ზუზუნებდა, ხოშორა თოვლს კარავის სახურავზე ქვიშასავით ახრიალებდა და ყინულიან სიბებში გულისგამწყვალებლად კიოდა.

დავითმა თავის საძილე ტომარაში ხელი მოაფათურა, პატარა ჩანთას მისწვდა, კონიაკით სავსე ალუმინის მათარა და ერთი ფილა შოკოლადი ჰქონდა შენახული, მაგრამ ცოტა ფიქრის და ნებისყოფის დაძაბვის შემდეგ ისევ მიშალა.

„არა, აღრეა, — გაიფიქრა მან, — ჯერ კიდევ გეყოფნის ძალ-ღონე. ეგ ჯერ სიყვარულზე საუბრობს, ჩემსავით ლობიო და ჭადი არ დასიზმრებია. მერე ვნახავ, პელმენებზე და კულებიკაზე რომ გადავა“.

შვიდი დღე მძინვარებდა ქარიშხალი. მერვე დღეს მოულოდნელად გამოიღარა. ღრუბლები ერთი ხელის მოსმით მიმოიფანტნენ და სარკესავით მოკრიალებულ ცაზე მზე ამოიწვერა. მხოლოდ ახლა გამოჩნდა, რამდენი თოვლი მოსულიყო. აქამდე შავად გადაგრაგნილი ქედი ისე აბზინდა, თითქოს მისი გრანიტის ხეცხეუები და წიბო-წახნაგები თეთრი ლაპლაპა საღებავით შეეღება ბუნებას. იალალებიც თოვლის სქელი საბნით იყო დაფარული და მხოლოდ ტყისპირებთან თხელდებოდა, იქ მარტო დაბალი არყის კენწეროები იყო შეფიქტული. ამ ნაადრევსა და უჩვეულო დროს მოსულ თოვლს, ცხადია, მალე აიღებდა, რადგან ჯერ კიდევ სექტემბერი იყო, ხოლო საზამთრო თოვლს, საერთოდ,

მთებში მხოლოდ ნოემბერს დადებს ხოლმე.

მაიორმა ივანოვმა გათენების ხანს გაგზავნა ულელტეხილისაკენ ათიოდე მთასვლელი იმ იმედით, რომ აღმოაჩენდა დავითის რაზმს, თუმცა საერთოდ ძალზე საეჭვო იყო, რომ მთასვლელები შეძლებდნენ ქედამდე მიღწევას. თხილამურებით ვერ ივლიდნენ, ხოლო დამბალ თოვლზე სიარული ძნელიც იყო და საშიშიც. ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლებოდა ზვავი მომწყდარიყო.

ივანოვს დილიდანვე არ მოუშორებია თვალი ქედისათვის და სულ მოელოდა, რომ დავითი როგორმე ანიშნებდა თავის ბანაყის ადგილმდებარეობას და სასიგნალო რაკეტას აუშვებდა, მაგრამ იქედან არავითარ ნიშანს არ იძლეოდნენ.

არათუ მაიორს, მათი ბედი ყველას აღელვებდა და წამდაუწყუმ ეკითხებოდნენ ერთმანეთს, ან ამბავი რაზე ხომ არ გაგიგონიათ, ან რაიმე სიგნალისათვის თვალი ხომ არ მოგიკრავთო.

მთასვლელთა აზრით, დავითის რაზმი კიდევაც რომ გადარჩენილიყო, რამდენიმე დღის განმავლობაში ვერც ერთი მათგანი მაინც ვერ მოახერხებდა უკან დაბრუნებას, რადგან დამარული თოვლის ზეგვები მათ არ მისცემდა დაბლა ჩამოსვლის საშუალებას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც თოვლს დღისით ნამბული დაკრავდა, დაჯდებოდა, მერე ღამის ყინვა გასიბავდა, მხოლოდ ამის შემდეგ იყო შესაძლებელი დანგითაუს მხარზე ასვლა ან ჩამოსვლა.

საჭირო იყო თვითმფრინავებით დაზვერვა. მაიორი ტელეფონით დაუკავშირდა დივიზიის შტაბს, შეატყობინა, რომ ქედზე უკვე გამოიძარა და სთხოვა, თვითმფრინავებით ქედი გამოეკვლიათ. შტაბიდან აცნობეს, რომ დაბლობი ჯერ კიდევ ღრუბლით იყო დაფარული, და როგორც კი ამ ღრუბლებში ფანჯარა გამოჩნდებოდა, მაშინვე გააფრენდნენ მანქანას.

ვალიკო მაშინ ქვაბნარაში იყო და ყოველ საათში ტელეფონით უკავშირდებოდა ივანოვს. გაიგო, თუ არა გამოვლადების ამბავი, და ისიც, რომ მზვერავები უნდა გაფრენილიყვნენ, იმწამსვე გამოთქვა სურვილი, თვითონ მიეღო მონაწილეობა და მაშინვე გაემგზავრა დივიზიის აეროდრომზე, რომელიც რკინიგზის სადგურთან იყო მოთავსებული.

გზაში ვალიკო სულ ცას შესცქეროდა და დარდისაგან არ იცოდა, რა ექნა. მართალია, აღარ წვიმდა, მაგრამ ღრუბლები წინანდებურად დაბლა ჩამოწოლილიყვნენ. ამიტომ, როდესაც აეროდრომზე მივიდა, დარწმუნებული იყო, რომ გაფრენა არ მოხდებოდა.

მას ახალგაზრდა, პირტიტველა მფრინავი ლეიტენანტი მიუახლოვდა და ჰკითხა:

— თქვენ ხართ რაიკომის მდივანი?

— დიახ.

— სწორედ დროზე მოხვედით. თვითმფრინავი ათ წუთში გაფრინდება. ახლა ბენზინს ასხამენ.

— მერე ღრუბლები?

— იქედან დაჩეკეს, საჩეკსავით მოწმენდილიო. აქ არაფერია, აძერებან ღრუბლებში.

— რომელი მანქანაა?

— პატარა მანქანაა. კარგია, არ შეგცივათ. ყველაზე საიმედო მანქანები სწორედ ესენი არიან. უ-2, ხომ იშვიათი და იშვიათია.

— მე მეგონა ბომბდამშენი წავიდოდა.

— თქვენ პირველად ფრენთ?

— დიახ.

— წამობრძანდით, საფრენოსნო კომბინეზონი ჩაიცვით, თორემ გაიყინებით. ლეიტენანტი წაუძღვა ვალიკოს ანგარში, სადაც მას ერთი მთლიანი, მოლისფერი, დაბამბული კომბინეზონი ჩააცვეს, თავზე ტყავის მუზარადი დაახურეს და თვალებზე სქელშუშისანი სათვალეები გაუკეთეს. კომბინეზონი ისე

სქლად იყო დაბამბული, რომ ვალიკო იძულებული იყო აჯაბაჯა ევლო.

ორივენი თვითმფრინავისაკენ გაემართნენ.

გზადაგზა ვალიკო ისევ გამოელაპარაკა მფრინავ ლეიტენანტს, რომელიც ძალზე თავაზიანად აძლევდა პასუხს და სულ იღიმებოდა.

— კარგად დასცხეს ჩვენმა გამანადგურებლებმა მაშინ, — უთხრა ვალიკომ ლეიტენანტს, — მალაროების რაიონში.

— კარგად? — ღიმილით თქვა ლეიტენანტმა და მერე, თითქოს ვიდაცასი ერიღებოდა, დასძინა: — ჩემი რგოლი უშენდა.

— მართლა? ნება მომეცით, მადლობა გითხრათ, — მაგრად ჩამოართვა ხელი ვალიკომ, — ყველაფერს ვხედავდი. ოჰ! როგორი ფრენა გცოდნიათ. ამ მთებში შევარდენივით ტრიალებდით, ჩვენი რაზმი რომ უტევდა მათ წინა ხაზს, გერმანელები არც ფიქრობდნენ ფეხის მოცვლას, სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდნენ, მაგრამ გამოჩნდით თუ არა, მაშინვე მოცოცხეს. იცოცხლე, მიეცათ ფეთება.

— ჩვენ ჯერ არც კი ვიცით ჩვენი თავდასხმის შედეგი. როგორაა იქ საქმე?

— ძალიან კარგად. ვადმოსული რაზმი მთლიანად გავანადგურეთ. მე მიკვირს, რატომ ჩქერულას უღელტეხილიდან არ დაიწყეს შეტევა გერმანელებმა და მაინცდამაინც ამ მიუვალ ქედს მოაშურეს. ჩქერულას უღელტეხილზე ჯერ თოფიც არ გავარდნილა.

— ალბათ, იმიტომ, რომ განზრახვა ჰქონდათ მოულოდნელად ისეთი ადგილიდან დაგვსხმოდნენ თავზე, საიდანაც მათ სულაც არ მოველოდით. თავზარი უნდოდათ დაეცათ ჩვენთვის.

ორივენი მიუახლოვდნენ თვითმფრინავს. იქვე იდგა მფრინავიც, რომელსაც უნდა წაეყვანა მანქანა. ლეიტენანტმა ვააკნო ვალიკოს თავისი თანამებრძოლი და დასძინა:

— ეს შეეცდება, იმ ახლომხლო რაიონში დასაფრენი მოედანი აღმოაჩინოს და ზედ დაეშვება კიდევაც, თქვენ თუ გეგულებათ დასაფრენი მოედანი, მიუთითეთ.

— ვნახოთ, მართალი უნდა გითხრათ, არ მეგულება. იალალებზე თუ მოვნახათ სადმე. ქვემოთ მალაროების რაიონში დასაფრენი მოედანი უკვე მზადაა, მაგრამ ალპურ ზოლზე თუ დაეშვება...

— იქ ახლა თოვლია?

— თოვლზე ვერ დაეშვება?

— გააჩნია, როგორი თოვლი იქნება თუ ადგილი ვერ ნახოთ, ჩქერულას უღელტეხილს მიაშურეთ. იქაც საჭიროა დასაფრენი მოედნის მოძიება. ჩვენ დღესვე უნდა შევეუდგეთ სამხედრო საჭურველისა და პროდუქტების გადაზიდვას.

— დღესვე? როგორ? — გაოცდა ვალიკო.

— დღესვე, მაშ როგორ გეგონათ. ჩაჯექით მანქანაში, უკვე დროა.

ვალიკო ჩაძვრა თამბაქოს კოლოფის-ოღენა კაბინაში, რომელშიც პირველად რომ ჩაიხედა, თუ ჩაეტოვდა, ვერც კი წარმოედგინა. დიდი გაკირვებით მოთავსდა, მაგრამ როგორი იყო მისი გაოცება, როდესაც ამ პატარა კაბინაში, სადაც მუხლები ნიკაპზე ებჯინებოდა, კოხტად შეკრული ამანათები ჩაუწყვეს.

— ეს რაღაა? — იკითხა გაოცებულმა ვალიკომ.

— ეს სურსათის მარაგია. თუ რაზმი აღმოაჩინეთ, გადაუყარეთ. — უპასუხა იმავე უცვლელი მიმზიდველი ღიმილით ლეიტენანტმა, თანაც განუწყვეტლად აწყობდა და აწყობდა კაბინაში ამანათებს.

მალე მთელი კაბინა ისე ამოავსეს, რომ ვალიკოს მართო თავი უჩნდა.

— დამაცათ, ცალი ხელი მაინც ამოვიღო ზევით, — იყვირა ვალიკომ, — ხელი თუ დაბლა მექნა, როგორღა გადავიყარო!

— არა უშავს-რა, გზადაგზა მოეწყობით, — უთხრა ლეიტენანტმა და ამანათები კიდევ დაუმატა. მერე კაბინას მინასავით გამკვირვალე ხუფი წამოახურა და მფრინავს გასძახა: — შადაა. შეიძლება ფრენა!

ამანათებში ჩამარხული ვალიკო ძლივს სუნთქავდა და განძრევას ვერ ახერხებდა. ხუფზე დააკაჟუნეს, მოიხედა, ლეიტენანტი ხელით ანიშნებდა, მფრინავს სალაპარაკო მილით დაუკავშირდით. მილი იქვე ებჯინებოდა ყურთან. მერე თითით ანიშნა, ხუფი როგორ გაეხსნა. თითი უნდა დაექირა პატარა ფოლაქზე და ის თავისით გასრიალდებოდა უკან. ვალიკომ თავი დაუქნია, მივხვდიო და ამანათებზე თვალით ანიშნა, არაქათი აღარ მაქვსო. ლეიტენანტმა გაიცინა და რაღაც უპასუხა, მაგრამ ვალიკოს არაფერი გაუგონია, პროპელერი აუუხუნდა. სანამ მოტორი გათბებოდა, ადგილიდან არ დაძრულან. მოტორი რიტმულად გუგუნებდა და თვითმფრინავი ცივბიანივით ძაგძაგებდა. მერე უცბად მოტორი მძლავრად აღრიალდა, თვითმფრინავი ჯახჯახით დაიძრა და მინდორზე გორვით წავიდა. ვალიკომ მინდვრის ბოლოზე თვალი მოჰკრა წითელარმიელს, რომელიც ალმებით მამართულებას აჩვენებდა.

თვითმფრინავი შებრუნდა და ადგილზე შეჩერდა. მოტორი ახლა კი ისე მძლავრად აღრიალდა, რომ ყურთასმენა აღარ იყო, მერე უცბად დაიძრა ადგილიდან, ოღონად ნჯღრევით გაგორდა მინდორზე, სიჩქარეს თანდათან უმატა და უცბად თითქოს ისევ გაჩერდა. ვალიკომ ფანჯარაში გადაიხედა. ქვემოთ მიცურავდნენ ეზოები, კოლოფივით პატარა ოდები, გზებით დახაზული მინდვრები.

ისინი უკვე ჰაერში იყვნენ.

რაც უფრო მიიწევდნენ მაღლა, მით უფრო იშლებოდა ვალიკოს თვალიდან სრულიად არაჩვეულებრივი პეიზაჟი.

მთელი მიდამო, სადაც კი თვალი მიუწვდებოდა, ლამაზი ფერადებით დახატულ რუკას წააგავდა. ვალიკომ ქვეშეულად სრულიად დაიბნა და ვერც ერთი ადგილი ვერ გამოიძინო. გაოცებით აკვირდებოდა ლარივით გაქიმულ გზატკეცილს, ასანთის კოლოფისოდენა სახლებს, ჯეჯიმივით გადაქარგულ პლანტაციებს და ბალ-ვენახებს და ვერაფრით ვერ გამოარკვია, რომელი ადგილების თავზე მიფრინავდნენ. მალე ისე მალა-აიწიეს, რომ ვალიკოს ეგონა, ჰაერში დავეკიდეთ და ადგილიდან აღარც კი ვიძვრითო. მისთვის ახლა რომ ეთქვათ, სათში ორასი კილომეტრის სისწრაფით მივქრითო, არ დაიჯერებდა. მიწა თითქოს სრულიად არ იძროდა.

ათიოდე წუთის ფრენის შემდეგ თვითმფრინავი ღრუბლებში შეიჭრა. კაბინის ხუფიდან არაფერი არ მოჩანდა, რძეხავით სქელი ღრუბლის გარდა. მხოლოდ საოცარი ის იყო, რომ ახლა მთელი თვითმფრინავი ისე ჯაყჯაყებდა, თითქოს ხმელი კოლბოხებით დაფარულ გზაზე მიგორავდა. ვალიკომ გულისრევა იგრძნო. თვალები დახუჭა და სცადა, დაეძლია ეს არასასიამოვნო გრძნობა. კუნთები დაჭიმა და მალე მართლაც შეატყო, რომ თანდათანობით მოერია გულისრევას. თვალდახუჭულმა უცბად იგრძნო ძლიერი სინათლე. თვალი გაახილა და დაინახა, რომ ღრუბლების ზემოთ მიფრინავდა. მოკრიალებულ ცაზე მზე თვალისმომკრელად ბრწყინავდა. ზღვასავით გადაშლილი ღრუბელი უძრავად გარინდულიყო და, მზის სხივებისაგან გაბრწყინებული, თეთრად ლაპლაპებდა. აქა-იქ ღრუბლის საოცარი კოშკები ამართულიყვნენ. ერთ ადგილზე კი ხუთი წუთის განმავლობაში კლდეებივით ამართულ ღრუბლების დერეფანში მიფრინავდნენ.

„რა ამბავი ყოფილა ამ ზეცაში“, გაიფიქრა ვალიკომ.

მალე ღრუბლების დერეფანი გათავდა და დაინახა, რომ ხეობის გასწვრივ

მიფრინავდნენ. „ჩქერულას ხეობა“ იცნო ვალიკომ, „ავერ ქვაბნარა“.

მოიხედა. ღრუბლები უკან წასულიყვნენ და გაშლილ ფრთასავით გადაჰფენოდნენ დაბლობებს. ისევ წინ გაიხედა, ქვაბნარა უკვე ფეხქვეშ მოექცათ. „ახლა მარცხნივ უნდა გავუხვიოთ“, გაუელვა გონებაში და სწორედ ამ დროს თვითმფრინავის ქვეშ მიწა თითქოს აყირავდა. გაოცებული ვალიკო უქცეროდა და თვალებს არ უჯეროდა. ქვაბნარა კედელზე დაკიდულივით აიშართა მის თვალწინ. მერე ისევ დაყირავდა, გაიელვეს მათა ლანდებმა და ახლა მთელი კავკასიონის ქედი გამოჩნდა. მარცხნივ, ძუძუებივით ამობურცვილი იალბუზის ორი თეთრი მწვერვალი, იმის აქეთ, დონდუზორუნბაში, უშმა, მერე შხარის კედელი, მარცხნივ ედენა, ვაკის წვერი, ბუბა, ადაიხოზი და შორს სივრცეში გადაგრავნილი მთელი კავკასიონის მწვერვალები.

„აი დანგითაუც“, გაეხარდა ვალიკოს, როდესაც თვალი მოჰკრა თავის ნაცნობ მწვერვალს, „რა ახლოს ყოფილა. მე კი სად ვექებდი!“

ვალიკოს ეგონა, რამდენიმე წუთში დანგითაუს თავზე გადაეველებითო, მაგრამ ნახევარი საათი მიფრინავდნენ და თითქოს ერთი ნაბიჯითაც კი არ მიახლოვდნენ.

ბოლოს დანგითაუც სადღაც მიიშალა, თვითმფრინავმა რამდენჯერმე მოუხვია, თოვლით დაფარულ იალაღებს საკმაოდ დაბლა გადაუფრინა და ერთ ორ ადგილს ვალიკოს ეგონა, ბორბლებით თოვლსაც კი შეევეხეთო. რამდენჯერმე ფერდობებს ქორივით აღმაცერად ჩაუქროლა, შებრუნდა, რაც შეეძლო მაღლა აიწია და დანგითაუს მწვერვალს ზედ თავზე გადაუქროლა.

გადაეშენენ თუ არა მეორე მხარეს, ვალიკომ შუბლი ხუფზე მიაყრდნო და თოვლით დაფარულ ქედებს დააკვირდა. თოვლის გარდა, ვერაფერს ვერ ხედავდა.

„დაიღუპნენ ბიჭები“, გაუელვა ვალიკოს.

მარჯვნივ გაიხედა. არც იქით ჩინდა არაფერი. ფრინის ველს გადაუქროლეს. მოულოდნელად ამ ქათქათა ზეგანზე პატარა წერტილი შენიშნა. წერტილი თითქოს მოძრაობდა და თოვლზე ადვილად შესამჩნევ კვალს ტოვებდა. დააკვირდა, კვალი ნაწერს წააგავდა. კიდევ დააკვირდა, ამოიკითხა: „ჩვენ სურსათი“... ვილაც თოვლზე თხილამურებით დაჰქროდა და ქართული ასოებით წერდა.

ვალიკომ მოიხედა და მფრინავთან სალაპარაკო მიღში ჩაჰყვირა:

— ჩვენებია?

— ჩვენებია, — მოესმა ვალიკოს მფრინავის ხმა, — ისინი რაღაცას წერენ თოვლზე.

— „ჩვენ სურსათი“. ქართულად წერენ.

— მეორედ შემოვეული, ბოლომდე ამოვიკითხოთ.

— სურსათს თხოულობენ, არ გადავეუყართ?

— მოიცადეთ. იქნება დაჯდენ. თუ ვერ მოხვებრზე, სანამ არ განიშნოთ, არ გადაყართ.

თვითმფრინავმა მოუხვია და ვალიკომ ერთ ადგილზე შენიშნა წერტილების მწკრივი. მერე ყველაფერი აირია ერთმანეთში, თოვლიანი ქედი ხან მარცხნივ აყირავდა, ხან მარჯვნივ და ვალიკომ ორიენტაცია დაჰკარგა. მოტორის ხმაური სრულიად მისუსტდა და ვალიკომ უცბად შეამჩნია, რომ თოვლის ზედაპირის ახლო მიჰქროდნენ. თვითმფრინავი შეეხო თოვლს, გასრიალდა, მთლიანად გაეხვია ახვეტილი ფიფქების კორიანტელში და უცბად გაჩერდა.

სიჩუმეში გაისმა მფრინავის ხვნეში, რაღაც ჭრავუნნი, და მალე ვალდკოს კაბინის ხუფზე გამოჩნდა მისი მუზარადიანი თავი. ვალიკომ ფოლაქს ხელი დააკირა, ხუფი უკან გასრიალდა.

— ამოდით. ბედმა გავგიღიმა. კარგა

დაეჯექით, — უთხრა მფრინავმა ვალიკოს.

— როგორ მოახერხეთ ბორბლებით თოვლზე დაჯდომა? — თქვა ვალიკომ და დაიწყო ამანათებით გაჭედული კაბინიდან ამოძრომა.

— მუცლით დაეჯინე. შასი რომ გამოემევა, ცხრაჯერ გადავიდოდით ყირას.

— როგორღა აფრინდებით?

— აეროდრომს ახლავე მოვაწყობთ. ორასი მეტრის ბილიკს გავატყებინებ ბიჭებს. შეხედეთ, ისინი უკვე მოჭქრიან ჩვენსკენ.

მართლაც, თხილამურებზე შემდგარი მებრძოლები ტყვიასავით მოჭქროდნენ თვითმფრინავისაკენ. ყველაზე წინ დავითი მოჭქროდა. მან შორიდანვე გასძახა მოფრინილ სტუმრებს:

— ყოჩაღ, შევარდნები ხართ, შევარდნები.

თვითმფრინავთან მოსხლეტით შეჩერდა, სასაცილო ყანჩისებური ნაბიჯებით მიუახლოვდა მათ და ორივე გადაკოცნა.

— რა კარგად დააჯინეთ თვითმფრინავი, კინალამ გავგიჟდი, მე ვთქვი, გათავდა მაგათი საქმე-მეთქი.

— დათიკო, — ღიმილით უთხრა ვალიკომ, — ვერ მიცანი, ბიჭო?

— ვალიკო, შენა ხარ?

— მე ვარ, მე.

ისევ გადაეხვიენენ ერთმანეთს. სიცილი აუტყდათ. დანარჩენი მებრძოლებიც მოცვიდნენ. შეიქნა მისალმება, მილოცვა, ხვეწნა-კოცნა.

— როგორა ხართ? — ჰკითხა ვალიკომ, — ცოცხლები ხართ?

— ვართ. ხომ ხედავ. ჩვენ კი არა, ორმოც კაცზე მეტი გერმანელი ტყვე გვყავს.

თვითმფრინავი სწრაფად განტვირთეს. მცირე თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს, ასაფრენი ბილიკი გაეტყვნათ. ვალიკო რაზმთან დარჩებოდა, ხოლო შემსუბუქებული თვითმფრინავი უკანვე უნდა

გაებრუნებინათ, ორი საათის შემდეგ მფრინავი მთელ რგოლს მოიყვანდა და საღამომდე ჩაიყვანდნენ. ორმოცნახე ტყვეს მალარობის რაიონში, სადაც დასაფრენი მოედანი უკვე მზად იყო. აქ კი სურსათს და სამხედრო საქურველს მოზიდავდნენ.

— აბა, ბიჭებო, — დაიძახა დავითმა, — მოიყვით ტყვეები, მოდით თქვენც, ასაფრენი ბილიკი გავტყებნით და მერე დასაშვები მოედნის ტყებნას შევუდგეთ. ეს მამაძალი გერმანელები რას მოესწრნენ, რომელი ჩელუსკინელები ესენი მყვანან, რომ აქედან თვითმფრინავით უნდა გავიყვანოთ სამშვიდობოს.

მერე ვალიკოს მიუბრუნდა:

— შე უსინდისო, ერთი-ორი ბოთლი ალექსანდროული ვერ წამოიღე?

— ყველაფერს გამოგიგზავნი, ნუ გეშინია. ჯერ მაგას მოერიეთ, რაც მოგიტანეთ.

— რას მოვერიოთ, ვერ ხედავ, ერთ წუთში გადასანსლეს ბიჭებმა, რაც თქვენ მოიტანეთ? სამი დღე ჩვენს პირში ლუქმა არ ჩასულა.

— კარგი ერთი!

— აბა, როგორ გეგონა, რომ გამოიღარა და კარვებიდან გამოემყვრით, ვერც ერთი ვერ ღვებოდა ფეხზე. ზოგი მთვრალივით ბარბაცებდა და ზოგი სავრთოდ ვერ ახერხებდა ადგომას. მერე აღმოაჩნდათ ჩემსავით ტყვიან ბიჭებს პატარ-პატარა მიმალული — ზოგს შოკოლადი, ზოგს თითო გვრიხი შაქარი, ზოგს ორცხობილა და ერთმანეთი მოევაბრუნეთ. მე ერთი მათარა მქონდა სავსე კონიაკით, წამალივით ვაწვეთებდი პირში ზოგიერთ სიკვდილისპირად მისულ მებრძოლს, მაგრამ ვერ წარმოიდგენ, რა ძალა აქვს ამ მალალმთიან ჰაერს. ერთ საათში ყველა ისე მოცოცხლდა, რომ სიარულიც შევიძელით და თხილამურებიც კი გავმართეთ. ჯერ კარგად ვერც კი გადაგვეწყვიტა, როგორ მოვეცულიყავით, რომ ამ დროს ცაში ზუზუნი მოგვესმა. ავიხედეთ და თქვენი

თვითმფრინავი დავინახეთ. მართლა, ჩემი მალაროები რა დღეშია! თუ იყავი?

— როგორ არა.

— მტერი?

— მტერს იქ რაღა უნდა.

— უკან დაიხიეს?

— უკან რომ დაეხიათ, ხომ ასე უნდა გადმოვევლოთ. პირწმინდად მოვასუფთავეთ. ახლა ფრონტის წინა ხაზზე თქვენა ხართ და მგონია, რომ აქედანაც ერთი ოცი კილომეტრის მანძილზე არავინ არ იქნება. ამ ქარბუქმა დედა უტირა.

— მალაროში რა ამბებია? როგორ დაგიხვდა?

— ყველა კარგადაა. მუშები ტყეში გასულიყვნენ, მაგრამ მალე ყველა მოგროვდა. შენი სტეფანე ისევ ჩალიჩობს და თომა მზარეულმა იმისთანა სოუსი გვაქვამა, ვერ წარმოიდგენ...

— ხომ არაფერი დაუნგრევიათ?

— რა უნდა დაენგრეიათ? გვირაბებს ვერ ააფეთქებდნენ და ბარაკებს ხომ არ დაუწყებდნენ ნგრევას. ყველაფერი ხელუხლებელი დაგიხვდა. მე ვუბრძანე, მუშაობას შესდგამოდნენ და მგონია კიდევაც შეუდგნენ. დღეს, ჩავალ თუ არა, ჩემი თვალთ შევამოწმებ ყველაფერს.

დავითს უნდოდა უფრო დაწვრილებით ეკითხა ზოგი რამ, გაეგო, რა ბედი ეწვია ნადიას, მაგრამ უხერხულობამ ენა დაუბა. ბოლოს გადაწყვიტა, წერილი გაეტანებინა ვალიკოსათვის და საქმიანად აფუსფუსებულ მებრძოლებს შეუერთდა.



სალამოსათვის სამმა თვითმფრინავმა დაამთავრა ფირნის ველიდან მალაროების რაიონში ტყეების ჩაყვანა. ყველა ხუმრობით ამ ოპერაციას ჩელუსკი-ნელთა ეპოპეის იმიტაციას უწოდებდა.

ბედმა მართლა გაუღიმა მტრის ამ მოწინავე პატარა რაზმს, რომ ისინი ტყვედ ჩაუცივდნენ ჩვენთან. მთრეკმა ხალხბათ ისევე დაიღუპებოდნენ, როგორც ის ათასხუთასი ბერსალერი, რომლებიც ქარბუქს სულერთიანად გაეგულა და დაეხრჩო. თხელი, რეზინით გაქლენთილი საძილე ტომრების გარდა, მათ არც კარვები ჰქონდათ და არც სხვა თბილი ტანსაცმელი, და, აბა, ასეთ ტომრებში ოცგრადაუსიან ყინვას როგორ გაუძლებდნენ! ვის შეეძლო ეფიქრა, რომ წლის ამ დროს, როდესაც მთასეგელთა სამოგზაურო შუასეზონი იყო, ასეთი წარმოუდგენელი თოვა და ქარბუქი ატყდებოდა. თითქოს ბუნებაც კი განრისხდა კავკასიონის ამყ ქედზე გადამთიელი მტრის შემოჭრით და თავისი მრისხანებით მათზე შური იძია.

თვითმფრინავები თითქოს ქაში ჩაფრენილიყვნენ, ისეთი ტრიალით ეშვებოდნენ იმ პატარა აეროდრომზე, რომელიც ასეთი გულმოდგინებით გაამზადა მაიორმა ივანოვმა. პირველად ის პატარა ლიმუზინი დაფრინდა, რომელმაც თამამად მოახერხა ფირნის ველზე დაჯდომა და ახლა ასევე თამამად მოუძლოდა თავის რგოლს ამ ხელისგულისტოლა დასაფრენი მოედნისკენ. მალაროს მუშებმა, ქალმაც და კაცმაც, ყველამ აეროდრომს მიაშურა და თვალს არ აშორებდა ტაში პეპელასავით მოფარფატე მანქანას. ის კარგა ხანს ტრიალებდა, ბოლოს ერთი დაყირავდა, თითქოს ხეობაში ჩაეარდნას აპირებდა, შემდეგ ერთ წუთს თვალთაგან მიეფარა, მოულოდნელად შემოგრიალდა ფრთავაშლილი და მოედანზე დაეშვა. პროპელერი ჯერ კიდევ არ გაჩერებულიყო, რომ დამხედურები ერთი ევილ-ხივილით გაეჭანენ მანქანისაკენ, სიდანაც ორი კაცი ამობობდა, ერთი მათგანი მტრინავი იყო, მეორე — რაიკომის მდივანი. მუშებმა იცნეს თუ არა ვალიკო, მაშინვე გარს შემოერთყნენ და კითხვები სეტყვასავით დააყარეს.

ვალეკომ მაიორისაყენ მიაშურა და გზადაგზა მოწყვეტით იძლეოდა პასუხებს:

— ვნახეთ, ვნახეთ ყველანი, ცოცხლები არიან, დავითიც კარგადაა და ყველა, იქ ვიყავი, იქ, — ღიმილით ამბობდა ვალეკო, შემდეგ მაიორს ხელი გაუწოდა და მაგრად ჩამოართვა, — მომილოცავს, ამხანაგო მაიორო!

მერე მოულოდნელად, თითქოს რაღაც გაახსენდაო, ჯიბეში ხელი მოიფათურა და ხმამაღლა დაძახა:

— სეროვა, რომელია აქ სეროვა!

— მე ვარ, — უპასუხა ნადიამ და წინ წამოიწია.

— ნადია სეროვა თქვენა ხართ? — ჰკითხა ვალეკომ და ჭალს რაღაც განსაკუთრებული ყურადღებით დააკვირდა. — თქვენთან წერილი გამომატანეს.

— ვინ? — აკანკალებული ხმით ჰკითხა ნადიამ და აღელვებისაგან მთლად გაფითრდა.

— დათეკომ, აი! — გაუწოდა წერილი ვალეკომ, შემდეგ მაიორს მკლავში ხელი გამოსდო და განზე გაიყვანა.

ნადიამ წერილს დახედა, მობრუნდა და ანგარიშშიუცემლად ტყისპირისაკენ გაიქცა. ჭალების უმეტესობა უკან დაედევნა. შეიქმნა ერთი ეფილ-ზივილი და ნადია იძულებული იყო, შეჩერებულიყო. როგორც იქნა, ძალ-ღონე მოიკრიბა და შეეცადა, უღარდელი სახე მიეღო. ათრთოლებული ხელით გახსნა სამკუთხად დაკეცილი ბარათი და კი არ გადაიკითხა, ერთი თვალის გადავლევით ჩაყლაპა. მერე ბარათი სწრაფად დაკეცა, უბეში ჩაიდო და სახელეწილმა შემოსეულ მეგობრებს თვალი მოავლო.

— რაო? — ჰკითხა პელაგეიამ, — მისგანაა?

— ცოცხალია, — უპასუხა ნადიამ, — მწერს, მუშაობა განაახლეთ, მალე დაბრუნდებითო.

— მართლა? — შესძახეს აქეთ-იქით გოგოებმა, — ვაშა, მოდი ნადია ვაბურთაოთ.

— ვაბურთაოთ, ვაბურთაოთ, — იცეკვლა ყველამ, დასტაცეს ხელი ნადიას და ერთი-ორჯერ ჰაერში აისროლეს.

შემდეგ, როდესაც თვითმფრინავებმა ტყვეების ჩამოზიდვა დაიწყეს, ნადიამ რამდენჯერმე მიმართა თხოვნით ხან მფრინავებს, ხან მაიორს, უღელტეხილის ზეგანზე წამიყვანეთო, მაგრამ გადაჭრით უარი მიიღო.

— რა გინდა უღელტეხილზე? — წარბშეკვრით ჰკითხა მაიორმა.

შემკრთალმა ნადიამ ვერაფერი უპასუხა და თვალები დახარა.

— ვინ გყავთ იქ? — ჰკითხა ივანოვმა და ოდნავ შესამჩნევლად გაიღიმა, მერე მოაგონდა, რაიკომის მდივანმა ვისგანაც მოუტანა წერილი და ახლა მთელი სახე გაეხადრა, — ააა, ვიცი. დამშვიდდით, იმას თვითონ გამოვაგზავნით აქ. საღამოს მე გაგფრინდები უღელტეხილზე და ვნახავ, როგორაა საქმე. თქვენ კი წადით და საქმეს მიხედეთ, აქ ფეხებში ტყუილ-უბრალოდ ნუ გვებლანდებით.

მთელი დღის განმავლობაში ნადია ვერ დამშვიდდა. მთელი დღის განმავლობაში ელოდებოდა დავითის მოფრენას უღელტეხილიდან და აეროდრომს არ მოშორებია. ყოველთვის, როგორც კი ცის სამკუთხა მონაკვეთზე გამოჩნდებოდა კრახანასავით მოზუზუნე თვითმფრინავი, ნადია გულსიფანცქალით იმეორებდა:

„აი ახლა მოფრინდება, ახლა, ახლა მოფრინდება“.

როდესაც რამდენჯერმე ზედიზედ გაწვილებული დარჩა და მოლოდინის მიუხედავად, თვითმფრინავიდან დავითის ნაცვლად გერმანელი ტყვეები გადმოდიოდნენ, მაშინ ნადიამ სხვა ხერხს მიმართა; ახლა ზედიზედ იმეორებდა:

„ახლა არ მოფრინდება, ახლა არ მოფრინდება, არა, ახლა არავითარ შემთხვევაში არ მოფრინდება“.

მაგრამ არც ამ ხერხმა გაკრა. არათუ დავითი, უღელტეხილიდან მაიორიც არ დაბრუნებულა, ხოლო უკანასკნელ

რისზე თვითმფრინავები პირდაპირ გაუღდნენ გზას ბარში თავიანთი ბაზისაკენ, და ნადია იძულებული იყო ბარაკში დაბრუნებულიყო. სამზარეულოს კარებში თომას მოჰკრა თვალი და იქით მიაშურა ნადიამ, იცოდა, რომ ეს მოხუცი დავითის შორეული ნათესავი იყო და ამიტომ მისდამი განსაკუთრებულ სიახლოვეს გრძნობდა. თანაც თომამ კარგი რუსული იცოდა.

— მობრძანდი, ნადია, — შეეგება მას თომა, — მართლა მიიღე წერილი?

— მივიღე, — ღიმილით უთხრა ნადიამ, — გინდა წაგიკითხო, ძია თომა?

— უჰ, შენ გაგახარა ღმერთმა. წამიკითხე, შენ გენაცვალე, — უკანასკნელი სიტყვა ქართულად უთხრა თომამ, ამიტომ ნადიამაც ქართულად გაიმეორა იგივე სიტყვა:

— გინაცვალი, რა არის „გინაცვალი“, ძია თომა, ვერაინ ვერ მიფხრა.

— ეგ დავითს ჰკითხე და აგიხსნის, მე მაგდენი რუსული არ ვიცი. შენ ეგ წერილი წამიკითხე და გული გამიხარე. კონფუცი ამბობს: სიხარულს მთელი შენი არსებით შეეგებე, რადგან მწუხარებამ, სულ ერთია, შეღავათი არ იცის, იმის გამო, რომ შენ ცხოვრებაში ცოტა განგიცდია სიხარული თუ ბევრი.

ნადიამ უბეში ხელი ჩაიყო, წერილი ამოიღო, გაშალა და კარგა ხანს დააცქერდა, თითქოს კითხვა დავიწყებოდეს. მერე მოულოდნელად გაახსენდა, რომ თომა დამაბული ყურადღებით ელოდებოდა და ფუსფუსით წაიკითხა:

„ძვირფასო ნადია, ვიჩქარი გაცნობო, რომ მე უკვე აქა ვარ, უღელტეხილზე, და საშინელ ქარბუქში მთელი კვირა კარავში ვიწექი. პირველი შეჯახება მტერთან ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. უღელტეხილი ჩვენს ხელშია და მალე მტერს ზურგზე ბოლს ავადნით. შენ როგორ ხარ? მე სულ შენზე ვფიქრობ, მოუთმენლად მოველი შენ წერილს...“

— ა...აჰ! — აღმოხდა ნადიას, რასულელი ვარ. ის ალბათ ჩემს წერილს ელოდება, და მე აქამდე არც კი დამწერია. აჰ, რა სულელი ვარ! თვითონ მინდოდა წასვლა, მაიორმა ნება არ დამართო და წერილის დაწერა სულ დამევიწყდა.

ნადია ფეთიანივით გაეარდა სამზარეულოდან, ბარაკში გაიქცა. ქალაქი და ფანქარი მოძებნა და წერილის წერას შეუდგა. ისეთი გაფაციცებით წერდა, თითქოს ეშინოდა, არ დაგვიანებოდა და თავისი მოზღვავებული გრძნობები, რაც შეიძლებოდა, სწრაფად ჩაეტია ტალღებივით აქოჩრილ სტრიქონებში. მისი ბარათის ამოკითხვას კი ალბათ ყველაზე გამოცდილი კრიპტოგრაფიც ვერ მოახერხებდა, ისეთი გაკრული ხელით იყო ნაწერი, მაგრამ ნადია მაშინ ამაზე არც კი ფიქრობდა და ახრადაც არ მოსვლია, რომ ასეთი რამ მოსალოდნელი იყო. ბარათი გააშხადა, მისამართი დააწერა და მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ წერილს ხვალამდე ვერ გააგზავნიდა.

სალამოს ვალიკომ მუშების კრება მოიწვია. კრება სასადილო ბარაკში მიმდინარეობდა. აქ იყვნენ ყველანი, — მუშებიც, მოსამსახურენიც, საეპტრო ფარდულის გამგეც და მზარეულიც. ვალიკომ მკაცრად შეუტია მთელ კოლექტივს, რომ მალაროებში ფაქტურად არაფერი არ კეთდებოდა, რომ მას შემდეგ, რაც გერმანელები გარევეს, უკვე ერთ კვირაზე მეტი იყო გასული და მუშაობას ჯერ კიდევ არ შესდგომოდნენ.

— ჩვენ რა ვქნათ, შენი ჰირიმე. პატრონი გვინდა, — დაიძახა მელიტონმა.

— შენ მაინც არ ამბობდე ამას, — შეუტია რაიკომის მდივანმა, — რას ჰქვია, პატრონი აღარა გვეყავსო! შენ თვითონ ვინა ხარ? არ იცი, რა უნდა აკეთოთ?

— ეგ როგორ არ ვიცი, მაგრამ... — დაიბნა მელიტონი, მერე ადგა და ხელი მოწაფესავით ასწია, — შეიძლება?

— გამოდი, ილაპარაკე.

მელიტონი ადგა, მუშებისაკენ ნახევრად მობრუნდა და დაიწყო:

— ახლა თქვენ მართალს ბრძანებთ, ამხანაგო ვალიკო, მაგრამ არც მართო ჩვენი ბრალია, რომ აქამდე ვერ მოვაგვარეთ მუშაობა. კომპარესორებისთვის ბენზინი გვექონდა, მაგრამ გერმანელები რომ მოდიოდნენ, მამინ დაუცლია შალიკოს ბაყები, და ახლა რითი ვიმუშაოთ?

— ბენზინი ხვალ გექნებათ, ისიც სააკვიაციო. სხვა?

— სხვა... სხვა რაღა ვთქვა. ბენზინი თუ გვექნება, კომპარესორებს ავამუშავებთ და გაეხსნით თავებს გვირაბებში. მანამდე, რაც შეგვეძლო, ვცდილობდით. თქვენც კარგად იცით, ამხანაგო ვალიკო, რომ მუშახელი გვაკლია, მარა რას იზამ. მერე დავითიც არაა აქ და...

— დავითს შეიძლება დააგვიანდეს, მაგრამ ეგ რა მიზეზია? — შენიშნა რაიკომის მდივანმა.

— არა, იმაზე მოგახსენებდით, დავითი მაინც სხვანაირი ცეცხლიანი ბიქია.

— სხვანაირი ცეცხლი რა შუაშია, ჩვენ არ ვარგვივართ-თქო, ის სთქვი, — ჩაერია საუბარში აბესალომი და ფეხზე წამოიჭრა, — აბა ახლა ისიც მოიმიზეზე, წვიმა და ავდარი იყო და ვერ გავედით სამუშაოდ-თქო...

— იყო, და მაგანაც შეგვიშალა ხელი.

— ა! შეხედეთ ახლა ამას! — გაცხარდა აბესალომი, — ვინ გეჩიჩინებოდა, შევიდეთ გვირაბებში, არ გვარგია ასე უქმად ყოფნაო.

— კაცო, ეს დღესაა, ასე ერთად რომ გხედავთ ყველას, სად იყავით, ვიცი მე? რომელი ერთი მეტებნეთ?

ნალიამ ხელი ასწია და ხმამაღლა დაიძახა:

— ამხანაგო რაიკომის მდივანო, შეიძლება?

— მობრძანდით.

ნალია გამოვიდა წინ, უბეში ხელი ჩაიყო, ბარათი ამოიღო და თქვა:

— ამხანაგებო, მე მინდა ამხანაგ დავითის წერილი წაგიკითხოთ.

ყველანი ცნობისმოყვარეობით ამხანაურდნენ და ყოველი მხარედასაძახებეს:

— წაგვიკითხე, წაგვიკითხე!

— აი რას გეწერს ამხანაგი დავითი. ამხანაგებო, — დაიხარა წერილისაკენ ნალია, — „მე აქ გამირულად ვებრძვი მტერს...“

— აგრე არ იქნება, — შენიშნა უკანა რიგებიდან ვილაკამ.

— არა, „გამირულად“ მე ჩავეუმატე, — გაიღმა ნალიამ, — ნუ მიშლით, ამხანაგებო, მე ერთი სიტყვა ჩავეუმატე, რა მოხდა.

— განაგრძე, განაგრძე! — მოისმა ყოველი მხრიდან.

— „მე აქ გამირულად ვებრძვი მტერს, ერთი კვირა, საშინელ ქარბუქში და ყინვაში იერიში იერიშზე მიგვეჭონდა...“ — ნალია ეშმაკურად შეჩერდა, ვითომ ამოკითხვა გაუჭირდა და შესაფერ ეფექტსაც მიაღწია. „იერიში იერიშზე მიგვეჭონდა... მიგვეჭონდა ვერაგ მტერზე. ჩვენ დავამარცხეთ მტერი. მე ახლა მაინტერესებს, თქვენ რა გააკეთეთ მანდ, ჩემი არყრფნის დროს. თუ წახვედით საგრძნობლად წინ, ამოიღეთ საკმაო რაოდენობის ბარიტი...“

— ეე! ბარიტს აქ ჩვენთან რა უნდა! — დაიძახა აბესალომმა. — რას გვატყუებ, გოგო!

— უკაცრავად, აქ რაღაც ვერ ამოვიკითხე, ბარიტი კი არა, დაიცა, რა წერია, — ნალია შეიქმუნა, ვითომ ცდილობდა, სწორად ამოეკითხა და უნდოდა, როგორმე დამაჯერებელი პასუხი მოეფიქრებინა, მაგრამ ვერ მოახერხა და განაგრძო: — ერთი სიტყვით, აქ რაღაც ვერ გავიგე. მერე ამოვიკითხავ: „ამხანაგებო, მე ძალიან გთხოვთ, არ ჩაშალოთ მუშაობა. სამშობლო მოითხოვს ჩვენგან ყველაზე უდიდეს თავდადებას. მაშ ვებრძოლოთ შრომის ფრონტზედაც, შევეუწყოთ ჩვენს მამაც

მებრძოლებს ხელი ვერაფერს მტრის განადგურების საქმეში. საღამო ყველას. თქვენი დავითი“.

ნადიამ წერილი უბეში შეინახა და, როდესაც ტაში მიწყნარდა, თვითონ განაგრძო:

— ამხანაგებო, მივეცეთ პირობა ჩვენს რაიკომის მდივანს, რომ ხვალ დილიდან ჩვენ ისევ რიტმულად ავაწყობთ გვირაბებში მუშაობას, როგორც ეს გეჰქონდა

დავით გეორგიევიჩის ხელმძღვანელობის დროს. მე და პელაგეია ვიწვევთ შეჯიბრებაში ამხანაგ აბესალომს.

მელიტონმა ტაში დანსტრო და ყველა აიყოლია, ხოლო აბესალომმა უღვაშებზე გადაისხვა ხელი და ღიმილით ჩაულაპარაკა რაიკომის მდივანს:

— მაგან იმისთანა ბიჭი მოივდო გვერდზე, ახლა ქვეყანა რომ აკვიდო ზურგზე, ბუმბულივით აზიდავს.

თავი ოცდამეერთი

მაიორმა ივანოვმა დავითისა და ლეიტენანტის თანხლებით დაიარა მთელი მიდამო, რომელიც მანამდე მამაც მებრძოლებს დაეზვერათ. ხეობის გასწვრივ სამი კილომეტრის მანძილზე კუნძებივით ეყარა ბერსალერთა გაყინული გვამები. ეტყობოდა, მათ ბედზე უკვე აღარაფერი ფიქრობდა, რადგან ჩვენმა შთასვლელთა რაზმმა ათი კილომეტრით წაიწია წინ, ჩაშვუნის ხეობას მიადგა და მტრის ჩამიჩუმიც კი არ გაუგონიათ. არც მათი თვითმფრინავები გამოჩენილან. მხოლოდ შემდეგში გამოირჩევა, რომ გერმანელებს თავის მარცხენა ფრთაზე შეფერხების გამო გეგმა შეეცვალათ და ამიტომ ჩაშვუნის ხეობისათვის აღარ სცხელოდათ.

მაიორმა ივანოვმა ხეობის ანტიკლინალზე პირადად შეაჩია ისეთი პოზიცია, რომელიც მთელ მიდამოზე ბრძანებლობდა. აქ სასწრაფოდ გათხარეს სანგრები, საფრებში ნაღმსატყორცნები ჩადგეს, დანადგარები ბილიკები და მტრის შესახვედრად მოემზადნენ. ორი თუ სამი დღის განმავლობაში თვითმფრინავებმა იმდენი სურსათი და სამხედრო საჭურველი მოზიდეს, რომ თუნდაც მთელი ზამთრის განმავლობაში შეეძლოთ მტრის მოწოლა შეეჩერებინათ.

საჭირო იყო მახლობელი ქედების დაზვერვა და გამოკვლევა. მართალია, ეს ქედები სრულიად მიუვალი იყო და

მტრს არც ერთი მათგანი არ შეეძლო გადაეღება, მაგრამ ივანოვს მაინც სურდა ყოველი მისადგომი მაინც ხელში სჭეროდა და გაემარებინა. ამიტომ მან დავითთან და ათიოდე გამოცდილ მთასვლელთან ერთად პირადად დაიარა მთელი მიდამო. მართალია, თვითონაც ისე იყო დაქანცული, რომ არაქათი აღარ ჰქონდა, მაგრამ ადგილების პირადად დათვალეერებამ დაარწმუნა, რომ აქ მას თავისი ძალებით თამამად შეეძლო თავდაცვის მტკიცე პოზიციები ჰქონოდა და, როდესაც დრო დადგებოდა, შეტევაზეც გადასულიყო. საჭირო იყო, ზამთრისათვის მიწურები მოეწყოთ, სათანადო ადგილები ამოარჩიეს, მიწა ღრმად შეჭრეს, წინაპირი ქვებით ამოაშენეს, ალაგ-ალაგ პატარა ფანჯრები დაუტოვეს და მალე მშვენიერი მიწურები მზად ჰქონდათ. გარედან ეს მიწურები ისე ოსტატურად შენიღბეს, რომ ორი ნაბიჯიდანაც კი ვერ მიხვდებოდით, თუ აქ რამე სადგომი იყო აგებული.

მიწურებიდან ღრმა ტრანშეები პირდაპირ უერთდებოდნენ სანგრებს, ასე რომ სათვალთვალ პუნქტებზე მორიგე მეთორების შეცვლა შეუძლებელი ხდებოდა.

ისევ დათბა. თოვლმა სწრაფად იწყო დნობა და მზვარებზე გამოჩნდა მიწა. ამან საოცრად გააძნელა თვითმფრინავებით მოზიდული მარაგის დასაფრენი

მოედნიდან გამაგრებულ პუნქტამდე გადმოტანა. პირველ ჯერზე მეთხილამურებმა მოიგდეს დატვირთული ზურგჩანთები მხრებზე და ისეთი სისწრაფით დაეშვნენ ქვემოთ, რომ სულ კორიანტელი დააყენეს გაკვალულ თოვლის ლარებში. ახლა კი იძულებული იყვნენ, ფეხით ევლოთ და ნახევარი საათის ნაცვლად ათი კილომეტრის გავლას თითქმის სამი საათი უნდებოდნენ. ამიტომ დღეში მხოლოდ ერთი გზობა შეეძლოთ გაეკეთებინათ.

ივანოვი დივიზიის შტაბში დაიბარეს. დავითი კი სხვა მებრძოლებთან ერთად წავიდა ბარგის გადმოსაზიდად და ყველაზე მძიმე ზურგჩანთა მოიღო ზურგზე. საღამოს, როდესაც ახალ სადგომებში დაბრუნდნენ, ზურგი ისე ტკიოდა, რომ მოწყვეტით გაიშორა იატაკზე გაგებულ ბრეზენტზე. როდესაც მებრძოლებმა ეახშმად დაუძახეს, ადგომაც კი დაეხარა. ლეიტენანტმა გაკვირვებით ჰკითხა, რა მოგივიდაო, მერე დავითის ზურგჩანთას მისწვდა და ადგილიდან რომ ვერ დაძრა, წამოიძახა:

— ეს რა არის? მოგიკლავს თავი? ამოდენა სიმძიმე რამ გაზიდვინა!

ზურგჩანთას სხეებიც მისწვდნენ, მაგრამ ვერც იმათ უყვეს ძვრა, გარდა რაკველი ლებანიძისა, რომელმაც ასწია ხელში ეს მძიმე ტომარა და ხენეშით წამოიძახა:

— მეგონა ყველას ვაჯობებ-მეთქი, მარა გიჯობნია, ძმაო. ეს ასი კილო ისე იქნება, მისხალი არ დააკლდება.

— ძალიან კი დამალა.

— დაგალა კი არა, ცოცხალი რომ ხარ, არ გიკვირს? — წამოიძახა ლეიტენანტმა. — აბა, ბიჭებო, მოიტანეთ აქ საკმელი. აქვე დავსხდეთ, დავითთან. ასი გრამი უთაქეთ ახლავე ამას, ღონეზე მოიყვანს.

ბიჭები აფუსფუსდნენ. იქვე, დავითის გვერდით დაყარეს ხორავი: პური, კონსერვის კოლოფები, ძეხვები, შაქრის

მსხვილი გვრიხები, არაყით სავსე პატარა ალიუმინის ჭიქა დავითს, გაუწოდეს: — ხუხე!

— ბიჭებო, წყალი მომაწოდეთ, ახლას მირჩენნია, — შეევედრა დავითი და საკმელებს ზანტად, ცალი თვალით გადახედა.

— დალიე, წყალსაც დაგალევიანებო. ნავახშმევს დაღლამ ყველა დასძლია. რამდენიმე წუთის შემდეგ მთელი ბანაკი, გარდა მორიგე ოცეულისა, გულიანად ხვრინავდა. დავითს რატომღაც არ ეძინებოდა, თუმცა თვალები ებლიტებოდა და ცდილობდა დაძინებას. თავის თავს გულმოსული უჯავრდებოდა. გარინდული იწვა, არც არაფერზე ფიქრობდა, თვალგახელილი შესცქეროდა სიბნელეს, წყნარად სუნთქავდა, ცდილობდა, თავის გასართობად ზან რა მოეგონებინა, ხან რა. მერე გაახსენდა, რომ ნადიასთვის საპასუხო ბარათი უნდა მიეწერა, თუმცა მის წერილში ერთი სიტყვაც კი ვერ ამოიკითხა.

იწვა ასე გარინდული და თვალგახელილი. თვალი მალე შეეჩვია სიბნელეს. მიწურში ვილაც შემოვიდა, ფეხს ფრთხილად ადგამდა.

— რომელი ხარ? — ჰკითხა დავითმა.

— მე ვარ.

— ვინ შენ?

— შენ დავითი ხარ? — ჰკითხა თავის მხრივ ახლადმოსულმა, ხმაზე უსწორა და იქვე ახლო ჩაჯდა, — რატომ არ გძინავს?

— არ მეძინება, — მთქნარებით უპასუხა დავითმა. იცნო გუჯა.

— მეგონა ყინვა მოუტერდა. — თქვა გუჯამ და მანაც დაამთქნარა, — არ ყინავს.

— ეს თოვლი დადნება მალე.

— როგორ ფიქრობ, გერმანელები ახლოს იქნებიან?

— არ ვიცი. მზევრავები არ დაბრუნებულან?

— არა. გათენებისას წავიდნენ და ჯერაც არ ჩანან.

— ალბათ არ იქნებიან შორს, თუმცა პირველ სოფლამდე კარგი ოცდახუთი კილომეტრია.

— თუ ჩავარდნენ.

— ეგვე შეიძლება, ლეიტენანტი რას ამბობს?

— თუ არ დაბრუნდნენ, შენ და დავითი უნდა წახვიდეთო.

— წავიდეთ. ამ ბარგის ზიდვას ეგ მიჩრჩევნია.

— თხილამურებს ვერ ვიხმართ და ქვეითად...

— მერე რა. ამ მთაში ახლა თხილამური კი არა, ტროლეიბუსი მომთხოვე. ქვეითად უნდა იარო, აბა, როგორ გინდა?

— თოვლია, კაცო. სადღაც ნამქერში მოადენ გლეჯას და თოვლში დახრჩობას მიჩრჩევნია...

— სადღაა, შე კაცო, თოვლი. ზევით დადნა რაც იყო, და ქვევით...

— არ იცი შენ. იმ ნაბუქებში აბა გადი, თუ ბიჭი ხარ!

— როგორ გავიდნენ ისინი!

— ვინ?

— დილას რომ წავიდნენ.

— იმას ვამბობ მეც. შეიძლება აქვე ჩაცვიდნენ სადმე ახლოს და ჩვენ გვგონია, გერმანელების ბანაკამდე მიადწიესთქო. ვინ იცის, იქნებ კატებივით არიან ჩამხრჩვალნი სადმე.

ორივენი გაჩუმდნენ. გუჯა დასაძინებლად მოეწყო, სიბნელეში პაპიროსი გაახვია, კვეს-აბედი გაჰკრა და გააბოლა. მერე დავითს ჰკითხა:

— თუთუნი გინდა?

— არა. ღამე არ ვეწევი.

— მე არ შემიძლია, თუ არ მოეწიე.

ისე გაჩუმდნენ. გუჯა ღრმად ისუნთქავდა თამბაქოს და ფშვინვით ამოლებდა.

— რა არის ეს ჩვენი ცხოვრება! — თქვა გუჯამ, — ახლა ვლამპარაკობთ ერთად და ხვალ შეიძლება ან შენ, ან მე ერთმა პატარა ტყვიამ გავვათავოს.

— გეშინია?

— რისი? რისი უნდა მეშინოდეს! მე

შენ გეტყვი, მილიონები არ დამრჩეს შეუქმელი. სიკვდილისა გლახას ეშინია, გაძეხა ადამიანს, შაურისტუის რომ გაგყიდის, ეშინია, თორემ მე რისი უნდა შეშინოდეს. ამ კავკასიონის მთებზე რომ დავდიოდი, ერთი ოცდაათჯერ მაინც ვიქნები გადარჩენილი სიკვდილს. არც ომი იყო და არც არავინ მაძალებდა მთასვლელობას. ხომ იცი, ჩემო დავით, ვისაც სიკვდილისა ეშინია, ყველაზე ადრე ის კვდება.

პატარა ხანს ორივენი გაჩუმდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ დავითი ისევ გამოელაპარაკა გუჯას:

— არ მეძინება, კაცო.

— არც მე.

— იცი, რას გეუბნები! თუ მომკლეს, რაღაც უნდა დაგიჯდეს, დამმარხე. არ მიმატოვო, — თხოვნით მიმართა გუჯამ.

— იქნება შენზე ადრე მე ვიღუპები?

— კაცი არ ვიყო, თუ არ დაგმარხო.

— მადლობელი ვარ. როცა მოვკვდები, გინდა დამმარხე, გინდა არა. შენ მაგაზე კი ნუ ფიქრობ, იმაზე, იფიქრე, მტერი დაამარცხო, სანამ ის გესროდეს, შენ მოასწრო და ესროლო.

— მაგაზე, იცოცხლე, არ გაწყენინო. ჩემო დათიყო, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— ეჰ, არაფერი. დავიძინოთ.

— დავიძინოთ.

ორივენი გაჩუმდნენ და თითქოს ერთმანეთისათვის ებრძანებინათ, უცბად ჩაეძინათ.

მიწურში ნელ-ნელა იმატა სინათლემ. თენდებოდა.



ყურისწამლები გრიალი მთებს აზანზარებდა.

დავითმა ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და წაქცეულ მებრძოლს გულზე ყური დაადო.

— საწყალი გუჯა! — წამოიძახა დავითმა და მიმოიხედა.

წინ სროლის ხმა უფრო გაძლიერდა. მძიმე ნაბიჯებით ჩაირბინეს მებრძოლებმა. ავტომატები მოემარჯვებინათ და კლდეებს აკვირდებოდნენ.

დავითმა ისევ დახედა გუჯას. ის იწვა უძრავად, ოდნავ გაღიმებული სახით.

— უნდა დავმარხო, — გაუელვა დავითს, — დროც რომ არ არის. რა ვქნა! ავტომატი განზე გადადო. გუჯას ხელი დაავლო და გზის პირას, სხლტესთან, თხრილში ჩააწვინა. შემდეგ ჯიბიდან დანა ამოიღო და ჩაშლილ ნასხლტეს შემოაჭრა.

«ეს დროებით. მერე დაებრუნდები და წესიერად დავმარხავ».

მიწა ხრიალით მოდიოდა. დავითმა, რამდენიც შეიძლო, ფხვიერი მიწა ჩამოაშავა, პეშევებით გადააყარა გუჯას, ხელით მოასწორა და ფეხზე წამოიჭრა.

ადგილი შეათვალიერა, მოინიშნა. შემდეგ ავტომატს დასწვდა და წინ გაიქცა.

მოსახვევთან, სიბებში, ლოდებს ამოფარებულ მებრძოლებს მოჰკრა თვალი. დავითი მიწაზე გაწვა და ხოხვით წავიდა. მალე ერთ-ერთი მებრძოლის გვერდით გაჩნდა და ჰკითხა:

— რა მოხდა?

მებრძოლმა სისხლიანი თვალებით მოხედა დავითს. შუბლი ოფლით ჰქონდა დაფარული.

— დაწიე თავი, — ხავილით უთხრა მებრძოლმა, — ხედავ, კლდეში ტყვიამფრქვევი ჩაუღდამთ! მივეშვეს ახლოს და დაგვაყარეს.

— ვერ მოვევლით? — დავითმა თავი ოდნავ ასწია და მიმოხედვაც ვერ მოასწრო, რომ მის ახლო აფრთქიალდა ტყვიებით ავარდნილი მტვერი.

— დაწიე თავი! — ილრიალა მებრძოლმა, — ცოცხალი ხარ?

— ცოცხალი ვარ. რა კარგი ადგილი აურჩევიათ, ვერსაიდან ვერ მიუღდები. მებრძოლი აფათურდა. წელზე შებმული ხელყუმბარა შეიხსნა და ტარი სასხლეტზე შეაყენა.

— შორია, — თქვა მებრძოლმა, — მერე უცბად წამოხტა, ხელყუმბარა ისროლა და იმწამსვე წაწვა.

ხელყუმბარამ დაიქუხა საღდაც ღელის პირას, მან შეუგზამდეც ვერ მიაღწია.

— მომეცი ერთი ცალი, — უთხრა დავითმა მებრძოლს, — მხოლოდ ფეხზე შეაყენე. მე არ ვიცი, როგორ უნდა.

— თუ არ იცი, რად გინდა. მე ვერ მივაწვდინე და შენ მაჯობებ? ახლა გინდა ისწავლო ხელყუმბარის სროლა?

— მომეცი. რა დროს ვაჭრობაა!

— შორია. მე ორმოც მეტრზე ვისერი. შეუგზაზე ვერ მივაწვდინე. როგორმე უნდა მიეუახლოვდე.

მებრძოლმა მიმოიხედა და დააპირა ლელეში ჩაცოცება, რათა იქედან შეუმჩნევლად მიჰპარვოდა მტრის ტყვიამფრქვევს.

დავითმა ფეხში სტაცა ხელი.

— მოიცა.

მისწვდა და ხელყუმბარა გამოსტაცა დახედა.

— მზად არის?

— მზად არის! — უპასუხა მებრძოლმა.

დავითი დააკვირდა კლდეს. არეული სროლის ხმა ხელს უშლიდა, ტყვიამფრქვევის ადგილმდებარეობა გაერჩია. მერე უცბად მოინიშნა, მშვილდოვით მოიხინჩა, დაჰკრა ხელი და ფეხი მიწას, თევზივით აიქნია ტანი, ავარდა ჰაერში და ხელყუმბარა გასტყორცნა.

გაისმა ქუხილი და დავითმა აშკარად მოლანდა თვალი, თუ როგორ გადმოყირავდა კლდეზე სამფეხზე დაღმული ტყვიამფრქვევი.

— ვაჰა! — დაიძახა მებრძოლმა და ფეხზე წამოიჭრა, — გენაცვალე მკლავში! მიდით, ბიჭებო...

ყველანი ფეხზე წამოიჭრნენ და მხიარული ყიყინით შეესივნენ ღელის გადამართულ ბორცვს.

გორაკი მალე დაიპყრეს. ერთი მეტყვიამფრქვევე მკვდარი იყო, მეორე ჯერ კიდევ სუნთქავდა.

შორიდან ისმოდა კანტიკუნტი სროლა. მალე ისიც მიწყდა. გადარჩენილმა გერმანელებმა თავს უშველეს.

ლეიტენანტი მებრძოლებს ათვალერებდა და ითვლიდა. უცბად თვალი მოჰკრა დავითს.

— ამხანაგო ინსტრუქტორო!

— გისმენთ.

— მე ყველაფერი დავინახე. რა შესანიშნავად სტყორცნეთ ხელყუმბარა! ოთხმოცი მეტრი მაინც იჭნებოდა მანძილი. წავიდეთ, ტყვე გერმანელი დავკითხოთ.

ლეიტენანტმა განკარგულება გასცა, ერთ ათეულს დახვერვა განეგრძო, დანარჩენები თხრილებში დაბრუნებულიყვნენ, შემდეგ დავითს ხელით ანიშნა და ორივენი გაემართნენ თავიანთი ბანაკისაკენ.

მოსახვევთან დავითი შედგა და მებრძოლებს გასძახა:

— მოდით აქ!

— რა გინდა? — ჰკითხა ლეიტენანტმა.

— ამხანაგი უნდა დავმარხო.

— რომელი? მოკლული სამია, მე უკვე გავგზავნე ბიჭები. ისინი დამარხავენ.

— ის აქ არის, — ხელით ანიშნა დავითმა და იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც გუჯას მიწა გადააყარა. — ოჰო, — წამოიძახა მან, — უკვე წაულიათ ბიჭებს. მე შეგონა, ისე წავაფარე მიწა, ვერაფერს მიაგნებს-მეთქი.

— წაულიათ?

— ჰო, აი აქ იყო. წავიდეთ, ერთი, ვნახოთ სად მარხავენ, მინდა ადგილი ვიკოდე.

დავითმა ისევ შეათვალეირა ის თხრილი, სადაც გუჯა ჩააწვინა და მიწა წააყარა. ხომ არ ვცდებიო, — გაუელვა

თავში, მაგრამ მიწას აშკარად არც იმისი ტანის კვალი. აი აქვე მკვლელი თავისმავგარი ქვა დაბნულ ტრიაკულტეხილი ბუნჭი. ფხვიერი, ხელით მოსწორებული მიწა კი ახლა აჩინქნილი იყო და აშკარად ეტყობოდა ადამიანის ნაწოლი.

— ახლათ მომდევნო მებრძოლებმა თუ დამინახეს, — გაიფიქრა დავითმა, — თორემ ისე როგორ მიაგნებდნენ!

ლეიტენანტს დაედევნა.

ისევ გუჯაზე ფიქრობდა. მოაგონდა ლამის საუბარი.

— კაცო, თუ ასეთი ტყორცნა იცოდი ხელყუმბარისა... — მოესმა ხმა.

მოიხედა. მის გვერდით ის მებრძოლი მოაბიჯებდა, რომელსაც ხელიდან ხელყუმბარა გამოსტაცა.

— ოჰ, შენა ხარ?

— ბიჭო, რა ვნახე ეს, — განაგრძო მებრძოლმა, — დაილოცა, ძმაო, შენი მარჯვენა.

— გამომადლა ქვის სროლა.

— რაო?

— ქვის სროლა. პატარაობისას ქუთაისში რომ გავიდოდით ლაგირის მინდვრებზე, გაღმა უბნის ბიჭები გვემტერებოდნენ, უნდა გენახა ქვის სროლა. ჩემისთანა ქვასროლია ერთი არ იყო. ბიჭი ვერ მჯობნიდა. მე რომ გამოეჩნდებოდი, გათაყებული იყო საქმე.

— ქვასროლიას გეძახდნენ?

— ცხონებული მამაჩემი ამბობდა, გამიფუქდა შეილი, ხელიდან წამივიდაო, მერე იყო, რაც იყო. მე სვერდლოვსკაში ვიყავი პრაქტიკაზე, ერთხელ ფიზკულტურის ინსტრუქტორმა წაგვიყვანა. ვეტყვის ნორმები უნდა ჩაგვებარებინა და აბა თქვენ იცით, თუ მასახელებთო. მისი ჰკუთით ხელყუმბარა ოცდაათ მეტრზე უნდა გადაგვეგდოთ გავედით ეზოში, ინსტრუქტორს ვეუბნები, წამოდი მინდორში სადმე, ამ ეზოში როგორ ვისროლო-მეთქი. შუა ეზომდე თუ დასცემ, ჯილდოს მოგცემო. შუა

ეზოში კი არა, ღობეს გადავაცილებ-
მეთქი. რას სულელობ, ნაძლევიო. თან-
სიცილით კვდება, შე ხელყუმბარის
ტყორცნის რეკორდსმენი ვარ და შუა
ეზოს ძლივს ვაშორებო. კარგი-მეთქი,
მოვიქნე ხელი, ღობის გადაღმა ფურ-
გონი მიდიოდა თურმე ერთი ბეწო და,
კინაღამ მოვკალი მეფურგუნე. ხელყუმ-
ბარის სროლის წესები არ ვიცოდი, ისე
მოვიქნე ხელი. გაგიყდა ინსტრუქტორი.
მტაცა ხელი. საღლა გამიშვა. სამი თვე
დღედაღამე მავარჯიშა და მოსკოვში სა-
კავშირო შეჯიბრებაზე წამიყვანა. შენ
წარმოიდგინე, ეს ზღვა ხალხი რომ და-
ვინახე სტადიონზე, ისე ავლელდი, რომ
კინაღამ მუხლები მომეკვეთა. მაინც
ავიღე პირველობა.

— შე კაცო, აბა რაღას მეუბნებოდი,
ხელყუმბარის სროლა არ ვიცო.

— ნამდვილი ხელყუმბარის სროლა
არ ვიცოდი. წარმოდგენაც კი არ მაქვს,
როგორ უნდა დატენო, ფეხზე შეა-
ყენო.

— არ მომკრა თავი, არსად გაამხი-
ლო. სირცხვილია. წამოდი, ახლავე გას-
წავლი. მაგას რა ცოდნა უნდა.

აღმართს შეუყვენ.

ფერდობზე ზღაზვნით ბრუნდებო-
დნენ დაღლილი მებრძოლები. ერთ მათ-
განს მხარზე ნადავლი ტყვიამფრქვევი
გადო. ბლინდავის თავზე მოჩანდნენ
სანიტრები. ერთი იმახდა:

— თქვენს შორის მეტი ხომ არავინაა
დაჭრილი?

— მეტი არავინ, — ზანტად ასძახა
რომელიღაც მებრძოლმა.

საკუთარ სანგრებში რომ ჩახტნენ,
დავითი ისეთმა გრძობამ შეიპყრო,
თითქოს შინ დაბრუნებულიყოს. რე-
ზერვის ოცეულის მებრძოლები მათ
მზიარულად შეეგებნენ და გამარჯვებას
ულოცავდნენ. დავითმა გაიარა თხრილი
და მიწურში შეძვრა. ლეიტენანტს უკვე
ჩაემწყობებინა სამი ტყვე გერმანელი
და დავითს ელოდებოდა.

ტყვეები მორჩილად იდგნენ და თავ-
დახრილნი მიწას ჩასცქეროდნენ.

დავითი იქვე დაჯდა. ლეიტენანტის
გვერდით, სავანე ყუთზე, და დავითზეა
დაიწყო. ლეიტენანტი იწერდა.

ესენი მზვერავები აღმოჩნდნენ. მთე-
ლი ოცეული წამოსულიყო იმ ნაწილის
ბედის გასაგებად, რომელიც ქარბუქმა
დაახრჩო, მათ საპაერო დაზვერვით ვე-
რაფერი გაეგოთ.

— სად არის თქვენი ნაწილი? —
ჰკითხა დავითმა.

— არ ვიცი, — უპასუხა კუშტად ერ-
თმა მათგანმა.

დავითმა თვალებში შეხედა მას. გერ-
მანელი ქერა იყო და ცისფერი თვალები
ჰქონდა. სახეზე, თვალების არეში, ოდ-
ნავ ქორფლი გადაჰკრავდა.

— რა გვარი ხართ? — ჰკითხა და-
ვითმა.

— კრანცე.

— მაშ თქვენ არ იცით, კრანცე, სად
არის თქვენი ნაწილი? თქვენ თვითონ
საიდან ხართ?

— მე სულდეტის ოლქიდან ვარ.

— აა! უწინ ალბათ ჩეხოსლოვაკიის
მოქალაქე იყავით.

— მე ყოველთვის გერმანიის მოქა-
ლაქე ვიყავი.

— კარგი. კარგი. თქვენ გინდათ გმი-
რობა გამოიჩინოთ? მიპასუხეთ, სად
დგას თქვენი ნაწილი?

— მე მართლა გეუბნებით, რომ არ
ვიცი.

— აქედან შორსაა?

— ორმოცდაათი კილომეტრი იქნება.
ჩვენ ორი დღეა, რაც მოვდივართ იქე-
დან.

— ბევრი ხართ?

— იქ ერთი ბატალიონი დგას.

— მართალს ამბობს? — მიუბრუნდა
დავითი დანარჩენებს.

— მართალს, — თავის ქნევით უპა-
სუხა ორივემ.

ლეიტენანტს ეკვი ეპარებოდა. თვი-
თონ დაიწყო კითხვების დასმა, დავი-

თი უთარგმნიდა კითხვებს. კრანცე ხან დავითს უცქეროდა, ხან ლეიტენანტს და ისევე მოღუშულად იძლეოდა პასუხს.

დავითს უცხად გული მოუვიდა. თავისი განიერი ბეჭები შეათამაშა, ადგა და გერმანელს ზემოდან დახედა:

— იცი რა, კრანცე, ახლა ქვემოთ მარხავენ ერთ ჩემს მეგობარს, რომელსაც სრულიად არ სურდა სიკვდილი. ის შესანიშნავი ყმაწვილი იყო და მე აღთქმა მივეცი, რომ იმის ბაღლად მტრის ას მებრძოლს მოვუვსო სიცოცხლე. გარდა ამისა, მე მოკრივე ვარ და ერთი დარტყმით შემიძლია თავი გაგისრისო, თუ მაგ უკმეხ ტონს არ შეიკვლი, შენ იქნები ნომერი პირველი მომავალ ასეულში.

ტყვე უცხად მოიკუნტა, თითქოს დავითს მისთვის უკვე მოექნიოს ხელი, და ძლივს გასაგებად წაილულლულა:

— მე... ყველაფერს გეტყვი...

— სიმართლეს?

— დიახ, სიმართლეს.

— თავსაც წესიერად დაიქერ?

— დიახ.

ერთ საათში დაკითხვა დაამთავრეს. გამოირკვა, რომ ამ ერთი კვირის წინათ, როდესაც ქარბუქი მძევნარებდა, მათ ნაწილებს მართლაც სასწრაფოდ უკან დაეხიათ, რადგან მდგომარეობა გართულებულიყო. ახლა კი ისევ წამოსულიყვნენ წინ, მოედწიათ სოფელ თემბულსკომდე, სადაც ამჟამად იდგა მათი ბატალიონის შტაბი. წინ მზვერავი რაზმი გამოეგზავნათ, ხვალ დილით კი მთელი ბატალიონი წამოვიდოდა უღელტეხილის ხელახლად დასაქერად.



ღამით მიწურში მოულოდნელად გამოცხადდა ივანოვი. ის თითქმის დაღამებისას მოფრენილიყო თვითმტრინავით ფირანის ველზე და მაშინვე წამოსულიყო მოწინავე რაზმისაკენ. მიწურში, ცა-

რიელ სავაზზე ყუთზე მბეჭტავ პატარა სანთლის გარშემო მოგროვდნენ მეთაურები. ივანოვმა დაწვრილებით მოისმინა მათი პატაკი. როდესაც გაეცნო ტყვეთა დაკითხვის შედეგებს და გაიგო, რომ დილით გერმანელები შეტევას დაიწყებდნენ, უნებურად გაეღიმა. მერე რუკა გაშალა და კარგა ხანს ათვალეირებდა ჰორიზონტალებით დაქსელილ ქაღალდს. მოულოდნელად თავი აიღო და მეთაურებს უთხრა:

— ბიჭებო, ფრონტის სარდალი ვნახე. გუშინ დივიზიის მეთაურთან ვიყავი.

— მერე? — წამოიძახეს ყოველი მხრიდან და მაიორთან უფრო ახლოს მოქუჩდნენ.

— ძალიან გვაქო. ისე ვატყობ, ჯილდოები იქნება. რაც შეეხება იმ ოცეულს, რომელმაც ამხანაგ დავითის ხელმძღვანელობით გადალახა უძნელესი ყინვარი და მტერს გზა მოუქრა, მათ შესახებ ცალკე იქნება ლაპარაკი. — მოუბრუნდა მაიორი დავითს. — როდესაც დაწვრილებით ვუამბე თქვენი თავგადასავალი, თუ როგორ მოახდინეთ დაწვითაუს ყინვარის უძნელესი ტრავერსირება, მერე როგორ დაატყვევეთ მტრის მოწინავე ოცეული და გზა გადაუღობეთ მტერს, როგორ გაუძღლით კარვებში ქარბუქს მთელი კვირა, მას სიხარულისაგან სახე გაუნათდა და მითხრა: ამხანაგ ბეჭაიას უთხარით, რომ მისი თხოვნა შევესრულე და გზაზე სამუშაოდ ბატალიონი გავგზავნეთო.

— რას მეუბნები? უკვე? — აღტაცებით წამოიძახა დავითმა.

— უკვე. მესანგრეები კიდევაც შეუდგნენ მუშაობას. ამბობენ, რომ ერთ თვეში მალარობამდე სამანქანო გზას მივიყვანთო.

— ერთ თვეში, ცხადია, ვერა, მაგრამ ამ ზამთრის განმავლობაში თუ გაჭრეს, ეგეც კარგია.

— ეე, ძმაო, შენ არაფერი არ გცოდნია. ეგენი დღეში ერთ კილომეტრს

უკანმოუხედავად გაიყვანენ. შენ, როგორც გეტყობა, საბჭოთა მესანგრეებს არ იცნობ. ვერც კი მოასწრებ შენს მაღაროებში დაბრუნებას, რომ იქ უკვე... აჰ, მართლა, ახლა გამახსენდა. ტყვეებს რომ ვეზიდებოდით, იქ თქვენი მეუღლე მოვიდა, მთხოვა, აქ გამოემშვა. მე, ცხადია, უარი ეუთხარი და დავპირდი, თვითონ მას გამოვუშვებ თქვენთან-მეთქი. ვატყობ, დაპირებას ვერ შევასრულე. ჩვენ ჯერ ლირიკული განწყობილებისათვის არა გვცალია. მარტო წერილების საწერადაც თუ მოვიცალეთ, ასიც ბევრია.

— ჰო, მართლა, წერილები კი უნდა დაწეროთ, — თქვა დავითმა და თან გუნებაში გაიფიქრა: ნაღას უნდა მიეწერო, გოგოებსაც უნდა მიეწერო თბილისში, სოფელშიც უნდა გავგზავნო... და მოულოდნელად, გულზე თითქოს ეკალი დასობოდეს, მწვავედ გაჰკრა ტკივილმა.

ლილი მოაგონდა.

შეურაცხყოფილი ადამიანის მძიმე ბოღმა, აქამდე რომ სულ დაეწყებული ჰქონდა, ახლა უცაბედად მოებჯინა ყელში და სუნთქვა შეუკრა. მოაგონდა გუჯასთან გატარებული საღამო და მასთან საუბარი, როდესაც ორივენი დილის ბრძოლების მოლოდინში გათენებამდე საუბრობდნენ. თითქოს წინათგრძნობა აწუხებდა მაშინ გუჯას და ამიტომ ლაპარაკობდა სიყვარულზე ასეთი გულისტკივილით.

„მეც ხომ ისეთივე ბედი არ მომეღის ხვალ დილით?“

დავითმა სცადა ამ უსიამოვნო ფიქრებისაგან თავი დაეღწია და ყურადღება მათორისაკენ მიაპყრო. ის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ ლაპარაკობდა. აღმოჩნდა, რომ მთელ ფრონტზე ჩვენს ჯარებს გერმანელების წინსვლა შეეჩერებინათ. სტალინგრადის მისაღვომებთან გაათრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. მტრის გეგმებს, რომ ერთის მხრით გროზნოს ხა-

ზით გაჰრილიყვნენ, ბაქომდე მიეღწიათ და მთელი ამიერკავკასია დაეპყრათ, ხოლო, მეორე მხრით, სტალინგრადიდან შემრეულით, მოსკოვი აეღოთ, — აღსასრული დაუდგა. მათ გეგმის განხორციელება ვერ შეძლეს, დიდი რუსეთის გიგანტურ ტრამალებზე უკვე შემოდგომის სუსხიანი ქარები უბერავდა, სულ მალე ჩვენი ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდოდნენ და ბედის სასწორიც საბოლოოდ ჩვენსკენ გადმოძალავდა.

ამ სასიამოვნო ცნობებმა, დავითი კარგ გუნებაზე დააყენა და საოცრად გამოაცოცხლა.

ლამით ივანოვი დავითთან ერთად მიწურიდან გარეთ გამოვიდა. ციოდა, როგორც ეს მაღალმთიან მიდამოებში შემოდგომის დასაწყისში იცის ზოლზე. ხავერდით ცა საოცრად მჭიდროდ იყო მოჭედილი მოციმციმე ვარსკვლავებით და ისეთი სიჩუმე იყო, რომ ორივეს ყურები აუშხუილდა.

— აჰ, კარგია! — აღმოხდა ივანოვს, — მიყვარს ლამით ვარსკვლავებიანი ცის ჰერტა. მე ყველა ვარსკვლავების ცნობა შემეძლია, აი ესაა დიდი დათვის ზომლი, აი ის კი პატარა დათვის ზომლი. იმის კულში რომ უკანასკნელი მნათობია, ის პოლარული ვარსკვლავია, თუმცა, რას ვლაპარაკობ. თქვენც ალბათ ზეპირად იცით ყოველივე...

— ცხადია, ბავშვობისას ძალზე გატაცებული ვიყავი ასტრონომიით, მაგრამ შემდეგ გასტრონომიაზე გადავედი, — იხუმრა დავითმა.

— ეგ ყოველთვის აგრეა. ჯერ ბავშვობისას ვარსკვლავებს ეპოტინები მოსაწყვეტად, მერე კი ყოლოს ან მოცეს დაუწყებ კრეფას და იმით დაკმაყოფილდები. თუმცა აგრე რომ არ იყოს და ადამიანებს მართლა რომ შესძლებოდათ ვარსკვლავების კრეფა, მე და შენ, ჩემო დავით, არც ერთი ვარსკვლავი არ გვერგებოდა წილად.

ორივემ წაიფრუტუნა. ივანოვმა თვალი მოავლო ზეიადად გარინდულ ბუნებას და ამოოხვრით თქვა:

— რა მიყვარს ასეთი სიწყნარე. ჩემს სოფელში ბავშვობისას ყოველ საღამოს მდინარის პირად წავიდოდი და მთელი საათობით ვტკბებოდი ბუნების სიდიადით. ზიხარ პატარა მერხზე და უცქერი, როგორ მშვიდად მიაქანებს წყლებს, — გოგოლის თქმისა არ იყოს, გადაშლილი მდინარე. ნაპირზე გადახრილ ძეწვნებს თავისი გრძელი ტოტები თმებივით ჩაუკიდიათ წყალში. ზიხარ ასე და უცბად გესმის — კყუპ! ეს თვეზი ამოხტა და კოლო ან ბუზანკალი ჩაყლაპა. ჩამავალი მზის სხივები კიდევ აფერადებენ ღრუბელთა ნაწიბურებს და შორიდან მოისმის მოლადურების მხიარული ძახილი. მერე ნელ-ნელა ჩამოდგება ბინდბუნდი. ცაზე ამოიწვევრება იათაგანივით მოხრილი მთვარე, ნელ-ნელა აინთებიან ვარსკვლავები და შენ კი ზიხარ მერხზე გაბრუებული და დამთვრალი მინდვრის სურნელებით და ბუნების მომხიბლავი მყუდროებით. გვერდით გიზის ცისფერთვალება გოგო, ქერა დალალები რომ აყრია კისერზე და მხრებზე, გიზის ასეთი გოგო და ღულუნებს მტრედევით... ა.. აჰ! კარგია სიცოცხლე. ვინ გამოიგონა ეს ომი. რა უნდათ ჩვენგან იმ მტარვალებს. ჩვენი რუსი ხალხი ბუ-

ნებით კეთილია და მშვიდობისმოყვარე, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ თუ დაგვევირდა, ომშიაც არა ვართ ცუდი ბიჭები. რუსი ჯარისკაცი მსოფლიოში ცნობილია თავისი გულადობით და ამტანობით და ბევრი მტაცებელისათვის მოუგრეხია კისერი. ეჰ! წავიდეთ მიწურში, ცოტა თვალი მოვატყუოთ, თორემ ხეალ საქმაოდ ცხელი დღე დაგვიდგება. მტერს ექვსლულიანი ნალმსატყორცნები მოუზიდავს და დაგვეხებენ.

— წავიდეთ. მეც მეძინება, თუმცა ჯერ ბარათები მაქვს დასაწერი, — უთხრა დავითმა და ორივენი მიწურში დაბრუნდნენ.

მაიორი მაშინვე მოეწყო დასაძინებლად, ხოლო დავითმა ყუთთან ჩაიმუხლა, უბის წიგნაკიდან ორი ფურცელი ამოხია და სანთლის შუქზე ფანქრით წერას შეუდგა.

„ჩემო ძვირფასო ლილი...“

დავითი უცბად შედგა, ეს რა დავწერიეო, ქაღალდი გაბრაზებით მოკმუქნა და ძირს დაანარცხა. მერე გაჩერდა, კარგა ხანს ჩაფიქრებული და ტუჩებმოკუმული დასცქეროდა იატაკს.

სანთლის ალი ხანდახან ცელქი ჩვილივით აყუნცულდებოდა ხოლმე და დავითის თავზე ლანდებს წალმა-უკულმა ატრიალებდა.

(დასასრული იქნება)

ახადგაზრდა ვაჟებს



აგიყრიათ უცებ ტანი,
ვით ნაწვიმარ ჯეჯილს ბნულში.
თქვენი წვერის პარსვა დანით
უხარიათ მამებს გულში.

თვალ-წარბი და თმა გაქვთ მუქი
საქართველოს ლამაზ ვაჟებს,
შემოდგომის თქროს შუქი
თქვენს სახეებს აღაუღაჟებს.

დაუქართო უკვე თავი
ჩანთებსა და სკოლის ზარებს
და მიაწყდით, როგორც ზეაღი,
უმაღლესი ცოდნის კარებს.

ომის გამო შიში, ძრწოლა
თქვენ არ იცით. მაგრამ დედებს
სამშვიდობო დიდი ბრძოლა
ამხნეებს და აიძულებს.

არ მოხდება ის, რაც მოხდა, —
სიცოცხლე ჩვენთვის ტკბილი:
აქ ომის კერპს ყბაში მოხვდა
და პარიზში მოსტყდა კბილი.

ჩრდილქვეშ

მოთხრობა



სახეგაცრეცილი, მხრებში ოდნავ მოხრილი ილარიონ ქორიძე ზღვისპირა ბაღში შადრევანთან, გრძელ სკამზე ჩაფიქრებული იჯდა და პაპიროსს ეწეოდა, თითქოს პაპიროსის ბოლს გულისჯავრს აყოლებდა.

ყოველთვის, როდესაც ილარიონს გაჰქირვებდა დაადგებოდა, როდესაც მძიმე ფიქრები შეაწუხებდნენ, ან სამსახურში უსიამოვნება შეემთხვეოდა, ზღვისპირა ბაღს ეწეოდა, იჯდა დიდხანს, შესკვროდა ზღვას, ბაღში აღმართული შადრევნის ელექტრონის შუქზე აციმციმებულ მზებებს და მომწვანო-მოთეთრო ელნააურების სხივების ლიცლიცს გულს აყოლებდა, ცდილობდა დამშვიდებულიყო.

ილარიონი ახლაც ზღვას შესკვროდა. ტალღები გამჭვირვალე სილურჯით ლივლივებდნენ და ნაპირთან საამურად ტლაშუნებდნენ, მაგრამ ილარიონს დღეს არც შადრევანის ბროლისფერი მზებები იტაცებდა და არც ზღვის ტალღების ლურჯად ლივლივი, არც წარაფების ჩეროში თავშეფარებული ახალგაზრდების ევილ-ხივილი და არც ტალღებზე მოფარფატე იალქნიანი ნაეები. მის აფორიაქებულ გონებას არაფერი ამშვიდებდა.

— ნუთუ განწირული ვარ? — ფიქრობდა ილარიონი. — ნუთუ დამცირებული უნდა დავრჩე? ვინ დამიცავს, ვინ? ჩანს, არავინ. ჩამწიხლეს, გამანადგურეს!..

ამ ბოლო დროს ილარიონი არავის

ეკარებოდა, არავის მეგობრობდა. სამსახურიდან პირდაპირ შინ მიდიოდა. ხენეშით აღიოდა კიბეზე, ნელი ნაბიჯით შედიოდა ოთახში, დალილ-დაქანცული გაუხდელად წვებოდა ლოგინზე, ფეხებს საწოლის თავზე შეაწყობდა, ხელებს თავქვეშ ამოიდებდა და თვალებს მინაბავდა. დროდადრო მძიმედ ამოიხენეშებდა, მაგრამ ამ მართხელა კაცს ნუგეშს არავინ სცემდა.

ასე მიდიოდა დღეები.

დღეს ილარიონი საგანგებოდ გამოწყობილიყო; ლურჯხოლებიანი, ახალგაუთოვებული კოსტიუმი ჩაეცვა, პიჯაკის მარცხენა მხარეს გულჯიბეში ოქროსკავიანი კალმისტარი ჩაედო, თავზე ლურჯი ქუდი დაეხურა, თვალბზე შავი რქის სათვალე გაეცეთებინა და დალონებული თავის თავს ელაპარაკებოდა.

— დავგლაზაკდე? ნურას უკაცრავად, სწორედ ეს უნდათ ჩემს მოწინააღმდეგეებს, მაგრამ ისინი ამას ვერ ეღირობიან.. თავს ისე დავიქვერ, თითქოს ჩამოქვეითებას არაფრად ვაგდებდე. შემომხედონ, დამინახონ, გული გაუსკდეთ. მათ ჯიბრზე მხიარულად გავივლი და გამოვივლი. ვიდადო? სისულელეა! განა ყველაფერი არ იცვლება? რაღა ჩემს ბედზე უნდა გაიყინოს ყველაფერი? ისე არ წაუხდება, რომ ჩემი ბედი ქიანცველას სათრევად გავხადო!

მართალია, ასე გადაწყვიტა ილარიონმა და გულსაც ასე იმშვიდებდა, მაგრამ სახის გამომეტყველება მაინც

ამელაგნებდა მის გულისტკივილს. განუწყვეტლივ ეწეოდა პაპიროსს და თუ ვინმე ნაცნობს მოჰკრავდა თვალს, ნაძალადევად ილიმებოდა.

ბაღში ორკესტრი უკრავდა!

მუსიკის ტყბილმა ხმებმა გაიტაცეს მისი გონება:

— ილარიონს გაუმარჯოს! — მოესმა მოულოდნელად ნაცნობი ხმა.

მიიხედა. დინჯად მოაბიჯებდა მისკენ ქალაქის სასტუმროს დირექტორი კაპიტონ მშვიდობაძე, ილარიონის ძველი მეგობარი, რომელიც მას კარგა ხანია ხმას არ სცემდა.

— არ შემოძლია, არ გამოგვლაპარაკო! — უთხრა მან, გაუღიმა და დასძინა: — მყუდრო ადგილას დაგინახე, ვიფიქრე, ილარიონი შეყვარებულს უცდის-მეთქი, ასეთ დროს კი ხელის შეშლა ცოდვას!

— ეჰ! — ნაღვლიანად მიუგო ილარიონმა. — რა დროს ეგ არის, გეთაყვა, მე მაგ საქმისათვის აღარ ვვარგვივარ.

— თავს ნუ იკატუნებ, ილარიონ, თავს! — ღიმილით უპასუხა კაპიტონმა. — ახლა კი ნამდვილად დავრწმუნდი, რომ მართალი ყოფილა, რასაც შენზე ამბობენ!

— მაინც რას ამბობენ? — ჰკითხა ილარიონმა.

— ილარიონი რაც ზევით არის, სამი იმდენი მიწისქვეშ არისო, — ხითხითით მიუგო კაპიტონმა.

— შენ ზუმრობ და მე სულაც არა ვარ ზუმრობის ხასიათზე!

— სასიხარულო ამბავი რომ გითხრა, მაშინაც ასეთ ხასიათზე იქნები?

— ისეთი რა უნდა მითხრა, რომ გამეხარდეს?

— აი, მაგალითად, ახალი დირექტორი რომ ჩამოვიდეს და ისიც ჩემი კარგი ნაცნობი გამოდგეს, არ გაგეხარდება? — შეეკითხა კაპიტონი და გვერდით მოუჯდა.

ილარიონმა ინტერესით ცქვიტა ყურები.

— იქნებ ახალ დირექტორთა საქმე გაგიკეთო, — დინჯად განაგრძო კაპიტონმა, — ჰა, რას იტყვევებ?

— თუ კი ნაცნობი გამოდგა, ორიოდ სიტყვას რომ შეაწევ შენს ილარიონს, ამაში ეჭვი არ მეპარება!

— რატომაც არა?!

— აბა, მითხარი, გეთაყვა, თუ ხათრი გაქვს, მითხარი, შეეხვეწა ილარიონი, — გეტყობა, რალაც კარგი ამბავი იცი და მიშალავ.

— თუ კარგ სუფრას გააშლევინებ, ყველაფერს გეტყვი. — კაპიტონმა ხმა შეიცვალა და ისე განაგრძო: — მე ახლა, მართალი გითხრა, ამისათვის არა მცალია, თანაც წუხანდელი ნახუხი ვარ. ხვალისათვის თუ იცისრებ, შემძლია გითხრა...

— გეთაყვა, მართალია, რასაც ამბობ? დირექტორი მართლა ჩამოვიდა?..

— ჩამოვიდა, — დინჯად უპასუხა კაპიტონმა, — ხომ იცი, ჩემო ილარიონ, სასტუმროს დირექტორი ვარ და კარგად ვიცი, ქალაქში ვინ ჩამოდის. დღეს დილით ჩამოვიდა თქვენი ახალი დირექტორი. დღეს ხომ კვირაა? კვირა დღეს იმიტომ ჩამოსულა, რომ დაისვენოს და დილით ადრე შეუდგეს მუშაობას.

ამ ახალმა ცნობამ ილარიონი აღფრთოვანა და მაშინვე გადაწყვიტა, სანამ სამსახურში მივიდოდა, მანამ გაცნო ახალი დირექტორი.

— მაშ, ჩამოვიდა? სასტუმროში დაბინავდა? — ილარიონმა თავისთვის ჩაიჩიფიფა და გონება დაძაბა. რა არ გაიფიქრა, რა არ მოისახრა.

— ილარიონ! — დაიწყო კაპიტონმა, — შენ ხომ იცნობდი გაბრიელა ღურგალს, ჩემთან რომ მუშაობდა?

— როგორ არა, — უპასუხა ილარიონმა. — საწყალი, შარშან მატარებელმა არ გაიტანა?!

— ჰო, ჰო, სწორედ იმაზე გეუბნები, — გააწყვეტინა სიტყვა კაპიტონმა. — გაბრიელა ღურგალი და თქვენი

ახალი დირექტორის მამა, გიორგი უკლება, ყრმობის მეგობრები ყოფილან. შარშან გაბრიელამ თორმეტი კაცი წაიყვანა თბილისში გიორგი უკლებას დასაფლავებაზე. გიორგის სიკვდილი ძალიან განიცადა გაბრიელამ. ისინი თურმე უწინ ღურგლებად მუშაობდნენ და უერთმანეთოდ პურს არ გასტეხდნენ. საწყალი გაბრიელა, შენ კარგად იცი, თბილისიდან რომ დაბრუნდა, სწორედ იმ საღამოს, მატარებელმა გაიტანა, მახსოვს, თბილისიდან სამიძირის დეპეშა მივიღეთ, დეპეშაზე ხელს აწერდა დიმიტრი უკლება. აი, სწორედ ის დიმიტრია თქვენი ახალი დირექტორი. ეს ამბავი იმიტომ მოგიყევი, ჩემო ილარიონ, რომ გიორგის შვილმა მე პატივი უნდა მცეს და შენზე რომ ვთხოვო რამე, ანგარიში გამიწიოს.

ილარიონი ამ ამბავმა აღაფრთოვანა. განსაკუთრებით კაპიტონის უკანასკნელმა სიტყვებმა ჩააფიქრა. ენდოს კაპიტონს? უთხრას, რაც აწუხებს? უთხრას, თუ რა უნდა სთხოვოს ახალ დირექტორს? არა, თავის გულის ზრახვებს ყველას ვერ გაანდობს. ვინ იცის, იქნებ გულახდილობა ბოროტად გამოიყენოს? — აი, რა აწუხებს მას!

ილარიონი წინდახედული კაცია; მას ურჩევნია, დამოუკიდებლად იმოქმედოს და ამ გზით მიადწიოს მიზანს.

ილარიონი ფრთხილიც არის; აშკარად არავის აწყენინებს, გადამმეტრებო. სხვებისაგან დამოუკიდებლად ფიქრობს, აწყობს მოქმედების გეგმებს და ყოველ წუთს მზად არის, სადაც მოახერხებს, მოწინააღმდეგე იქ ჩაწიხოს, მასზე ცუდი თქვას, სხვების თვალში დაამციროს.

თუ ვინმესაგან სიკეთეს მოელის, არავითარ შემთხვევაში ამას სხვას არ გაანდობს, თავის სასარგებლოდ ჩუმად, ფარულად მოქმედებს. ეს გზა აირჩია ახლაც.

„ახალ დირექტორთან მე თვითონ მივალ. რა საჭიროა, სხვა ჩავრიო ჩემს

საქმეში. ცალკე დაუფარავლ შემიძლია ყველაფერი ვუთხრა. მე შენ გეტყვი, საფუძველი არა მაქვს, რამე შემიძლია. ის დირექტორია, მე კი მინა თანამშრომელი. რატომ არ შეიძლება მივიდე და გამოვეცნაურო? ვინ დამძრახავს? განა ადამიანობა არ მოითხოვს, ახალ გაცნობილი პურმარილზეც დაეპატიო? თითო ქიქა ღვინოს რომ გადავკრავთ, მერე უფრო თამამად ვიქნები. დიახ, ასე აჯობებს. მხოლოდ ამის შემდეგ შემიძლია ჩემი გულისნადებიც გავუზიარო. საჭიროა ყველაფერი ავწონ-დავწონო, რომ არაფერი გადავაპარბო.“ — ასე გადაწყვიტა ილარიონმა, მაგრამ ეს აზრი კაპიტონს არ გაანდო.

კაპიტონი კი ცდილობდა ილარიონი სალაპარაკოდ გამოეწვია.

— რამდენადაც ვიცი, შენი ყოფილი დირექტორი კარგი მუშაკი იყო და დააწინაურეს!

— დიახ, დააწინაურეს!

— ბიძაშვილობა და მამიდაშვილობა არ უყვარდომ, მართალია?

— სწორია... მკაცრი იყო, მკაცრი!

მართალი იყო ილარიონი, ყოფილი დირექტორი, უშანგი ქსოვრელი გამოცდილი, დაკვირვებული და საქმის მკოდნე კაცი იყო.

ერთხელ უშანგი ავად გახდა. სწორედ მაშინ კომბინატმა ილარიონის განგარიშებით გამოითხოვა ნედლი მასალა. გაირკვა, რომ ილარიონს შეცდომით მასალა ნაკლები მოეთხოვა. კომბინატი საწარმოო გეგმის გარღვევის წინაშე დადგა. როგორც კი უშანგი გამოჯანმრთელდა, საქმის ვითარება თვითონ შეისწავლა და ილარიონი დასაჯა, ჩამოაქვეყნა, სხვა სამუშაოზე გაათიყვანა. იმ დღიდან ილარიონი გაღიმებული არავის უნახავს. მასში თანდათან იღვიძებდა პატივმოყვარეობის ქედმაღლური გრძნობა. ბევრი რამ იფიქრა, მაგრამ იცოდა, უშანგი ქსოვრელი თავის სიტყვას არ გადაუხვევდა. ერთ დღეს მას უთხრეს, უშანგი ქსოვრელი გადაიყ-

ვანეს, დაწინაურესო. ილარიონის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. განა ილარიონს უშანგის დაწინაურება გაუხარდა? არა. მას გაუხარდა ის, რომ უშანგი ქსოვრელი კომბინატში არ იქნებოდა და შეიძლებოდა მისი საქმე წალმა შეტრიალებულიყო.

როდესაც ილარიონმა კაპიტონს უთხრა, ყოფილი დირექტორი მკაცრი იყო, კაპიტონმა უპასუხა:

— უკლება სულ არა ჰგავს მას...

— მართალს ამბობ?

— მე შენ მართალს არ გეტყვი? — გაიოცა კაპიტონმა. — ისეთ ხათრიან კაცს მეორეს ვერ ნახავ. ოქროა, ნამდვილი ოქრო. მე ვიცი მისი ხასიათი, — განაგრძობდა კაპიტონი. — მთავარია მისი ნდობა დაიმსახურო. თუ კარგი თვლით შემოგხედა, მოგენდობა, თუ მოგენდო, მერე შენს ბედს ძალი არ დაჰყევს. თუ ავითვალისწუნა, მორჩა, ვერაფერს გიშველის, შენი საქმე წასულია. აი, ასეთი კაცია ნამდვილად.

კაპიტონის ამ სიტყვებმა ილარიონი ძალიან დააინტერესა.

— ჩანს, არც ისე ადვილი უნდა იყოს ახალი დირექტორის გულის მოგება, — ნაღვლიანად წარმოთქვა ილარიონმა.

— მე შემოძლია ბევრი კარგი რამ ვუთხრა შენზე და გული შენსკენ მოვუბრუნო. მე მგონია, დამიჯერებს. თუ გინდა ახლავე წავალ და მოველაპარაკები, რას იტყვი?

ილარიონმა მაშინვე უპასუხა:

— გმადლობ, ჩემო კაპიტონ, მაგრამ ასეთი რამ მე სულაც არ მომწონს, გეთყვა. გულახდილად გითხრა, განა მე არ მინდა ორიოდ კარგი სიტყვა მასთან შემაწიო, მაგრამ ვინ იცის, რას იფიქრებს. იტყვის, ილარიონმა მომიგზავნაო, და ჩემზე შეხედულება წაუხდება. არა, გეთყვა, არა, ასე არ ივარგებს...

ილარიონმა ამით აგრძობინა, ჩემს საქმეში ნუ ჩაერევიო.

კაპიტონიც გააუშოდა. ზღვიდან გრილმა ნივთმა დაუბერა. ფოთლები ამრიალდა და ყვავილების საამო სურნელება მოედო სივრცეს.

ილარიონი განგებ მიაჩერდა ცას, რომელიც ღამის ჯერ კიდევ მჭრქალ სიბნელეში ჩაფლულ ქალაქს ვარსკვლავების კამკამით გადაფარვოდა და ფერწასული მთვარე დაცრეცილ ღრუბლებში გახვეულიყო.

— ხმას არ გავცემ და უქმად ჯდომა მობეზრდება, ჩამომცილდებაო, — ფიქრობდა თავისთვის. — თუ კაპიტონი ჩამომცილდა და მარტოდ დავრჩი, მაშინ მე ვიცი, საქმეს მე თვითონ მიგხედავ ისე, რომ სხვამ ამის შესახებ არაფერი იცოდესო. კაპიტონმა გრილი და წმინდა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, მერე ცალი თვალით გადახედა ილარიონის გაშემებულ სახეს, — კარგია ბაღში ჯდომა, მაგრამ გასიერება უკეთესიაო, — განგებ ჩაილაპარაკა, ეგონა, ილარიონი ამაზე გამოეხმაურებოდა, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო. ადგა. თუმცა ილარიონს არ აგრძობინა, მაგრამ ეწყინა, ილარიონი ასე გულგრილად რომ შეხედა მის წინადადებას. ატყობდა, ილარიონი ღრმა ფიქრებში იყო ჩაძირული, საუბრის ხალისი არ ჰქონდა და გადაწყვიტა, მოშორებოდა. წავიდა კიდევ. დარჩა ილარიონი მარტოდ და დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოქცეულიყო. ახლა მას ხელს არავინ უშლიდა. გონების თვალით ყველაფერი წარმოიდგინა, სწრაფად მოისაზრა, როგორ გამოეყენებინა ეს შემთხვევა, გასაოცარი სისწრაფით გაითვალისწინა ყველაფერი, მტკიცედ გადაწყვიტა, პირადად გამოცანურებოდა ახალ დირექტორს და სხვები არ ჩაერია ამ საქმეში.

ხალიჩადაგებულ მარმარილოს კიბეზე ქოშინით ავიდა ილარიონი და ჩქარი გულისცემა რომ შეენელებინა, დერეფნის ბოლოს სავარძელში ჩაჯდა. სასტუმროს მუშაკები იცნობდნენ მას. ისინი ახლაც ჩვეულებრივად ესალმებოდნენ. ილარიონიც ზრდილობიანად უპასუხებს მათ სალამზე. არც ერთი მათგანი არ ევითხება, რამ მოიყვანა აქ, მაგრამ ყველას კი აინტერესებს, რადგან ერთი შემთხვევის გამო დიდი ხანია, სასტუმროს დირექტორთან არ მოსულა. მაშინ ილარიონი მთვრალი იყო, კაპიტონს ნარდს ეთამაშებოდა. წალაპარაკდნენ. გაბრაზებულმა კაპიტონმა ილარიონი გალანძლა და თანაც დაუმბათა: — ვერა ხედავ, კაცის მეოთხედს ჰგავხარ, თავი დამანებე, არ შემომელახო!

ილარიონი ვერ გაუმკლავდებოდა კაპიტონს და... ვერაფერი რომ ვერ მოახერხა, ბუზღუნით დატოვა სასტუმრო.

და აი, ახლა ილარიონს სავარძელში ჩამჯდარს რომ ხედავენ, უკვირთ, აქ რამ მოიყვანაო. ილარიონი კი ფიქრობდა, თეაზიან სალამს რომ მამლევენ, ალბათ, იციან, ახალ დირექტორთან მივდივარო.

შეისვენა. ადგა. მონახა ორმოცდამეშვიდე ოთახი და კარებზე ფრთხილად მიაკაკუნა.

— შემოდით! — მოისმა ოთახიდან. ილარიონმა კარები მორიდებით შეაღო.

ილარიონის წინ იდგა მალალი ტანის ქერა კაცი, რომელიც ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა მას.

— ბოდიშს ვიხდი, ალბათ ისვენებდით, — დაიწყო ილარიონმა, — მყუდროება დაგირღვიეთ.

— არა უშავს, არა უშავს!

— უკაცრავად, თქვენ გიორგი უკლებას შეილი, დიმიტრი უკლება არ ბრძანდებთ?!

— დიას! — ცივად მიუგო ქერა კაცმა.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ, რომ თვოდეთ, როგორ მიხარია ეს მე. დიას, მიხარია, მაგრამ ვწუხვარ, მყუდროება რომ დაგირღვიეთ... რომ მცოდნოდა, ისვენებდით, არ შეგაწუხებდით, მაგრამ გულმა არ მომიტონა, არ მოვსულიყავი. მაპატიეთ სითამამე... — ათსნაირად დაიგრიხა და დაიმანჯა ილარიონი. — გავიგე ჩამოსულხართ და სინდისმა უფლება არ მომცა არ მენახეთ... არ ვიცი, პატივისცემა როგორ გადაგიხადოთ.

— რომელ პატივისცემაზე ლაპარაკობთ? მე თქვენ პირველად გხედავთ!

— თქვენი დეპეშა რომ მივიღეთ, თავი ისე ვიგრძენით, თითქოს გულიდან ლოდი გადაგვეგდოსო.

— თქვენ ვინ ხართ?! — ოდნავ გაბრაზებით ჰკითხა უკლებამ, — მე თქვენთვის არავითარი დეპეშა არ გამომიგზავნი. თქვენ ვილაცავი გეშლებით. მგონი!

— არა, გეთყვია, არა! — მშვიდად მიუგო ილარიონმა. — ყველაფერს მოგახსენებთ... — ილარიონმა ახლა გონება დაძაბა, რათა კარგად აღედგინა კაპიტონის ნამბობი. გადაწყვიტა, დიმიტრისათვის ყველაფერი ისე მოეთხორო, რომ მისი ნათქვამის სიმართლეში ეჭვი არ შეჰპაროდა. — საწყალი მამათქვენი გიორგი რომ გარდაიცვალა, ჩემი უბედური ბიძა, დურგალი გაბრიელი (ილარიონმა მოხერხებულად იცრუა), დიას, ჩემი მკვიდრი ბიძა, დედის ძმა, მამათქვენის, საწყალი გიორგის, დასაფლავებაზე წავიდა... აქედან თორმეტი კაცი წაიყვანა. ალბათ გახსოვთ ეს. საწყალი ბიძაჩემი მატარებელმა გაიტანა. სწორედ მისი დასაფლავების დღეს მივიღეთ თქვენი დეპეშა.

დიმიტრი ჩაფიქრდა, მართლაც ყველაფერი გაახსენდა.

— ჰო, მახსოვს, კაპიტონ მშვილობაძის სახელზე გამოგზავნე დეპეშა. მაგრამ ის თუ თქვენი ბიძა იყო, არ ვიცოდით. მამაჩემის პატივისცემელს მე ვალდებული ვარ პატივი ვცე.

ამ სიტყვების გაგონებაზე ილარიონს სიხარულისაგან სახე აუწითლდა. მან იცოდა, დიმიტრი მისი ნათქვამის გამოძიებას არ შეუდგებოდა, მასთან დამაკავშირებელი საიდუმლო ძაფი მოხერხებულად გააბა და შემდგომი მოქმედებისათვის უკვე გზა ხსნილი ჰქონდა. ამჟამად მტკიცედ დარწმუნდა და სახეზე იმედის ნათელი გადაეფინა.

ილარიონი აუჩქარებლად, მაგრამ ზოგჯერ ენის ბორძიკით ახასიათებდა დიმიტრის მამას, რომელიც მას თვალითაც არ ენახა და მასზე არასოდეს არავისგან არაფერი სმენია. მას ამბის გამოგონების იშვიათი ნიჭი ჰქონდა, თანაც ფიქრობდა — ისინი ორივენი გარდაცვლილები არიან და დიმიტრი რას გაიგებს, ტყუილს ვამბობ, თუ მართალს! ამიტომ, თუ ვინმეზე კარგი რამ გავგონა, დიმიტრის მამის სახელს მიაწერდა, დიმიტრის გაუხარდება.

ამ დროს კარზე კაკუნი გაისმა.

ილარიონმა საათს დახედა. მიხედა, მის მიერ დაბარებული ოფიციალტი უნდა ყოფილიყო.

და მართლაც, ოთახში ოფიციალტი ქალი შემოვიდა.

— ბატონო დიმიტრი, ნუ გამიწყრებით, მაპატიეთ... საუბარში გავერთეთ და თავის დროზე ვერ გაგაფრთხილეთ, რომ თქვენს დაუკითხავად ოფიციალტი დაეიბარე, იმედია ამას მაპატიებთ... მით უფრო, რომ თქვენ ჩემთვის ძლიერ ახლობელი ადამიანი აღმოჩნდით. თქვენ დღეს აქ სტუმარი ბრძანდებით და მე კი მსპინძელი. რა ვუყოთ მერე, რომ სასტუმროში ხართ... არა, გეთაყვა, ჩვენ სტუმრისადმი პატივისცემის მოვალეობა მუდამ გვახსოვს. მე მინდა, თითო ჰქონდეს დავლიოთ... აი, ამიტომ დაეიბარე იგი.

— არა, ეს სრულიად სავალდებულო არ არის, — მტკიცედ უპასუხა დიმიტრის. — რა საჭიროა ყოველივე ეს? განა ურთიერთპატივისცემა უამისოდ არ შეიძლება?

— გეთაყვა, როდის იყო, ქართველი კაცი სტუმრის პატივისცემაზე უარს ამბობდა, ან პურმარილს ვუწოდებ? განა საწყალი ბიძაჩემი და ცხოხებული მამათქვენი პურმარილის მოყვარულნი არ იყვნენ?

ოფიციალტი ქალი გაოცებული შეჰყურებდა მათ და ელოდა, საბოლოოდ რას ეტყოდა ილარიონი.

და აი, ილარიონმა მოხერხებულად ანიშნა, სუფრა გაეშალა და, რაც შეუკვებო, ყველაფერი მოეტანა.

ქალი სწრაფად გაბრუნდა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. არც დიმიტრი და არც ილარიონი არაფერს ამბობდნენ, თითქოს სალაპარაკო გამოვლიათო, გარინდულნი ისხდნენ და ყურს უგდებდნენ ზღვის ტალღების შხუილს, რომელიც ისე გარკვევით მოისმოდა, თითქოს ზღვის ტალღები შენობის კედლებს ეხეთქებოთ.

დიმიტრი ფანჯარას მიადგა და გადახედა ზღვას.

ქალმა სასმელ-საჭმელი შემოიტანა.

დიმიტრის ფანჯარა გააღო.

— შესანიშნავი ბუნებაა, ზღაპრული. საუცხოო სანახავია აქაურობა, — წარმოთქვა დინჯად.

— გეთაყვა, ჰავა და წყალი უკეთესი არ შეიძლება! — დასძინა ილარიონმა.

ისინი ასეთ საუბარში იყვნენ, როცა ქალმა სუფრის გაშლა დაიწყო; მრგვალ მაგიდაზე აჩქარებით ჩამოალაგა თევზები, დანა-ჩანგალი. დადგა სამარილე, გვერდით მიუწყო ახლად დაკრეფილ ქორფა კიტრები, წიწმბატი, თუშური ყველი, რომელსაც ერბოს სიყვითლე მორეოდა. იქვე ჩადგა პატარა თევზებზე კობტად დაწყობილი ზუთხის ნაჭრები, შემდეგ შამფურზე აგებული შემწვარი წიწილები მოიტანა, და მადალყელიანმა ჰქებმა შეალამაზა სუფრა.

მაგიდას მიუსხდნენ.

თითო ჰქონა შამპანური რომ დალიეს, დიმიტრის მხოლოდ მამის ჰკითხა ილარიონს, სად მუშაობო.

ილარიონი შეიშმუშნა.

დადგა მისთვის ნანატრი დრო; ახლა შეეძლო მეტოქეებზე შური ეძია, მაგრამ ილარიონი არც ისე ბრყვივა, რომ ახალ გაცნობილი უფროსის ხასიათს კარგად არ ჩაუკვირდეს და ყველაფერი ისე მოუყვეს.

ილარიონი ორ ცეცხლშუა იდგა — უთხრას როგორც იყო?! უთხრას, კომინატის დირექტორის მოადგილეობიდან როგორ მოხსნეს? უთხრას ყველაფერი? არა, არ ივარგებს! — გადაწყვიტა თავისთვის. ბოლოს ამ აზრს მტკიცედ დაადგა: ახალ დირექტორს თავისი მოხსნის ნამდვილი მიზეზი არ გაუშხილა.

— მე თქვენი თანამშრომელი, დირექტორის ყოფილი მოადგილე და ამჟამად საქმეთა მმართველი ვარ! — ბოლოს ნაძალადევი ღმილით უთხრა დიმიტრის.

— ოჰო, მამ მე მყოლია კაცი, ვისაც შემოძლია დავენდო... ეს ძალიან კარგია!

— ა, ბატონო, ჩემი კისერი და თქვენი ხმალი! — უბასუხა ილარიონმა და დიმიტრის სიტყვებით გახარებულმა ბროლის ქიქები შამპანურით აავსო.



ორშაბათ დილით ილარიონი ადრე მივიდა სამსახურში. ის შესანიშნავ გუნებაზე იყო. ასე საუცხოოდ მას თავი ჯერ არასოდეს არ უგრძენია. სამუშაო ოთახის კარები ფართოდ გააღო. მისი ჩვეულებრივად ზრინწიანი, ჩახლეჩილი ხმა ახლა ბოხად, ომხიანად ისმოდა. ეს კარგად შენიშნა კანცელარიის მდივანმა, რომელიც მაგიდაზე საქმეებს ალაგებდა.

— ეუუუნა! — მიამაზა ილარიონმა, როგორც კი ოთახში შევიდა. — მოდი, გეთაყვა, მოდი... შენი ილარიონი ის აღარ არის, რაც უწინ იყო. ილარიონის დასამარება უნდოდათ, მაგრამ ნურას უკაცრავად, არც ისეა საქმე, როგორც მტრებს უნდათ!

ეუუუნას უკვირდა, რატომ ემცეოდა

ამ დილით ილარიონი ასე კარგად, ილარიონი მას ყოველთვის ცუდად ახსენებდა. მთელი დღის განმავლობაში ეუუუნას ხმას არ გასცემდა. ხმამაღლა მისი დადებლად უწმაწური სიტყვებითაც კი მიმართავდა. ამიტომ ახლა ასე კარგად რომ შეხვდა, გაუკვირდა. ეუუუნამ რა იცოდა, ილარიონს რა ჰქონდა განხრახულები, რისთვის ესაჭიროებოდა მასთან კარგი დამოკიდებულება.

— გეთაყვა, — უთხრა მას ილარიონმა, — გადავწყვიტე, წარსულს ხაზი გადავუსვა. მაშინაც პატივს გცემდი და ამასი შემდეგშიც დარწმუნდები. დღეს ჩვენთან ახალი დირექტორი მოვა, მხოლოდ შენ მინდა გაგანდო, ის ჩემი ნათესავია!

— ახალი დირექტორი?

— დიახ! — ამყად თქვა ილარიონმა და თან უცებ ნაღვლიანად დაუმატა: — ჩემო ეუუუნა, რა კაცი ვარ მე, სახლში ნათესავს რომ ვერ მივიღებ და პატივს ვერ ვცემ? აი, მოვიდა ახალი დირექტორი, ჩემი ნათესავი კაცი, და შინ ვერ მიმიყვანია. ამისი მიზეზი ხომ იცი, რაც არის?

— აბა, მე რა ვიცი! — მიუგო ეუუუნამ.

— მარტოხელა კაცი რომ ვარ, ესაა მთავარი; ქალი არ მყავს, ქალი, ლოგინი რომ გაუშალოს ადამიანს. ახლა, ჩემო ეუუუნა, მეტის მოთმენა არ შემოძლია. დავრწმუნდი, ვცდებოდი ცოლს რომ არ ვთხოვლობდი, მაგრამ მორჩა, ამ სიბრყივეს ბოლო უნდა მოვუღო.

ამ სიტყვებზე ეუუუნას სახე აუწითლდა. ილარიონის სიტყვები მან ისე მიიღო, თითქოს — საცაა, იმასაც ეტყოდა, ცოლად გამომყვევიო! ამაზე ეუუუნა უწინაც ოცნებობდა. მართალია ეუუუნას ილარიონის არც ტანადობა და არც შესახედლობა მოსწონდა, მაგრამ არც თვითონ იყო ლამაზი; ერთ დროს ილარიონი ჰპირდებოდა ცოლად შეგირთავო. ეუუუნამ ეს დაიჯერა და, ნეტარების ბურანში გახვეული, თავის თავს ესაუბრე-

ბოდა: ილარიონი ნამდვილად კარგი ქმარი იქნება, ქონებაც აქვს, დიდებულად მაცხოვრებსო.

ჟუჟუნამ ამ დღიდან კონტაობა დაიწყო. სამუშაო საათებშიც კი, როცა ოთახში არავინ იყო, აიღებდა სარკეს, ჩაიხედავდა და ხან თმას ისწორებდა, ხან წარბ-წამწამს, ხან პუდრსა და პომადას ისვამდა. ხშირად გულდაგულ გამოარჩევდა თავზე ვერცხლის სიმებივით მბზინავ თეთრ თმას და სათითაოდ იგლეჯდა.

ჟუჟუნა ტყებოდა ოცნებით — დღეს ან ხვალ ოჯახს შევქმნიო, შეილი მეყოლება და მერე სამსახურს თავს დავანებებო. მაგრამ ეს ყველაფერი ილარიონზე იყო დამოკიდებული. „თვალს ავუპრეტებ, თილისმად გადავიქცევი და არ შეეუყვარდება?“ — ფიქრობდა ჟუჟუნა თავისთვის. ყოველდღე ახალ-ახალ კაბებს იცვამდა, თმას იხუჭუჭებდა. შავი ლაქის მალალქუსლიანი ფეხსაცმელი იყიდა, თეთრი ხელთათმანები გადაიწკობა ხელებზე. ყველას უკვირდა, ჟუჟუნა ასე რამ გამოიკვალაო.

მაგრამ შეიცვალა მდგომარეობა... ილარიონი კომბინატის დირექტორის მოადგილეობიდან მოხსნეს და საქმეთა მმართველად ჩამოაქვეითეს. ახლა ილარიონი ჟუჟუნას გვერდით მოუჯდა. ჟუჟუნა ზოგჯერ ილარიონს გაშტერებული შესცქეროდა და თავის თავს არწმუნებდა, რომ ერთმანეთის შესაფერი-სი იყვნენ.

ილარიონიც შეიცვალა. კუშტი და მიუკარებელი გახდა. მაგიდასთან თავჩალუნული იჯდა და ხშირად, ფიქრებში წასული, ქალაღს უწესრიგოდ ხაზავდა, სხვადასხვა ფიგურის გამოყვანას ცდილობდა, თითქოს ამ ნახაზებში აქსოვდა თავის გულის დარდებს. ჟუჟუნას ყურადღებას არ აქცევდა, თუ უწინ ეხუმრებოდა ხოლმე, ახლა უკვე თავს იკავებდა. თითქოს ამით აგრძნობინებდა, მართალია ჩამოაქვეითეს, მაგრამ შენზე მაღალი თანამდებობა მაინც მიპირავს და

პატივისცემით უნდა მომეტკეო, მისგან თავი შორს დაიქირა.

და დაღვა დრო, როცა ჟუჟუნა უნდა გამოეყენებინა.

— მის სულსა და გულში უნდა შევიპრე. სიყვარულის ბაღში უნდა გავახვიო. როცა მისი გული ჩემს ხელთ იქნება, მაშინ ყველაფერს გავაკეთებ, — ასე დაარწმუნა მან თავისი თავი და სწორედ ამ განზრახვით შეხვდა დღეს.

— რა დასამალია, გეთაყვა, მე დიდი ხანია ვამჩნევ ყველაფერს. მე ამ გრძნობას არ შეიძლება პატივი არა ვცე.

ჟუჟუნას მოულოდნელად სახე აელეწა.

— ვერ გავიგე, რა თქვით!

ილარიონმა გაიღიმა, ხოლო თვალები ისე მიწაბა, თითქოს ვნებათა ღელვისაგან მოითენთაო და ჟუჟუნასაგან ალერსსა და გულის გახსნას მოითხოვსო.

— იცი, რას გეტყვი, ჩემო ჟუჟუნა? — განაგრძობდა ილარიონი. — მეც აღამიანი ვარ. მეც მიწა ცხოვრება. შენ კარგად იცი, ორი ოთახი ყველაფრით საესე მაქვს, მაგრამ რა ოხრად მიწა... მივალ, დავეგლები ლოგინზე, ავღგები და სამსახურში წამოვალ. ასეა ყოველდღე: სულიერი მეგობარი მე არა მყავს, რომ ჩემი ფიქრები, ჩემი წუხილი გავუზიარო. არ არის დასამალი, რომ არც ერთი ჩვენგანი ისეთი ლამაზი არ არის, რომ ვინმე გაგიყდეს. ბუნებამ ორივე დაგჩაგრა, მაგრამ ერთმანეთს მაინც ნუ დაეჩაგრავთ. ნურც სხვებს დავეჩაგვრინებთ. დიდი ხანია მე შენზე ვფიქრობ, მაგრამ, თუ ხშირად უხასიათოდა ვარ, ეს იმიტომ, რომ სამსახურეობრივმა უსიამოვნებებმა ჭკუაზე შემშალა. განა მე არ ვგრძნობ, თუ როგორ გიყვარვარ?

— მე პატივს გცემდით, ილარიონ, — ჩაილაპარაკა ჟუჟუნამ.

ილარიონმა ორივე ხელი ჟუჟუნას მარცხენა ხელში ჩააგლო.

— აი, შენი მარცხენა ხელი მე ხელთ მიპირავს. მარცხენა ხელი გულთან

ახლოსა. მე მინდა შენი გულიც ასევე მეჭიროს, მხოლოდ მე, გესმის? მე მინდა მხოლოდ ჩემი სიტყვები იყოს შენთვის კანონი, მხოლოდ ჩემი სურვილების შემსრულებელი იყო.

ქუქუნას დიდიხნის ოცნება აუსრულდა; ილარიონისაგან სწორედ ასეთი სიტყვების მოსმენას ნატრობდა.

აი, ახლა მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ანგარიშს არ უწევდა იმას, თუ რამდენად გულწრფელი იყო ილარიონი. ქუქუნა ტკბილ ბურანში გაეხვია და გაბრუნდა.

— გეთაყვა, მხოლოდ შენ შეგიძლია დამეხმარო. ადამიანური ცხოვრება მეც მინდა, — განაგრძობდა ილარიონი. — გაიგე, რას გეუბნები? ხარ თუ არა თანახმა, იყო ჩემთან, რომ ბედნიერება თუ უშეძურება ერთად გადავიტანოთ?

ქუქუნა გაირინდა.

ის ცდილობდა, სიხარული ერთბაშად არ გამოემკვლავლებინა.

ილარიონი ქუქუნას დუმილს ვერ ითმენდა, ისე უჩვენებდა თავს, თითქოს ის გადამწყვეტი წუთები იდგა, როდესაც სამუდამოდ უნდა გადაწყვეტილიყო მათი ბედი.

— მითხარი, ქუქუნა, მითხარი, — ემუდარებოდა ილარიონი. — სამსახურში გული მომიკლეს და შენ მაინც გამახარე.

ქუქუნამ თითქოს მორცხვობას თავი დააღწიაო, შეხედა ილარიონს და შემკრთალი ხმით უპასუხა:

— რა ვიცი, რა გითხრა. თუ შენ გინდა, მეც თანახმა ვიქნები.

ილარიონს თითქოს აღტაცების ალი მოედო, სახე გაუბრწყინდა. მისი აზრით, საჭირო იყო, ქუქუნა თავდავიწყების ბურანში გაეხვია, მის გულში მთვლემარე საოცნებო გრძნობები აეფორიაქებინა, მისი სულის სიღრმეს ჩასწვდომოდა.

და აი, ჩია ტანის კაცი ცერებზე შედგა, რაც შეეძლო, მაღლა აიწია, ქუქუნას სახეს ძლიერ მისწვდა და აკოცა.

ქუქუნას თვალი დაუმბნელდა ტანში სასიამოვნო ქრუანტელმა დაუარა, გამოერკვა. შეხედა ილარიონს წვერცხვად.

— ილარიონ, არა გრცხვენია? — ჩაილაპარაკა დაბნეულად.

ქუქუნა ილარიონს მოშორდა, თავის მაგიდას მიუჯდა. უჯრიდან სარკე ამოიღო. ჩაიხედა. სახე საშინლად აწყითლებოდა, თვალები უცნაურად ამღვრებოდა. იმის შიშით, ასე არავინ მომისწროსო, სახეზე პუდრის წასმა დაიწყო.

— თმა შეისწორე, ქუქუნა... — დაცვაებით უთხრა ილარიონმა და მგეგმავ-ეკონომისტის ოთახში შევიდა. ახლო წარსულმა წაიღო მისი გონება; დირექტორის მოადგილეობიდან რომ მოხსნეს, ცდილობდა, მგეგმავ-ეკონომისტად მაინც დაეტოვებინათ, რადგან ერთ დროს ამ თანამდებობაზეც უმუშავია. უარი უთხრეს. კომბინატის ახალმა დირექტორმა თუ ინებმა, ილარიონი მგეგმავ-ეკონომისტად იმუშავეს. ამით მისი ავტორიტეტიც აიწვეა და მერე უფრო ადვილი იქნება დაუბრუნდეს თავის წინანდელ თანამდებობას. დიახ, ნამდვილად ასე აჯობებს. თუ ვარლამმა ახლაც დაიწყო მის წინააღმდეგ ბრძოლა, მას ეს არ აფიქრებს, რადგან ქუქუნას სული და გული მის ხელთაა და იცის, როგორ გამოიყენოს იგი. ყოველივე ეს მან ახალი დირექტორის გამოჩენასთან ერთად დაგეგმა.

დერეფანში რაიკომის წარმომადგენელი და დიმიტრი უკლებს გამოჩნდნენ.

ქუქუნამ სასწრაფოდ გაალო დირექტორის კაბინეტის კარი.

ახალმა დირექტორმა თავისი ადგილი დაიკავა.

გადიოდა დღეები.

დიმიტრი უკლებს სახეზე ღიმილი არავის უნახავს. ვერ გაიგებდით, რა მოსწონდა და რა არა. ის გარინდებული, კერპივით გაქვავებული სახით უჯდა მა-

გიდას. შუბლქვემოთ, დაჯაგრულ წარბ-
წამწამებში ოდნავ ელავდნენ მისი
ღრმად ჩაყარდნილი თვალები, ხოლო
სახეზე მოწოლილი სისხლი ქერა სახეს
რალაც უსიამოვნოდ უწითლებდა.

სამუშაოზე ყველაზე ადრე ცხადდებოდა; მთელი დღე იჯდა კაბინეტში და
გარეთ არ გამოდიოდა.

კომბინატის საქმე კარგად მიდიოდა; მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდათ, მანსადამე, დიმიტრი უკლება შეიძლებოდა დამშვიდებული ყოფილიყო. მას შეეძლო ამ წარმატებით ყველგან ეამაყა. მისი აზრით, ახლა საჭირო იყო ყველასათვის ეჩვენებინა, რომ იგი მტკიცე ხელმძღვანელი იყო.

„თანამშრომლებს არ გავუცინებ, ნამუშევარს ხშირად დავუწუხებ, ზოგჯერ მათ შრომას არაფრად ჩავვადებ, თავს ისე ვუჩვენებ, რომ მათი ნამუშევართ კმაყოფილი არა ვარ, ჩემი რიდი და შიში ექნებათ. უნდა ვაგრძობინო, რომ მე მათზე მალა ვდგავარ“.— ასე ფიქრობდა დიმიტრი.

ილარიონი აკვირდებოდა დიმიტრის ქცევას და თავის მხრივ ყოველნაირად ცდილობდა მისი გული მოეგო. დიდხანს იფიქრა იმაზე, თუ რა გაეკეთებინა ისეთი, დიმიტრის გახარებოდა და მისთვის ერთგულება ეგრძნობინებინა.

და აი, ბოლოს ჩანაფიქრიც მოხერხებულად განახორციელა...

ერთ დღეს, დილით დიმიტრი კომბინატში ჩვეულებრივად ადრე მოვიდა. შეაღო კაბინეტის კარი. გაოცდა, კაბინეტი არაჩვეულებრივად მორთული იყო:

კარ-ფანჯარებზე შინდისფერი ზაფერდის ფარდები დაეკიდათ. კუთხეებში წითელი ხის კრილა დასადგამები ბალმებით დაემშვენებინათ, მაგიდაზე შავი მარმარილოს ახალი სამელნე იღო, საწერი მაგიდის გვერდით, მარჯვნივ და მარცხნივ რბილი სავარძლები დაედგათ, წიგნების კარადასთან კი რადიო მიმღები მუსიკის საამურ ხმებს ფანტავდა.

დიმიტრიმ საქმეთა მმართველს დაუძახა.

მის წინ ფერმილეულად ^{არჩილ ჩაჩიბაია} აღსრულები აისვეტა.

— ილარიონ! — გაოცებული შეეკითხა მას დიმიტრი, — ეს რა ამბავია?

ილარიონი დაიღრუჯა.

— გეთაყვა, ერთი ეს მიბრძანეთ, არ მოგეწონათ?

— აქ ისეთი არაფერია, კაცს რომ არ მოეწონოს, მაგრამ მე ხომ ამას არ გეკითხებით, — ოდნავ ხმაშეცვლით უპასუხა დიმიტრი.

იმის შიშით, რომ დიმიტრი არ გამოიჯავრდესო, ილარიონი ხრინწიანად ალაპარაკდა:

— თქვენ მართალს ბრძანებთ, გეთაყვა, სრულ ჭეშმარიტებას... მართლაც, აქ არაფერია ისეთი, რომ კაცმა არ მოიწონოს.

— ილარიონ! — კვლავ შეეკითხა დიმიტრი. — მითხარი, ასე ვინ მოაწყო ჩემი კაბინეტი?

ილარიონმა დიმიტრის გაჯავრება შეატყო და ხმა აუკანკალდა.

— ეს, გეთაყვა, წუხელ მოვიტანე. ჩემი ქუთითა და გონებით ასე დავალაგებინე. მეგონა გაგებარდებოდათ.

დიმიტრი გაჩუმდა, სავარძელში ჩაჯდა. გაიღიმა. ილარიონმა დაინახა თუ არა დიმიტრი იღიმებო, თვითონაც გაიღიმა.

— ყოჩაღ, ილარიონ! არ მეგონა ასეთი კარგი საქმეების გაკეთება თუ შეგეძლო! — კმაყოფილებით თქვა დიმიტრი და მაგიდას მიუჯდა. დახედა ახალ სამელნეს. შეფიქრიანდა. — ილარიონ! — დინჯად განაგრძო მან, — რა სახსრებით იყიდე ეს ავეჯი?

— სახსრები, გეთაყვა, ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო, — მიუგო ილარიონმა. — მე მხოლოდ ის თანხა გადავრიცხე.

— კი, მაგრამ, ეს მე ხომ უნდა მკოდნოდა?

— გეთაყვა, თანხა თქვენს დანიშნულად იყო გადარიცხული — იცრუა ილარიონმა. — ავეჯი კი შე მოვიტანე...

— ჰო, თუ ეს ასეა, მაშინ რა მეთქმის! — კმაყოფილებით თქვა დიმიტრიმ და ილარიონის მოქმედება ქებით მოიხსენია.

რამდენიმე წუთის შემდეგ ილარიონმა დირექტორის კაბინეტი მოკრძალებით დატოვა.

ის ახლა აღტაცებული იყო იმით, რომ დიმიტრის გული ერთხელ კიდევ მოიგო.

— ახლა კი დადგა დრო ჩემს საქმესაც მივხედო! — ასე გაიფიქრა თავისთვის და საიდუმლო ჩანაფიქრის განხორციელებას მოხერხებულად შეუდგა.



ილარიონმა შენიშნა, თუ რა ადვილად იჯერებდა დიმიტრი მიტანილ ამბებს. ის არ ფიქრობდა შეემოწმებინა ნათქვამის სისწორე. საკმარისი იყო ვინმეს ყურში რამე ჩაეჩურჩულებინა, რომ ნათქვამი უკრიტიკოდ მიეღო და დაეჯერებინა.

ერთ დღეს ილარიონმა დიმიტრის ჩასჩურჩულა:

— გეთაყვა, კომბინატს მეტი წარმატებები ექნებოდა, ზოგიერთი მუშაკი, აი ისეთი, მაგალითად, როგორც ვარლამ გოგუაძეა, რომ არ ჰყავდეს.

— ვერ გავიგე, რას ამბობ!

— გეთაყვა, თქვენი მონა-მორჩილი ილარიონი, უნდა იცოდეთ, არაფერს დაგიმაღავთ, ყველაფერს გულწრფელად გეტყვით.

— იმედი მაქვს, ჩემთან გულწრფელი იქნები და სამაგიეროს სიკეთით გადაგიხდი.

— სწორედ ამიტომ მოგახსენებთ. აი, ვარლამ გოგუაძეს, როგორც კი გაიგო თქვენი მოსვლა, ასე უთქვამს: მისი გამოგზავნა რა საპირო იყო, შე აქ არ ვიყავი? ადგილობრივი კადრები არ უნდა დააფასონო? — იცრუა ილარიონმა და

თან დაუმატა: — მე მგონია გაიგებთ, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვები, — მას დირექტორობა სურს!

ილარიონმა გოგუაძე სხვა მხრივაც დაახასიათა.

— მე ვფიქრობ, თქვენს კადრებს ყოველმხრივ შეისწავლით. მე აქ ყველას ვიცნობ და ამ საქმეში მეც შემიძლია სამსახური გაგიწიოთ. დიახ, ყველაფერი უნდა გითხრათ გულახდილად, რაც ვიცი. თქვენს ადგილას სხვა ვინმე რომ იყოს, არაფერს ვეტყვოდი, მაგრამ ვიცი თქვენი კეთილი გულის ამბავი და სინაღისი არ მაძლევს უფლებას არ გითხრათ. ის ინტრიგანია. ეს თქვენ უნდა იცოდეთ.

— ინტრიგანებს არ გავაქაჟანებ! — მტკიცედ უთხრა დიმიტრიმ.

— ამბობს, კრიტიკა არის მთავარიო და ალბათ, მალე თქვენც გაგაკრიტიკებთ.

— მე უფროსი ვარ, თუ არა? კრიტიკა მე არ მეხება!

— მას სხვაგვარად ესმის კრიტიკა. ის ამბობს, ყველაფერი უნდა ვამზილოთ, წარმატებებით განცხრომას არ უნდა მივეცეთ. აი თქვენ თვითონ ნახავთ, რა ჯიქურ იცის, პიროვნების მიუხედავად, ყველაფრის პირში მიყრა.

ილარიონი გაჩუმდა. გადაწყვიტა, ვარლამის შესახებ სხვა არაფერი ეთქვა, ჯერჯერობით ესეც კმარაო. კაბინეტიდან გამოვიდა, წინ ვარლამ გოგუაძე შეეხეა. მიესალმა.

ვარლამი დიმიტრის კაბინეტში შევიდა. ილარიონს შეეშინდა, დიმიტრიმ ცხელ გულზე ჩემზე არაფერი უთხრასო და კართან აიტუზა. სმენა დაძაბა.

ილარიონი უსმენდა მათ საუბარს. ლაპარაკი გეგმების შესრულებაზე წამოიწყეს. ილარიონმა უკვე წასვლა დააპირა, რომ უცებ მისი სახელი ახსენეს. ის კარებს ჩრდილივით აეკრა.

— მგეგმავ-ეკონომისტი უნდა დანიშნოს, მეტი მოცდა აღარ შეიძლება, — ამბობდა ვარლამი. — ჩემი კანდიდატი

წამოვაცენე, ანკეტებიც მოგიტანეთ.

— მე არ ვიცნობ თქვენს კანდალას!

— საქმეს ვაჭიანურებთ, ამხანაგო დიმიტრი, ეს კი არ ვარგა.

— რა ვარგა და რა არ ვარგა, ეს მე თვითონ ვიცი! — გაბრაზდა დიმიტრი.

— მე ჩემს აზრს მოგახსენებთ, — უთხრა ვარლამმა.

— დღემდე სად ჭკონდათ ეგ თქვენი აზრი. დღემდე საქმეს ხელი არ ეშლებოდა? თქვენ ხომ მუშაობდით ჩემს მოსვლამდე? რატომ არ ფიქრობდათ ამაზე?

— თქვენ ჩემი პირდაპირობა გეწყობათ?

— როცა სხვას აკრიტიკებთ, თვითონ უცოდველი უნდა იყოთ, — გულმოსულად უბასუხა დიმიტრამ. — განა არ შეგძლოთ კომბინატშივე მოგენახათ ვინმე? ილარიონ ჭორიძეს თურმე მგეგმავ-ეკონომისტად უმუშავია, რატომ არ დანიშნეთ?

— ილარიონ ჭორიძე საქმეთა მმართველად არ არის გასაჩერებელი! — მტკიცედ მიუგო ვარლამმა. — ის იქაც უხეიროდ მუშაობს. ჰკითხეთ ადგილკომის თავმჯდომარეს თადეოზ გრძელისთვის.

ილარიონმა ეს სიტყვები გაიგონა თუ არა, სუნთქვა შეიკრა. მან იცოდა, თადეოზი საუკაროდ აკრიტიკებდა მას, რის გამოც იგი ჭირვიით სძულდა.

„მამ თადეოზიც ასე ფიქრობს ჩემზე? ის თხუნელა, ისა. მოკვდეს ილარიონი, თუ ორივეს არ განანოთ ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა!“ — თქვა ეს და მოშორდა კარებს.

•
•

ერთხელ ილარიონმა დიმიტრი დაიმარტოხელა და უთხრა:

— გეთაყვა, თადეოზი კომბინატის დან უნდა გაუშვა.

— რატომ? — გაოცდა დიმიტრი.

ილარიონმა უცებ მიზეზი ვერ დაუსახელა და მიკიბ-მოკიბვით დაიწყო:

— რაღაც საეკვოდ ექტირება მისი გამოხედვა არ მომწონს. დიახ, გარწმუნებთ, მისი გამომეტყველება არ არის მოსაწონი!

— გამომეტყველება?

— დიახ, სწორედ რომ გამომეტყველება არ აქვს მოსაწონი, — დაიწყო ილარიონმა. — დაუკვირდით, წარბები მოღუშული აქვს, ცხვირიც მიკეპყილი. როცა გელაპარაკებთ, გვერდზე იხედება და სულ სხვაზე ფიქრობს. თუ პატროსანი კაცია, რატომ თვალებს არ გისწორებთ, როდესაც გელაპარაკებთ?..

— ილარიონ, შენ ხომ არ გასულელი, ეს რა მიზეზია?

— გამიგონეთ, გეთაყვა, გარდა ამისა, ის ხშირად ჩაფიქრებულია.

— ჩაფიქრებულია?.. მერე და ეს რაღა მიზეზია!

— ჰმ, რა იცით, რომ ამ დროს ის თქვენზე არ ფიქრობს? ბოროტი კაცის გონებიდან ბოროტება არასოდეს არ ამოვა. ხომ შეიძლება, ის ფიქრობდეს, როგორ დაგამუშაოთ, სახელი როგორ გაგიტეხოთ, თქვენს წინააღმდეგ ხალხი როგორ აამხედროს? გარწმუნებთ, რომ ეს ეჭვი არ არის, ეს ასეა...

— როგორ? ის ამაზე ფიქრობს?

— შეიძლება, გეთაყვა, ადვილი შესაძლებელია!

ილარიონი გრძნობდა, დიმიტრის ეჭვები აღუძრა და ამითაც კმაყოფილი იყო. მაგრამ სხვების მიმართ კი სხვა გზას დაადგა. გადაწყვიტა ისეთ პირებზე, რომლებიც კომბინატში ავტორიტეტით სარგებლობდნენ და რომელთაც შეეძლოთ აღეძრათ მის წინააღმდეგ საქმე, უსახელო წერილები დაეწერა.

უსახელო წერილების წერაში ძლიერ დახელოვნებული იყო. რა სახის უსახელო წერილი გინდოდათ, რომ მას არ შეეღვინა! — გაკრული ხელით თუ ტეხილი ოთხკუთხი ხაზებით გამოყვანილი

ასოებით, გაზეთებიდან თუ წიგნებიდან ამოჭრილი ასოებისა და სიტყვების გამოყენებით. ილარიონი მუდამ უპირატესობას გაზეთებიდან და წიგნებიდან ამოჭრილი ასოებითა და სიტყვებით შედგენილ წერილებს აძლევდა, რადგან ფიქრობდა მისი შემდგენელის აღმოჩენა შეუძლებელიაო.

ილარიონმა გადაწყვიტა, ამ საქმეში ქუქუნა ჩაეთრია, მაგრამ ქუქუნას ფიქრები სხვაგან ტრიალებდა, ის ქორწილზე ფიქრს გაეტაცა. ქორწილის დრო ილარიონს არ დაუნიშნავს, ეს კი ქუქუნას აზფოთებდა. მიუხედავად ამისა, ქუქუნა ამ ბედნიერი დღისათვის (როგორც ამას თვითონ ამბობდა) გაფაციცებით ემზადებოდა; შემნახველ საღაროში შეტანილი დანაზოგი მთლიანად გამოიტანა, იყიდა ოქროს საათი და ყელზე დასაკიდი ოქროს მედალიონი, რომელსაც ფირღვისფერი წინწყლები ამშვენებდა. შესაფერი რბილი ავეჯი და საწოლი რომ ვერსად იშოვნა, გადაწყვიტა, მოსკოვიდან ჩამოეტანა. ილარიონს ალერსიანი სიტყვებით შეეგებებოდა. ილარიონი კი ძველებურად კერპი, ცივი და მიუკარებელი ჩანდა. ქუქუნას დარდი შემოაწევა გულზე, ექვები სულს უშფოთებდა.

„არა, სხვაგვარად უნდა მოვიქცე!“ — ფიქრობდა თავისთვის. — „თავი უნდა მოვანატრო... დიახ, გულზე უნდა გავხეთქო და მერე თვითონვე დამიწყებს დევნას. თავს ისე მოვაჩვენებ, თითქოს არაფრად ვაგდებ. ასე უკეთესი იქნება“. ამ აზრს მტკიცედ დაადგა და ილარიონს განგებ გაბიაბრუება დაუწყო.



ერთ დღეს ილარიონი დილით აღრე მოვიდა სამსახურში, რომ ქუქუნა დაემართახებოდნა. დერეფანში ქუქუნას ფეხის ხმა რომ გაჟსმა, ილარიონი მოიღუშა, თვალები დაუწითლდა და ისეთი

სახე მიიღო, რომ ვინც კი შეხედოდა, აუცილებლად შეეცოდებოდა.

— ილარიონ! — გაიოცა ქუქუნამ: — რა ფერი გადევს?

ილარიონს ხმა არ ამოუღია, ნაღვლიანად შეხედა ქუქუნას და ზრინწიანი ხმით უპასუხა.

— ყველა იჩემებს ღირსეული და ნიკიერი მუშაკი ვარო. ნეტავი ნიქის თერმომეტრი იყოს გამოგონილი, აიღებ და იღლიაში შეუდებ კაცს, როდესაც ნიქის მაჩვენებელი ნულს ქვემოთ დაიწევს, ასეთი კაცი თავიდან უნდა მოიშორო!

— ნიქის თერმომეტრის გამოგონება პირველ რიგში შენთვის იქნება საზარალო, — უპასუხა ქუქუნამ და თანაც ეშმაკურად გაიღიმა.

ილარიონი მიხვდა, რას ნიშნავდა ქუქუნას სიტყვები და ამიტომ ელდანაკრავივით წამოხტა ზეზე.

— რაო?! შენც ისე მეუბნები, როგორც ვარლამ გოგუაძე? მე შენსკენ ვარ და შენ კი ეშმაკებისაკენ? განა ვარლამი შენზე არ ამბობს, სამსახურიდან მოსახსნელიაო? ასეთიაო, ისეთიაო!

ქუქუნას სახე აელეწა.

ილარიონი ქუქუნას ახლა გაცხარებით ელაპარაკებოდა და მასში შურსა და ღვარძლს აღვივებდა.

ქუქუნას სიბრაზისაგან ნიკაპი უკანკალებდა და წარბები უცნაურად ეღუშებოდა.

ილარიონი შესცქეროდა ქუქუნას და გრძნობდა თუ, როგორ ღვუღებოდა მასში ვარლამის წინააღმდეგ სიძულვილის გრძნობა. ამ მიზნით რა არ მოიგონა, რა არ უთხრა. ბოლოს რომ დარწმუნდა მას შეეძლო ესარგებლა ქუქუნას ნების სისუსტიტა და გამოუცდელივით, ხმა შეიცვალა, თილისმად იქცა:

— ჩვენ ხომ ცხოვრებაში ერთი გზა ავირჩიეთ. გახსოვს, რომ გითხარი, ჩემს ადგილზე უნდა დაგაწინაურო-მეთქი? ეს ღირექტორთან შეთანხმებულია. სამაგიეროდ, ვარლამის წინააღმდეგ გაბედულად უნდა იმოქმედო. არ უნდა აპა-

ტიო მას, აუცილებლად სამაგიერო უნდა გადაუხადო. არაეის უთხრა, ამას მხოლოდ შენ განდობ, დირექტორს მისი მოცილება უნდა.

— ვერ გავიგე, რას ამბობ?!

— მე იმას ვწუხვარ, რომ ვარლამმა ასე საჯაროდ გაგთელა. ახლა შენ რომ სამაგიერო არ გადაუხადო, იტყვიან, ვარლამი მართალი ყოფილაო.

ეუუქუნას წამდაუწუმ ფერი ეცვლებოდა; დაგუბებული ბოლმისაგან მკერდი ძლიერ უღელავდა. მისი სავსე გულ-მკერდი კაბის ლურჯ ქსოვილს თითქოს ეს-ეს არის გადაგლეჯს და მარმარილოს სითეთრე გადმოეფინებო.

— გამიგონე, გეთაყვა, მე მგონია, — აქ ილარიონმა ეშმაკურად დაწკურათვალეები და რამდენჯერმე ჩაახველა, — დიახ, მე მგონია, საჭირო იქნება ვარლამის წინააღმდეგ წერილი დაწერო!

— მერე, მე ხომ პასუხი უნდა ვაგო?!

— ჰმ, გეთაყვა! პასუხს ვინ გაგებნებს? ხელი არ მოაწერო და ვინ გაიგებს, რომ შენია.

— რა უნდა დაწერო?!

— ზოგიერთი რამ მე ვიცი, ზოგიერთიც გამოვიგონე!

— როგორ თუ გამოვიგონო? ტყუილი დაწერო?

— რატომაც არა? ზოგჯერ ტყუილის თქმაც არის საჭირო, თუკი ეს შენთვის სასარგებლო იქნება. მთავარია, მოხერხებულად იცრუო და მოწინააღმდეგე დააბნეო... ხომ გაგიგონია, სიცრუეს გაბედულება უნდა, თუ ეს გაბედულება არა გაქვს, ვერ იცრუებ! ხელს არ მოაწერ და პასუხს ვინ მოგთხოვს?!

— საკუთარი სინდისი!

— გეთაყვა, სინდისზე მაშინ ვილაპარაკოთ, როცა დამშვიდებული ვიქნებით. მაშ ასე, აი ქალაღი, მე გეტყვი და შენ წერე! მენდე. მე ბევრი

კარგიც მინახავს და ავიც ბევრი შემხვედრია. არც ისე უქკუო ვარ. ვიცი, სად რა არის საჭირო. დაწინაურება ხომ გინდა? ორივეს ერთად კარგი ცხოვრება ხომ გვინდა? მორჩა, ამაზე აღარაფერი მითხრა. უნდა დამიჯერო, რადგან შენ ჩემი ხარ. აი, წერე, რასაც გეტყვი.

ილარიონმა დაუწყო კარხანი. ეუუქუნა უხალისოდ შეუდგა წერას. ილარიონმა სწორედ მოხერხებული დრო შეურჩია; ეუუქუნა ძლიერ აღელვებული იყო ილარიონისგან მოსმენილი ამბებით. ილარიონმა სწორედ ამიტომ გადაწყვიტა აღელვებულ გუნებაზე დაეწერიანებინა რამე, თორემ სხვა დროს შეიძლება უარი ეთქვა.

ამ დღიდან ეუუქუნა ილარიონის მახეში გაება.



გაიარეს დღეებმა. ილარიონი კვლავ საქმეთა მმართველად მუშაობდა. ეუუქუნა ხედავდა დაბირება არ სრულდებოდა. ეს ილარიონსაც აღელვებდა, რადგან კარგად იცოდა, თუ ეუუქუნას გული მოუვიდოდა, საიდუმლოებას გაამხელდა. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ილარიონმა გადაწყვიტა, დახმარებისათვის კაპიტონ მშვიდობაძისათვის მიემართა.

— ჩემო კარგო, პურმარილი აწყვეტილ ძაღლს დაბამს და ვიღაც უკლებას ჩვენს ქუთაზე ვერ მოვიყვანთ? ნუ გეშინია, მოქმედების დრო დადგა, ნუ აყოვნებ! — გაათრთხილა კაპიტონმა. — კარგი აზრია, პურმარილი ჩემს ოჯახში გაეუწყო. ის ვერ მიხვდება, რომ ეს შენი პურმარილი იქნება. მე კი შრომაზე უარს არ გეტყვი!

და აი ერთ დღეს კომბინატის წინ მსუბუქი მანქანა გაჩერდა. მანქანაში კაპიტონ მშვიდობაძე იჯდა. ის მანქანიდან კარგად ხედავდა, თუ კომბინატის ღია კიშკრიდან, ვინ გამოდიოდა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად

გამოდირდნენ მუშა-მოსამსახურეები. კაპიტონი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ყოველგვარ მოძრაობას, ცდილობდა დიმიტრი უკლებას გამოსვლა არ გამოჰპარვოდა. ყველაფერი მიწყნარდა, მაგრამ დიმიტრი მაინც არ ჩანდა. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ კომბინატიდან დიმიტრი უკლებაც გამოვიდა და დაღმართს ჩაპყვა. კაპიტონმა შოფერს უბრძანა, დიმიტრის დასდევნებოდა. მანქანა კაპიტონის მიერ ნაწვევები გზით გაქანდა. კაპიტონს უნდოდა, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს შემთხვევით შეხვდა დიმიტრის და მანქანა, როგორც კი გაუსწორდა, გააჩერა, თავაზიანად მიესალმა და ბოლოს სთხოვა მანქანაში ჩამჯდარიყო. დიმიტრი ჩაჯდა.

— ჩემო დიმიტრი! ამდენი ხანია აქ მუშაობ, და, ჩემდა სამარცხენოდ, ჩემს ოჯახში ერთხელაც არა ყოფილხარ. დღეს სადილად ჩემსას უნდა წამოხვიდე, თუ ხათრი გაქვს, უარი არ მითხრა. — უთხრა კაპიტონმა.

კაპიტონის მეუღლე დუდუხანა დიმიტრის ისე მხიარულად შეხვდა, გეგონებოდათ, მისი ოჯახის დიდი ხნის უნახავი მეგობარი მოვიდათ. დიმიტრიმ ეს უაღრესად დამსახურებულად მიიღო და ღიმილით შეპყვა მათ ოთახში. სუფრა გაშლილი დახვდათ.

— პირდაპირ სუფრას მივუსხდებით, ჩემო დუდუხანა, — უთხრა ცოლს შესვლისთანავე კაპიტონმა, — აბა ხელი გადააბანინე სტუმარს.

დიმიტრიმ ხელების შემშრალების დროს კედელზე ჩამოკიდებულ ფოტოსურათებს შორის ილარიონის სურათი შენიშნა.

— ეს ილარიონია? — იკითხა გაკვირვებით.

— ილარიონი გახლავთ. ჩვენი ოჯახის მეგობარი. რატომ ილარიონს არ დაუძახებ სადილად, — შუბლზე ხელი იტყეცა კაპიტონმა და განაგრძო. — რომ იცოდეთ, რა გულსხმიერი, რა კეთილი

კაცია. კარგი ადამიანია ილარიონი, კარგი. შეიძლება მივენდოთ. არ გილატებთ. საწყალი კაცი ტყუილ-უმრავლოდ გაამწარეს, ვილაც გრგვინზე ყოფილა, არ მოსწონებია და ისე ჩაუწყვო საქმე, რომ კაცი ჩამოაჭვეითეს. ჩამოჭვეითება ზოგჯერ საწყენი არ არის, თუკი ისეთ ადგილზე დაგნიშნავენ, რომ მანქანა გეყოლება, ხელფასი არ შეგიმცირდება, მაგრამ ილარიონი მთლად გასწირეს. ილარიონს ახლა მხოლოდ თქვენი იმედი აქვს. შვილის ხსოვნას გეფიცებით, ძალიან კმაყოფილი ვიქნები, თუკი ილარიონს მართლაც დაეხმარებით! მას მხარის დაქვრა უნდა და მე მგონია ამას თქვენ არ დაიზარებთ!

— ვეცდები, მხარი დავუჭირო, — უპასუხა დიმიტრიმ, — მით უფრო ის მამაჩემის პატივისმცემელი ყოფილა.

— კაცი კაცითო და ღობე ქაცითო! თუკი ერთმანეთს ხელი არ შევეწყვეთ, ისე არაფერი გამოვა.

ამ დროს ოთახში მოზოდიშებით და ტანის უცნაური გრეხით ილარიონიც შემოვიდა.

კაპიტონმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ილარიონს არ მოელოდა.

— რა კარგ დროს შემოიარე, ილარიონ, ალბათ გულმა გიგრძნო, აი, სწორედ ახლა შენზე გვექონდა საუბარი, — ღიმილით უთხრა მას.

— იმედი მაქვს, რომ თქვენ მაინც არ დამიკარგავდით სიმართლეს...

— ხედავთ, რა გულდაწყვეტილია საწყალი კაცი? მგეგმავ-ეკონომისტად მაინც დაგენიშნათ!

— სუფრასთან სამსახურის თაობაზე საუბარი არ მიყვარს, — დინჯად მიუგო დიმიტრიმ კაპიტონს, — სამსახური სხვაა, სუფრა და ოჯახი კიდევ სხვა. სხვათაშორის, სუფრასთან ადამიანის მხოლოდ კარგ თვისებებს აღნიშნავენ. რა შემიძლია მე ილარიონზე ვთქვა? პირველი შთაბეჭდილება ცუდი არა მაქვს.

— თქვენი იმედით ვცოცხლობ, ჩემო ბატონო! — დიმიანჭა ილარიონი. — უთქვენოდ ერთი დღეც ნუ მიცოცხლია!



მესამე თუ მეოთხე დღეს დიმიტრიმ ილარიონის მგეგმაე-ეკონომისტად დანიშნის ბრძანებას ხელი მოაწერა. ილარიონი მგეგმაე-ეკონომისტის კაბინეტში მოეწყო, ეუუენა კი საქმეთა მმართველად დანიშნეს. როგორც კი ეს ვარლამ გოგუაძემ გაიგო, გაოცდა. ილარიონს ვარლამის აღშფოთება რომ შეეწელებინა, კაბინეტში ეახლა.

— ხომ იცით, ლეარძლიანი ადამიანები ჯერჯერობით აქა-იქ შემორჩენილია კარგად იცით, თქვენზე ცუდის თქმა არ გამებარდება. თქვენზე რომ უსახელო წერილებს წერენ, ეს კაცობაა? — ილარიონმა გულუბრყვილო ადამიანის გამომეტყველება მიიღო და ისევე ენის ბორძიკით ფრთხილად განაგრძო. საგანგებოდ ახელებდა, ამით დროს იგებდა და გონების თვალთ ნათქვამს ამოწმებდა. — თქვენს შესახებ უსახელო წერილები მიიღო დირექტორმა. არ დამკლავთ და ეს დირექტორს არ უთხრათ, თორემ მეც გადაამეკიდება! ადამიანობას გეფიცებით, სინიღისმა არ მომცა უფლება, თქვენისთანა ოქრო კაცისათვის არ მეთქვა ყოველივე ის, რაც გავიგე!

ილარიონს ეგონა, დირექტორის გაკიცხვა ვარლამს გაეხარებოდა. ის ერთს მეორესთან აგინებდა და მეორეს პირველთან. ამით უნდოდა ცალკ-ცალკე ორივე მადლიერი ჰყოლოდა. ამიტომ ის მორიდებულად და მანჭვა-გრეხით ეუბნებოდა.

— ეტყობა, დირექტორი თქვენს წინააღმდეგ მასალებს ამზადებს და მე მინდა თქვენ შუად და ფრთხილად იყოთ, ხომ იცით, უსახელო წერილებს კომისიები მოსდევს.

ვარლამმა ჩაიციინა და ილარიონს დინჯად მიუგო:

— რა საჭიროა უსახელო წერილების წერა! თუ მისი დამწერი მართლაც კაცია და საქმისათვის გული ეწვივნ, ხელი მოაწეროს, რად არ აწერს ხელს? იქნებ უსახელო წერილების ავტორიც რალაცაში სცოდავს, თორემ უკეთესი არ იქნებოდა, პირდაპირი ყოფილიყო?

— მე იმიტომ მოვედი, რომ გამეფრთხილებინეთ! — ლაქუციით განაგრძო ილარიონმა.

— ნუ წუხდებით, მე თქვენი გაფრთხილება არა მჭირდება, — მტკიცედ მიუგო ვარლამმა. — ვინც არ უნდა იყოს მისი დამწერი, მან უნდა იცოდეს, რომ უმთავრესია პატიოსნება და სიმართლე. მე შენ კარგად გიცნობ, ენის მიტან-მოტანით თავს ვერავის შეაყვარებ. იქნებ ფიქრობ, დიმიტრი უკლება აქ მუდმივად იქნება. შენ ისარგებლე დიმიტრის ნებისყოფის სისუსტით, მაგრამ გახსოვდეს, ხალხმა იცის, რა კაციცა ხარ. ჩრდილქვეშ ყოველთვის კი ვერ იქნები. აი, გადმომცეს მე შენი ნამუშევარი. იქ იმდენი შეცდომაა, რამდენი ასოცაა. გირჩევ, შენ თვითონ სთხოვო დირექტორს განთავისუფლება, შენი პატიოსნება მაშინ დამტკიცდება!

ილარიონს ელდა ეცა, ხმა ჩაუწყდა. ვარლამისაგან ასეთ სიტყვებს არ მოელოდა, რეტდასხმულივით წაბარბაცდა და რომ არ დაეცემულიყო, კედელს მიეყრდნო.

ღია ფანჯარაში ზღვის გრილი ჰაერი შემოიჭრა. ილარიონმა სუფთა ჰაერი ხარბად შეისუნთქა. ღია ფანჯრისაკენ გაიხედა. ცის ლურჯი აბრეშუმი მეწამულ სიწითლეში გახვეულიყო... ზღვა ღელავდა, ბობოქრობდა და მზეც თითქოს ამხეფებულ ზღვის ტალღებში ნელ-ნელა იძირებოდა.

და აი, უყურებს ილარიონი როგორ იძირება მზე. ვარლამის სიტყვების შემდეგ თითქოს ასევე იძირება ბურუსით მოცულ ბნელ უფსკრულში მისი იმედიც.

ძალ-ღონე მოიკრიბა, დარწმუნდა ვარლამის გულის მოსაგებად მისი ცდა ამაო იყო და ღერეფანში ლასლასით გავიდა.

• •

ვარლამმა დიმიტრის შეუტანა ილარიონის მიერ შედგენილი საწარმოო-საფინანსო გეგმის გაანგარიშება, რომელიც წითელი ფანქრის მსხვილი ხაზებით იყო აჭრელებული.

დიმიტრიმ როგორც კი გადაავლო თვალი წითელი ფანქრით გადაჭრელებულ ქაღალდს, გაოცდა.

— ნუთუ ასეთი უვიცეები გვყავს კომბინატში? — შეეკითხა ის ვარლამს.

— დიახ, სამწუხაროდ.

— კი, მაგრამ, მიკვირს, როგორ შეინარჩუნეთ ამის დამწერი?

— ამის დამწერი თავის დროზე მოიხსნა, მაგრამ ახლა ის თქვენ დანიშნეთ.

— მე?! — გაიკვირვა დიმიტრიმ.

— დიახ, თქვენ!

დიმიტრის არ მოეწონა ვარლამის გამომწვევი ტონი.

— ვინ არის ამის დამწერი?! — ჰკითხა ბოლოს ვარლამს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ილარიონი ღირექტორის წინ იდგა. ის წითელი ფანქრით აჭრელებულ ქაღალდს დასცქეროდა.

— ილარიონ, ეს შენ გაიანგარიშე? — ჰკითხა ღირექტორმა.

— დიახ! — უპასუხა ილარიონმა.

— ხედავ, წითელი ფანქრით რამდენი შესწორებებია გაკეთებული?

— დიახ, ვხედავ! — მშვიდად მიუგო მან. — ამხანაგო ღირექტორო, მე იმასაც ვამჩნევ, სადაც პატარა ხაზი შეიძლება და გასმოდა, იქ საგანგებოდ მსხვილად არის ხაზგასმული. ეტყობა, ვინც ეს გააკეთა, ცდილობდა ჩემი ნამუშევარი განგებ აეჭრელებინა!

დიმიტრიმ გაანგარიშება აიღო და ილარიონს მკაცრად მიმართა:

— თქვენ უვიცი ყოფილხართ. მე თქვენში მწარედ მოვტყუვდი.

— მე, გეთყუა, კვლავ დამელოებ, რომ უვიცობა აქ არ ჩანს, — დაიწყო ილარიონმა. — რა ვუყოთ მერე, თუ წითელი ხაზებია გასმული. ეს ხაზები, მე მგონია, უვიცობას კი არა, შეცდომებსაც არ ნიშნავს. მე მინდოდა შეთქვა, რომ აზრთა სხვადასხვაობა ყველგან არსებობს. მე ჩემი პროექტი წარმოვადგინე. სხვამ კი თავისი პროექტი წითელი ფანქრით ზედ მიაწერა... ახლა თქვენ განსაჯეთ, თუ რომელი აჯობებს.

— კი, მაგრამ შენს მაგიერად სხვამ გააკეთოს საქმე? — უთხრა დიმიტრიმ ილარიონს.

დიმიტრი ერთ რამეში დარწმუნდა — მიხვდა რომ ილარიონი დიდად მოხერხებული კაცი იყო. ყოველგვარი მდგომარეობიდან თავს დაიძვრენდა. „მე ამათ გამოვიყენებ, მისგან გავიგებ ხოლმე, ვინ არის ჩემი მტერი და ვინ მოყვარე. იყოს თავისთვის, მე ხომ არაფერს მიშავებს. იგი ხომ ჩემი ერთგული კაცია. ვარლამი კი ჩემთვის უფრო საშიშია, ვიდრე ილარიონი“, — უცებ გაუელვა გონებაში დიმიტრის.

— წადი, თავისუფალი ხარ, — უთხრა მან ილარიონს.

ილარიონ ქორიძემ თავზიანად დატოვა ღირექტორის კაბინეტი.

— ჩემი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა გააუქმოთ თქვენი ბრძანება ილარიონ ქორიძის მგვგამა-ეკონომისტად დანიშვნის შესახებ! — მტკიცედ უთხრა ვარლამმა დიმიტრის, როცა ილარიონი გავიდა.

— როგორ? — გულმოსულად უპასუხა დიმიტრიმ. — იცოდეთ, მე თქვენი მითითებებით არ ვმუშაობ! აქ მე ერთ-მართველი ვარ.

— არა, არა... ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. კრიტიკის გეშინიათ, მაგრამ რატომ არ ფიქრობთ, კრიტიკას რომ ვერ გაეჭვივით!

დემიტრი წამოწითლდა და ზეზე წამოიჭრა. ვარლამის სიტყვები გულზე მოხვდა.

— თქვენი სიტყვების გამო მე ბრძანებას არ გადაუქმებ, ეს უნდა იცოდეთ, გესმით?

— ილარიონს რომ იცავთ, ეს ყველამ იცის, — მიუღო ვარლამმა. — ილარიონი შენს ჩრდილქვეშ აფარებს თავს. ილარიონი ჩვენს წარმატებებს უკან ეწევა. კომბინატის წარმატება პირადი ღვაწლი ჰგონია. მე საკითხს ხელმძღვანელ ორგანოში დავაყენებ. ვნახოთ, ჩვენს შორის ვინ იქნება მართალი!

— ინტრიგას იწყებ? — ხმაილლა და თანაც თავშეკავებული სიბრძნით წამოიძახა დემიტრიმ. — ინტრიგანებს მე არ დავაყენებ ჩემთან!

— მე ვალდებული ვარ ვიბრძოლო სიმართლისათვის, — განაგრძობდა ვარლამი. — შენ გინდა ნაკლოვანებანი მიჩქმალო, შენ კრიტიკის ძალა სხვაგვარად გესმის.

მართლაც, დემიტრი გულში სხვაგვარად ფიქრობდა — კრიტიკის გაშლის უფლება ყველას რომ მიეცე, ისინი საჯაროდ გამოვლენ, ალაპარაკებიან ჩამორჩენაზე და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნება, თითქოს მუშაობა ჩაშლილია. მერე ვინ დამაყენებს დირექტორად? თვითკრიტიკით რომ გამოვიდე, ამ შემთხვევაშიც შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელმძღვანელობის გაწევის უნარი არა მაქვს, ორივე შემთხვევაში მომხსნიან, დიახ მომხსნიან!

ილარიონმა იცოდა დემიტრის აზრი კრიტიკის შესახებ და ერთხელ მორიდებით უთხრა:

— გეთაყვა! თქვენი აზრი არ არის სწორი, ჩემი რჩევა არ გეწყინოთ, კრიტიკა და თვითკრიტიკა თქვენს სასარგებლოდ უნდა გამოიყენოთ, მოქნილი უნდა იყოთ, გეთაყვა, მოქნილი!

— ვერ მიგიხვდი, ჩემო ილარიონ, ვერ მიგიხვდი!

— გეთაყვა, — გულშემატკივარით

დაიწყო ილარიონმა. — კრიტიკა გეჭმინად უნდა წარმართოთ. კრიტიკის გეგმა მოხერხებულად უნდა შეესაბამებოდეს არის მთავარი.

— კრიტიკის გეგმის შესრულება რასა ჰქვია?

— ჰმ, გეთაყვა, თუ გინდათ საქმე კარგად წაგივიდეთ, კრიტიკის გეგმაზედაც უნდა იფიქროთ. კრიტიკის გეგმა პირადად უნდა შეადგინოთ და ეს საიდუმლოება არავის გაანდოთ. მხოლოდ კრიტიკის გეგმის შესასრულებლად საჭიროა შერჩეული გყავდეთ ხუთი-ექვსი კაცი, რომელთაც ენდობით. იმათ უნდა გაანდოთ თქვენი აზრი იმის შესახებ, თუ საით წარმართონ კრიტიკა, ვის დასცხონ. ისინი კრიტიკით რომ გამოვლენ, თქვენზე არაფერს იტყვიან, ხოლო კრიტიკა საერთოდ გაშლილი იქნება. აი, ამას ვუწოდებ მე კრიტიკის გეგმის შესრულებას. მერე ვერავინ ვერ გისაყვედურებთ, კრიტიკა არ გქონდათ გაშლილიო.

— თვითკრიტიკაზე რას იტყვი, ილარიონ?

— გეთაყვა, მოხსენებისათვის რეგლამენტი ხომ არის განსაზღვრული? რეგლამენტი კრების კანონია. ამ დროის განმავლობაში ილაპარაკეთ წარმატებებზე და, თუ ვინმემ ვისაყვედურათ, მოხსენებაში თვითკრიტიკა არ იყო, თავი იმართლეთ.

— რითი, ილარიონ?

— თქვით, რომ თვითკრიტიკისთვის დრო არ მეყო-თქო. თუ ვინმემ ჰკუის სწავლება დაგიწყოთ, იმას ხმა აუმაღლეთ, აგრძნობინეთ თქვენი ძალა.

დემიტრის* მამის ჰკუაში დაუჯდა ილარიონის რჩევა.

და აი, ახლა დემიტრიმ ვარლამის სიტყვები რომ მოისმინა, ხმა შეიცვალა, თავი ქედმაღლურად დაიჭირა და უთხრა:

— ჰკუის სწავლებას თავი დაანებეთ! თქვენი განმარტებანი არ არის საჭირო, თუ მუშაობა არ შეგიძლიათ, დასწერეთ განცხადება და გაგათავისუფლებთ.



ილარიონი დერეფანში შეხვდა ვარლამს, მაგრამ ვარლამი ისეთი კოპებშეკრული იყო, რომ თვალის გასწორებაც კი ვერ გაბედა. ქურდულად გააყოლა ცბიერი თვალები და, როდესაც ვარლამის ხელში თავისი ნაწერები შენიშნა, გაიფიქრა, ეტყობა, არ შეშვება, მაგრამ სამაგიეროს გადაუხდო, მერე სწრაფად შეტრიალდა და ღირეჭტორის კაბინეტის კარები ფრთხილად შეაღო, რათა ეს შემთხვევაც მოხერხებულად გამოეყენებინა ვარლამის წინააღმდეგ.

ღიმიტრიმ, როგორც კი ილარიონი დაინახა, გულმოსულად დაიწყო:

— ხედავ, ვარლამმა ჰკუის სწავლება დამიწყო! იმას ჰგონია კრიტიკა და თვითკრიტიკა მაშინ იქნება გაშლილი, თუ ჩემს წინააღმდეგ დაიწყებენ ბრძოლას. ამას მე ვერ მოვითმენ. ჩანს, ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა დაუწყიათ... გავიგე, რაიკომში ჩემს წინააღმდეგ ქალაქი შეუტანიათ.

— დარწმუნებული იყავით, გეთაყვა, — შეაპარა ილარიონმა, — წერილის ავტორი ვარლამი იქნება.

— როგორ? ის დაწერდა? — იკითხა ღიმიტრიმ.

— აბა, ღირეჭტორობა, გეთაყვა, სხვას არავის უნდა. ის დიდი ხანია ამაზე ოცნებობს და იმის მეტი ამ საქმის გამკეთებელი აქ არავინ არაა.

— ამალამ ცხრა საათზე აქ იყავი, — ხმადაბლა უთხრა ილარიონს. — ვარლამის შესახებ მასალები დამიშხადე, რაიკომის წარმომადგენელი მოვა. თავზედობას ვარლამს კი არა, ღმერთსაც არ ვაპატივებ!

ილარიონი აიძურწა, დაივრიხა, დაიმანჭა და ზრინწიანი ხმით ამოიხრიალა:

— ყველაფერს გავაკეთებ, ამის იმედი გქონდეთ!

ღიმიტრიმ მაგიდის უჯრები დაკეტა, ქული დაიხურა და წავიდა.

ილარიონი მარტო დარჩა. სხვადასხვა აზრმა ისე შებოჭა მისი გონება, რომ თავი ასტივდა; საფეთქელთან ძარღვის მტკივნეული ფეთქვა უფრო და უფრო გაუძლიერდა, ხოლო თავის ქალა ისე გაუხურდა, თითქოს ცეცხლის ნაპერწკლები სწვავენო.

„ღიმიტრი რაიკომში წავიდა, მაშასადამე, ის გაბედულად მოქმედებს, — ფიქრობდა თავისთვის ილარიონი. — კაცი ღირეჭტორია და რაიკომი როგორ არ დაუჯერებს? დიახ, მას დაუჯერებენ და ვარლამ გოგუაძეს მოხსნიან. მეც სხვა არაფერი მინდა. დადგა გადაწყვეტი საათი. ახლა უფრო საჭიროა მეტი ჰკუა და გონება. ფრთხილად, ილარიონ, ფრთხილად!

ის ოთახში ვერ გაჩერდა, დერეფანში გამოვიდა. წინ ეუუუნა შეეხეჩა. შინ მიდიოდა. ილარიონი ბოროტმა აზრებმა შეიპყრო. ერთბაშად შეშლილი სახე მიიღო, მკლავებში ხელები ჩაავლო, ახლოს მიიწია და ეუუუნა რომ აღეშფოთებინა, დაბალი ხმით უთხრა:

— იცოდე, ვარლამმა შენი მოხსნის საკითხი უკვე დააყენა. ეუუუნას კომბინატში გაჩერება არ შეიძლებაო. ის ამით ცდილობს, მეც მომიკლას გული. რასაკვირველია, მისი მოთხოვნა სრულიად უსაფუძვლო იყო და ღირეჭტორიც წაეჩხუბა. ვარლამი ძალიან თვითნებობს. ოფიციალურად ის ამას სიმართლისათვის ბრძოლას უწოდებს, მაგრამ ღიმიტრი განა ბრყვია, რომ მას დაუჯეროს? მისმინე, გეთაყვა, ღიმიტრი რაიკომში წავიდა და ვნახოთ, რა ამბავს მოიტანს. ახლაც არ დაიჯერებ, ვარლამ გოგუაძე რა დაუნდობელია?

— რად გადამეკიდა, რა უნდა ჩემგან? — გულშეწუხებულმა, ოღნავ გასაგონი ხმით თქვა ეუუუნამ.

— გეთაყვა, დროა, თეთრი შავისაგან გაარჩიო, — დამარწმუნებლად უთხრა ილარიონმა. — განა არ იცი, ვარლამ გო-

გუაძე როგორი ადამიანია? განა მასზე ზედგამოჭრილი არ არის ხალხური თქმა — „თეთრი კბილი და შავი გული“? მე, გეთაყვა, კიდევ მეტს გეტყვი: მას არა მარტო გული, არამედ კბილებიც კი შავი აქვს და ეს რომ არ დაინახო, ბრმა უნდა იყო.

ჟუჟუნას ფერი ეცვალა. ილარიონმა შენიშნა და შემპარავად ჩაურთო:

— რომ მოგხსნას, მაშინ რა გეშველება, თვალი სად უნდა გაახილო?

ჟუჟუნამ ცრემლიანი თვალებით შეხედა მხოლოდ. ახლა კი ილარიონმა თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მისი ბედით ძალზე დაინტერესებული ყოფილიყო.

— კარგი, გეთაყვა, კარგი. მე ვფიქრობ, ვარლამი თავისას ვერ გაიტანს. მაცალე. ახლა შინ წადი, არავის არაფერი უთხრა. საქმეს მე მოვაგვარებ. სანამ ილარიონ ქორიძე ცოცხალი იქნება და დიმიტრი უკლებს აქ გვეყოლება, ნურაფრის გეშინია. მალე ჩვენი ქორწილიც იქნება და, ალბათ, მას ესეც შესურდება. შოთოშინე. ყველაფერი მოითმინე და შენი ილარიონი გაგახარებს.

ჟუჟუნა გონებაარეული წავიდა შინისკენ. ათასგვარი აზრი უტრიალებდა თავში. თუმცა ილარიონმა იმედი მისცა, მაგრამ ჟუჟუნამ განა არ იცოდა, რომ ილარიონს ყველაფერი არ დაეჯერებოდა? მან კარგად იცოდა ილარიონის ხრიკები, ის ზოგჯერ ერთს ამბობდა და მეორეს აკეთებდა.

— ალბათ მე მაიმედებს და, ვინ იცის, თვითონ მალულად თავის საქმეს აკეთებს? — ასე ფიქრობდა ჟუჟუნა და ამ აზრმა შეაძრწუნა. გადაწყვიტა ვარლამი ენახა. ამ განზრახვით უკან დაბრუნდა. კომბინატის კიბე ისე აირბინა, რომ არავინ შეხვედრია. ჩქარი ნაბიჯით გაიარა დერეფანი და ვარლამის ოთახში შევიდა. ვარლამი თავის საწერ მაგიდასთან იჯდა და რაღაცას წერდა. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ჟუჟუნა ასე სახეაღლეწილი, ასე აკანკალებული ენახა.

— რა იყო, რა შეგემთხვა, ჟუჟუნა? — გაიკვირვა ვარლამმა.

— მითხარით, რა მოხდა? რა გენდათ ჩემგან? რატომ აყენებთ სამსახურიდან ჩემი მოხსნის საკითხს?

ვარლამისათვის სრულიად გაურკვეველი იყო ჟუჟუნას საქციელი. ეს გოცემა არც დაუმალავს. მაშინ ჟუჟუნამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ვარლამი სახტად დარჩა.

— ეს ილარიონის ოიენებია — მტკიცედ უთხრა ვარლამმა.



სალამოს კომბინატში ყველაზე ადრე ილარიონი მოვიდა; სახეგაფითრებული, თვალებამდვრეული, გამოსავათებული ფეხზე ძლივს იდგა. შემფოთებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

ასეთ დროს ილარიონი არასოდეს არ მოსულა კომბინატში და თუ ამ საღამოს მოვიდა, ეს იმიტომ, რომ დიმიტრიმ საგანგებოდ დაიბარა — ვარლამ გოგუაძის წინააღმდეგ მასალები უნდა მოემზადებინა. ამის გამო ილარიონი ძალზე აფორიაქებულია; იცის დადგა გადამწყვეტი წუთები, როცა შეიძლებოდა ბოროტი, ჩანაფიქრი განეხორციელებინა. დარდებმა და მოსალოდნელმა უსიამოვნებამ შეაძრწუნა, ხასიათი აუმღვრია.

ილარიონი თავის საწერ მაგიდას მიუჯდა, ოთახის კარები ღიად დატოვა, რომ დაენახა, კომბინატში ვინ შემოვიდოდა, თანაც ისეთი შთაბეჭდილების შექმნას ცდილობდა, თითქოს დღედაღამ დაუხარებლად შრომობსო; უჯდა საწერ მაგიდას, გადაშლილი ჰქონდა სხვადასხვა სახის ქაღალდები, ხელში ფანქარი მოემარჯუებინა, ვითომ ნაწერებს ასწორებდა, მაგრამ არა, ამისი თავი მას ახლა არ ჰქონდა; ამ წუთებში მხოლოდ ერთი რამ ამოძრავებდა — დიმიტრი ან ვარლამი რომ გამოჩნდებოდა, მხოლოდ მაშინ დაიწყებდა წერას, რათა ისინი დაერწმუნებინა, მუყაითი მუშაკი ვარო.

კიდევ მეტიც: მან იცოდა რაიკომის წარმომადგენელი უნდა მოსულიყო და უნდოდა იმისათვისაც ეჩვენებინა, რომ თავდადებული მუშაკი იყო.

ასეც მოხდა. როგორც კი დერეფანში გამოჩნდნენ რაიკომის წარმომადგენელი გაგი უშარაული და დიმიტრი უკლება, ხელები დაიწყო, ყურადღება მომაქციონო. მათაც შეხედეს. დიმიტრი და გაგი როგორც კი კაბინეტში შევიდნენ, ილარიონმა თავისი ოთახის კარები მიხურა და ჯიბიდან ქაღალდები ამოიღო.

უცებ, ილარიონისათვის მოულოდნელად, კარი გაიღო და ოთახში შეუქუნა გამოჩნდა.

ილარიონი ჯუჯუნას გამოჩენამ დაანბნა. ქაღალდები, ხელში რომ ეკავა, ერთბაშად მაგიდაზე გადაშლილ საქმეებს ამოაფარა. ჟუჯუნამ ეს შენიშნა, მაგრამ არაფერი უთხრა, ილარიონმა ნაძალადევად გაუღიმა. ჟუჯუნა შუბლშეკრული მიუახლოვდა მას. ილარიონს არ ესიახოვნა ჟუჯუნას საქციელი. ადგეს და ჩვეულებრივად მიესალმოს, ან გაეხუმროს, არ შეუძლია, რადგან ის ქაღალდები, რომლებიც არ უნდოდა ჟუჯუნასათვის ეჩვენებინა, ვერ გადამალა. ჟუჯუნამ თავი ისე დაიკირა, თითქოს არც კი შეუშინებია, ილარიონი მარჯვენა ხელს როგორ აფარებდა ქაღალდებს.

ილარიონმა იდროვა, მარცხენა ხელით მაგიდის შუა უჯრა გამოსწია და მარჯვენა ხელით ქაღალდები შიგ ჩაყარა.

ჟუჯუნამ ესეც შენიშნა, მაგრამ არ გამოამყვანა.

უწინ ილარიონი ასე რომ მოქცეულიყო, ჟუჯუნა ჩააფრინდებოდა და მანამ არ მოეშვებოდა, სანამ ქაღალდებს ილარიონი თვითონ თავისი ნებით არ მისცემდა. მაგრამ ახლა ჟუჯუნა სულ სხვა აზრით, სხვა განწყობილებით იყო მოსული. ეს იგრძნო ილარიონმაც.

— ჩემო ჟუჯუნა! — აღერსიანად, მაგრამ ძალდატანებით დაიწყო ილარიონ-

მა. — ასეთი მოწყენილობა შენს ლამაზ ხახეს არ შეკფერის!

— თავს ნუ ისულელბ, ილარიონ!

— კაცმა ხანდახან თავი უნდა მოისულელოს, — კვლავ იხუმრა ილარიონმა.

— მაგისთანა რჩევით ჩვენ არ დავდივართ! — უკმეხად უბასუხა ჟუჯუნამ.

— არა, კი არ გეწყინოს, — დაიწყო ილარიონმა მანკვა-გრებით, — ასე იმიტომ გითხარი, რომ მართლაც ზოგჯერ საჭიროა კაცმა თავი მოისულელოს, რომ მსუბუქად შეხედო ამ ქვეყანას და მეტადრე შენისთანა გულმოსულ ქალიშვილს!

— ილარიონ! — მიმართა მტკიცედ ჟუჯუნამ. — სისულელეების როშვას თავი დაანებე! დღეს უნდა გაირყვეს სიმართლე; ან შენ, ან მე!

— ტკბილი ცოლ-ქმარი თოხის ტარზე მოთავსდაო, ხომ გაგიგონია, მე და შენ ზმ კრცელ მიწაზე ვერ დავეტივით თუ?

ჟუჯუნამ შუბლი შეიკმუხნა, გულმოსულს ფერი წამდაუწუმ ეცვლებოდა.

— რატომ მომატყუე? რისთვის დაგკირდა ჩემი მოტყუება?

ილარიონი მაშინვე მიხედა, თუ რამ ააღელვა ჟუჯუნა და დამშვიდება დაუწყო. იმის შიშით, საიდუმლოება არ გამოამყვანოსო, რა არ უთხრა, რას არ დაპირდა, როგორ არ დაედროჯა, როგორ არ ეხვეწა.

ილარიონი დაიბნა. მისი გული გაურკვეველმა შიშმა შეიპყრო. ამ დროს დერეფანში საუბარი და ფეხის ხმა გაისმა. ილარიონი ჟუჯუნას კვლავ ემუდარებოდა დამშვიდებულებიყო. ჰპირდებოდა — ყველაფერს გამოეასწორებო, მალე ვიქორწინებო და ბედნიერ ცხოვრებას დავიწყებო.

ოთახში ზარი ორჯერ აწყრიალდა. დირექტორი უხმობდა ილარიონს.

— ჟუჯუნა, ახლა მკირდები და ასეთ მომენტში ყელში დანას მისობ?

— დღეიდან მე შენთან არაფერი მაქვს საერთო, მომშორდი!

კვლავ გაისმა ზარის ხმა, ახლა უფრო ხშირი და წყვეტილი.

ილარიონს ზარის ხმისათვის არც ახლა მიუქცევია ყურადღება, მაგრამ... ერთი თუ ორი წუთის შემდეგ ოთახის კარები გაიღო და დიმიტრი უკლებას გამწყრალი სახე გამოჩნდა.

— არ გესმის, რომ ვრეკავ? — გულმოსულად მიმართა ილარიონს. — წამოდი ჩემთან!

ილარიონი აიძურწა, მაგიდისაკენ დააბირა წასვლა, რათა შუა უჯრა დაეკეტა, მაგრამ დიმიტრამ მეორედ რომ უთხრა, ახლავე წამოდიო, რეტდასხმულივით აედევნა. მაშინ ეუუენამ ილარიონის მაგიდის შუა უჯრა გამოსწია, ილარიონის მიერ ჩადებული ქაღალდები ამოიღო, გაშალა, წაიკითხა და ელდა ეცა; წაიკითხა ერთხელ, წაიკითხა მეორეჯერ, თვალს არ დაუჯერა, ისევ გადაიკითხა და აძიგძიგებული ისტერიკულმა სიცილმა აიტანა, მერე ცრემლები მოერია და შესლილი სახით დირექტორის კაბინეტისკენ გაიჭრა.



დირექტორის კაბინეტში რაიკომის წარმომადგენლის — გაგი უშარაულის პირდაპირ მაუდგადაფარებულ გრძელ მაგიდას ვარლამ გოგუაძე და თადეოზ გრძელიშვილი შემოსხდომოდნენ. ჩანდა, გაგი უშარაული მათგან ახსნა-განმარტებას ისმენდა, იქვე იდგა ილარიონ ქორიძეც.

— მაშ, ამხანაგო ილარიონ, — ეკითხებოდა გაგი, — ვარლამ გოგუაძის ხელის მოწერით შემოსულ განცხადებაში აღნიშნული ფაქტები არ არის მართალი?

— გეთაყვა, კაბინეტის ახალი მოწყობილობა ამხანაგ დირექტორს არ უყილია. თანხების გადარიცხვაზე მისი განკარგულება არ ყოფილა, — დინჯად

განმარტავდა ილარიონი. — მიკერს ვარლამი მას რატომ სდებს ბრალს სახელმწიფო თანხების უყადრით ჩაუჯვავში. მე მგონია, ვარლამი ცდილობს დიმიტრის ადგილი დაიკავოს... აქ ინტრიგაა, გეთაყვა, ინტრიგა.

— სისულელეს ჩმახავ, ილარიონ! — უთხრა ვარლამმა. — მე ეგ წერილი არ დამიწერია...

ამ დროს ეუუენა ისე შემოიჭრა დირექტორის კაბინეტში, რომ ყველანი გაოცებულნი ზეზე წამოიჭრნენ. ის აფრივალებდა ილარიონის მაგიდის უჯრიდან ამოღებულ ქაღალდებს და თან გაიძახოდა:

— შეხედეთ, ილარიონს რა საზიზრობა მოუჩმახავს?

ილარიონმა იგრძნო, რომ ყველაფერი გამოაშკარავებული იყო.

გაგი უშარაულმა ეუუენას მიერ შემოტანილი ქაღალდები გადაშალა. ის იყო უსახელო წერილები, რომლებიც ილარიონის მიერ გაზეთებიდან ამოჭრილი ასოებისა და ცალკეული სიტყვებისაგან იყო შედგენილი. წერილი ეხებოდა ეუუენასთან ვარლამის ვითომ გარყვნილი ცხოვრების აღწერას კომბინატში, წერილის მიზანი ცხადი იყო, როგორმე დაეცათ ვარლამ გოგუაძის ავტორიტეტი, გაელანძლათ ეუუენაც.

— შევცდი, მიუტევებელი რამ ჩავიძინე, ილარიონს რომ ვენდე! — გამწარებული გაიძახოდა ეუუენა.

— იცით, რა გითხრათ, ამხანაგო ეუუენა? — უთხრა მას უშარაულმა. — ჩვენ ყველაფერი ვიცოდით, ჩვენ ისიც კი დავადგინეთ, რომ აი ეს წერილი, რომელიც რაიკომმა ვარლამ გოგუაძის ხელის მოწერით მიიღო, ილარიონის დაწერილია. გოგუაძის მაგიერად მას მოუწერია ხელი. ჩვენ სხვა წერილებიც გვაქვს. ამ წერილებში აღნიშნულია, რომ ილარიონ ქორიძე უდანაშაულოდ არის დასჯილი, ის არის დაუფასებელი მუშაკი, დიდი გამოცდილებისა და ცოდნის მქონე, ამიტომ იგი არა მარტო თა-

ვის თანამდებობაზე აღდგენის ღირსია, არამედ დაწინაურებისაც. მერე იცით, ამ უსახელო წერილის ავტორი ვინ არის? თვითონ ილარიონი, აი, შენიღბული თვითრეკლამა... დიახ, შენიღბული, მაგრამ ნიღაბი ჩამოხდილია.

გაგის უცებ თითქოს რაღაც მოავონდაო, გადაშალა დიმიტრის მიერ გადაცემული უსახელო წერილები, რომლებიც ვარლამ გოგუაძეს შეეხებოდა. ისიც ისე, როგორც ეს ყუჟუნამ შემოიტანა, გაზეთებიდან ამოჭრილი ასოებიტა და ცალკეული სიტყვებისაგან იყო შედგენილი, ხოლო ერთი მათგანი ხელნაწერი იყო.

ყუჟუნამ როგორც კი თვალი მოჰკრა ხელნაწერს, ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა და წამოიძახა:

— მომკალით, გამკიცხეთ... არ დაგიმალავთ, ეს ხელნაწერი ჩემია. ილარიონმა მიკარნახა, მე კი დავწერე, მაპატიეთ, მაპატიეთ!

გაგიმ დიმიტრის შეხედა და ამ ამბით გაკვირვებულმა მშვიდად უთხრა:

— სიბეცე გამოგიჩენიათ! არ იცით, თქვენს დაწესებულებაში, თქვენს თვალწინ რა ხდება, წესრიგი ვერ დაგიმყარებიათ? ვინც სიმართლე გითხრათ, პირად მტრებად გამოაცხადეთ, ხოლო მლიჭვნელები დაიახლოვეთ და თქვენი დამცველები გეგონათ. ... ესაა თქვენი შეცდომა!

— მე ვგრძნობ ჩემს შეცდომებს, მაგრამ რა ვქნა, რომ გვიანად შენიღბულბუტა დიმიტრიმ.— გულკეთილობამ მიქნა ეს, გულკეთილობამ. ვენდე და არც კი შემიმოწმებია ვისთან მაქვს საქმე... რევიზია გამოვიწვიე, მაგრამ დღემდე არ ჩამოსულა და თანხების უყაირათოდ ხარჯვა ამიტომ ვერ გაიბრკვა...

თადეოზი ახლოს მივიდა ილარიონთან, თავისი ძარღვიანი ხელი მკლავში მაგრად ჩასჭიდა, თავისკენ მოატრიალა და უთხრა:

— მე ხომ თავიდანვე მართალი ვყოფილვარ შენს მიმართ, ა? ასეა ბიძია, ცხოვრება მკაცრია. შენისთანა გაიძვერებსა და დიმიტრისთანა ვაიხელმძღვანელებს ვერ მოითმენს. მათ ხელმძღვანელობაში პეპლის სიცოცხლე უწერიათ.

ვარლამი ადგა და ილარიონს მიუბრუნდა:

— ხედავ, ანგარიშში მოტყუვდი, უკვე არავისი ჩრდილი არ დაგიფარავს, მფარველი არავინ გეყოლება. შენ ამ თანამდებობაზე პურმარილით მოხვედი და ახლა კი უპურმარილოდ მიდიხარ. სირცხვილი შენი!

ილარიონმა თავი ჩაღუნა და სახეზე ყვითელმა ფერმა გადაჰკრა.

...

მეორე დღეს კომბინატში არც ილარიონ ქორიძე იყო და არც მისი ღირექტორი დიმიტრი უკლება.

სამად ვერგენი

მულანედი გოგონა



ჩანს ყვაეილებში ველი ზღაპრულად,
მტკვარი ლოვლივით ზღვისაკენ მიდის,
ცაზე ვარსკვლავთა გუნდი გაკრულა,
სალმანის ველზე გამჭრალა ბინდი.
და შრიალებენ ლერწმები,

თითქოს
მათი შრიალით დუმილი კრთება,
მტკვრისაკენ მიდის

ბილიკი ვიწრო
და თეთრი, თეთრი სახლების წყება...
სივრცეს შიარღვევს ტრაქტორთ გუგუნნი
და ამ სიმშვიდის დარღვევას ბედავს,
სადღა ახლა ღამე უკუნია...
ბარში ჯეირანს და ღურაჯს ვხედავ.

და გოგონებიც მინდვრიდან ახლა
ნაცნობ ბილიკზე

მოდიან ლხენით,
მთვარის სხივები ეცემა დაბლა,
მიწა საუბრობს.

მეტყველის ვნით.
სივრცე ლურჯდება... როგორც
ღრუბელი,
მთვარის სხივი ძევს ველზე უღვევი.

აი, მივდივარ ხვეული გზებით,
ჩემს წინ მინდორი ქათქათებს თეთრად,
ბამბის ბოჭკოებს დავყურებ გზნებით
და მესმის მათი კვირტების ფეფქვა.
მიპყრობს ვარსკვლავთა ნაზი ციალი,
გულში საამო ფიქრი გროვდება,

ბამბის ბუჩქიდან მესმის შრიალი,
ვხედავ, გოგონა მიახლოვდება.

სადაღ აცვია,

მის სახეს ნეტარს
ჩუმი ღიმილი ნაზ ალერსს ათოვს,
— რად ჩამოშორდი მეგობრებს, ნეტავ,
არ გეშინია მინდორში მარტოს? —
— არ მეშინია, —

მითხრა და ნახად
წინ აღმემართა, როგორც ირემი, —
— თქვენ მონადირე იქნებით, ალბათ,
მაჩვენეთ თქვენი ნანადირევი. —
და გამიღიმა,

გადისვა ხელი
თმებზე და მჭკრეტდა ტრფობის
ალერსით,

როგორ გავბედე, როგორ შევძელი,
რომ ჩაეხივდე მის წყნარ თვალებში.
— მე მონადირე არა ვარ, ქალო,
არ მზიბლავს დევნა ჩიტებზე ფრთხილად,
მე მომწონს თქვენი ყანა და კალო,
თქვენივე სოფლის ნათელი დილა.
— ციებ-ცხელება გეფლობდა ძლიერი,
ხედავ, გამჭრალა იმისი კვალი,
ღღეს გვაქვს ჯანსაღი სახის იერი,
მინდორში ვშრომობთ კაცი და ქალი.
ქვიშნარს ვასხურებთ მტკვრის წყალს
და ვთესავთ,
ეთხრით სარწყავ არხებს ათას
ადგილას.

ყველა აფასებს სიკეთეს ჩვენსას,
ჩვენი სახელი ცამდე გაზრდილა.
ბამბით გავავსებთ ტომრებს ხალისით
და ჩვენს გოგონებს მივაწვდით მაღლა,
გულბებში გვიდგას

მზე და მაისი,
ჯერ არ გვიგრძენია რა არის დაღლა.
თუმცა ქალაქში კაშკაშებს ღამეც,
ძვირფას კაბებში ბრწყინავენ დები,
მაგრამ ჩვენც ვანა გვაქვია რამე,
დღესასწაულებს ფარჩებში ვხვდებით!

და აქ მის ლოყებს მოედო ალი,
მე გამახსენდა საბრალო დედა,
ტანჯვას სახეზე გაეწლო კვალი,
დღეს მის ნაოქებს თითქოს—და ვხვდავ-
და ამ გოგონამ თუკი ინება
გახდება შრომის გმირი პირველი,
მე მასში ვნახე კმაყოფილება,
შრომის ხალისი გასაკვირველი.

—ო, ჩამოსულო, მოჰყევი ამბავს
იმ მანქანაზე, ყველას რომ ხიბლავს,
მოუმწიფებელს არა კრეფს ბამბას,
მარტოკა როგორ აგროვებს მინდვრად?
—ის მომწიფებულ ბამბას კრეფს
უხვად,

დღეცა და ღამეც არ ხუჭავს თვალებს,
ადამიანის მსგავსი აქვს სუნთქვა,
გამოგზავნიან სოფლებში მალე.—
ვთქვი და,

გოგონამ გადიკისკისა,
გული მიიპყრო ანდამატურად,
მისი თვალები ელავდნენ ისე,
როგორც ელვარებს ბნელში ნათურა.
—კარგია, ხალხიც აქეთ იღწვოდა,
გავუშვათ მინდვრად, მოგვეფენს სიამეს,
ჩვენც დაგვიტოვებს წიგნისთვის დროს
და
მოახსენს მშრომელ ადამიანებს.
გზებს გავჭრით,

ჩვენთვის ავაგებთ სახლებს,
მათი გუმბათი რომ ჩანდეს ცაში,
და ჩვენი სოფლის ახალი სახე
უფრო მოგხიბლავთ უთუოდ მაშინ.

და მანათებდა თვალებს მზესავით,
უცხად საოცრად ბავშვური გახდა,
თვალი ჩამიკრა, თვალი შექვსავი,
და თქვა: —ნამდვილად გიცანით ახლა.
თქვენი სურათი ჩვენ ახლაც თან გვაქვს,
ის ამოვეჭრით წიგნიდან ფრთხილად,
უძღვევით ლექსი მინდორს და ბამბას
და ჩვენი ქვეყნის უნაზეს დილას.

გულმა ის მხარე ისევ მოძებნა,
შემოდგომაზე ვიხილე ისევ,
კვლავ გახალისდა ჩემი ოცნება,
ნაცნობი გზებით მივედი მყისვე.

დილის ნიაგი ფრთებს ნაზად შლიდა,
მზე შემბარავად ცვარს და ნამს ჭკრეტდა,
და გოგონები ბამბასთან მშვიდად
წარმტაც სიმღერას მღეროდნენ ერთად:
„მოახლოვდება ზამთარი ჩქარა,
თეთრად დააფენს მინდვრებზე ფარჩას,
აღარ დაეტოვებთ ფთილასაც, არა,
არ გვეზარება შრომა და გარჯა“.

მოსაღამოვდა და ცაზე ზანტად
ქარმა დაშალა ღრუბელთა კრება,
წვიმის ლოდინსაც ეს ქარი ფანტავს
და გოგონები მოდიან წყებად.
ველსა და მინდორს ბალახი მოსავს,
ცხელა, გამჭრალა ღრუბელთ კრებული,
ახლაც სახობტო ლექსების მგოსანს
ხიბლავს მიდამო ამწვანებული.
მთელი დღის შრომით მოუღლეღთ
მაინც

ტირითის ირგვლივ გოგონებს ვხვდავ,
ვხვდავ მათ თვალში სიცოცხლის მაისს,
—მულანელებო, სალაში თქვენდა!

მათ შემამჩნიეს, წამოხტა მალე
ჩემი ნაცნობი კაბის შრიალით,
მომიახლოვდა, ძირს ხრიდა თვალებს,—
თმებს უწეწავდა ცელქი ნიაგი.

აქ ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა,
 მერე დარცხვენით გახედა სიერცეს,
 — ო, რა კარგია, — შითხრა, — რომ
 ენლა,
 მულანის ველზე ჩვენ შევხვდით ისევ. —
 — მალე მიიღეთ ის ლექსი ველად,
 ნეტავ გახსოვდი, გოგონა, დღემდე? —
 — ლექსი ზეპირად ვისწავლეთ ყველამ
 და კიდევ ვმღერით სამხრობის
 შემდეგ. —
 — აბა, იმღერეთ, შეტოკდეს მკერდი,
 ჩემს ნიუს და ძალას ამ ლექსით
 ვსინჯავ. —
 დასხდნენ ქალები ერთუროთის გვერდით
 და წამოიწყეს სიმღერა დინჯად.

ო, როგორ მზიბლავს იმ ხმის სინაზე,
 გული მის გვერდით მღერის ვიღაცეს,
 ბანს აძლევს ველიც, *შმიჭრჩჩ* სხვაზე
 სიმღერა და ჰკეეთს სოფლის ნაპირებს.
 და ჩემი ლექსიც სხვაგვარად მესმის,
 სხვაგვარად მზიბლავს მღერა გაბმული,
 ვგრძნობ,

სიყვარულმა გაიდგა ფესვი,
 ვუსმენ გოგონას სულგანაბული.
 მე კი ეს გრძნობა თან მიმაქვს თბილად,
 ვრჩები ასულის ტრფობით დაჰკრილი,
 ერთიმეორეს დავშორდით ტკბილად
 და მაინც დამდეგს მისი აჩრდილი.

თარგმანი აზერბაიჯანულიდან
ლილა ერაძისა

ღირიქორის გეზულე

მოთხრობა



უკანასკნელი აკორდის ეღერა თანდათან მისუსტდა, მიიღია და თითქოს დამკვრელის თითებს დაედევნენო, კლავიშები ისევ გასწორდნენ.

ზაზა წამოდგა, საათს დახედა და ერთბაშად აწრიალდა. სქელი, ყდამოცვეთილი პარტიტურა სწრაფად დახურა, ნოტების ფურცლებმა გაიტკაცუნეს ერთმანეთზე, პიჯაკი ზურგს უკან მოიფრიალა, ორივე მკლავი ერთად გაუყარა სახელოებში, ქუდს ხელი დასტაცა და, ის-იყო, გარეთ გასვლას აპირებდა, რომ საწერ მაგიდაზე „არქიტექტურის ისტორიის“ სახელმძღვანელოს მოპკრა თვალი.

— დოღო, მივდივარ! — ხმამალა დაიძახა ზაზამ, საწოლი ოთახის კარი შეაღო და განაგრძო: — სადილად ნუ მომიცდი, რეპეტიციის შემდეგ პირდაპირ ოპერაში წავალ, შენ იმეცადინე, არავეინ შეგიმლის ხელს.

ღია ფანჯრისკენ პირმიქცეული მოქანავე საგარძელი ერთბაშად გაჩერდა, ნახევრად შემოტრიალდა და დაწნული ჩაღის ფონზე ახალგაზრდა ქალის შავვკრემანი სახე გამოჩნდა.

— დღეს კინოში მივდივარ, ზაზა.

— წუხელ ხომ ვიყავით.

— ნანულის არ უნახავს და მთხოვა...

— დოღო, — შეცვლილი ხმით წარმოთქვა ზაზამ. — ჩაიჭრები და მერე ინახებ.

— ნუ დარდობ, არ ჩავიკრები, — რაც უცნაურად გაიღიმა დოღომ და გულში გაიფიქრა: „რომ იცოდეს, რა

სიამოვნებით ვიტყვოდი უარს ინსტიტუტში სწავლაზე, მაშინ ხომ შემოძულედა კიდევაც“.

— ჩემი დარიგება არ უნდა გვირდებოდეს, დოღო. სირცხვილია, ბავშვი აღარა ხარ.

— მეც ვიცი, რომ ბავშვი არა ვარ, არც შენი დარიგება მჭირდება, — გაბრაზებით წამოიძახა დოღომ.

ჩაღის საგარძელი ისევ ფანჯრისკენ შეტრიალდა და ახლა უფრო სწრაფად აქანავდა.

ზაზა წავიდა. როცა კიბეებზე მისი ნაბიჯების ხმა მიწყდა, დოღომ ფანჯარაში დაიწყო ცქერა, მხოლოდ ისე, რომ ქუჩიდან არ დაენახათ. ცოტახნის შემდეგ ქუჩაში მიმავალი ზაზაც გამოჩნდა, პორტფელი იღლიაში ამოედო და მარჯვენა ხელს ჯარისკაცივით აქნევდა. დიდხანს გაპყურებდა თავის ქმარს დოღო და გულში თანდათან ნაღველი ეწვეთებოდა. მოულოდნელი მწუხარება ისადგურებდა მის სულში. ზაზამ ფანჯრისკენ აღარ ამოიხედა, ჩვეულებრივად აღარ გაუღიმა და ხელი არ დაუქნია. აქამდე მუდამ ასე ეშვებოდადონენ ერთმანეთს. შეცდა, ტყუილად არ ეჩვენა ფანჯარაში, ეგონა, ზაზა ამოიხედავდა და ცარიელი ფანჯრის დანახვა გულს დასწყევტდა. ინანებდა, ვაწყენინე დოღოსო. მაგრამ ყველაფერი აშირიქით მოხდა.

„მანც რა ვუთხარი ისეთი? — ფიქრობდა დოღო. — შენი დარიგება არ მჭირდება-მეთქი, მერე რა არის აქ საწყ-

ყენი? ასე ჰგონია, მის მეტი ვერაფერ არ ჩვეს კარგსა და ავს. თავის მოჭრად მიანია უდიდლომ ცოლი. ახლა სოფლებშიც აღარ ფიქრობენ ასე. აბა, არ გამოყოლოდა მუსიკის ნიჭი და ასე ადვილად არ აეთვისებინა თავისი პროფესია? მაშინ ნახავდა, რას ნიშნავს შრომა და მეცადინეობა. თუ ახლა არ გავერთე და ცოტა არ ვიმზარულე, მერე ბავშვი მეყოლება და ოთახში უნდა ჩავიკეტო. ამაზე რატომ არ ფიქრობს... ეზოს ბიჭები რომ ხელების ქნევით აედევნებიან ქუჩაში და „ტამ-ტარა-რას“ მისძახიან, ვითომ ჩვენც ვიცით ღირიერობაო, იმათთვის ვერ დაურთებია კეკა და მე მასწავლის, როგორ მოვიქცე“.

ეზოს ბიჭების გახსენებაზე დოდოს სახე გაუფითრდა. თითქოს, აი, ამ წუთში დაინახა ზაზას უკან აღევნებული ბავშვები, ამ წუთში იგრძნო თავი შეურაცხყოფილად, აქამდეც ბევრჯერ გახსენებია ეს სურათი, სწყინდა, მაგრამ „ბავშვებისათვის კეკის სწავლებას“ ზაზას საქმედ თვლიდა, ახლა კი რატომღაც ვეღარ მოითმინა, მოულოდნელად შემობრუნდა, თითქმის მიიჩბინა ტელეფონთან, ნომერი აკრიფა და თვითონაც გაუკვირდა, როდესაც ყურმილში მეზობელი ქალის ხმა მოესმა.

— ქალბატონო ნატო, — რაც შეეძლო მშვიდად წარმოხატევა დოდომ. — დიახ, მე ვარ... ვთხოვთ ყური უგდოთ თქვენს გიგლასა და პატას... არაფერი... რამ შეგაშინათ, არაფერი მომხდარა. ყური უგდეთ... იმიტომ, რომ ყოველდღე ქუჩაში მიჰყვებიან ხოლმე ჩემს ქმარს და... — დოდომ უეცრად გადასწყვიტა, რომ იმ უმნიშვნელო ამბავზე არ ღირდა მეზობლებთან შელაპარაკება. — მიჰყვებიან და საშიშია, ტრამვაიმ არ გაიტანოს...

მეზობელ ქალს ეწყინა ასეთი არასასურველი „წინასწარმეტყველება“, რაღაც ჩაიბურტყუნა და ყურმილი ჩამოკიდა. დოდო კი თავის თავზე გაბრაზდა; ვერ თქვა სათქმელი.

უეცრად საწოლი ოთახში კარი გაიღო და კედელს შემოეხეთქა. ორპირმა ქარმა ქუჩაში გაიტანა ფანჯრის ფარდა, დოდო შეკრთა, მოიხედა და კარში ჩამდგარი ზაზა მოეჩვენა, ნახევარი საათის წინ რომ ეუბნებოდა: „რეპეტიციის შემდეგ პირდაპირ ოპერაში წავალ და სადილად ნუ მელოდებით“.

„მე სულაც არ მინდოდა მისთვის მეწყენინებინა — სინანულით გაიფიქრა დოდომ, — რა მოხდა, თუ ცოლმა ქმრის დარიგება არ მიიღო?“ დოდო მეორე ოთახში გავიდა, კარი მიხურა. საწერ მაგიდაზე დაიხარა და „არქიტექტურის ისტორია“ აიღო. წიგნი გადაშალა იქ, სადაც თითი მოედო. სვეტისთავეებისა და რაღაც ორნამენტების რეპროდუქციები მოხედა თვალში. წიგნი ისევ დახურა და მაგიდაზე დააგდო.

„სადილად ნუ მელოდებით... მერე-და შუალამით რომ მოვა, ჭამა არ უნდა?“ — დოდო ერთბაშად გამოოცხლდა. სააბაზანოში გავიდა. ხალათი გაიხადა, პერანგის სამხრები მკლავებზე ჩამოიციურა და პირ-კისერი ცივი წყლით დაიბანა. სწრაფადვე გამოიწყო და, როდესაც ქუჩაში გამოვიდა, მხოლოდ მაშინ მოაგონდა, რომ ფული არ ჰქონდა. „თქმა დამავიწყდა და არც ზაზას მოაგონდა, რა ექნა ახლა? — გაიფიქრა დოდომ, — უნდა მივიღე და გამოვართვა, თორემ უსადილოდ დავრჩებით“.

დოდოს ბავშვით გაეღიმა. ამ დილამ სახე უფრო გაულამაზა. წარსულის ტკბილმა მოგონებამ ბუღბუღით აუმსუბუქა სხეული. ყოველთვის, როდესაც ერთმანეთს აწყენინებდნენ, ზაზაც და დოდოც სულ უმნიშვნელო მიზეზს მოეკიდებოდნენ და მას გაიხდიდნენ შერიგების საბაბად. თუ ასეთი საბაბი არ არსებობდა, თვითონვე გამოიგონებდნენ და შექმნიდნენ. ასე იყო მუდამ — გაცნობის პირველ თვეებში და შემდეგაც.

დოდოს ახლაც შეეძლო მისულიყო და მეზობლისაგან ესესხა ფული,

მაგრამ არა, ახლა საკმაო მიზეზი აქვს იმისათვის, რომ ზაზას შეურიგდეს და გულიდან გადაიყაროს სევდა, ასე რომ აწვალდეს და სიხარულს ავიწყებინებს.

„მოდი, ვიცრუებ, რომ ხელჩანთა ბაზარში მისვლისას გავხსენი. მანამდე ხომ არ ვიცოდი, ფული მქონდა თუ არა. ბაზრიდან კი კონსერვატორიის შენობა უფრო ახლოა, ვიდრე ჩვენი სახლი — აი, ასე ვეტყვი ზაზას!“

კონსერვატორიის დიდი დარბაზის შესასვლელში დოდო დარაჯმა ქალმა შეაჩერა.

— სად მიბრძანდებით?

— ღირიყორის ნახვა მინდა, — გაუბედავად წარმოთქვა დოდომ და მოპირდაპირე კედლის სარკეს ზურგი შეაქცია.

— რეპეტიციანზეა ღირიყორი, — უბასუხა ქალმა, — ვერ გაგიშვებთ მასთან, — მუხლებზე გადაშლილ წიგნში საჩვენებელი თითი დაატანა, წიგნი დახურა და მარაოსავით აიქნია სახესთან.

— მე მისი ცოლი ვარ.

დარაჯი ქალი წამოდგა, დოდოს გაუღიმა.

— ზაზა ზანდუკელის მეუღლე ბრძანდებით? ბოდიში, მე მეგონა...

მისი ღიმილი და „ბოდიში“ დოდომ ნებართვად მიიჩნია და კიბეებისკენ გაემართა. დარაჯი ქალი უკან აედევნა, თვალმოუცილებლად ათვალთვრებდა ღირიყორის ცოლის მორთულობას: ზამშის შავ ტუფლებს, ცისფერყვავილებიან კაბასა და წითელ ქსოვილისაგან გაკეთებულ ყაყაოებს შლიაპაზე.

დოდოს სიმფონიური ორკესტრის ხმები შემოესმა. იცნო მუსიკა: ამ წარმოებს უკრავდა დღეს ზაზა სახლში. დარაჯმა ქალმა დარბაზის კარი ფრთხილად გამოაღო, ორკესტრის ხმა უფრო გაძლიერდა. დოდო დაიბნა, ეუხერხულა დარბაზში შესვლა. დარაჯმა ქალმა თავი მისკენ გადახარა და ხმადაბლა უთხრა:

— შებრძანდით, ალბათ გამოიხილავს და შეგამჩნევთ, — გულმუცემი შეეპარა: „რატომ არ შედის, ვაი, თუ მისი ცოლი არ არის და მერე მე მომხედეს ამისთვის“.

დოდო სცენისაკენ აპირებდა წასვლას, მაგრამ მისდაუნებურად სკამების უკანასკნელ რიგს ვეღარ გამოორდა. აქ იარუსის ჩრდილი ეფარებოდა სკამებს და გაუხარდა, რომ ვერც ზაზა შეამჩნევდა და ვერც ორკესტრის მსახიობები.

დოდო ამ დარბაზში ბევრჯერ ყოფილა. ზაზას გაცნობის შემდეგ უფრო მოუხშირა სიმფონიურ კონცერტებზე სიარულს. რა კარგი იყო ზაზასთან ერთად მუსიკის მოსმენა. რა უბრალოდ და გატაცებით უხსნიდა დოდოს თითოეული ნაწარმოების შინაარსს, თითოეულ მუსიკალურ ფრაზას. ისე გასაგები ხდებოდა დოდოსათვის მელოდია და ისე ადვილად ამახსოვრდებოდა, თითქოს მომხიბვლელი ზღაპარი უამბესო. როდესაც ზაზამ მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტურა დაამთავრა და თბილისში დაბრუნდა, დოდოს ხშირად მართო უხდებოდა კონცერტებზე ჯდომა, რადგან ორკესტრს თვით ზაზა ღირიყორობდა.

უეცრად მოისმა ჯოხის კაკუნი და დოდო ფიქრებიდან გამოერკვა. ორკესტრი ჩაჩუმდა.

— აქ სოლოს მეორე ვიოლინოები აგრძელებენ, — წარმოთქვა ზაზამ. — ასე რომ, ჩელო სწრაფად უნდა გადავიდეს ბიანოზე, გთხოვთ გავიმეოროთ ოცდამეორე ციფრიდან, — ზაზამ ისევ მალა ასწია ხელები.

კვლავ წყაროსავით გადმოიღვარა მელოდია. მას ხანგამოშვებით ჰფარავდა სასულე ინსტრუმენტების მუქარისებური შეძახილები. მუჭარა თანდათან შესუსტდა, გაჭრა და მომხიბვლელი მელოდია მთელ ორკესტრს მოედო. ზაზამ ისევ დააკაკუნა ჯოხი. ახლა ვალტორნაზე დამკერვლს მისცა შენიშვნა.

დოდო პირველად იყო სიმფონიური ორკესტრის რეპეტიციანზე და გაუკვირდა, ასე დიდხანს რატომ წვალობენ ერთი და იმავე ადგილის შესასწავლად. სულ იოლად წარმოედგინა ღირიფორის მუშაობა. ზაზა კი როგორ იღლება თურმე...

როდესაც ორკესტრანტებმა ნოტები გამოცვალეს და სხვა ნაწარმოების რეპეტიცია დაიწყო, ზაზამ შუბლი შეიკრა. ხან ერთ დამკვრელს შეარცხვენდა, შინ არ გვიარჯიშოთ, ხან მეორეს დატუქსავდა, უდროოდ დროს შეწყვიტე დაკვრაო. ერთხელ დაიკვირა კიდევაც. მერე-და, თითქმის ყველა მათგანი ზაზაზე უფროსია. აი, ის — ფაგოტი რომ უჭირავს, ორმოცდაათი წლის მიანც იქნება, ფლეიტაზე დამკვრელი სულ ქალბატონია. მართალია, ზაზას ტოლებიც არიან, მაგრამ მასზე უმცროსი არავინ უნდა იყოს. და ეს მუსიკოსები, მრავალრიცხოვან კონცერტებში გამობრძმედილი ოსტატები, ზაზას ემორჩილებიან, პატივსა სცემენ, ბავშვებივით უჯერებენ და შეკამათება აზრადაც არ მოსდით. არა, ზაზას მარტო ნიჭი არ ეყოფოდა ასეთი პატივისცემის დამსახურებისათვის.

დოდომ ამაყად ასწია თავი და უნებურად აქეთ-იქით მიმოიხედა, ხომ არ მიყურებენო, ასე ემართებოდა ხოლმე ზაზას კონცერტების დროს. ნათურები მხოლოდ სცენაზე ენთო და ღირიფორის უზარმაზარი ჩრდილი შუა დარბაზამდე გაწოლილიყო. როგორ მოუნდა დოდოს, რომ იმ ჩრდილის სიახლოვეს მჯდარიყო და ხელი შეეხო მისთვის.

უეცრად სცენის კუთხეში, ფარდასა და კედელს შორის, დოდომ ვიდაც ქალს მოჰკრა. თვალი. ბელში ვიოლინო ეჭირა, იდგა და თითქოს ვიდაცას ემალებოდა: ხანდახან ფარდას ოდნავ გადასწევდა და, თუ ზაზა სხვა მხარეს იყურებოდა, ქვრეტას განაგრძობდა, თუ არა და იმ წუთშივე შემალავდა თავს.

ზაზამ კიდეც ერთხელ გააჩერა ორ-

კესტრი, ჩელოზე დამკვრელთან მივტადა და მის ნოტებში ფანქრით რაღაც შეასწორა, ამ დროს ის ქალი თავი დაუკვირებდა და გამოვიდა, ფეხის წვერებზე მიიბრინა ცარიელ სკამთან და ის-იყო დაჯდომას აპირებდა, რომ ზაზამ შეამჩნია.

— რატომ დაიგვიანეთ? — მკაცრად ჰკითხა ზაზამ და ღირიფორის პულტისკენ წამოვიდა. დოდომ ინსტიქტურად სახეზე ხელჩანთა აიფარა. ზაზას სანახავად მოვიდა და ახლა კი თვითონვე ემალებოდა.

დაგვიანებული ჩემად იდგა, ზაზამ შეკითხვა გაუმეორა.

— როგორ გითხრათ, საპატიო მიზეზი არა მაქვს, — უპასუხა ქალმა.

ზაზამ პარტიტურა გადაფურცლა, მერე უკანვე გადმოშალა რამდენიმე გვერდი. ორკესტრში სამარისებური სიჩუმე გამეფდა, როგორც სასამართლოში — განაჩენის გამოტანის წინ. დაგვიანებული კი იდგა, და უხერხულობისაგან თმას ისწორებდა.

— სირცხვილია, ბავშვი აღარა ხართ, — წარმოთქვა ბოლოს ზაზამ, ცოტახნით ისევ გაჩუმდა და დაუმატა: — დაბრძანდით!

ქალი გაწითლდა, ეს კარგად შეამჩნია დოდომ, თვითონაც აუწითლდა ლოყები. „სირცხვილია, ბავშვი აღარა ხარ“, ეს სიტყვები ხომ დღეს მასაც უთხრა ზაზამ. სწორედ ამიტომ შეესიტყვა ქმარს. ეს ქალი კი დოდოზე უფროსიც იქნება, როგორ გაჩუმდა, არც კი უცდია თავის გამართლება.

ერთი წუთით დოდოს მოეჩვენა, რომ ყველაფერი: ფულის დაიწყო, მევიოლინე ქალის რეპეტიციანზე დაგვიანება და მისი გაკიცხვაც განგებ მოაწყო ზაზამ. აქამდე განუცდელი გრძნობა დაეუფლა დოდოს, ნატრობდა რომ იმ წუთში სადმე გარეთ ყოფილიყო, ასე ეგონა, სადაცაა მისკენ შემობრუნდებოდა ზაზა და იმ ქალს ეტყოდა: „თქვენც ისეთივე უღისციპლინო ბრძანებულ-

ხართ, როგორც; აი, ის", — და ხელს დოდოსკენ გამოიშვერდა.

ორკესტრი ახალი ნაწარმოების შესწავლას შეუდგა.

დოდო ისე უხმაუროდ ჩამოვიდა კიბეებზე, რომ დარაჯმა ქალმა ძლივს შენიშნა.

— შემაგვიანდა? — ღიმილით ჰკითხა დოდომ და სარკის წინ შლიაპა შეისწორა.

— როგორ გეკადრებათ, — ღიმილითვე უპასუხა დარაჯმა ქალმა და გაიფიქრა: „რა ამაყად მოაბიჯებს, ნამდვილად მისი ცოლია, რატომ შემეპარა ეჭვი?“.

დოდოს თავისი ბიძაშვილი — ნანუელი, სახლში არ დაუხვდა, პატარა ბართი დაუტოვა, დედამის ფული გამოართვა და ბაზრისკენ გასწია.

როდესაც თავისი სახლის ეზოში შევიდა, გიგლა და პაატა ბურთს ეთამაშებოდნენ მეზობელ ბიჭებს. დოდომ მრისხანედ გადახედა ძმებს. „ამ ეშმაკუნების დასაციინია ზაზა ზანდუკელი?“ გაიფიქრა მან და განგებ სწორედ იმ დროს გადაჭრა ეზო, როდესაც გიგლა ბურთის დასარტყმელად გამოეჭანა.

— უჰ, — წამოიძახა ბავშვმა და თავი ძლივს შეიკავა. მერე გაკვირგებნილად შეხედა დოდოს.

არც ქუდი მოუხდია დოდოს, არც სანოვაგე გაუტანია სამზარეულოში, პირდაპირ ტელეფონთან მივიდა და ნომერი აკრიფა:

— ქალბატონო ნატო, დიახ, ისევ მე ვარ... გთხოვთ დაარიგოთ თქვენი ბიჭები, აედევნებიან ქუჩაში ამოდენა კაცს და... არავითარი ტრამვაია... აედევნებიან ამოდენა კაცს და ხელების ქნევით მისდევენ, ვითომ ასე ადვილია ღირიყორობაო, ბავშვებს კი არა, დიდებსაც არ გვესმის, რას ნიშნავს ღირიყორობა, რა დიდი ნიჭი და შრომა უნდა ამ საქმეს.

დოდომ ყურმილი ჩამოჰკიდა. როცა დამშვიდდა, თავისი „სტუდენტის მოწმობა“ მოსძებნა; გაშალა და ორად დაკეცილი ქალღლი ამოიღო. ქალღლზე გამოცდების ცხრილი ეწერა და დოდო უეცრად შეშინდა: „არქიტექტურის ისტორიის“ მოსამზადებლად მხოლოდ ექვსი დღე ჰქონდა დარჩენილი.

გიორგი კალანდია

გამახსენდება შენი სოფელი



მთა აზიდულა ზეცის ლაქვარდში
და უზარმაზარს მოჰგავს ობელისკს.
მოგონებათა ფურცლებს გადავშლი,
გამახსენდება შენი სოფელი.

გულს შენსკენ მუდამ მოუხაროდა
ლალი ოცნების მსუბუქ ფრთებითა,
დილის რიქრაქზე სოფლის წყაროსთან
ბევრჯერ შველივით შემფეთებხარ.

ბევრჯერ სანუკვარ თვალთა ნათელი
ვარდებს შვენოდა, ბალში უხვად
შლილს,
მახსოვს, წავსულვართ ხელკალათებით
სოკოს საკრეფად სოფლის მუხნარში.

წელს საოცნებო გვიდგას ზაფხული,
მე კვლავ ვესტუმრე თქვენს ბალ-
ვენახებს,

მოგიკითხე და ვერ გინახულე,
მოსკოვს წასულხარ გამოფენაზე.

მაგრამ შემომხვდა შენი სოფელი,
შენი ქალობის ქება მახარა,
შენზე მღეროდნენ ბალში ფოთლები
და სოფლის გულში წყარო ანკარა.

მიტბრეს, ოჯახის დედაქალი ხარ
და შრომის გმირის გამკობს სახელი,
რომ მთელი სოფლის ნატურის თვალი
ხარ
და ხარობს თვალი შენი მნახველი.

გულიც ოცნებით შენზე მღეროდა,
გადმოვიარე სოფლის კიდური,
თავს საოცნებო მთა დამცქეროდა,
ობელისკივით ცად აზიდული.

ოთხი ღმჯი

ხომ ხედავ? — ეს ქართლის მთვარეა
თეთრი და შენსავით სავსე.
ნუ წავალთ... ჯერ კიდევ აღრეა,
ქართლის ცა დაგვყურებს თავზე...

ქართლის ცა დაგვყურებს თავზე
და გულმა აქ შიში არ იცის!
ცოტა ხანს ჩამოვრჩეთ გზაზე,
მთვარე იქ, კაკლებთან, დაგვიცდის.

მთვარე იქ, კაკლებთან, დაგვიცდის,
ჩვენ კი ცას ვუცქირით მარტოდ.
მოვუყვებთ ერთმანეთს, რაც ვიცით,
ეს გრძნობა, ასე რომ გვათრობს...

ეს გრძნობა, ასე რომ გვათრობს,
მისდით ბილიკებს ფრენით.
და ჩემთვის თუ რამეს ნატრობ,
მიტხარი ჭიკჭიკა ენით.

ხომ ხედავ? — ეს ქართლის მთვარეა,
თეთრი და შენსავით სავსე.
ნუ წავალთ: ჯერ კიდევ აღრეა,
ქართლის ცა დაგვყურებს თავზე.

არ მკითხო, რად მიყვარს ასე
აქ ყოფნა! შენს ახლოს, არ ვიცი.
ცოტა ხანს ჩამოვრჩეთ გზაზე,
მთვარე იქ, კაკლებთან, დაგვიცდის.



გზაზე ტირიფის
და კუნელის იწვენ ჩრდილები,
მე მოვდიოდი,
შორით ჩანდა ცა საქაშეთის...
შენზე ვფიქრობდი
და მჯეროდა დანამდვილებით,
რომ ეს ყანებიც,
ეს ბაღებიც,
სუნთქავს აქ შენთვის!

ახლა შენთან ვარ...
ბალის ნაპირს მიყვებით ფეხით
და გახსენდება ის ბავშვობის ტყბილი
ღლები, —
როცა პატარას გახარებდა ლიხვის
შხეფი,
და ნაწვიმარზე ჩამორხევა თუთის
ხეების...

ო, ამ ბაღებში როგორ მინდა ახლა
ვიფრინო,
აი, ნაცნობი მოშრიალე თქვენი
კაკლებიც...

იქ, ნერგებს იქით,
შორს, შორს,
ცაში კივის მიმინო
და სადღაც ტყისპირ
დაკრიახობს გუნდი კაკბების.

ო, როგორ მიყვარს
ახლა ეს ცა,
ეს ვენახებიც,
ბაღების ირგვლივ დაბურვილი მწვანე
საქარი...

მე ქვეყნად არვის აწ არაფერს
არ ვეხარებები,
შენი ბავშვობაც,
შენი გულიც, რადგან აქ არის!..



ამ კაკლებს ქვეშ ოცნებობდი, ვიცი,
თავს გეფარა დაბურვილი ჩერო.
ფშანში წყარო ჩხრიალებდა ცივი
და არხვედა ქარი ლერწმის ღეროს...

ამ ბილიკზე დაგიკრიფავს წმინდა
ყაყაჩონი პაწაწინა ხელით...
ამ კაკლებთან დაგწევია წვიმა,
და გიგრძენია ნეტარება მწველი...

აი, ახლაც რომ გავყურებ ჩრველეთა
მეჩვენები ის პატარა ბაეშვი,
კვლავ დარბიხარ ტირიფების იქით,
და ოცნებობ იმ დაბურვილ ბალში...

იმ ბაეშვობის გაგფრენია ჩერო,
და ქარი რომ არხვეს ლერწმის ღეროს,
ჩუმად ვამბობ: მიყვარხარ და როგორ—
შავგვრემანი, ის შევთვალა გოგო!

მოვდივარ ისევ... მოვდივარ ისევ...
რა დამღლის, კარგო, მე ქართლის
გზაზე!
ბალში წვეთების დარხევას ვისმენ
და დაწვიმული მოვდივარ ასე...

ვხედავ, ხეები ნისლებს ახრჩოლებს
და ქართლის მთებზე იღვრება
ვერცხლი...
წვიმს და ნეტავი ამ ყაყაჩოებს
რამ წაუკიდა წვიმაში ცეცხლი?

მოვდივარ, შენზე ფიქრს არვის ვუმხელ
და თითქოს ვთვრები ბაღების ცქერით.
ნეტავ ეს ნისლი სად იწვა წუხელ—
შენი ყელის და მკლავების ფერი.

მოვდივარ... წვიმა მასველებს გზაზე —
და ისევ შენზე ოცნებით ვთბები...
და განა გიკვირს, რად მიყვარს ასე
მე დაწვიმული ეს ლურჯი მთები!

კაკლის ფოთლებში ჩხრიალებს წვიმა
და ქართლი ნელლი რტოებით მღერის.
ასე გამზარდა მეც სველმა მიწამ,
როგორც შრიალა ლერწამის ღერი.

... და დაწვიმული მოვდივარ ასე,
ბალში წვეთების დარხევას ვისმენ.
რა დამღლის, კარგო, მე ქართლის გზაზე,
მოვდივარ ისევ... მოვდივარ ისევ...

ახალი სახლი რუსთაველის მოედანზე



სიო მის თავზე დროშას არხევდა...
მას, ხარაჩოთა აკვანში ჩაკრულს,
მშვიდად ეძინა, ტბილად ეძინა...
რა შეაკრთობდა, რა შეარყევდა,
მშვიდობის შუქი გულზე ეფინა!

წამოიშართა, მძლე მხრების რხევით,
თითქოს მეშვიდე ზეცის კარს აღებს,
და გადასცქერის ამაყი მზერით
მოპირდაპირე ძველ სახლის თაღებს.

წამოიშართა, მძლე მხრების რხევით
სტუმრად მთვარესთან მიიწევს ზევით
და ვარსკვლავების მხარდამხარ მდგარი
დასცქერს, სიმღერით მოშხუის
მტკვარი...

ფერად ყვავილთა ნოხებს გაჰყურებს,
ბელადის სახეს ზედ ამოქსოვილს,
ვარდებს გაჰყურებს, ცვარს რომ
აჰყურებს
მშვიდობის ბურჯი დედა-მოსკოვი.

გასცქერს ლენინის დიად მოედანს
ჩუქურთმიანი სახლი მაღალი,
სადაც სულ მალე
როგორც მწვერვალი,
რომ გულს ხალისის ტალღად მოედვას,
აღმართება ძეგლი მაღალი.

დიდი სტალინის ხიდს რომ დასცქერის,
სახლი ბელადის ხიდის მნახველი
უფრო მაღლდება, უფრო მკვიდრდება,
ჩაკრულია მის დიდ სახელში
ყველა სიმტკიცე, ყველა დიდება!

ხედავს, გამჭრალა ღამის უკუნი
და დიდ ქარხნების დიად გუგუნში
მოსჩანს სამშობლოს ძალა მთებური,
გამჭრალა დარდი და სიმძიმელი
და ღამაშ ქალთა მწველი ღიმილით
სჩანან ქუჩები განათებული.

მერე მიაპყრობს მზერას იმედით,
გვერდით რომ უდგას დიდი გენია,
ვისაც შვიდასი ზამთრის წვიმები
ჯერაც საფლავში ვერ ჩაწვდენია.

შოთაც მეზობელს კრძალვით მოხედავს,
დიად მშვენიებას მთის და ბარისა,
მოეჩვენება მოწულ ქოხებად
ციხე-კოშკები „მზის თამარისა“.

მაღალ კოშკისკენ მზერა მნუსხველი
აღმართება დინჯად, გოროზად...
და ღიმილთ იტყვის დიდი რუსთველი:
—მართლაც კეთილმან სძლია ბოროტსა!

მავზოლეუმთან



დგას ჯარისკაცი შესასვლელ კართან,
დინჯი იერიით გაჰყურებს სივრცეს;
ნიავე ურხევს ფარაჯის კალთას
და სამხრეები უელავს სხივზე.

თუმც სიწყნარეა გამეფებული,
მკერდი სიმღერით დაბზარულია;
იქ უფრო მძლავრად ხმაურობს გული,
სადაც ხმაური აკრძალულია!

ჩემი თანამემამულენი

რომანი ლექსად



თავი პირველი

1

ველავ თებერვალმა სითბო გვახარა,
მზე დასდგომია ქედებს ჭალარას,
ლხვება თოვლი და სცილდება ტოტებს,
ცივი თოვლი და გზადაგზა დნება;
უკვე ტყეშალი ამშვენებს კორდებს
და თოვლქვეშ თეთრი ენძელა ჩნდება...

ქმებო, ჩემს გულშიც მზე არის, ოდეს
ეს გაზაფხული ამგვარად მოდის,
ოდეს მზე მთებზე აღმობრწყინდება,
ოდეს ბუნება აღორძინდება,
ოდეს ნაზამთრალს გავიხდი ნაბაღს
და ახალუხის ამარა, კვირას,
გათენებისას ყურს ვუვღებ ტალღას
და ვბეტილობ შავი ზღვის პირას.

თვე თებერვალი ჩადგა ძალაში,
სოფელში საქმეს მოჰკიდეს ხელი.
— აბა, დავიწყოთ! — თქვეს ამზარაში,
ხალხის ყიეინამ დაფარა ველი.
გაჩაღდა შრომა, გაჩაღდა ქაში
და ალოობა ხვნისა და თესვის...
ტრაქტორი გრგვინვით მიაპობს ყამირს,
საგაზაფხულო ხმაური მესმის.

ახალ მოსავალს საფუძველს უყრით,
სამეურნეო წელს იწყებთ ახალს,
გავითანტით ომების მწუხრი,
მშვიდობის ცის ქვეშ გუგუნებთ

ლაღად...

გიშვერთ, შეგხარით მშობლიურ
გმირებს,
აღორძინებულ ცხოვრებას ვხედავ,
ვხედავ მშვიდობის ბრწყინვალე
დიღებს,
ვხედავ სინათლეს მშვიდობის დღეთა!

გადმოიარეს ცხენდაცხენ სერი,
გამოსცდნენ ფერმის ვეება ჯიხურს
სიმონ თოდუა, პარტორგი ჩვენი,
და თავმჯდომარე — სახელად ძიკურ-
გადაუქირეს მათრახი ცხენებს
და კანტორისკენ გაუყვნენ სერებს.

დიდი და მცირე ლურჯი სერებით
კანტორისაკენ მიჰყვება შეღმართს.
დღეს იხილავენ ამზარელები,
დღეს ამტკიცებენ ხუთწლიან გეგმას.

დღეს გავიგონებთ მათ კაცურ სიტყვას,
დღეს მათ ბედნიერ სახეებს ვნახავთ,
დღეს დამტკიცდება გეგმა, რომლითაც
მთელი ამზარა იქცევა ბაღად...

კარგა ხანია აფხაზურ სოფელს
არ ხსომებია ამგვარი ღამე:
დააბინავეს ძროხა და ხარი,
დღეს დროზე ადრე ვახშამი ჭამეს,
გალიმებულან, გაცივებულან,
ბოლო არ უჩანს ყიეინას ძახილს;
გამგეობისკენ გამწყრივებულან —
გუნდად მისდევენ მდინარის ნაპირს
ქაბუკები და ბერიკაცები —
ზოგნი ქვეითად, ზოგნი ცხენებით...
ერთი ფიქრით და ერთი აზრებით
მიიჩქარიან ამზარელები.
მასლაათობენ მოსავლის ბედზე.
მიიჩქარიან გზაზე ლანდები...
ჩაის, თამბაქოს და ნარინჯების
მასლაათობენ დიდოსტატები.

ვისი ჩიბუხი ანთია ბნელში?
ეს ვისი ხმაა? გზას მოსდევს გვაკა:
— გახდა, დამკლევდა ნახირი ჩვენში,
ჩვენი ნახირი ზომ ნახირს არ ჰგავს!

„შზიურელებთან“ ვიყავი იმ დღეს,
 ვნახე ნახირი გასაოცარი,
 მე ვერ ვიპოვი შესაფერ სიტყვებს,
 იმის აღწერას უნდა მგოსანი!
 ვნახე უთვლელი ჯოგი და რემა,
 რქადაგრებილი ვნახე ვაცები,
 ვნახე ფურები სავსე ცურებით,
 კალმის ნახატი ვნახე რაშები...

„შზიურელები“ მდიდრები ვართო!
 რით მიაღწიეს ხევასა და დოვლათს?
 მათი ფერმები გაშლილან ფართოდ,
 მათმა მწყემსებმა იციან მოვლა!
 სასახლეს ჰგევანან მათი ფერმები,
 შიგ ნათურები გაჩაღებულან...
 შეერცხვით! გვეჯობნიან „შზიურელები“,
 როდემდე ვიყოთ თავჩაღებულად?!
 როდემდე გვეყავდეს სამოცი ფური,
 სამოცი სული როდემდე გვეყავდეს!
 და შეჯიბრება გავშალოთ მშური,
 უნდა ჯოგები ავშალოთ ცამდე!

შეჩერდა წუთით არსანი კლდისპირ,
 ფიქრში წასული დაჰყურებს ძიკვას,
 დაჰყურებს ძიკვას — მდინარეს

ცისფერს,
 მთებში მოვარდნილ მძვინვარე
 გრიგალს.

„იმთოთე აგრე! — ფიქრობს არსანი,
 მხნე ინჟინერი — ვაჟი გვაქასი —
 დაე დღეს აგრე იყავ განგაშით...
 კვლავინდებურად გასწი განგაშით...
 ვეღარ იქროლებ ხვალ აგრე ლაღად,
 დაგადგამთ უღელს, ამოგდებთ ლაგამს,
 ხვალ, უხედნელო, გახედნილს გნახავთ!“

2.

იქ, სადაც ცამდის მალალი
 ორი პირქუში კლდეა,
 მოხტის ძიკვა და მოზღავის
 ლამე არის თუ დღეა.
 ხოლო კლდეებს რომ გააღწევს
 და ქალა-ქალა გავა,
 თვალწინ იშლება სოფელი
 უცხო რამ სანახავად.

თვალწინ იშლება ამზარა
 ნარინჯითა და ზერებით;
 ჩრდილოეთიდან დამდგარი
 ჩამოთოვლილი მთები,
 სამხრეთით მოჩანს შავი ზღვა —
 ცისფრად გაშლილა ლაღი...
 და ამზარაში ჩაესმით
 შორი გრიალი ტალღის.

ფერი იცვალა ამზარამ,
 დღეს სულ სხვა გახდა იგი...
 დიდია მისი წარსულიც,
 ძველთა ბრძოლათა რიგით.
 არ სცილდებოდა სიცოცხლე
 ძველი ამზარის მიწას.
 ვხედავ კოშკებს და ნანგრევებს —
 დიდი ბრძოლების ნიშანს.
 ვკერეტ დახავსებულ პალატებს —
 მესახვის ცისა ფერად...
 ვკერეტ მუხებს, ჯმუხებს, ტანადებს —
 ზედ გასულ იზაბელას.
 აქ წლები წლებს მიჰყვებოდა
 მწუხრში, წვეარამში, ბნელში;
 კვნესოდა, წელში წყდებოდა
 მიწის მუშა და მწყემსი.
 ერთს — კლდე-კლდე მოუძღვებოდა
 თითო-ოროლა თოხლი,
 სხვა — სახნისს ჩასჰიდებოდა
 და ოფლს იშმენდდა ოხერიით...

დროდარო ოფლის მდინარე
 ტალღას ისროდა მაღლა
 და მაშინ რისხვით აღესილი
 ხალხი დასჰქექდა ლაღად.
 აქ ხალხმა, გაბრწყინებულმა
 წითელი ფერის დროშით,
 შეჰქმნა გმირული „კარეზი“¹,
 ჰქუხდა სახალხო ომში,
 მილეწ-მოლეწა ბორკილი,
 მოსპო ცრემლი და გლოვა,
 თავისუფლებას ეწია,
 თავისუფლება ჰპოვა.

¹ კარეზი — სახელწოდება გლეხური რევოლუციურა ჩაშლისა, რომელიც 1917 — 1927 წლებში მოქმედებდა აფხაზეთში.

ტკბილმოუბარს და დიდებულს
 ხშირად ვიგონებ პაპას,
 ის იჯდა მწუხრში ბუხართან,
 ჩასტკერდა ცეცხლის ფაფარს.
 მე კარგად არც კი მესმოდა
 მისი სიტყვების აზრი...
 ის იჯდა მწუხრში, ბუხართან,
 დიდებული და მკაცრი.
 მე ვუმარჯვებდი ნაკვერჩხალს,
 პაპას შევეტრფოდი ბავშვი,
 ის აბოლებდა ყალიონს,
 გაეხვევოდა კვამლში...
 ერთხელ იტყოდა — ნიკოდა,
 რომ მისკენ ჰქონდათ ყურა, —
 არაფის ახსოვს პაპასგან
 განმეორებით თქმული.

გვიან ფარული კრებიდან
 სახლში დაბრუნდა, მახსოვს,
 შინ მეზობლები ელოდნენ,
 წრედ ისტდნენ ბუხრის ახლოს.
 ბოლაედა ფაცხა, კერია
 ატაკუნებდა ფაფარს;
 ცეცხლს შეუმატა, ჩამოგდა
 სტუმართმოყვარე პაპა.
 და მერე დიდხანს ისმენდა
 (ირგელივ დუმილი იღვა)
 სიტყვაძვირი და უთქმელი
 კარისმეზობლის სიტყვას:

— ძლივს თვალში გამოვიხედეთ
 და უკვე ხმები დადის,
 რომ გველის დიდი ზიფათი,
 რომ მიაკვლივს ნადირს.
 მოდიან მენსევიკები,
 უკვე ლაშქარი დასძრეს;
 ლონდონი აძლევს საჭურველს,
 პარიზი — გემებს აძლევს.
 ხოლო თურქებმა დარდანელს
 წინდაწინ შეხსნეს კარი... —
 დადუმდა იგი, იმედით
 პაპას შიამყრო თვალი.
 და თქვა მოხუცმა: — ნუ შიშობ,
 არას გვარგია გლოვა:
 ხალხებმა შექმნეს ჯავშირი,
 ნაძირალეებმა — ხროვა!

ის ხროვა განწირულია,
 მისი შზე მალე ჩავა,
 ვერ იბოგინებს, გახსოვდეს
 გაუთენდება შავად!
 ხოლო იმეგებს კავშირი —
 ხალხთა კავშირი ძმური.
 ძმებს ვერაფერი ამინებთ,
 ამაყად უძვერთ გული.
 წინ მიუძღვებთ რუსი ძმა,
 ბურჯს შესდგომიან მხარში.
 იცავს ძმთაგან უფროსი
 წმიდათა წმიდა კავშირს.
 და თუ მზაკვართა ლაშქარი
 ჩვენთვის ალესავს მახვილს,
 მაშინ ძმა ძმისთვის აღდგება,
 და გვიხსნის რუსი ხალხი!

3.

ვიმოგზაურეთ წარსულში უკვე,
 ყოველ წუთს ჩვენთვის ახალი მოაქვს,
 სოფლის კლუბისკენ გავუყვით შეუკებს,
 მკითხველო ჩემო, ახლა კი დროა!
 მთელი დარბაზი ქცეულა სმენად,
 მომხსენებელი აგრძელებს სიტყვას;
 შემოვა ვიდაც, დაჯდება ნელა,
 მერე მეზობლებს ჩურჩულით ჰკითხავს:
 — მდივანი სად ზის?
 — აქაა მგონი!
 — იცნობთ სახეზე?
 — გვადევნებს თვალყურს...
 — აგერ, ამზარელ მოხუცთა შორის,
 შუაში უზის გვაკას და ბაყურს.

დგას ტრიბუნაზე სიმონ თოდუა,
 მის მოხსენებას ამზარა ისმენს.
 ლელავს პარტორგი — ხაკის ხალათზე
 გაიხსნის ჯიბეს, შეიკრავს ისევ...
 პა, გადაფურცლავს კვლავ ახალ
 ფურცელს...
 არა! არ ძალუძს ციფრებს და ქაღალდს...
 არ ძალუძს ფურცელს გადიქცეს უცებ
 პესად, ჯოგებად, ვენახად, ბალად!
 მაგრამ ის ძალუძს ხალხის მარჯვენას,
 და სჯერა პარტორგს თავისი ხალხის,
 სჯერა გულეებში ცეცხლის გაჩენა,

სჯერა — და მისთვის მგზნებარებს
 ლალი;
 ხვალის დღეს ხატავს, გარინდულ
 დარბაზს

შორ მწვერვალებზე მიუძღვის
 ფრთხილად...
 და ჰგავს უთვალავ ჩახჩახა ლამპარს
 პირმშვენიერი ამზარის დილა.

ტაშით დასრულდა პარტორგის სიტყვა,
 მაგრამ კამათი გრძელდება დიდხანს.
 ჰქუხს ბრიგადირი — სახელად კანი —
 გვაჩვენა საქმის სიგრძე და განი.
 ამბობს: „ვიშრომებთ ასმაგი შრომით,
 მაგრამ მძიმე და ხანგრძლივი ომით
 ჩვენ დავზარალებით, ჩამოვრჩით
 საქმეს...“

მიუხედავად კანს და ყვირილით დაჰგმეს:
 უკმაყოფილოდ წკრიალებს ზარი,
 ახალგაზრდობის ზრიალებს ჯარი,
 მაგრამ განაგრძობს ხმაურში კანი,
 ირბევა მისი ვეება ტანი
 (მიუბრუნდება საჩქაროდ პარტორგს):
 „მივესალმები მე გეგმას ფართოს!
 მაგრამ გაეზომოთ სჯობს ჩვენი ძალაც!
 არ ვარგა ასე: — აბა, ჰე, ჩქარა!
 თამბაქო — ჯარად! ნარინჯი — ჭალად!
 ხიდიც! კაშხალიც! ვენახიც! ყანაც!
 ჩვენი მიწების მაღლი და სითბო
 მხოლოდ ჩაისთვის შექმნილა თითქოს!
 ზღვად გადაშლილა იგი და ჰყვავის...
 ჩაი! დანარჩენს ვანებოთ თავი!

უკმაყოფილოდ წკრიალებს ზარი.
 — სცდები! — შესძახა ქვემოდან
 გეკამ.

ვერ მოითმინა ბაკურმა მაშინ,
 განრისხებულმა ითხოვა სიტყვა;
 ვერცხლით ნაჰედი გახსნა სათვალე,
 დორთქლა, მერე ამშრალა დიდხანს;
 მან საქალაღდე სწრაფად გაშალა,
 რომელსაც კარგად იცნობს ამზარა —
 მწვანე ქალაღდი აქვს გადაკრული. —
 ბავშვიც კი იცნობს სიტყვას
 ბაკურის...

— ამხანაგებო, ძალა ჩვენშია!
 კვეხნის და თავის ქების გარეშე
 კიტყვი გულახდით, გვერდ-არც
 შემშლია,

არც შემეშლება მე ანგარიში...
 ჩვენ რომ მიწა გვაქვს, ასეთი მიწა
 ნარინჯისათვის არც მეგულება!
 გაეშლი სანერგეს და, სინდისს ვფიცავ,
 ვიღებ ჩემს თავზე ვალდებულებას,
 რომ — გვერდს მომიდგენ ბიჭები
 მხოლოდ —
 სერებს დაეფარავ მწვანე ხალიჩით
 და გაგამიდრებთ ხუთწლედის ბოლოს
 ნარინჯით...

— აგრე! — შესძახა ახალგაზრდობამ,
 — ეაშა! — თოფის ხმა იყო ნამდვილი.
 მან კი ქვა ქვაზე აღარ დატოვა,
 დაეცვა თვისი კარაბადინი
 და გააგრძელა ასე ზეპირად:
 — შეხე, ქარიშხალს ჰგვანან ბიჭები! —
 კანს მიუბრუნდა, — გვინდა თამბაქოც,
 გვინდა ვენახიც და ნარინჯებიც!..
 — ტუნგო?! — სიმინდი?! — ხმები
 გაისმა,
 სიტყვას აწვევენ, ატყდა განგაში...
 მოიშველიეს მაშინ ზარის ხმა,
 და კვლავ დუმილი დადგა დარბაზში.

ვაქს ახალუხი შევნოდა ქლალი,
 წამოდგა, დარბაზს მოავლო თვალი;
 შეჰკრა წარბი და წარმოთქვა
 მეაცრად:
 — ეეკალიბტების შრიალის ნაცვლად,
 ლამაზი თუა, ამზარის შუა,
 ვხედავდეთ ჭაობს,ვისმენდეთ კრულას?!

ჩახჩახებს კლუბი, დარბაზი ღელავს,
 ბოლო არ უჩანს მძვინვარე კამათს.
 გულისპასუხი ერთი აქვს ყველას:
 შესტრფის ხვალის დღეს — ტკბილსა
 და ლამაზს.

პარტორგი ბოლო შენიშვნას იწერს, —
 ჩაიციან და წიგნი გაშალა:
 „არ ვუბასუხებ მე კანს არაფერს,
 მას უბასუხა მთელმა ამზარამ!“

თავი მეორე



1.

მზე მისდგომია აივანს,
 დასთამაშებს და ელავს.
 მანდილს მოიხსნის თათვი,
 მისუსტებულა, სცხელა...
 სული ძლივს უდგას დედაბერს,
 მაინც მზისგულზე იწევს.
 მადლობა უფალს, გადარჩა,
 წამოიხედა ისევ!
 მადლობა კარისმეზობლებს,
 თუ ცოცხალია — მათგან!
 სამი თვე იწვა ლოგინად,
 მესამე დღეა ადგა.
 სარეცხს ჰფენს, მოხუცისაკენ
 ფხიზლად უპირავს თვალი —
 ფუსფუსებს კარ-მიდამოში
 ახლო მეზობლის ქალი.
 დაოთხდა უცებ თეთრონი,
 ცერად გადმოსჭრა სერი;
 ცხენს კონიდრიან ეზოში
 თეთრად შემოჰყვა მტვერი
 და, როცა შედგა ქანდაკად,
 უცებ აღმოხდა მხედარს:
 — სამახარობლო, თათვი,
 სვებედნიერო დედავ!
 ძლივს დასცდა მოხუცს კანკალით:
 — შეილო, მითხარი ბარემ...
 — დედი, დაბრუნდა დამერი,
 სახლში მოგივა მალე! —
 ამქვეყნად ისეც ძლივსაა,
 ფერი და გული მისდის.
 — სამახარობლო, კეთილო,
 დროზე, დედილო, გიცდი!
 ჩამოხტა მაცნე ცხენიდან,
 მსწრაფლ მოიხადა ქული,
 მიუახლოვდა, აკოცა
 და ასე დუმდნენ წუთით.
 ჩასტკერის ჭაბუკს თვალეში,
 დედაბერს გული უცემს:
 — შენი თვალეებით თუ ნახე? —
 ტიჩილით ჰკითხა უცებ.
 — კი, დედი, ენახე დეპეშა,
 მთელმა სოფელმაც ნახა;

ძიკურს გადასცა დებეშა
 ფოსტალიონმა ახლა.
 დღეს მატარებელს მოჰყვება,
 საცაა უკვე ველით.
 — თვითონ ძიკური სადღაა?
 — წყვილად შეკაზმა ცხენი,
 ლურჯაზე თავად შეფრინდა,
 აღვირით მიჰყავს თეთრა...
 მატარებლისკენ გასწია
 მეგობრის შესახვედრად.

2.

სად გაჰქრა გზით და მგზავრობით
 გაბეზრება და დაღლა!
 როგორც კი შეუჯდა თეთრონზე,
 წელში გასწორდა ლალად;
 წელში გასწორდა დამერი,
 მოსწყურდა ველად ქროლა...
 მზე ადგა მშობელ კორტოხებს,
 გზა მიჰყვებოდა გორაკს;
 გზა მიჰყვებოდა თელიანს
 და ისე, როგორც ძველად,
 ბალახს წიწქნიდნენ ლობისძირი,
 კულებს იქნევდნენ ნელა, —
 ბუზს იგერებდნენ ხარები,
 (სიოც არსაით ჰქროდა)
 და ცალი თვალი მზაკერულად
 სიმინდისაკენ ჰქონდათ...
 ზერები, ჭალები, სერები
 მოჩანს მდინარის გაღმა.
 ნაბიჯით მიჰყავთ ცხენები,
 დინჯად მისდვენ აღმართს.
 ომგადაზდილი ვაჟკაცის
 გული ღელავს და ხარობს...
 უცებ შეჩერდა, კლდის ძირას
 მოხტის, მოშხუის წყარო.
 „დავლიოთ“, — წყნარად წარმოთქვა,
 ჩამოხტა, მერე დიდხანს,
 ტკბილ ოცნებაში წასული,
 ნაცნობ წყაროსთან იდგა.
 ის იდგა ნაცნობ წყაროსთან,
 ნაცნობი ცაცხვის ძირას,
 თითქოს პირველად ხედავდა.

თვისი ბავშვობის დილას,
თითქოს პირველად ხედავდა
ასიათასჯერ ნახულს;

გახსნა ძიკურმა ქისა და
ორთავ თამბაქოს ახვევს.
უშურის ძიკური მეგობრის
ლალს და ბედნიერ სახეს.
ფიქრობს: „საცაა შინ მივალთ, —
შეხვალ მშობლიურ სახლში, —
მკითხავ მოხუცი მამისას,
ძმარ, რას გეტყვი მაშინ?!
რას გიპასუხებ მეგობარს,
როცა იკითხავ მშობელს?!
გეტყვი — და ტყვიად მოგხვდება, —
გულს მწუხარებას მოგფენს...
იქნებ... სჯობია აქ გითხრა,
რათა ვარაზს და სევდას
აქვე აჯობო და მერე
ნუგეში უთხრა დედას...“

წარბი შეჰყარა, შორს უელის,
განა მიახლის ჯიქურ!
ჰყვება და უსმენს დამეი
ძიკურს:

„შენც იცი, ძმარ, წყდებოდა
იმ წელს სამშობლოს ბედი:
შავმა ყორნებმა დამფარა
კავკასიონის ჭელი;
წინ მოიწვედა ნადირი,
ზღვისკენ მიჰქროდა ზეგვი,
გუნრიხვას უღელტეხილზე
მოდგა სეასტიკა შავი.
შეხსნა ფსხუსი და მარუხის,
ქლუხორ-ნახარის კარი,
მაგრამ უტევდა გმირულად
მომბღურს საბჭოთა ჯარი;
ჩვენ ტყვია-წამალს ვაწვდიდით,
ქულზე შევეყარეთ კაცი,
ჰქუხდა მთებში და გრგვინავდა
რაზმი სახალხო დაცივის.
რაზმს მამაშენი ბასიატ
მეთაურობდა ფრთხილი,
იცნობდა კაცი ჭარმაგი
ყოველ ტოტსა და ბილიკს!
მოხუცი იყო ბასიატ

ხანში შესული უკვე,
მაგრამ ჯერ თვალი უჭრიდა,
არ ეღალატათ მუხლებს,
კლდე-კლდე ვიარეთ მთელ დამეს,
გადაეუარეთ ხრამებს,
წინ მიგვიძღვოდა მშვერაგებს
და, რომ შეთეთრდა დამე,
შეგვნიშნა მტერმა მყინვართან
და დიდხანს ცეცხლქვეშ მყოფი,
ჰქუხდა რაზმი და გრგვინავდა
იქ ბერიკაცის თოფიც...
მაგრამ მზემ როცა ინათა
და მყინვარს მოხვდა სხივი,
ის ვნახეთ, იწვა მყინვართან —
იმ მყინვარივით ცივი;
ეს-ლა თქვა: „სამშობლოსათვის
ჯარისკაცისვით ვკვდები...
ის უმცროსია... იყავით
შენ და დამეი ძმები...“
აქ ძიკურს სიტყვა გაუწყდა —
სიტყვა თბილი და წრფელი
და მერე უცებ ჩაბლუჯეს
ძმებმა ერთურთის ხელი.

3.

დაკაცებული, ჯანმრთელი,
სახლში დაბრუნდა დამეი.
ალხენს მეზობლის სტუმრობა,
ნახვა ტოლის და სწორის;
ულოცავს მთელი ამზარა,
მოდინ ბერიკაცები,
მაგრამ ბასიატ არა ჩანს
იმ ბერიკაცთა შორის...

ფიცრულის კედელს ჰკილია
განთქმული ქამარ-ხანჯალი,
ბრწყინავენ ჩოხის ქილები,
ქამარ-ხანჯალი ბრწყინავს.
თვლემს ყავარჯენი კედელთან —
დავიწყებული, გამწყრალი.
მამას კი... შავი კლდის თავზე,
შავ სამარეში სძინავს.

გაზრდილი, დაკაცებული
ვაგი მზეს ეთამაშება;
შესცქერის აღტაცებული,
შვილს შესცივინებს დედა;
არ შეარცხვინე სოფელი,

არ შეარცხვინე მშობელი,
 ჰირიმე! ჰირს და სატყვიარს,
 შეილო, რა უნდა შენთან!
 დამეი ფიქრში წასული
 ეზო-მიდამოს გარს უვლის:
 აქ — შეაკეთებს ნაღიას,
 იქ — უტრიალებს ჰიშკარს...
 არც ღობე შემოძარცული,
 არც უკაცობა წარსული,
 ნაშუალამევს იძინებს,
 დილით დაასწრებს ცისკარს.

4.

მთებში ჩაიწვა დაისი,
 სკოლას დაჰტრენენ მერცხლები,
 ზარის წკრიალზე ბავშვები
 გამოიშალნენ მესვე.
 შეჩერდა სკოლის ეზოში
 მოხუცი სკოლის დარაჯი,
 გახედა: ხედავს შარაზე
 საკუნ ჩინბაა ისევ...
 — ხე-ხე! ვინ გნებავს, ყმაწვილო? —
 თითს უქნევს სკოლის დარაჯი,
 ცბიერად ჩაეცინება,
 აბა, გასწიო, ეტყვის.
 დარწმუნებული ძალაში —
 ვაჟი ისევ დგას შარაში,
 ბრაზობს, — დამეხსენ, მოხუცო,
 არა მცალაა შენთვის!
 თავს ჩაცმულობით იწონებს,
 ლამაზ ბიჭებში სწერია,
 სახე ბრინჯაოს ფერია,
 თვალები — საცრის ტოლა;
 არცა ბავშვების რცხვენია,
 არცა მეზობლის რცხვენია,
 მკერდი წინ გაუშვერია —
 აუვლ-ჩაუვლის სკოლას.
 აჰა, გამოდის სკოლიდან
 მფლობელი გიშრის ნაწნავთა,
 შეენის თვალთა და წამწამთა
 დახრა, ფიქრებში წასულს.
 ბაღი-ბაღ მკვირცხლი ნაბიჯით
 შინ მიიჩქარის ასტანდა;
 წამოეწევა საკუნნი —
 მხარდამხარ მისდევს ქალწულს.
 — ასტანდა, წუთით, ჩამოვსხდეთ,
 მოვისაუბროთ, ასტანდა,

6. „მნათობი“ № 10.

გაწვალდა გული, გაწამდა,
 აგრე მტანჯველი ნუ ხარ,
 წარბი შეჰყარა ასტანდა,
 ნაწნავი შეათამაშა:
 — ეგ სიტყვა ერთხელ ვითქვამს და
 მეორედ იტყვი ნულარ!
 — ასტანდა, ნელა ვიაროთ,
 გზად ვისაუბროთ, ასტანდა;
 გამიგე-მეთქი, ასტანდა,
 და ერთურთს მივეცეთ ხელი...
 — როგორც ძმასა და მეგობარს,
 მე შემოძლია გაგიგო,
 მაგრამ სხვაგვარად გაგებას
 ჩემგან ამოდ ელი.
 იგი შებრუნდა საჩქაროდ
 და შინ ბაღდაბაღ გასწია;
 ჩუმი წუხილი მის გულში
 შეერთებოდა იმედს:
 — დრო დარჩა რარიგ მცირედი,
 დრო დარჩა რარიგ პაწია...
 მაგრამ ეს მცირეც რარიგად
 მტანჯველია და მიძიმე.
 გააქვს შრიალი სიმინდებს,
 სალამოს ბინდი ლურჯდება,
 აფრინდნენ ჩიტბატონები —
 გადილივლივეს სერია...
 გადაუხვია ასტანდამ,
 შეალო სწრაფად ჰიშკარი,
 და თვალი ჰკიდა: ღობესთან
 ება ძიკურის ცხენი!
 „გულშინ დილიდან გასული
 შინ არ ყოფილა ძიკური,
 იქნებ მეგობრის შესახებ
 რამე ახალი მითხრას...“
 უცებ მოესმა დედის ხმა:
 — შეილო, დაბრუნდა დამეი! —
 შეკრთა ასტანდა და უმაღ
 ტუნზე შეაშრა სიტყვა...
 ვოგო ვაყვითლდა, გალურჯდა,
 ბედნიერებით დამუნჯდა,
 სიხარულს, ბედნიერებას
 ებრძვის და ველარ მალავს.
 — შეილო, ამალღდი, გამაგრდი,
 ახალგაზრდობა მზე არი,
 სიბერე — ღამის წვევარამი,
 დამიხსოვრე მარად!

თახი მესამე

1.

მოდზე მიუშვა ქურანი,
 აღვირი ხელში უპყრია,
 ბიძა ბაკურმა დამეის
 შინ შეუარა დილით:
 — ბიცოლაშენი გეძახის,
 ქაღები გამოუცხვია,
 სანთლის არაყი უსხია,
 სარაჯა უდგას ტკბილი. —
 თუმცა ბაკურზე უფროსი
 იყო მისი ძმა — ბასიატ,
 ესეც ხნიერი კაცია,
 თმაში ქაღარა შეენის.
 ის ენთო წიგნის სურვილით,
 ის ენთო ცოდნის წყურვილით,
 დღეს გახლავთ გამოჩენილი
 მიჩუჩინელი ჩვენი.

გულს ამოიჭრა ძველთაგან
 გასაოცარი ბაღები;
 მარად წიგნს ჩასჩიჩინებდა,
 დაიმშობილა ბარი.
 პირველმა შემოიტანა
 მშობელ მხარეში თურინჯი,
 პირველი დასტრიალებდა
 მთელს აფხაზეთში ნარინჯს.
 იყო პირველი მერცხალი
 ის ოქროსფერი ბაღების,
 და ეჭვით დიდხანს უტყერდნენ
 სოფლად ბაკურის საქმეს.
 ამბობდნენ: ასე ცხოვრობდნენ
 ძველთაგან ჩვენი ძველები —
 ჯოჯი, ფუტკარი, სიმინდი
 შეგნოდა მშობელ მთა-ბარს;
 ახალს ნუ გამოვიგონებთ,
 ვხნათ, ვეთსოთ, ვფარცხოთ ველები,
 როგორც უხნავს და უთესავს
 აფხაზის მამა-პაპას!

მაგრამ ბაკური ყრუ იყო —
 შრომობდა დაჯერებულო;
 კვლავ წიგნებს ჩაჰკირკიტებდა,
 კვლავ ნერგებს უდგა მხარში,
 როდესაც ნერგებს უჭირდა,

ის დუმდა გამტერებულად,
 როდესაც ნერგებს უღწინდა —
 ხარობდა, როგორც ბავშვი.
 ის კოლექტივში პირველი
 შევიდა თვისი ნერგებით.
 დღეს უმრავლიათ ნარინჯებს,
 შემწკრივებიან სერებს.
 ბაკურის გამოცდილებით
 და ზრუნვით გამოზრდილები
 ლოცავენ ოსტატს გმირები —
 ლოცავენ ოქროს ხელებს.

მაგრამ ბაკურს რომ ბალი აქვს —
 საკარმიდამო ბალი აქვს —
 ათასფრად გაბრწყინებული,
 ძველი ზღაპრების მსგავსად,
 მოდიან, დგანან, სტკბებიან,
 ნერგი მიაქვთ და ჰყვებიან:
 — ბალი მრავალი გვინახავს,
 მაგრამ ასეთი არსად!
 ახლაც ხეივნით მიუძღვის
 საყვარელ ძმისწულს ბაკური,
 და, ვიდრე დიასახლისი
 ჩეროში სუფრას გაშლის,
 — ხედავ, ამ ნერგებს, ძმისწულო? —
 ვითომ სასხვათაშორისოდ,
 დროს მოსაკლავად ვითომდა,
 ესაუბრება ბაღში.
 ოლქკომში მიხმეს ერთ დღესა
 გამესაუბრნენ ბერიკაცს,
 მაქვს და მამაშვილურად
 მხარზე შემახეს ხელი;
 მითხრეს: — წინ გასწი, მოხუცო,
 მხარს მოგეცით, დაგეხმარებით,
 რაც გააკეთე, კარგია!
 მაგრამ კვლავ ახალს ველით!
 და დახმარებაც ესაა!
 მესამე დილას, გაგზედე,
 მანქანას მოსდევს მანქანა —
 ჩემი ბალის წინ შედგნენ.
 „ნოვოროსისიცი — აშარა“,
 ზედ აწერია მანქანას —
 მოაქვთ სათბურის მასალა,
 მოაქვთ მინა და ხე-ტყე.

როგორც სასახლე ზღაპარში,
ისე აშენდა სათბური.
ლიმონის ტევრში ჩადგმული,
აქვეა, თუმცა არ ჩანს.
დიდი ღვაწლი და ამაგი
დასდო ამ საქმეს პარტორგმა...
რალა შორიდან ვუყურებთ,
ორი ნაბიჯი დაგვრჩია!
შეჩერდა ბაღის ყურესთან
და გადასახედს გახედა:
მარცხნივ ღელავდა შავი ზღვა —
შავი კი არა, ლურჯი,
მარჯვნივ მოჩანდა ქედების
ლაშქარი ჩამწყვირებული,
და შორს მწვერვალზე ელავდა
ყინულიანი ზუჩი.

ხოლო მთებსა და ზღვას შორის
ოქროს სხივებში ნაბანი
გადაშლილიყო მთა-ბარი,
ხალიჩას ჰგავდა ზღაპრულს.
სერი-სერ, როგორც შუბები,
გადმოდგნენ კვიპაროსები,
და ვაეკაცს თავბრუ დაესხა,
ოცნების ზღვაში ჩაფლულს.

2:

ბრუნდებოდა შინ დამეი,
გაპყურებდა ოქროს ბალებს,
გაპლიმოდა და ფიქრობდა:
რა კარგია,
როცა ტურფა შემოდგომა
აფხაზეთის კარებს აღებს
და ტყისპირი წითელ-ყვითლად
ნაჭარგია!

ღულს შრომადღე დალოცვილი,
ელავს, ღელავს შემოდგომა;
ღულს ქვევრი და კაცის გულში
ცისკარია...

შეჭვივლებენ ელმავლები
და აფხაზურ ბალებიდან
მოსკოვისკენ, მოსკოვისკენ იჩქარიან!

ჰქრიან, ჰქრიან ელმავლები,
უკან რჩებათ აფხაზეთის
მთები, მთები იისფერად
დაბინდული;

მოსკოვისკენ იჩქარიან

ჩემი ხილით, ჩემი ღვინით,
ჩემი ოქრო ნარინჯებით
დატვირთული!
ჰე, მოსკოვო, მშობლიურო,
შორს ოცნებით გხედავ დიადს.
ყველგან შენე ჩირაღდნების
გიზგიზია!
ათოვს სახლებს, ათოვს ბალებს,
ათოვს კრემლის მაღალ თალებს,
და ქუჩებში გოგონების
კისკისია!

გასწით, გასწით, ელმავლებო,
აფხაზეთის ბალებიდან
იქ, სად ცამდის აღმართული
ტიტანია!
ღე აღზენდეს მშობელ მოსკოვს,
ღე შევროდეს რუსულ სუფრას.
რითაც ჩემი აფხაზეთი
მდიდარია!

3.

შინ არსანი დახვდა ვაეკაცს;
მიეგებნენ პირზე კოცნით —
ძმა ძმას შეხვდა ნანატრი და
სანუკვარი.
შესცქეროდნენ ერთუროს დიდხანს,
მერე მოსწყდა ბაგეს სიტყვა
და დაიძრა, გაიშალა
საუბარი.

— გაგრევია თეთრი თმაში!
— ეხ, აღარ ვარ უკვე ბავშვი!
თან, ვერ იქნა, ვერ ვაჯობე
სწეულებას...

— ხომ უკეთ ხარ?

— უკეთ, ძმაო!

— ძველებურად არ მახველებს
და ეჭიმიც — უკეთ ხარო —
მეუბნება.

— მიხარია! — თქვა დამეიმ,
დააშტერდა მერე უცებ
ინჟინერის ფერმკრთალ ტუჩებს,
გამხდარ სახეს...

და განაგრძო აჩქარებით:
— დროზე მორჩილ შენზე მოთხრეს,
თურმე ძიკვას მორჯულება
განიზრახე.

— სწორი უთქვამთ, — მან მიუგო, —
მსურს გავხედნო ჩვენი ძიკვა,
დღედაღამე არ მისვენებს
განზრახული;

მსურს გავკოჭო არტახებში —
ხალხისათვის, ქვეყნისათვის
და გასწიოს მდინარემაღ
სამსახური.

მართალია, რომ გარდაქმნა
ბუნებისა არის ძნელი,
მაგრამ კაცი... უფრო ძნელად
გარდიქმნება...

ბევრი ჩვევა ჩვენი ხალხის
გაპყვა კავს და გაპყვა სახნისს,
ბევრიც ცოცხლობს, თუმცა ხვალე
არ იქნება!

ბევრიც ცოცხლობს... იი, თუნდაც...
არ გამიგო, ძმაო, ცუდად —
ნათლობები, საწლოები,
დღეობები...

მე მომბეზრდა, ველარ ვიტან,
მძაგს, დამეი, გულს მირევენ
თვიდან თვემდე ზეწაბმული
ღრეობები!

ის ჩაფიქრდა, დასწვდა ქულს და
კვლავ განაგრძო, ფეხზე მდგარმა:
— რა ვქნა, იი, მეც მივყვები
ჩვეულებას!

არმიიდან დაბრუნებულ
დას და სიძეს ცოცხალმკვდარმა,
რა ვქნა, უნდა გავუშვართო
წვეულება.

რა ვქნა, ვიწვევ ძმას და სიძეს,
როგორც მზყერის არის წესი,
თორემ დას და მოხუც შშობლებს
ეწყინება.

— გამოდის, რომ უქორწილოდ
მოვიყვანოთ უნდა ცოლი! —
უბასუბა დამეიმ და... ეციენება.

— არა! არა! — თქვა (არსანმა, —
უქორწილოდ არ იქნება!
თუმც ყველაფერს აქვს საზღვარი
და საწყაო...
მაშ შეეთანხმდით... რაღა ბევრი

გავაგრძელო, ხვალე გელი...

— მოვალ, მოვალ
არსან, ძმაო!

4

მთებზე, ქალაზე, შარაზე
სალამოს ბინდი ვრცელდება.
გზას მიპყვებიან მხარდამხარ,
მისაუბრობენ წყნარად.

ჰა, კარ-მიდამოც მასპინძლის!
ბიძა-ძმისწული ჩერდება...
სამწვადე ცეცხლთან ეზოში
ხალხი ტრიალებს ჯარად.

ტრიალებს ხალხი კოცონთან -
კოცონი ხალხში ბრიალებს;
ღელავს და ბნელში ვეება
საძროხე ქვაბებს ლოქავს.
ასი შამფური პრიალებს,
ღროღარო ცეცხლი გრიალებს
და კოცონს მთელი ამზარა
გვაკას ეზოსკენ მოპყავს.

— მოდიანი ჰეი, მოდიანი —
უცებ გაისმა ძახილი;
ცხენდაცხენ მახარობელი
მოვარდა გვაკას სახლთან.

შარაზე გამოიშალა
ქალი და კაცი მასპინძლის —
აჩახახებულ ლამპრებით
საყვარელ სტუმრებს დახვდა.

ჩამოდგა ახალგაზრდობა,
გზას აძღვეს გვაკას ქალიშვილს,
უკან მოპყვება მეუღლე
ექიმს, მხედრულად ჩაცმულს;
ვავს ორდენები ამშვენებს —
იგი დაიჭრა კალაჩთან
და იქვე გაუმიჯნურდა
ჩვენი მასპინძლის ასულს.

გარს უსხდებიან მაგიდას
პატივსაცემი სტუმრები,
ყრმა — ყრმასთან, ქალაროსანი —
ქალაროსანის გვერდით.

— თქვენსკენ რა არის ახალი?
— ხომ კარგად გყავთ მძახალი?
— გაცნობა, გასაუბრება
ჯამ-ჭურჭლის წკრიალს ერთვის.

დღეს სტუმრად ვინ ჰყავს ამზარას?
სუფრის თავში რომ დამსხდარან,
მზიურელები არიან —
დინჯად ჭამენ და სვამენ...
მათ სახელგანთქმულ კოლექტივს
პატივსა სცემენ ყოველთვის,
და მზად არიან უსმინონ
მათ სიტყვას დღე და ღამე.

მაგრამ სტუმრების თავკაცი
მოკლედ სჭრის, მოკლედ ამთავრებს,
ის მიღწევებზე ლაპარაკს
თვლის უხერხულად, ალბათ;
მაინც მასპინძლის კაცები
უბვი მოსაველის ოსტატებს
კვლავ საუბარში ითრევენ
და ყურს უგდებენ ხარბად.

მარჯვნივ, მეზობელ ოთახში,
ჩონგურს დამღერის ქალწული,
ნეტავ არც გაჩუმიდებოდეს,
რარიგ მმატკბილად მღერის!
გვერდით მიუჯდა დამეის
ნაცნობი სტუმართაგანი:
— ის ქალიშვილი ვინ არის? —
კარზე ანიშნა ხელით.

— რომელი? — ჰკითხა დამეიმ.
— აგერ, ის... ნაწნავიანი...
ცა არის ვარსკვლავიანი,
ქალწულია თუ ღმერთი...
— ასტანდა! — ტუჩზე შეაშრა
დამეის ტბილი სახელი,
შეკრთა და მღელვარებისგან
ადი-ჩამოდს მკერდი.

ვაჟი კი ისევ ჩურჩულებს:
— ნეტავ, თუ დანიშნულია?
თუმცა ვინ გააჩერებდა
მოწიფულს, ეშხით სავსეს!
— ვერ გეტყვი! — ცივად მიუგო,
წარბი შეჰყარა გოროზად,
მაგრამ რამ გაგაგულისა
ნეტავ, დამეი, ასე?!

გრძელდება ლზინი. სუფრის თავს
ზის თავგაცობა სტუმრების;
ღვინოს სვამს სტუმართაგანი

არ უვარდება არვის,
და ჰყვება ეშხზე მოსული:
— გეტყვით ტრამბს, გარემოებებს
თუ გვალვა იქნა, ვაჯობებთ,
არ გვეშინია გვალვის!

თქვენ მკითხავთ, როგორ ვუშველით
მზიურელები მოსაველს?
მყის ელსადგურის წყალსაცავს
და არხს საშველად ვუბნობთ...
— აი, ეგ მართლაც საქმეა! —
შენიშნა პაპა ბაკურმა,
და ნიშნად მოწონებისა
ზოგიც თავს აქნევს უბნოდ.

გულს ეცა, როგორც ეკალი,
ძიკურს ბაკურის სიტყვები.
გაწითლდა, ბოლმით გასივდა,
და ღვარძლიანად, მკაცრად
თქვა: — თავის ქება კიტრად ღირს...
ჩვენ ჩვენი ფასიც ვიცოდეთ!
მრცხვენია, ამხანაგებო,
მე ზოგიერთის ნაცვლად!..

მან სუფრას თვალი მოავლო,
თითქოს-და ქომაგს ეძებდა,
და ლამპის ჩრდილში მიუყუქულს
თვალი დაადგა არსანს:
— აბა, წამოდექ, ეყუკაცო,
მიუღე ამ ხალხს თამამად,
მე ელსადგურის აგება
ხომ გადავწყვიტე შარშან!

მაგრამ არსანმა გულგრილად
ლამპასთან დავა განაგრძო;
ასწი-დასწია პატრუქი,
ბანზე აუგდო სიტყვა:
— ნუ სწუხართ, ამხანაგებო,
ჩვენს ლამპას ჰქვია „შუქურა“,
ამ წუთში ავაჩახახებ —
არ გალოდინებთ დიდხანს!

არ მოელოდა ძიკური
დაცინვას არსანისაგან.
„არ მომწონს! — უთხრა შემცბარმა. —
პასუხი უკეთ უნდა!“
აქ კვლავ იმარჯვეს სტუმრებმა
და დიდხანს იმას ჰყვებოდნენ,

რომ რაიონში ამზარას
ვერვინ ახსენებს ცუდად.

გრძელდება ლხინი, სიმღერა
და საუბარი გრძელდება;
ფეხმარდ ლაფშაზე ჰყვებიან
მზიურელები რიხით:
ის იყო როგორც გრიგალი,
მან ხუთჯერ ჯილდო აიღო;
ის კლდეზე გადაგვეჩეხა
და აღარ გვეყავსო იგი.

ფარ-ხმალს არა ჰყრის ძიკური
და წყენის გასაქარწყლებლად
ახლა დამეის იმოწმებს:
— ხომ ნახე ჩემი ლურჯა?
ჯერ საზრდელია, კვიცია,
მაგრამ ისეთი მკვირცხლია,
მთელს აფხაზეთში იჭუხებს,
ისეთი პირი უჩანს!

თვითკამყოფილი მეგობრის
ლაყბობით გაბეზრებულნი,
უცებ წამოდგა დამეი,
სიტყვა გაუშრა პირში:
შემდეგ შებრუნდა საჩქაროდ,
აივინსაყენ გასწია;
უსიტყვოდ უთხრა: არ ხარო,
ძმაო, პასუხის ღირსი!

ის აივანზე შეჩერდა:
ეძინა ტყბილად ამზარას,
მილიონ ვარსკვლავს მთვარისთვის
ალყა დაერტყა ჯიქურ.

ის იდგა დაფიქრებული,
ის მეგობარზე ფიქრობდა,
მან თქვა ჩურჩულით: „შეცვლილხარ...
რა დამგმართია, ძიკურ!“

„შინ კი... გრძელდება პურობა,
სიმღერა, ცეკვა-თამაში.
ინათა, სადღეგრძელო კი
ჯერ კიდევ ბევრი დარჩა.
ხან ქარიშხლების გრიალი,
ხან სიოს ნაზი შრიალი,
ხან ველზე ფუტკრის ზუზუნი
და ჩურჩულია მხოლოდ;
გაუღის სიმებს წყრიალი,
ცა უსმენს ვარსკვლავიანი,
და ბურანს ნეტარებისას
არ აქვს თავი და ბოლო...“

გრძელდება ლხინი. გართ კი
აივანს მთვარე დანათის,
და ჩააჩურჩულებს ასტანდას
დამეი გულისწადილს:
იგი ჩურჩულებს სიყვარულს,
იგი ჩურჩულებს სიხარულს,
ჩურჩულებს ბედნიერებას,
ურყევს, უცვლელს და ნამდვილს.

— რად მეგვევება არ ვიცი,
რომ შენ სხვა გიყვარს, ასტანდაე... —
ქალწულმა სიტყვა ვერ დასძრა,
მკლავზე შეახო ხელი;
შიშით, ალერსით, მუდართთ
ვაეს შეანათა თვალები,
და წააკითხა დამეის:
— შენი ვარ, მარად შენი!

თარგმანი მუხრან ლეზანიძისა

(დასასრული იქნება)

სიღის გარტყმა

მოთხრობა



— ექსტრა! ექსტრა! — ყოველდღე გაჰყვიროდნენ ბიჭები, რომლებიც ყოფილდნენ სასწრაფოდ გამოცემულ გაზეთებს. გაზეთებს იტაცებდნენ. პრესამ არაჩვეულებრივი განგაში ატეხა. ასეთი აურზაური პრესაში, ჩვეულებრივად, პრეზიდენტის არჩევნების დროს არის ხოლმე. მაგრამ ამჟამად არჩევნებს არ მოელოდნენ.

შზადღებოდა მატჩი მძიმე წონის ჩემპიონ ჯიმი ბერნსსა და ზანგ ჯეკ მორისონს შორის.

მისტერ ბერნსი მდიდარია. ის ფლობს უდიდეს ფერმას და ბევრ ქალაქში აქვს საკუთარი ლუდხანა, რომლის კედლებზედაც ბერნსის სურათები ჰქვია. მისტერ ბერნსი ამერიკელია ასი პროცენტით. ის ოქროს ანაღვარდობისა და კუ-კლუქს-კლანის საზოგადოების სათავევანო გმირია. უკვე შვიდი წელია, რაც ჯიმი ბერნსი ატარებს მსოფლიო ჩემპიონის საპატიო წოდებას. ჩემპიონი მაღალია, ექვსი ფუტის სიმაღლისა, ბუმბერაზი მოყვანილობის, ღონიერი და მოქნილი, როგორც ჩრდილო ამერიკის დათვი. ჯიმის პრაქტიკაში იშვიათი იყო, რომ მისი მოწინააღმდეგე სხვის დაუხმარებლად გასულიყო რინგიდან.

კრივის ისტორიას არ ახსოვს ღონისა და ტექნიკის მხრივ ჯიმის თანასწორი აღმადანი. ის არა მარტო ღონიერი და გამოცდილია, საშიშიც არის. მან ყბაში გამანადგურებელი გარტყმით ერთბაშად მოკლა ვარი კურტი. ვარის ისე მოექცა უკან თავი, რომ ვეღარ გაუძლეს კისრის შალეებმა. მანვე ჩაუმტვრია ოთხი ნეკნი უზარმაზარ მეზღვაურს ფრე-

დი ბრუეს. მარცხენა მხარეს „კორონული“ დარტყმით სწორედ მან ჩააგდო ნოკაუტში მრავალი უცხოელი მოკრივე, რომელთაც მანამდის არ ეგებათ ნოკაუტი.

როცა ის მოიხრება და უცებ, მოწყვეტილად დაარტყამს თავის „მარცხენას“, რომელშიც ათავსებს მთელი სხეულის სიმძიმეს (ორასორმოცი ამერიკული გირვანქა), ძირს ეცემა ცხენი და დიდხანს ვეღარ დგება ფეხზე.

ბევრს ეშინოდა ასეთი დარტყმისა და თავს არიდებდა ბერნსთან შეხვედრას.

ჯეკ მორისონმა თავისი კარიერა, როგორც ზანგების უმეტესობა იწყებს ხოლმე, შავი სამუშაოდან დაიწყო. პროფესიული მოკრივის გზაზე ის ბიძამისმა — ბობმა დააყენა. ძია ბობი რიგითი მოკრივეთაგანია, რომელთაც დასარტყმელ ტომარას უწოდებენ. ისიც სწორედ „ტომარის“ მოვალეობას ასრულებდა ცნობილ მოკრივე მისტერ კენედისთან.

კენედი მატჩებს შორის პროვინციებში მოგზაურობდა და საექსტრადო მოედნებზე აჩვენებდა თავის ტექნიკასა და სიმარდეს. ამ წარმოდგენებზე ბობს სახის სათანადო მანჭვით სიცილი უნდა გამოეწვია ხალხში. ნოკაუტის საჩვენებლად ბობს სასაცილოდ უნდა ემოძრაებინა ფეხები და დაემანჭა სახე. ზოგჯერ დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ბობს აღარ სჭირდებოდა თვალმმაქობა, ყველაფერი ბუნებრივად ხდებოდა: ამგვარი „ხუმრობისა“ და ცემა-ტყევისაგან ბობს საძაგლად დაუ-

სივდა ყურები და ტუჩები, გაუბრტყელდა ცხვირი. მისი შეხედვაც კი იწყებდა სიცილს. ჯექს უყვარდა თავისი გულკეთილი ბიძა და გული სტკიოდა და რცხვენოდა კიდევ მისი გამოისობით.

— რატომ იმდაბლებ ასე თავს?

— ჩემი პატრონი ასე მოითხოვს! — უპასუხებდა ბიძი.

— მაგრამ მან ხომ სამუდამოდ დავასახინრა?!

— ჩემს პატრონს ასე ესაიამოვნება, — მანაც თავისას გაიძახოდა ბიძი.

— შენ ნუ აძლევ ამის ნებას! — ცხარობდა ჯექი.

— ნუ აძლევ ამის ნებას! — გაიღიმებდა ბიძი. — ადვილია ამის თქმა... რა უნდა ჰქონდეს ჩემმა ბავშვებმა? ხუთი ბავშვის დაპურება არც ისე ადვილი საქმეა. რასაკვირველია, ჩემი პატრონის „ტომრად“ ყოფნა, მისი ზედა და წარამარა რბენა... ძნელია... მაგრამ, რაც უნდა იყოს, შენზე მეტს ვღებულობ და იმედი მაქვს, რომ ადრე თუ გვიან ჩემს ადგილს შენ დაიჭერ!

ბიძა მოითხოვდა, რომ ჯექი მოკრივე გამხდარიყო.

— მე თუმცა სახელგანთქმული არა ვარ, — ამბობდა ის, — მაგრამ ფიზიკური თვალი მაქვს. შენგან შეიძლება პირველი კლასის მძიმე წონის მოკრივე გამოვიდეს და, ვინ იცის, შეიძლება მსოფლიო ჩემპიონიც გახდეს.

ბიძა გულდაგულ ასწავლავდა ძმისწულს კრივის ტექნიკას. ჯექი გატაცებით სწავლობდა ამ საქმეს და ვარჯიშობდა ზანგ ამხანაგებთან.

ორი წლის შემდეგ მისტერ კენელიმ დაითხოვა ბიძი. მას თვალი დაუზიანდა.

— ახლა შენ უნდა წარგადგინო მისტერ კენელისთან, — ნაღვლიანად თქვა ბიძამ. — მე უკვე ინვალიდი ვარ...

— კეთილი. შენ მხოლოდ არ ინაღვლო. მე შენ დაგეხმარები, ხოლო მისტერ კენელი, იმედი მაქვს, კმაყოფილი იქნება ჩემით. — გაიღიმა ჯექამ.

— ღმერთმა ქნას! — ჩაილაპარაკა

ბიძამ, რომელმაც ვერ შეამჩნევს მისი წულის დაცინვა.

ჯექი მიიღეს სამსახურში მოხუცი ბიძის ადგილზე.

მაგრამ მისტერ კენელი ძლიერ უკმაყოფილო დარჩა ჯექით. მასთან ესტრადანზე პირველ შეხვედრისთანავე, აუარებელი ზალხის თვალწინ, კენელი ნოკაუტირებული იქნა თავისი მსახურის მიერ მესამე რაუნდზე. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მაყურებლები განცვიფრებისაგან გაშტერდნენ. მაყურებლებს სიცილის თაფი აღარ ჰქონდათ. მისტერ კენელიმ, როგორც კი გონს მოვიდა, უპირველეს ყოვლისა, სამსახურიდან დაითხოვა ჯექი. მაგრამ კენელის დამარცხების ამბავმა მიაღწია სასპორტო წრეებამდე, და არა მხოლოდ სასპორტო წრეებამდე... ძია ბიძი მართალი გამოდგა. ძმისწულმა გაამართლა ბიძის იმედები. ჯექამ მეტად მოკლე დროის განმავლობაში მიაღწია პირველი კლასის მოკრივეთა ოსტატობას და ერთი მეორის მიყოლებით ამარცხებდა სახელგანთქმულ მოკრივეებს. და მატჩების ორგანიზატორები, რომ შეეწყვიტათ ზანგის ტრიუმფალური წარმატებები, მასთან შესახვედრად იწყევდნენ სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონებს და, ასე გასინჯეთ, ავსტრალიიდანაც კი გამოიწვიეს ერთი ჩემპიონი.

მაგრამ ყველა ამ ჩემპიონს ერთი და იგივე ემართებოდა. ბოლოს კი ვერავითარმა ჩემპიონმა ბოროტმა ზრახვამ ვერ გასჭრა. და ახლა მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს უნდა დაეცვა „თეთრი საზოგადოების“ სახელი და ღიღება „შეკანაინების“ შემოტევისაგან, ჩემპიონის საპატიო წოდების წართმევისაგან. ის იყო უკანასკნელი „თეთრი იმედი“.

მატჩამდე ორი თვეა დარჩა. მსოფლიო ჩემპიონს ჰყავდა თანამეწყეების დიდი შტატი, სადაც პირველი კლასის მოკრივენიც იყვნენ. ჩემპიონი პერიოდულად გადაბობდა ათი მილის მან-

ძილზე. მისი მარცხენა „ტარანი“ კვლავინდებურად მიწაზე ანარცხებდა ცხენს.

ვინ იცის, შეიძლება ზანგსაც ასეთი ბედი მოეღოს. ყოველ შემთხვევაში, რეაქციონური პრესა გადაკვრით, მაგრამ ვასაგებად წერდა ამის შესახებ.

პრესა გაჰყვიროდა:

— ექსტრა! ექსტრა!

სასწრაფო ფურცლებს ბეჭდავდნენ დღისით და ღამით და აღნიშნავდნენ მოკრივეთა გავარჯიშების ყოველ წერილმან მომენტს. სასპორტო კლუბიდან და კაფეებიდან კამათი და დისკუსია სკოლებსა და უნივერსიტეტებში გადადიოდა. კამათობდნენ დაუსრულებლად. მსოფლიო ჩემპიონს გაზეთები მარწინავე წერილებს უძღვნიდნენ. მას სხვადასხვა პოზაში უღებდნენ სურათს — მთელი ტანით და ნაწილ-ნაწილად, იღებდნენ მისი ზურგის კუნთებს, პირდაპირსა და გვერდულ დარტყმებს და, რა თქმა უნდა, „ტარანს“.

— ექსტრა! ექსტრა!

მატჩის შესახებ გაჰყვიროდნენ კინოები, თეატრები, კლუბები, ესტრადები. გაჰყვიროდნენ ელექტრონის რეკლამები, რომლებიც საღამოობით გაივლებდნენ ხოლმე მაღალი შენობების თავზე. ხმაური ძლიერდებოდა, როგორც ქარის მეშვეობით გამძვინვარებული ხანძარი. ეს ხმაური ფარავდა იმ სასტიკ ბრძოლას, რომელსაც მეშახტენი უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში აწარმოებდნენ მეწარმეთა წინააღმდეგ ამერიკის ერთ-ერთ ცენტრალურ შტატში. თითქმის უფიარლო მეშახტეებმა დაამარცხეს შტრეიკებერთა რაზმები და წართმეული იარაღით (ხშირად სადღაც ნაშოვნი იარაღითაც) წარმატებით იგერიებდნენ იერიშებს ნაციონალური გვარდიისას, რომელიც შტრეიკებერების შესაცვლელად მოვიდა. მეშახტეებს შორის ბევრი იყო ყოფილი ჯარისკაცი, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის დროს იბრძოდნენ „ძველს ევროპაში“, რითაც აიხსნებოდა მათი

შეიარაღებული ძალების უსოდურ ძლიერი ორგანიზაცია. მაგრამ ამის შესახებ გაზეთები კრინტსაც არ ურჩევდნენ.

მეშახტეთა გაფიცვის აზრი, თუ ვინმე-ჯელვებ პრესის ძუნწი შენიშვნების მიხედვით, მდგომარეობდა არა მეშახტეთა არსებობისათვის ბრძოლაში, არამედ მეშახტეთა ბოროტ გამოძალვაში, ვითომც, თავიანთი პირადი ინტერესების გამო მეშახტეებმა ამ ზამთარში უნახშიროდ დატოვეს ღარიბი ოჯახები; უდავოა, ამ ბრძოლაში საექვო როლს ასრულებენ ემიგრანტი მუშები და ზანგები. მათთვის ხომ შეერთებული შტატები სამშობლო არაა, უნდა გაძევებული იქნენ შტატებიდან ასეთი მუშები, ხოლო ამერიკელები, რომლებიც მათთან ერთად მოქმედებენ, უნდა დაისაჯონ ლაბორისათვის.

ხოლო ამ დროს რეგულარული არმია ქვეშევრდების ცეცხლს მუხანათურად უშენდა კარვებს, რომლებშიც თავშეფარებულნი იყვნენ გაფიცულ მეშახტეთა ოჯახის წევრები. შეერთებული შტატების მხედრობის საგმირო მოქმედების შედეგად ბლომად ეყარა მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების გვამები.

და პრესა ხმაურობს მომავალი მატჩის შესახებ, ისე ხმაურობს, რომ ფარავს ტყვიამფრქვევების კაკანს და თოფების კახაქუსს.

ჯეკი ჯიმის სიმაღლისა იყო, მაგრამ მის წონასთან შედარებით — ორმოცი გირვანქით ნაკლები. ჯეკისთვის ეს უარყოფითი მხარე იყო, ისიც გულდასმით ემაზღებოდა მატჩისათვის. მაგრამ მისი სამზადისი ასე ადვილად არ მიმდინარეობდა. ხშირად მის წინაშე მოულოდნელი დაბრკოლებები წამოიჭრებოდა ხოლმე. ჯეკმა მიიღო უსახელო წერილი, რომლითაც მას აცნობებდნენ, რომ მის ორ თეთრ თანაშემწეთაგან ერთი, გვარად კარტერი, მოგზავნილია. ძია ბობმა გაიხსენა ანალოგიური შემთხვევა, როცა ზანგ ჩემპიონს, რომელმაც მსოფლიოს პირველობის მიღების უფ-

ლება მოიბოვა მსუბუქ წონაში, რინგზე ისეთი მაღალი ტემპერატურა აღმოაჩნდა, რომ ხუთ რაუნდსაც ვერ გაძლო. მოაგონდა აგრეთვე მეორე შემთხვევაც, რომელიც გადახდა ებრაელ მოკრივეს. ბრძოლის დაწყების წინ ასისტენტები ამ ებრაელ მოკრივეს ისეთი ბივშტექსით გაუმასპინძლდნენ, რომ მას რინგზედაც კი ეძინებოდა.

აუცილებელი გახდა კარტერის დაუყოვნებლივ თავიდან მოშორება.

უცნაური და მოულოდნელი იყო ჯექსონათვის ზანგი მღვდლის სტუმრობა. ეს იყო ზანგების კვარტალის ცნობილი მღვდელი. გრძელ შავ სურთუქში გამოწყობილმა, შავი ყელსახვევით, თვითაც შავმა, გულთბილად გაუღიმა, მოიხადა ფართოარშიებიანი ქული და თავისი ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ — ღმერთი იყოს თქვენი მხსნელი და მფარველი — მოიკითხა ახალგაზრდა მოკრივის ჯანმრთელობა.

ასე მამობრივად და თავმდაბლად მოდიმარი მღვდელი, ლაპარაკობდა რა ჯექსის წარმატებების შესახებ, შეუძინველად გადავიდა დიდების შესახებ საუბარზე.

— დიდება, ეს საწამლაია. კაცი, რომელიც მას იგემებს, დაღუპულია სამუდამოდ. ჩვეულებრივი მოკვდავის ცხოვრება მისთვის სევედა და ვარაშია. დიდება იწვევს შურსა და სიძულვილს. დიდება — ეს გარყვნილი ქალია. დიდება — ეს ეშმაკის ხელმობაა. და ის, ვინც ეძებს დიდებას, ვინც გადაუხვევს ჭეშმარიტ, ქრისტეს მიერ ნაჩვენებ გზას, მოთმინების, თავმდაბლობის გზას, ის დაღუპულია...

ჯექსმა მოულოდნელად სიტყვა შეაწყვიტინა მღვდელს.

— იმედი მაქვს, რომ თქვენი სიტყვები სრულიად არ შემეხება მე. თქვენ ამაში შეგიძლიათ დარწმუნდეთ გაზეთების საშუალებით. და, საერთოდ, რა დიდება შეიძლება ჰქონდეს შავკანიანს?! მღვდელი წუთით დაიბნა. ის დაჩვეული იყო ლაპარაკს და არა მოსმენას. მაგ-

რამ მაინც განაგრძობდა თავის ქადაგებას:

— საეცებით მართალს მარჯვენა ხელს! — ტომ, გთვლით რა ჰქვიან კაცად, მსურს ჩემი აზრი დავაბოლოვო. თუ თქვენ არ გიტაცებთ დიდება, რისთვისაა საჭირო მთელი ეს აურზაური. როგორც შეგვანიანების სულიერ მამას, არ შემიძლია უგულებელვყო ჩემი შვილების ბედი, კერძოდ — თქვენი ბედი. დაფიქრდით, როგორ მოგეპყრობიან თქვენ თქვენი გამარჯვების შემთხვევაში? თქვენ მოგვლით უბედურება, ხოლო თქვენს ყოვლად კეთილ მოხუც დედას — შიმშილი და წვალება. თქვენ ახალგაზრდა ხართ, გაბოროტებული და ამიტომ ასე მტკიცედ ისწრაფვით მიზნისაკენ, მაგრამ მე, შორიდან ვკვრეტ რა თქვენს გზას უფსკრულისაკენ, მოგიწოდებთ: „შესდექ, შვილო ჩემო! შესდექ!“

— მოკლედ, თქვენ წინადადებას აღწევთ მას, უარი თქვას მატჩზე, მაშასადამე, ხელი აიღოს ათი ათას დოლარზე? — ჩაერია საუბარში ბობი.

— სიმშვიდე დოლარებზე უფრო ძვირფასია, — ავტორიტეტულად წარმოთქვა მღვდელმა.

— მაგრამ თქვენ პირადად, მისტერ, უარს არ ამბობთ დოლარებზე? — შენიშნა ჯექსმა.

— ჩემი ფულები არ არღვევენ ჩემს მოსვენებას, — მიუგო მან.

ჯექი წამოვარდა:

— ნუთუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ თავის დამცირება და მუცლით ხოხვა სიმშვიდეა!

— თუ ქრისტეს მოძღვრება თქვენთვის არაფერს ნიშნავს, მაშინ უსარგებლოა მსჯელობა ამ თემაზე. — საყვედურის კილოთი წარმოთქვა მღვდელმა. — ნება მიბოძეთ მხოლოდ, რომ დავამთავრო ჩემი აზრი...

— სიამოვნებით.

— მე სრულიადაც არ გეუბნებით იმას, რომ უარი თქვათ თქვენს მატჩზე. მე მხოლოდ გირჩევთ, თქვენივე ინტერე-

სეზისათვის, თქვენი სიცოცხლის გადარჩენისათვის — არ ეცადოთ გამარჯვების მოპოვებას. ეს ხომ არ გართმევთ თქვენ ათი ათას დოლარს, და ეს იქნება ყველაზე უფრო გონიერი გამოსავალი და, თუ გნებავთ, ქრისტიანი ადამიანის საქციელიც.

— ესე იგი: როდესაც შენ მარცხენა ლოყაზე გირტყამენ, მარჯვენა უნდა მიუშვირო! არა, ბატონო! ცუდი მოკრივე ვიქნებოდი, ამგვარ მოძღვრებას რომ გავყვი. ჩვენი მცნებაა: დაიფარე მარცხენა, დაჰკარ მარჯვენაში. მაღლობელი ვარ რჩევა-დარიგებისათვის, მისტერ, მაგრამ მისი მიღება მე არ შემიძლია. საქმე ფულები კი არ არის, საქმე — გამარჯვებაა, და მე, შავკანიანი, ვეცდები მოვიპოვო გამარჯვება!

მღვდელი სხარტად წამოდგა და გავმართა კარებისაკენ. ერთბაშად შემოტრიალდა და ჩვეულებრივი ღიმილის გარეშე, ხელებაპყრობილმა ყრუდ და ბოროტად წარმოთქვა:

— უფალმა დაგიფაროთ და მოგიტევოთ თქვენი! — ეს ფრაზა ისე გაისმა, როგორც აშკარა მუქარა..

ცრუმორწმუნე ბობი შეერთა კიდევ.

— რას იტყვი? — ღიმილით ჰკითხა ჯექმა ბობს.

— მე ისე მომეჩვენა, თითქოს ჩვენს ბინაში შავი ყორანი შემოფრინდა, დაგეჩხაელა და გაფრინდა. უფალმა მომიტევოს ასეთი შედარებისათვის.

— მე კი მგონია, — თქვა ჯექმა, — რომ ეს ყორანი ჩვენთან მოფრინდა გარკვეული მიზნით და არა უანგაროდ.

— სახელდობრ?

პასუხის ნაცვლად ჯექმა პიჯაკის ჯიბიდან წერილი ამოიღო. უცნობი პიროვნება ჯექ მორისონს თავაზობდა ოცდაათ ათას დოლარს იმ შემთხვევაში, თუ ის მოწინააღმდეგეს დანებდებოდა მეთორმეტე რაუნდზე, ათი ათასს — აენსად, დანარჩენს — შემდეგ.

— რას ფიქრობ შენ ამის შესახებ? — მექანიკურად ჰკითხა ბობმა.

ჯექმა აუჩქარებლად დახია წერტილი ნაკუწ-ნაკუწად.

— ექსტრა! ექსტრა! ექსტრა! მღვდელე ორი კვირა-ლა დარჩა. უკანასკნელი ცნობები მოკრივეთა გარბენის შესახებ. ექსტრა! ექსტრა! მსოფლიოს ჩემპიონმა საუზმეზე ორი ქათამი შეკამა!

— ექსტრა! ექსტრა! ჯექმა ოცი კვერცხი გადაყლაპა!

გამაყრუებელი ყვირილით ახლადდაბეჭდილი გაზეთებით ხელში გაცოფებული დარბოდნენ გაზეთის გამყიდველები ქუჩებში, სიშმაგე მძვინვარებდა. პრესა ყველაფერს აკეთებდა, რათა კიდევ უფრო გაეღვივებინათ ეს სიშმაგე. ლუღნახები სავსე იყო ხალხით. ხმაურსა და ღრიანცვლში, პაპიროსისა და ჩიბუხის მუქ კვამლში თავის საქმეს აჯახრებდნენ მოქნილი ადამიანები ყალბი, ვნებიანი, თავდაუტყერელი მანერებით, ჩქარი ლაპარაკით და გაიძვერული თვალებით. ესენი იყვნენ ვაიპოლიტიკოსები, არჩევნების პერიოდში რეაქციული პარტიების მიერ დაქირავებული აგენტები.

ამჟამად ისინი აშკარად მუშაობდნენ კუ-კლუქს-კლანის სასარგებლოდ. ლუღნახების პატრონებისათვის მომგებიანი დღეები დადგა. ისინი კვერს უკრავდნენ ამ ვაიპოლიტიკოსებს. მუშტრების გულს იგებდნენ, მკერდში ირტყამდნენ ხელს თეთრი რასის გმირობის ხსენებაზე, მაგრამ ამავე დროს იმასაც არ ივიწყებდნენ, რომ სწრაფად აევსოთ ჭიქები, აელოთ ფულები, მიეცათ ხურდა და თვალყური ედევნებინათ მოსამსახურეთა მოქნილობაზე. უმრავლესობა ჩემპიონის მხარეზეა — ყველაფერი მის სასარგებლოდ მეტყველებს: წონაც, გამოცდილება და „ტარანიც“. სანაძლეო თანხები იზრდებოდა.

ხვალ ბრძოლაა, შებრძოლების ადგილისაკენ ერთიმეორის გასწრებით მიქრიან ძვირფასი ავტომობილები და მოტოციკლები, მიეჩქარებიან სატეიალური მატარებლები. ზედიზედ გამოდის სასა-

წრაფო ფურცლები. პრესას ისტერიკა დაეუფლა. ქვაფენილები წანაკითხი ფურცლებითაა მოფენილი. ქარი აიტაცებს ხოლმე მათ და ეს უზარმაზარი თეთრი ფანტელები ჰაერში ფრიალებენ. ამ ხმაურით აღსავსე კვირა დღეს ეკლესიაში ყრუდ, ძალიან ყრუდ, ვაისმა ერთადერთი გასროლის ხმა. უბრალო, ხანში შესულმა მასწავლებელმა ქალმა მილიონერს ესროლა. ესროლა მის საკუთარ ეკლესიაში, ღვთისმსახურების დროს. მღვდვარებისაგან ქალმა ტყვია ააცდინა. ღვთისმოყვარე მაგნატი იმ მაღაროების მფლობელი იყო, სადაც დახვრეტილ იქნენ მეშახტეთა ოჯახის წევრები.

ორი საათის შემდეგ რინგზე ბრძოლა დაიწყება. ჯეკისათვის აუცილებელია სიმშვიდე. უკანასკნელი ღამე უძილოდ გაატარა. მას ძილს უშლიდა რომელიღაც საძაგელი ჯაზი მეზობელ სახლში. ჯეკი საწოლზე წევს, მის ახლოს სკამზე გახეთები ყრია. ის ცდილობს დაიძინოს, მაგრამ მძიმე ფიქრები აწუხებენ. ის თავს აღწევს ამ ფიქრებს, მაგრამ ისინი კვლავ ეუფლებიან. მოწინააღმდეგესთან შეხვედრა კი არ აშინებს მას. მას ბერნსის არ ეშინია. მას გულს უკლავს უსამართლობა. დიახ! ის, ჯეკ მორისონი, ფერადკანიაჩია. მაგრამ განა ის ამაში დამნაშავეა? ანდა შეიძლება დამნაშავენი იყვნენ მისი შობილები, რომლებიც ფერადკანიაჩებად დაიბადნენ? მათთვის ხომ არ უკითხავთ, კანის რა ფერი უფრო მოსწონთ. ჯეკს არ იცნობენ ეს თეთრი ბატონები და დასცილიან კი. ხატავენ საძაგელ კარიკატურებს. აი, როგორაა გამოხატული: შავი, უზარმაზარი... ცალი ხელი მიწას სწვდება. მეორე — ილიაში ამოუჩრია და იფხანს; უზარმაზარი პირი, საზიზღრად მიტყეპნილი სქელი ტუჩები, ცხენის კბილები. მის გვერდით კი — ჯიმი ბერნსი, მძლავრი ჯენტლმენი, სმოკინგში გამოწყობილი წვეკლით ხელში. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს რინგზე ერთმანეთს ზედება არა ორი

ჩემპიონი, არამედ შავი ნადირი და თეთრი მომთვინიერებელი. ამ გაზეთში დაუფარავად არის გამოთქმული სინანული თეთრი ადამიანის „დაბალი რასის წარმომადგენელთან“ შეხვედრის გამო.

რომელიღაც პროფესორი, კრივის თეორეტიკოსი, თავის სტატიაში ამტკიცებს, რომ ზანგი — ეს არის რაღაც შუათანა ადამიანსა და გორილას შორის, და ამიტომ ზანგის თავის ქალა (ინტელექტის განუვითარებლობის გამო) მნიშვნელოვნად მაგარია, ვიდრე თეთრისა. სამაგიეროდ, ზანგის მუცლის კუნთები მნიშვნელოვნად სუსტია, ვიდრე თეთრი ადამიანისა (აქ პროფესორი არ ასახელებს მიზეზს). ამიტომ, ზანგთან ბრძოლის დროს მსოფლიოს ჩემპიონმა უნდა გაითვალისწინოს ეს მითითება და თავისი „ტარანის“ გამანადგურებელი ძალა უნდა მიმართოს ზანგის უფრო სუსტი ადგილისაკენ — მუცლისაკენ.

ჯეკი პოლიტიკოსი არ არის, ის არ ეკუთვნის არც ერთ პარტიას, მაგრამ მას ესმის, რომ ამ სტატეგისა და უსახელო წერილების ავტორები კუკლუქს-კლანის ბიჭები არიან. გუშინ ღამით ეს მათ გამოგზავნეს ჯაზი, რომ ძილი დაუფრთხონ ჯეკს. ეს მათ დანიშნეს მატჩი სამხრეთის ერთ-ერთ შტატში.

აქ ოდესღაც ჰყვოდა მონობა, და ამიტომ აქ უფრო მწვეველ, ვიდრე სხვა შტატებში, დარჩა ფერადკანიაჩების სიძულვილი. ჯეკი გრძნობს ამას, მაგრამ ეს ვერ მოსტეხს მის ნებისყოფას, ვერ შეუნელებს გამარჯვების წყურვილს.

ჯეკი ისე მძიმედ შეტრიალდა, რომ საწოლი აჭრიალდა, გეგონებოდათ, საცა დაიმსხვრევაო. მოიბრინა ძია ბობმა. მატჩების წინ, როცა ძმისწული გამოდიოდა, ყოველთვის ღელავდა ის, მაგრამ ეს არ უშლიდა, მუდამ ერთი ღა იგვიე ეთქვა:

— მშვიდად! მშვიდად! — ძველმა მოკრივემ იცოდა, რომ სიმშვიდე რინგზე ყველაფერია. — ნერვები ცული მოკავეშირეა, — ამბობდა მოხუცი.

და, ჩვეულებრივ, ჯექი არ კარგავდა თავშეკავების გრძობას რინგზე, მაშინაც კი, როცა მას განზრახ აბრაზებდნენ და ცდილობდნენ მის გამოყვანას წონასწორობიდან.

ამჯერად ბობმა თავისი ძმისწული ძლიერ აღელვებული ნახა.

— ალო, ჯექ! — წამოიძახა მოხუცმა, — რა მოგივიდა, გეშინია?

— სრულიადაც არა! — უპასუხა ჯექმა.

— იქნება ღამის კონცერტმა ძარღვები აფიშალა? ცუდად გეძინა?

— ჰო... მაგრამ შეხედები მივიღე და ახლა ვისვენებ.

— მაშ, რა დაგემაართა?

— აი, ამით გამოვყავარ მოთმინებიდან. — ჯექმა გაზეთებზე მიუთითა.

— მშვიდადი! მშვიდადი! ეს იმდენად საშიში არ არის, ჩემო ბიჭიკო! ის ისე საშიში არაა. ჩვენ თეთრებს შორისაც გვყავს მეგობრები. აი, წაიკითხე.

ბობმა ჯიბიდან ამოიღო პატარა გაზეთი და ჯექს გადასცა. ეს იყო მემარცხენე მუშათა გაზეთი. ჯექი კითხულობდა გაზეთს და სახე უბრწყინდებოდა.

გაზეთში რომელიღაც ამხანაგი მეტად გონებაბამახვილად, გულთბილად და აზრიანად იცავდა ჯექს რეაქციონერი მგლახნელების გამოხდომისაგან. ჯექის შესახებ ლაპარაკი იყო, როგორც ყველაზე უფრო პატიოსან და ჰკვიან მეკრივეზე, რომელიც კი ოდესმე უნახავს რინგს. ავტორი აწერდა მისი ტანის კლასიკურ მოყვანილობას, მის მშვიდ მოძრაობას, რომელშიც იგრძნობა ფარული ძალა, სიძარღვე და სისწრაფე, მის სერიოზულ და ჩაფიქრებულ თვალებს. დე ჯექი მშვიდად იყოს, მისი გამარჯვება სილის გაწვნა იქნება ყველა მისი მტრებისათვის. დე ჯექმა იცოდეს, რომ თეთრებს შორის მას მრავალი მეგობარი ჰყავს. და თუ მატჩის დროს მაყურებლებს შორის ისინი უფრო ცოტა არიან, ვიდრე მტრები, ეს მხოლოდ იმით აიხს-

ნება, რომ მუშებს არა აქვთ ბილეთი ფული. სალამი ჯექს!

მოკრივე გამხიარულდა. — გმადლობთ, ამხანაგი! ჩაილო პარაკა მან და გაზეთი. ფრთხილად დაკეცა.

— აი, ხედავ? — გაუხარდა ბობს. — მთავარია სიმშვიდე!

და მაინც, გასახდელ ოთახში, სადაც აღწევდა მრავალრიცხოვანი ხალხის ხმაური, აურზაური, ლაპარაკი და ყვირილი, ჯექი დეღავდა. ეს იქიდან ჩანდა, რომ მას თვალები უბრწყინავდა. მაგრამ ეს არ იყო ის მღელვარება, როგორსაც აქტიური განიცდის ხოლმე სცენაზე გამოსვლის წინ. ჯექს აღელვებდა ეს ხმაური. ჯექმა იცოდა, თუ რა მოელოდა მას რინგზე გამოჩენისას.

იღვე მარტოდ მარტო ამ ბრბოს წინაშე, ისმინო ზიზღის გამომსახველი წამოძახილები და დაცინვები, ადვილი საქმე არ არის!

— მშვიდადი, ჩემო ბიჭიკო, მშვიდადი! — ჩურჩულებდა ბიძია ბობი. — შენი გამარჯვება — სილის გაწვნა იქნება მათთვის, — გაიმეორა მან მუშათა გაზეთიდან ამოღებული ფრაზა.

— სწორია! — უპასუხა ჯექმა და ნერვულობის შუქი ჩაქრა მის თვალებში.

ის მაშინ ხალათს იცვამდა, როცა მის ყურთასმენამდე მოაღწია ტაშისა და მისალმების ყვირის გამაყრუებელმა გრგვინვამ. გრიალისა და გულგუნისაგან ჰაერი შეირხა. ეს ხალხი მიეგება რინგზე გამოჩენილ მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონს — ჯიმი ბერნსს.

— მე ასე როდი შემხედებიან, — გაიღიმა ჯექმა.

— მიმიფურთხებია, მიმიფურთხებია, — ხმის კანკალით წარმოთქვა ბობმა. — მთავარია სიმშვიდე!

ხმაური შეწყდა. ვილაცამ აჩქარებით დააკაუნა კარებზე და დაიყვირა:

— დროა! დროა!

— წაეიდეთ? — ჰკითხა ბობმა, რომე-

ლიც ცდილობდა ყბების ძაგძაგი შეეკავებინა.

ზანგების გამოჩენისას საშინელი ღრიანცელი ატყდა. იმისდა მიხედვით, რამდენადაც ისინი უახლოვდებოდნენ რინგს, ღრიანცელი ძლიერდებოდა. ვიღაცა საშინლად ყვიროდა, ვიღაცა ყფდა, ქყაოდა, უსტვენდა. ჯექს ოდნავ შეეცვალა სახე. ტუჩებზე დამკინავე ღიმილით ის განგებ ნელინელ მოიწვევდა ვიწრო გასასვლელით. მის უკან მიმავალი ძია ბობი მთლად მოიკუნტა. ღრიანცელი და მძვინვარება მას ღრინის სამართალს აგონებდა. ჯექმა გადაბიჯა ბაგირებზე, რომლითაც შემოლობილი იყო რინგი და გაემართა მისთვის მიჩენილი კუთხისაკენ. იქ უკვე იდგა მისთვის გამზადებული სკამი. ჯექის შემდეგ რინგზე ბობი ავიდა. ჯექმა გაიხადა ხალათი, გაიმართა მთელი თავისი ექვსფუტიანი სიმალით და ირგვლივ თვალი შეავლო. რინგი ღია ცის ქვეშ იყო. რინგის სულ ახლოს პარტერი იყო მოთავსებული. პარტერში, როგორც წესია, ყველაზე უფრო მდიდარი საზოგადოება იჯდა. ამას მოწმობდა იქ მჯდომთა ჯენტლმენური გარეგნობა, მათი გაპარსული, კმაყოფილებით აღსავსე, მაგრამ მძვინვარე სახეები, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა პარტიციპულ ჯენტლმენებს ყველაზე მეტად ეყვირათ და ეღრიალათ.

ხალხი ისე ბევრი იყო, რომ სკამებს პრაქტიკულად გაქონდათ.

— ეი, ჯექ! მოშორდი აქედან, ვიდრე გვიან არ არის! — გაისმოდა წამოყვირება.

— იფიქრე დედაშენის შესახებ!

— გუდ-ბაი, ჯექ! ანდერძი დაწერე?

ჯექი მიტრიალდა იმ მხარისაკენ, საიდანაც მეტი ყვირილი ისმოდა. როგორი ბოროტი სახეები!

ის მშვიდად მიუახლოვდა ბაგირებს და მიშტერებული გამომეტყველებით თვალი გადაავლო საზოგადოებას. ჯექ-

ის მტკიცე გამოხედვამ, მოხდენილმა მოყვანილობამ, მისმა შავი მარმარილოსაგან გამოკვეთილმა ფეხურამ, აიქულა პარტერის პირველი რიგი წუთით გაჩუმებულიყო.

— ყოჩაღ, ჯექ! ყოჩაღ! — მოისმა უკანა რიგებიდან ცალკეული ხმები. გაისმა ტაში.

ჯექმა აღერსიანად გაუღიმა მათ.

„კამრედ!“ — გაიფიქრა მან.

— კამრედ, — წარმოთქვა ბობმა, როცა ჯექი დაბრუნდა თავის ადგილზე და სკამზე დაეშვა.

მოპირდაპირე კუთხეში თანაშემწეებით, მეგობარ რეპორტიორებითა და ფოტოგრაფებით გარშემორტყმული იჯდა მსოფლიო ჩემპიონი ჯიმი ბერნსი და რადაცაზე მზიარულად ლაპარაკებდა. აი, დღეა ის ფოტოაპარატის წინ. კვლავ გაისმა ტაშის გრიალი და ალტყინებული ღრიანცელი.

ჯიმის მხეცური თვალები დათვურად იცქირებოდნენ გარშემო.

— დაილუპა ჯექი! — დამკინავედ და სავრთო ხარხარის ქვეშ წამოიძახა ვიღაცამ პარტერში.

მაგრამ, აი, დაიწყო მზადება შებრძოლებისთვის. მოკრივენი იცვამდნენ ხელთათმანებს. მოხუც ბობს კვლავ დაეტყო მღელვარება. არც მკვდარი და არც ცოცხალი, ის ავტომატურად იმეორებდა:

— მშვიდად! მშვიდად!

— დროა! დროა! დროა! — გაისმოდა მოუთმენელი ხმები სხვადასხვა ადგილიდან. გარეშე საზოგადოება გადიოდა რინგიდან. რინგზე მხოლოდ მოკრივენი და მსაჯი დარჩნენ. მსაჯი რინგთან მოთავსდა. სკამები აალაგეს. სიწყნარე ჩამოვარდა. მხოლოდ სკამების გამაღიზიანებელი ტრაქუნნი ისმოდა. ბოლოს მკვეთრად გაისმა გონგის ხმა. ორი გოლიათი, შავი და თეთრი, მსუბუქად მოწყდნენ ადგილიდან და ნაბიჯით წაედნენ ერთმანეთის შესახვედრად. ჯექმა წესისა და რიგისამებრ ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, მაგრამ მისი ხელი

ჰაერში დარჩა, ჯიმ ბერნსმა არ მოისურვა ხელის ჩამორთმევა ზანგისათვის... გამაყრუებელი ხარხარი, ტაშისცემა და მოწონების ღრიალი გაისმა რიგებში. ჯეკი სახტად დარჩა. მაგრამ მისი შეკრთომა დიდხანს არ გაგრძელებულა. მისმა შავმა თვალებმა დაიკვესა, თვალის გუგები სისხლით აევსო. ის ბრბოს ასეთი არასოდეს არ უნახავს. იგრძნო თუ არა ზურგის ბაგირი, გაცოფებული ჯეკი ისეთი ძალით დააწვა მათ, რომ ბაგირები აჭრაქუნდნენ და რკალივით მოიზნიქნენ, გეგონებოდათ, საცა არის გაწყდებო. ჯეკი მოეშადა სახიფათო და საშინელი ნახტომისათვის: მოწყდეს დაქიმულ ბაგირებს, როგორც ზამბარას, მთელი სხეულით ეცეს მტერს და უცბად გაათავოს ბრძოლა.

მაგრამ საკმაო იყო ჯეკს დარტყმა აეცდინა, რომ თვითონ მიიღებდა შემხვედრ დარტყმას მოწინააღმდეგისაგან და ამრიგად თვით აღმოჩნდებოდა ნოკაუტირებული ბრძოლის დასაწყისშივე. ბობმა, ძველმა მოკრივემ, უმაღვე გაიგო შექმნილი მდგომარეობა. ასეთი რისკის გაწევა არ შეიძლება. მით უმეტეს, ჩემპიონი მიხვდა, როგორც იყო საქმე და მოეშადა. სულ მცირე დრო და უკვე გვიანლა იქნებოდა. ჯეკმა გაიგონა ბობის ხმა: „მშვიდად! მშვიდად!“ — ხმა, რომელშიც დაფარული იყო ესოდენი შიში და მუდარა. ჯეკი უცებ გამოფხიზლდა. ის არ დაიძრა ადგილიდან.

ჩემპიონის ბოროტ თვალებში წყენამ გაიღვია და მაშინვე გაიფიქრა: „ვიდრე ზანგი ბაგირზეა მიკრული, უნდა ვისარგებლო მომენტით“. მან განგებ გააკეთა მარცხენა ხელის ორმაგი მოქნივა, წავიდა იერიშზე და ღონივრად მოიქნია მარჯვენა.

ჯეკმა სწრაფად დასწია თავი. ჩემპიონმა მარჯვენა ხელით გააპო ჰაერი ზანგის თავზე და მისი მკერდი ბაგირებს მოხვდა. დასაწყისისათვის ეს ცუდი არ იყო. ჯეკისადმი მტრულად განწყო-

ბილი საზოგადოების ნაწილშიც კი მოწონების ხმა გაისმა. ხოლო მოხუც ბობს ნეტარებით გაეღიმა და წაიხურჩხულა:

— კარგია, ჩემო ბიჭუნავ! კარგია!

ამ პირველი იერიშის შემდეგ პირველი რაუნდი ერთიმეორის ფრთხილად მოსინჯვაში გავიდა.

ერთი წუთის დასვენების შემდეგ ბობმა, რომელიც პირსახოცის ქნევით აგრილებდა ჯეკს, უთხრა:

— იმედი მაქვს, მეტს აღარ გაცხარდება!

— ვეცდები, — უპასუხა ჯეკმა.

შემდეგი ორი რაუნდიც იმავე ტემპით გავიდა. სამი რაუნდის შემდეგ შეიძლება ასეთი კითხვის მიცემა:

— როგორაა საქმე, ჯეკ!

— ვსინჯავ.

— მხოლოდ ნუ აჩქარდები. დრო არის. კიდევ ჩვიდმეტი რაუნდი წინ არის.

— ეს ძლიერ დიდი დროა, — თქვა ჯეკმა.

— არ დაივიწყო, შენ საქმე ჩემპიონთან გაქვს.

— ოღონდაც, — უცნაურად გაიღიმა ჯეკმა.

— როგორ არის საქმე? — ჰკითხა მენეჯერმა ჯიმი ბერნსს.

— გაილახება, — უპასუხა ჩემპიონმა.

გონგი. მეოთხე რაუნდია. ჩემპიონმა ასწია ფართო მხრები, ჩამალა მათ შორის თავი, მოიხარა, რომ დაეცვა მუცელი და წავიდა იერიშზე. თითქოს ჰარმა დაუქროლა რიგებს. ჩემპიონი მჩატედ და სწრაფად ტრიალებდა თავისი მოწინააღმდეგის გარშემო. მისმა მძლე ხელებმა რამდენიმეჯერ გაარღვიეს ჯეკის თავდაცვა. აწარმოებდა რა გაანგარიშებულ შეტევას, არ აძლევდა მოწინააღმდეგეს სულის მოთქმის საშუალებას. ჩემპიონს ადრე თუ გვიან სიჭა უნდა გაეცალა მოწინააღმდეგისათვის,

რათა შემდეგ იხელობდა რა დროს, მისწვდომოდა მას თავისი „ტარანით“.

ამ რაუნდიდან სანაძლეო განაკვეთი ჯიმის მხრივ კიდევ უფრო გაიზარდა. ჯექი, მიუხედავად მთელი თავისი სიმარჯვისა და ხერხიანობისა, ძუნწად მოძრაობდა. თავდაცვაში ბერნსი თავს იფარავდა. ჯექი თითქოს ეძებდა დარტყმას და თითქმის არ იფარავდა თავს. იმედს ამყარებდა თავის ელვისებურ გასხლტომებზე და ემუქრებოდა შემხვედრი დარტყმებით. პირველი ხუთი რაუნდის განმავლობაში ჯექს არ მიუღია არც ერთი სერიოზული დარტყმა, თუმცა ბერნსი განუწყვეტლოდ მიდიოდა იერიშით. თითქმის შეუმჩნეველი, თავის ან ტანის გვერდზე, უკან, ან წინ გადაწევა და დარტყმა გაიქცეებდა განზე, სულ რაღაც ერთი სანტიმეტრით დაშორებული მიზნიდან. ჯექის მოძრაობები ისევე სწრაფი და შეუმჩნეველი იყო, როგორც თინბაზის თითების მოძრაობა სენსის დროს.

•
•

მეხუთე რაუნდის შემდეგ ბერნსმა უთხრა მენეჯერს:

— მას დიდი გამძლეობა აქვს და დიდ სიმშვილეს იჩენს. ალბათ დიდი წვალეზა მომელის.

მაშინ მენეჯერი მოიხარა და ბერნსს რაღაც ჩასჩურჩულა ყურში.

— სცადეთ, — უპასუხა ჩემპიონმა.

მენეჯერმა ჯიბიდან ამოიღო თეთრი ცხვირსახოცი, მოიხადა ქული და ვიდრე შუბლიდან ოფლს მოიწმენდა, ძლიერ გაბერტყა ცხვირსახოცი ჰაერში. მაშინვე ყოველი მხრიდან გაისმა ძახილი:

— კუნ! კუნ! კუნ!

ამ მომენტში ბობს რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მისი პირი ისე დარჩა გაღებულს. მას აუკანკალდა ქვედა ყბა. ჯექს სახე ეცვალა. სიტყვა „კუნ“ სახელია შავი მყრალი ცხოველისა. ეს

სიტყვა მის მიმართ იყო ნათქვამი. ეს არის ყველაზე საშინელი შეურაცხყოფა ფერადკანიანებისათვის. უცვვე ერთობ აუტანელი იყო ჯექსს. ხელშიდან გამოსტაცა ბობს პირსახოცი, რომლითაც ბობი უტრილებდა ჯექსს და სკამიდან წამოხტა. ბობი ნალვლიანად აცეცებდა თვალებს აჭეთ-იჭით, თითქოს ემუდარებოდა საზოგადოებას — შეეწყვიტა ეს უმსგავსოება.

— მათ უნდათ ჩემი გამოყვანა მოთმინებიდან. კეთილი. მე მათ მივანიჭებ ამ სიამოვნებას, — ყრუდ წაილაპარაკა ჯექსმა.

ხელში ხელკეტებით გამოჩნდნენ პოლისმენები. ძლიერმა გონგმა შეწყვიტა ხმაურობა. სად გაქრა ჯექის სიმშვიდე და თავდაპირველობა? ცოფიანივით დაქროდა ის რინგზე და უტევდა ბერნსს. მისი ხელთათმანიანი მუშტები ისე ეღვარებდნენ, როგორც ჟონგლიორის ბურთები. თავგზააბნეული ბობი შემხნებული ადევნებდა თვალყურს მის მოძრაობას. აღელვებულმა მაყურებლებმა ვერ შეძლეს ერთბაშად დაწყნარება. ამ საერთო ღრიანცელში ჯექს არ შეეძლო ბობის ხმის გაგონება. კიდევ რომ გაეგონა, ალბათ ის ვერც დაამშვიდებდა ჯექსს. ბობი შეძრწუნებული ხელაედა, რომ მისი ქმისწულის ცოფმორეული იერიში ბერნსზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა, ჩემპიონი ხელმოუწვდომელი იყო. რინგზე მოძრაობდა მისი უზარმაზარი, თითქოს უთავო ტანი, რომელიც დროდადრო გამოისროდა გრძელ, ძალოვან ხელებს.

— ჯექს! ჯექს! — ჩურჩულებდა ბობი. — რას ჩადიხარ შენ? რას ჩადიხარ?

— ო! — წამოიძახა ბობმა.

ჯექსმა ყბაში იგემა გარტყმა. ის მუხლზე დაეცა.

ყვირილით: „გურეი! ჯიმი გურეი!“ მთელი პარტერი ფეხზე წამოდგა.

მეოთხე წამზე, რეფერის გათვლაზე „ოთხი“; ჯექი ადგა... მისი მოძრაობანი მნიშვნელოვნად შენედა.

— ხომ შექამე? — ყვიროდნენ ადგილიდან.

— მადლობა თქვი! ეს შენთვის სასარგებლოა!

— სანაძლეო! ასი ერთის წინააღმდეგ, თუ ზანგი არ დაიძინებს შემდეგ რაუნდში! — ყვიროდა გაოფლიანებული წითელლოყება მისტერი, რომელსაც უზარმაზარი ბრჭყვიალა ბრილიანტი ჰქონდა დაბნეული ყელსახვევზე.

ჩემპიონის მიერ მიყენებულმა დარტყმამ, როგორც ეტყობოდა, ჯეკს გონება დაუბნია. პირველად მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ჯეკი იბრძოდა რინგზე, ზანგმა ხელთათმანიანი ხელი აიფარა სახეზე, და თითქმის ორად მოიკეცა.

ჯეკი საცოდავად გამოიციქრებოდა. ჯეკი ტომარად გადაიქცა. ბობს თვალებზე ცრემლი მოადგა.

— ტაიში! — დასვენება!..

სკამზე უზრუნველად გაშლართული, ორი პირსახოცით გულდაგულ გაგრილებული ჩემპიონი სიამით უშვებდა თავის გახურებულ სხეულს გამაცოცხლებელ სიოს. სახეგაბრწყინებულმა მენეჯერმა თვალი ჩაუკრა ჩემპიონს:

— ოლ-რაიტ².

— ოლ-რაიტ, — თავის მხრივ ჩაუკრა თვალი ბერნსმა.

ხოლო ბერნსის პირდაპირ, ბაგირებზე ხელგებაშლილი და თავმოქცეული, მძიმედ ითქვამდა სულს ჯეკი. სასაცილოდ მოკუზული ბობი უგულოდ, თითქოს ძალისძალიად, უქნევდა პირსახოცს. მისი გარეგნობა სიცილს ჰგვრიდა მაყურებლებს.

— ეი, კუზიანო! უკეთესია, შენი ნიფხავი დაუქნიე.

— გინდ უქნიე, გინდ არა, ვერაფერს უშველი!

— დაუბერე! დაუბერე! კვლავ ხარხარი ატყდა.

მოხუცი ბობი გამოყრუვდა ნაპურისა და განცდებისაგან. მას ისე რცხვენოდა თავისი ძმისწულის მდგომარეობის გამო, რომ ნატრობდა, მიწა გახეთქოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ის არც კი ამშვიდებდა ჯეკს.

— ნუ ლეღავ, ბობა ჩემო, — მოესმა მას გაბოროტებული ჩურჩული, — მე მათ ვასულელებს!..

ბობმა თავი ასწია. ძმისწულის თვალებში მძვინვარე და ამასთან ერთად ეშმაკური ღიმილი იფარებოდა.

— ეს სარისკოა! შენ ვერ შესძლებ თავის შეკავებას.

— მე ისე მშვიდად ვარ, როგორც არასოდეს, — მტკიცედ თქვა ჯეკმა. — მე მათ სიქას გავაცლი.

ბობმა გაცბუნებით აიჩეჩა მხრები.

მეშვიდე რაუნდში ჩემპიონმა არ მისცა ჯეკს არც სულისმოთქმის, არც გონზე მოსვლის საშუალება. პაერში საშინელი გუგუნე იდგა ძახილისა და ტაშისცემისაგან.

— მოუთავე მაგას! მოუთავე! — ყვიროდა მისტერი, რომელსაც ბრილიანტის თვალიანი ყელსახვევი ეკეთა.

ბობმა თვალები დახუჭა. მისი სახე ავადმყოფურად იმანჭებოდა და აი, გაისმა დაცემული სხეულის გრუბუნე. ბოროტად გაგრძელებული სიჩუმე და რეფერის გარკვეული გადათვლა:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი...

ბობმა გადაწყვიტა თვალების აწევა. „იგონებ?“ — შეფიქრებდა ის. ჯეკის გამშლართულ სხეულთან რეფერი წუთებს თვლიდა.

მეოთხე ანგარიშზე ჯეკის სხეული შეირხა, მესხეთზე ხელებზე დაყრდნობილი წამოდგა, მეექვსეზე — ისევ ლონემხდილი დაეცა.

— მშვიდობით, ჯეკ! — გაისმოდა ხმა საზოგადოებიდან. — ლამე მშვიდობისა!

— შვიდი, რვა, ცხრა, — განაგრძობდა რეფერი.

— „ისე ქნა, რომ თავი წააგო!“ — მწუხარედ გაიფიქრა ბობმა და უცბად.

¹ ტაიში — დრო.

² ოლ-რაიტ — კარგია.

გამტერდა და მასთან ერთად გაშტერდა ყველა — ასი ათასი ადამიანი. უკანასკნელი მეათე ანგარიშის წინ ჯეკი ისე სწრაფად წამოხტა, რომ ყველაზე უკეთესს ჯამბაზსაც კი შემურდებოდა ასეთი სისწრაფე. ის ელასტიკურად და მსუბუქად აბიჯებდა რინგზე, იცინოდა და მისი თეთრი კბილები ბზინავდნენ. ის ისევე სხარტი და მხნე იყო, როგორც ბრძოლის დაწყებისას. უკანა რიგებში ტაში დაკრეს და დაიყვირეს:

— ვაშა, ჯეკ! ვაშა!

გაბრძვილებულმა პარტერმა მხეცური ღრიალით და ღმუილით უბასუხა.

— ხომ კარგად გავითამაშე! — მხიარულად იკითხა ჯეკმა შესვენების დროს. — ხედავ, რა ხდება? ნამდვილი სამხეცეა.

მართლაც, პირველ რიგში მსხდომმა ხალხმა დაკარგა ადამიანის სახე. მოჩანდა მათი ჩასისხლიანებული სახეები, დაკრეკილი კბილები, გამხეცებული თვალები.

ჯეკი იცინოდა. მაგრამ ბობი მოლუშული იყო.

— ბავშვობაა, — ბურტყუნებდა ის, — ბავშვობა. განა შეიძლება ასეთი რისკი? უშკულობაა და მეტი არაფერი...

— მოიცა, კიდევ მეტს ნახავ, — უბასუხა ჯეკმა, — ვნახოთ, ვინ ვის უფრო მეტ სისხლს გაუფუჭებს. ვნახოთ...

— მშვიდად! მშვიდად! სისულელეების გარეშე. გეხვეწები. ჩემი ხათრისათვის, დედაშენის ხათრისათვის! — ლამის ტიროდა მოხუცი.

მსოფლიო ჩემპიონი ოდნავ გაფითრდა და დაიბნა. შემდეგ რაუნდში ის უკან-უკან იხედა, როგორც შემინებული დათვი მომთვინიერებლის წინაშე და ვერც კი შეინიშნა, როგორ აღმოჩნდა რინგის კუთხეში მიკრული. მაგრამ ჯეკმა როდი ისარგებლა მოწინააღმდეგის დაბნეულობით. მან ირონიულად გაიღიმა და ხელით ანიშნა, რომ გამოსულიყო შუა ადგილზე. უკანა რიგებში საშინელი ტაშისცემა ატყდა. მაგრამ

იქიდანვე ისმოდა აგრეთვე გამაფრთხილებელი ხმები. მთელი რაუნდის განმავლობაში ჯეკი არაჩვეულებრივ მხედრობას იჩენდა, მძიმე მდგომარეობაში ავდებდა ჩემპიონს და მუდამ აძლევდა მას ამ მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებას. ეს იშვიათი კეთილშობილება კრივის ისტორიაში ჯენტლმენებზე საწინააღმდეგო გავლენას ახდენდა, ისინი წყველა-კრულვას ანთხევდნენ პირიდან...

— ნუ აღელდები, — ეუბნებოდა ამ რაუნდის შემდეგ მენეჯერი ჩემპიონს, — თქვენ კიდევ გაქვთ მთავარი კოზირი — „ტარანი“. დრო საკმარისზე მეტია.

პარტერში თითქოს მიხედნენ, თუ რაზე იყო ლაპარაკი და ისტერიკულად აღრიალდნენ:

— „ტარანი!“ „ტარანი!“ „ტარანი!“

ეს იყო იმათი უკანასკნელი იმედი. მათ სანაძლეო დადეს ათეულ, ასეულ და ათასეულ დოლარებზე. ოღონდაც ის მისწვდეს ზანგს.

მსოფლიო ჩემპიონი ნამდვილად აღდგა. მისი დათვისებური თვალები ბრწყინავდნენ. მის მთელ ფიგურაში იგრძნობოდა ყურადღების უკიდურესად გამახვილება და მუქარა. სახეზე ხელაფარებული, ის იერიშით წავიდა ზანგზე. მაყურებლები დაწყნარდნენ, სუნთქვა შეწყვიტეს. ზანგი არ მიდიოდა იერიშით. ის განზე ხტებოდა, თავს აღწევდა.

მთელი სიტრთხილის მიუხედავად, მათ მაინც აგემეს ერთმანეთს რამდენიმე დარტყმა. ჯეკმა მოახერხა მეტი დარტყმის მიყენება, მაგრამ ჩემპიონი რაოდენობას არ აქცევდა იმდენ ყურადღებას. თუ ამ რაუნდში არა, შემდეგში ის მიწვდება ზანგს.

— ო-ო-ო! — გაისმა ყველა რიგში. ჩემპიონმა ბოლოს და ბოლოს შეურჩია მომენტის და „ტარანი“ ატაკა თავისი მძლე, სწრაფი და ჯიჩკივით მძიმე ხელი. ჯეკმა ძლივს აიცილა თავიდან მოჭნეული მუშტი.

— ფრთხილად... ფრთხილად... — აჯე-

რებდა ჯექს ამ რაუნდის შემდეგ ბობი, გახსოვდეს, ვისთანა გაქვს საქმე. ეს ცაცია საშიშია.

— დამაცა, ძია... ამაზე უარესიც იქნება...

— არაა საჭირო. არაა საჭირო. დედაშენის სახელით გეხვეწები, — მისუსტებული ხმით ემუდარებოდა მოხუცი. სულ რაღაც ოცდაათიოდე წუთის განმავლობაში ის შესამჩნევად ჩამოჰკნა და დაბერდა.

— „ტარანი!“ „ტარანი!“ „ტარანი!“ — ითხოვდა, ბრძანებდა, ემუდარებოდა პარტერი.

ჩემპიონი გარდაიქმნა, მიაშტერდა ერთ წერტილს. ყალბი შეტევებით, თაღლითური კომბინაციებით, თითქოს უცაბედად აშიშვლებდა ამა თუ იმ სახიფათო ადგილს, რათა თვალი აეხერა მოწინააღმდეგისათვის, მოულოდნელად, საშიში ძალით ისროდა წინ თავის გადამწყვეტ ტარანს. ჯექს ჯერ მოხერხებულად აღწევდა თავს მომაკვდინებელ დარტყმას, მაგრამ ბობს ეს თამაში ერთობ სახიფათოდ ეჩვენებოდა.

დაბნეულ გარემოებაში გავიდა მეცხრე და მეათე რაუნდი.

მეთერთმეტე რაუნდი... მაცურებელთა ნერვები უკიდურესობამდე დაიძაბა. ჯექს ეცადა კონტრშეტევის საშუალებით დაეძლია ჯიმის ინიციატივა, მაგრამ ვერ შეძლო ჩემპიონის შემოტევის დაძლევა. ღიმილი მოშორდა მის სახეს.

„ეშინია, თუ მასხრობს?“ — ცდილობდა გამოეცნო ბობის.

— გეშინია, კუნ, — ნიშნისმოგებით ჩაიხითხითა ჯიმიმ.

— ჯიმი, მოკალი ეს საძაგელი! მოკალი!

„მოკალი!“ მარტო გამარჯვება არ აკმაყოფილებდა მაცურებლებს, რომლებიც პარტერში ისხდნენ. მათ სისხლი სწყუროდათ!

— აბა, გაგვათამაშე, ახლაც გაგვათამაშე.

მხეცური ხმები თარაედნენ უკანა რი-

გების პროტესტის ხმაურს და მხოლოდ ერთ-ერთი თავდადებული მაცურებელი ძახილი გამოიყოფოდა: „მშ! მშ! მშ!“ აურხაურში:

— არ არის საჭირო! არ არის საჭირო! ამას ყვიროდა მოხუცი ბობი კრუნჩხვისაგან დამანტული სახით. ის ეცარინგს.

გაკვირვების საერთო ყვირილმა ყველა ფეხზე დააყენა და მსაჯიც კი: გაიჭირა რა გიგანტური ნახტომით რინგის შუა ადგილზე. ჯექსა ხელები დაუშვა. მან აშკარად „შეუშვირა“ თავისი თავი მოწინააღმდეგის დარტყმას.

ჩემპიონიც კი სახტად დარჩა. მაგრამ ეს გაგრძელდა სულ რაღაც სექუნდის რამდენიმე ნაწილის განმავლობაში. მან გვერდულად სტყორცნა კითხვითი შეხედვა, მენეჯერს. კბილები დაკრიჭა, სისხლი მოაწვა სახეზე, მოუთმენლად და ბოროტად დაუქნია თავი. „ნუ ყოყმანობ, დაჰკა“. რინგთან ახლოს მყოფმა მაცურებლებმა პირი დააღეს, თითქოს მათ თვითონ მიიღეს მაგარი დარტყმა შვის წნულის ადგილას.

ჯიმიმ გამოისროლა წინ თავისი საზარელი ხელი, თან მიაყოლა მთელი თავისი ძალა საბოლოო დარტყმას, მაგრამ ამავე დროს ჯექს გაუქრა ხელის ქვეშ და უპასუხა სამაგიერო დარტყმით. ჯიმის ფეხები მოწყდნენ დელამიწას. ის ასროლილ იქნა ჰაერში საშინელი ძალის დარტყმით. როგორც უზარმაზარი ფუთა, მიწაზე ხმაურით განირთხა მსოფლიო ჩემპიონი...

ის იღო პირალმა, ბრტყლად.

— ერთი, ორი... სამი... — დაიწყო სექუნდების თვლა რეფერიმ, აშკარად უფრო ნელა, ვიდრე დადგენილია ხოლმე.

— ადქი! ადქი! ადქი! — წრთბაშად ხმაურობით წამოიძახა რამდენიმე ათასმა ხმამ.

მსოფლიო ჩემპიონი, თეთრი ჩემპიონი, ზანგის ფეხებთან ეგდო.

ჯეკი მშვიდად და გულკეთილად იღიმებოდა.

ეს ღიმილი ვერ აიტანეს ჯენტლმენებმა.

— ხუთი... ექვსი...

— ადექი! ადექი! ადექი!

— რეა... ცხრა...

ჩემპიონმა ოდნავ გაანძრია თავი.

— ათი!

— ნოკაუტი!—გლოვის ზარით გაისმა ამფითეატრში. ჯიმი სწრაფად გაიტანეს რინგიდან. მაშინ რეფერიმ დაღვრემილი სახით, უგულოდ აიღო ზანგის ხელი და უკანა რიგების აღფრთოვანებული ქახილისა და ტაშისცემის ხმებში ასწია ის მაღლა. ეს ნიშნავდა გამარჯვებას.

ზანგი ჯეკი მორისონი გახდა მსოფლიო აბსოლუტური ჩემპიონი. მან ჩვეულებრივი ღიმილით ტუჩებზე დაცინვით დაუქნია ხელი პარტერს.

ამან გააცოფა ჯენტლმენები. პოლიცია ძლიერ იმაგრებდა აღრიალებული ბრბოს მიწოლას. პარტერი ღმუოდა და ზანგისკენ მიიწევდა.

— წავიდეთ, ჯეკ! წავიდეთ! გვესვრიან! — ეწეოდა გარეთ თავის ძმისწულს ბობი.

— წავიდეთ!

სალამოს სასტუმროში ვიღაც საეჭვო ადამიანები გაჩნდნენ. ისინი ეძებდნენ იმ ნომერს, რომელშიც ჯეკი დაბინავდა.

მორიგე უპასუხა, რომ ზანგი მატჩის დამთავრების უმაღლეს მიმართულებას და საეჭვო ადამიანები წავიდნენ. ხოლო ჯეკი და ბობი ამ დროს ექსპრესით მიქროდნენ ჩრდილოეთისაკენ. მეორე დილას კუბეში ჯეკი ხმამაღლა კითხულობდა მუშათა გაზეთს.

კამრედი წერდა:

„აურზაურს, რომელიც რეაქციულმა პრესამ ატეხა მატჩის ირგვლივ, რომაგად საზიზღარი მიზანი ჰქონდა: ჩაეხშო სამთამადნო მუშებისა და მწარმოებლების ბრძოლის განგაში და იმავე დროს აემხედრებინა თეთრები ფერადკანიანების წინააღმდეგ. თუ პირველი სისაძაგლე ასე თუ ისე მათ მოახერხეს, სამაგიეროდ, მეორე მიზანს ვერ მიაღწიეს — კოეზი ნაცარში ჩაუფარდათ. ფერადკანიანმა ჯეკმა მორისონმა ბარბაროსებს ისეთი მაგარი სილა გააწნა, რომელმაც მეზივით გაიჭახუნა მთელს ქვეყანაზე. მამაცმა ჯეკმა გვიჩვენა ნამდვილი ადამიანური ღირსება. ჯეკის გამარჯვება არა მარტო გამარჯვებაა რინგზე — ეს პოლიტიკური გამარჯვებაც არის. ამ გამარჯვებას მთელი გულით ულოცავს მას და მაგრად ართმევს ხელს ყველა შეგნებული მუშა“.

ჯეკმა ფრთხილად დაკეცა გაზეთი. მოხუცი ბობი მორცხვად იწმენდა ცრემლიან თვალებს.

თარგმანი ე. ბორბაძისა

გერმანიის კომუნა

განთიადიან უზაღუმეღ*



ჩემი დროის ქართველ ახალგაზრდობაში გერმანიის კულტურის პრესტიჟი ისევე ძლიერი იყო, როგორც ნიკო ნიკოლაძის და სერგეი მესხის თაობის ახალგაზრდობაში — საფრანგეთის პრესტიჟი. ჩვენი წინა თაობის ქართველ ინტელიგენტებს განსაკუთრებით სოციალური საკითხები აინტერესებდათ, „ამ ქვეყნად სამოთხის გაწყობის საკითხი“, ნ. ნიკოლაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, და გასაკვირველი არაა, რომ ისინი ევროპული დემოკრატიის მექასაკენ — პარიზისკენ მიისწრაფოდნენ. ისინი მუშათა გარეუბნებში ივლისის და თებერვლის ბარიკადების რელიქვიებს ეძებდნენ, პერ ლაშეზის სასაფლაოს კედლებზე კომუნარების სისხლის ლაქებს ხედავდნენ, ხოლო პანთეონში ვოლტერის და რუსოს სარკოფაგების წინ იჩოქებდნენ.

ჩემი თაობის ახალგაზრდობას ფრანგი გამანათლებლები და ენციკლოპედისტები, რომლებზედაც მას ძალიან ზოგადი და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, ძველი აღთქმის პატრიარქებად მიაჩნდა, ხოლო საფრანგეთის რევოლუციები და პარიზის კომუნა უბრალო შესავალად დიდი მომავალი სოციალური გადატრიალებისა, რომლის წინასწარმეტყველები გერმანელები — მარქსი და ენგელსი იყვნენ. „კაპიტალიზმი“

და „კომუნისტურმა მანიფესტმა“ ჩვენს შეგნებაში ყველა სარწმუნოების სიმბოლო და დოგმა შეცვალა, ძველი აღთქმიდან დაწყებული „მოქალაქის და ადამიანის უფლებათა დეკლარაციამდე“.

ჩვენი წინამორბედები უფრო პოზიტისტურად აზროვნებდნენ და უფრო მეტად ზუსტ მეცნიერებას იყვნენ დაწაფებული. ჩვენ ნელ-ნელა უფრო ფილოსოფიისაკენ გადავიხარეთ და ეთიკური, ფსიქოლოგიური, ესთეტიკური, თვით მეტაფიზიკური პრობლემები გვქენჯნიდა. თუმცა ფილოსოფიისა ბევრი არაფერი გაგვეგებოდა, მაგრამ მართებულად თუ უმართებულად გვევონა, რომ კანტი, ჰეგელი და შოპენჰაუერი უფრო ღრმა და ორიგინალური მოაზროვნეები იყვნენ, ვიდრე რუსო, დიდრო და ვოლტერი. ბოლოს, ჩვენს მიდრეკილებას აძლიერებდა ის პოეტური წარმოდგენა ბურჟუაზიან გერმანიაზე, რომელიც „ნიბელუნგების სიმღერისა“, გოეთეს, შილერის, ჰაინეს ლექსებისა, ჰოფმანის მოთხრობების მიხედვით გვქონდა შედგენილი. მე პირადად მოწაფეობის დროს ბახმაროზე, „გურიელის საცივს“ ზემოთ, ტყეში შპილჰაგენის რომანი წავიკითხე, იქ ლასალის სიჭაბუკე იყო აწერილი, და მთელი გერმანელი ახალგაზრდობა ლეოსა და სილვიას სახით მქონდა წარმოდგენილი.

* ვაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 9.

კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას. რაღაც გონებრივი აბერაციის ზეგავლენით ადამიანს ფიზიკურად გამარჯვებული ზნეობრივად და სულიერადაც უფრო ძლიერი ჰგონია. 1870 წელს გერმანიამ პრუსიის მეთაურობით საფრანგეთი სასტიკად დაამარცხა. პუბლიცისტები, ისტორიკოსები, პოლიტიკური მოაზროვნეები ამას ხსნიდნენ არა მარტო იმით, რომ გერმანიამ ამ ომში უკეთესად გაწვრთნილი ჯარი, უფრო ნიჭიერი სარდლები გამოიყვანა, არამედ იმითაც, რომ მას უკეთესი სოფლის მასწავლებლები ჰყავდაო. ჩვენ ეს შეურყეველად გვჯეროდა.

როდესაც რეალურ სასწავლებელში მივედი ატესტატის და პირადი საბუთების მისაღებად, დირექტორმა მირჩია, გერმანიაში ნუ მიდიხარ, იქ უმაღლეს სასწავლებლებში ვიწრო სპეციალურ განათლებას იძლევიან, ეს შენს სამშობლოში არ გამოგადგებაო; გირჩევნია, რუსეთში წახვიდეო. მის რჩევას უნდობლად შევხედე.

მანამდე მე ქუთაისს არ გავცილებოდი; ამიტომ ჩემი თანამგზავრი ამხანაგი, რომელიც ოდესსამი იყო ნამყოფი, თითქმის ვასკო დე გამალ მეჩვენებოდა. მაგრამ აღმოსავლეთი საქართველო არც მას ჰქონდა ნახული. ქართლის პეიზაჟმა ჩვენზე ულამესი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს შემოდგომის შეყვითლებული ბალახით დაფარული ტერასები, ეს ღრმად დანაკებული ფერდობები სრულიად არ ჰგავდნენ გურიის და იმერეთის რბილად მოხაზულ იისფერ მთებს. ლიხვის, არაგვის, ქსნის სახელები მშობლიურად გვეჩვენებოდნენ, ისევე ნაცნობად, როგორც ბახვისწყლის და გუბაზოულის სახელები.

გორის სადგურზე ჩამოვედით და ლურჯი მახობლიანი პური ვიყიდეთ. მე გავიფიქრე, ოლიმპის ღმერთები, ალბათ, ასეთი შოთხებით იკვებებოდნენ-მეთქი. ლიხნადაგზე მზით გარუჯული, პირგაპარსული ქართლელი გლეხები მუშაო-

ბდნენ. მე ერთ მათგანს შევეკიობე. შორს არის თუ არა თბილისი-მეთქი. ზანტად შემომხედა, მაგრამ მასხუბის ღირსად არ გამხადა. მის თვალში, ალბათ, მე ვგავდი უიმედოდ ჩამორჩენილ პროვინციელს.

თბილისი მაშინ ნაკლებ მიმზიდველ სანახაობას წარმოადგენდა. ქალაქის მთავარ ქუჩებს არ ახალისებდა ის მწვანე ხეივნები და გაზონები, რომელნიც დღეს მათ საუკეთესო სამკაულს წარმოადგენენ. მაღაზიაზე ან რესტორანზე ქართულ აზრას თითქმის ვერ დაინახავდით, ვერც ერთ ქუჩაზე ან მოედანზე ქართულ წარწერას ვერ წაიკითხავდით. დიდ წიგნის მაღაზიებში ქართული წიგნები იშვიათად მოიპოვებოდა; ზაქარია ქიჭინაძის და ქართველთა ამხანაგობის გამოცემები ბუკინისტების კარადებში და თაროებზე უნდა გეძებნათ.

ოთხმოციანი წლების სომხის ბურჟუაზია შეუზღუდველად ბატონობდა ბანკებში და თვითმმართველობაში, მის დიქტატურას რუსების ბიუროკრატია, პოლიცია და მხედრობა ზღუდავდა. ორიოდ ქართველ სოვდაგარს და მრეწველს თავისი გვარი რუსულად გადაეკეთებინა სოლომონ მეჯღანუაშვილივით, და სარაჯევის, ზუბალოვის და ქეგველოვის გვარებიც ისევე უცნოდ გაისმოდა, როგორც მანთაშვიისა, მილოვისა, აფრიციანისა და არამიანცისა.

მცირერიცხოვან ქართველ ინტელიგენციას თავი შეეფარებინა სათავადაზნაურო გიმნაზიაში, ქართულ თეატრში, ორიოდ ქართული და რუსული გაზეთის რედაქციაში. რკინიგზის სახელოსნოებში, უმთავრესად, ქართველი მუშები მუშაობდნენ, მათ ძალით დაეპყროთ ნაძალადევის მიწები და იქ თავიანთი ქოხები აეშენებინათ. ძველი რომის სენატორებს, უმძაფრესი კლასობრივი ბრძოლების დროს, პლებსი ისე არ ამინებდა, როგორც სოლოლაკის პატრიციებს იმერეთიდან და ქართლ-კახეთიდან ნაძალადევისა და დიდუბეში შემოქ-

რალი გაბროლეტარებული გლეხები აწინებდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი იდეური ინტელიგენციის და მუშათა კლასის წყალობით ქართული კულტურის ტრადიციები მაინც ძლიერი იყო იმდროინდელ თბილისში.

ქუჩებში ხშირად შეხედებოდათ ეტლით მოსეირნე სომეხ მანდილოსნებს, რომელთაც გულმეკრდი და თითები მთლიანად ოქროსა და თვალმარგალიტის სამკაულით მქონდათ დაფარული. ქალებს გვერდით უსხდნენ მათი შორთულობის შესაფერისად გამოწყობილი მამაკაცები: ისინი იქიდან თავიანთ მრგვალ ონაერულ თვალებს აცეცებდნენ. თუ შე შემდეგ შრომის-მოყვარე სომეხი სტუდენტობა, სტუმართმოყვარე, მეკრივეუნთებიანი სომეხი გლეხობა და თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამსხდარი ყარაბახელი ზინვორების რაზმები არ შემხვედროდნენ, ცალმხრივი და ყალბი შეხედულება მექნებოდა სომეხებზე.

ილია ქავჭავაძეს სომხის პლუტოკრატის ციხე-სიმაგრე შეენგრია და ქართული ბანკი და თეატრი დაეარსებინა სოლოლაკში: ეს ბანკი ახლანდელი სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე იყო მოთავსებული, ხოლო თეატრი — იქ, სადაც იმჟამად რუსული დრამატული თეატრია. თეატრის შენობაში შე დავესწარი ერთ დიდ კრებას, სადაც ილია ქავჭავაძის წინააღმდეგ, აღარ მახსოვს რა საკითხში, ძალიან კარგი ორატორი — კიტა აბაშიძე გამოვიდა. ილია ქავჭავაძემ პასუხი გასცა დაუყოვნებლივ. მისმა ჯმუხმა ფიგურამ, მისმა კეკიანმა ფართო შუბლმა, მისმა ყოველივე რიტორიკულ სამკაულს მოკლებულმა სიტყვამ ჩემზე წარუხმოცელი შთაბეჭდილება დასტოვა.

თბილისიდან გასვლისთანავე ორი-ორდე სადგურის შემდეგ უკვე ვიგრძენით ის ღრმა კონტრასტი, რომელიც

საქართველოს სთიშავდა იმჟამად მეტრს-მეტად ჩამორჩენილი აზერბაიჯანისაგან. სამხრეთ რუსეთის ტრამალები, შორი-შორ მდებარე ღარიბი სოფლები ტალახიანი ქუჩებით და მინგრეული ქოხებით, ერთფეროვანი პატარა დაბები და ქალაქები უფრო მოსაწყენი მეჩვენენ, ვიდრე რუსული ლიტერატურის მიხედვით მქონდა წარმოდგენილი. არაყის სმას თვით იმდროინდელი მთავრობა უწყობდა ხელს. ლოთობა გამანადგურებელ გავლენას ახდენდა გლეხკაცობაზე. უკრაინამ ისევ გაგვახალისა, პოლტავაში რამდენიმე საათით გაჩერება მოგვიხდა. ეს დრო ქალაქის დასათვალიერებლად გამოვიყენეთ. ბულვარში ერთ უკრაინელ ინტელიგენტს შევხვდით. ჩემმა მეგობარმა მას ლაპარაკი დაუწყო უკრაინის წარსულზე, მახეპასა, ბოგდან ხმელნიცკიზე. ჩვენი მოსაუბრე გულმხურვალე პატრიოტი აღმოჩნდა, უკრაინის ავტონომიის მომხრე. მანამდე არ მეგონა, თუ უკრაინელსა და ველიკორუსს შორის რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობდა.

რადგან რუსეთი უპირატესად ჩაის სვამდა, ხოლო დასავლეთი ევროპა — ყავას, ევროპის სიახლოვე თვედაპირველად ყავის სუნით ვიგრძენი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ევროპა, ეს მხოლოდ პოლონეთი იყო, იმჟამად სამად გაყოფილი რუსეთის, გერმანიის და ავსტრია-უნგრეთის იმპერიებს შორის. ხოლო რუსეთ-გერმანიის საზღვარი ალექსანდროვის სადგურზე წარმოიშობდა უზარმაზარი, კარგად გამოკვებილი, თითქოს მეზობლების შესაშინებლად საგანგებოდ შერჩეული გერმანელი შუცმანების სახით. ესენი არ იყვნენ უბრალო პოლიციელები, როგორებიც მანამდე მყავდა ნახული. ესენი თითქოს რაღაც საიდუმლო და ამაღლებული

ქვეყნის კარიბჭეში დაყენებული გუშაგები იყვნენ. მათი უმოძრაო ნიღბები არაერთად გრძნობას არ ხატავდნენ, გარდა ქედმაღლობისა.

ძნელია უფრო დიდი კონტრასტის წარმოდგენა, ვიდრე იმდროინდელ საქართველოსა და გერმანიის შორის არსებობდა. პირველი, რაც თვალში მეცა, იყო ამ ქვეყნის ინდუსტრიის ჩქარი ტემპი და გაქანება.

როდესაც მგზავრი შემოდგომის საღამოს ჩქარი მატარებლით ბერლინს უახლოვდებოდა და შორიდან მის ნისლიან ცას ხედავდა, გავარჯერებული ლითონის ფერს, როდესაც ის მარჯვნივ და მარცხნივ დაუსრულებელი ლიანდაგების ქსელს უცქეროდა, გოცბული ეკითხებოდა თავის თავს, რა გონებამ მოაწესრიგა ამ ურიცხვი მატარებლების მოძრაობა ისე რაციონალურად, რომ არც მათი დაჯახება ხდება და არც მათი დაგვიანებაო.

ბერლინი თითქოს ცურავდა ელექტრონის ტალღებში. ფერადი აბრების ლივლივი, რომელიც მუშტრის ყურადღების მისაზიდად იყო განზრახული, თვალს ღლიდა და ადამინებსა და საგნებს თითქოს მოჩვენებებს ასვაგვებდა. ადამიანი თავის თავს დაბატარავებულად გრძნობდა, ფსდაცლებულად, გზადაკარგულად და უზარმაზარ ქვის ლაბირინთში, ახმაურებულში ათასი ხილული და უხილავი მანქანით. სიამოვნებას დახარბებული ქალ-ვაჟნი ყვავახანებს და რესტორანებს ავსებდნენ, სადაც დიდძალი ყავა, ლუდი და ძეხვი ინთქმებოდა. მაგრამ იქ მოწყენილობა ისევე მძიმედ იყო ჩამოწოლილი, როგორც სიგარეტის ბოლი. თვალუწვდენელ მრავალსართულიან უნივერსალურ მაღაზიებში გამოფენილი საქონელი მთელი მოზრდილი ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. აქ ყველაფერს იზოვნიდით უკანასკნელ მოდაზე შეკერილი ტანისამოსიდან დაწყებული ანტიკვა-

რულ ხელნაწერამდე, ავტომობილიდან დაწყებული რენესანსის სტილის ქავეჯამდე; კარებთან ქუნაშში უძისაშხლარი, ფერმკრთალი გოგონები იდგნენ და სიცივისაგან აკანკალებული ხელებით ათფენინგაან სანთლის ასანთებს ჰყიდდნენ, რადგან ხელის გაწოდება მოწყალების მისაღებად სამარცხვინოდ ითვლებოდა.

სხვა დიდი ევროპული ერების მსგავსად, გერმანელებიც ლამობდნენ თავიანთი თავი ძველი რომაელების უშუალო მემკვიდრეებად გაესაღებინათ. პრუსიის სატახტო ქალაქში ეს პრეტენზია განსაკუთრებით უსაფუძვლოდ ჩანდა. ლათინური წარწერები ვერ ჩქმალავდა იმ ფაქტს, რომ სასახლეებს, თეატრებს, უმაღლეს და სამუალო სასწავლებლებს, მუზეუმებს, კარიბჭეებს აკლდა ქემშარიტი მონუმენტურობისა და პარმონიულობის გრძნობა, ხოლო "გამარჯვების ხეივანის" ქანდაკებანი ტირგარტენში ისევე ჰგვანდნენ რომის ფორუმის ქანდაკებებს, როგორც პოქენციოლერნები — რომის კეისრებს.

მხოლოდ ერთ რამეში ჰგავდა კაპიტალისტური გერმანია ანტიკურ რომს: ისიც მასავით ღრმა სოციალური კონფლიქტებით იყო გათიშული. მაგრამ გერმანიის პლებსს გრაქხები არ ჰყავდა მეთაურებად და თვითონაც უფრო თვინიერი იყო, ვიდრე რომის პროლეტარიატი.

მთავარი კი ის იყო, რომ გერმანელ მუშათა კლასს და მის პოლიტიკურ ხელმძღვანელს, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ღრმად სწამდათ, რომ თანამედროვე პარლამენტი წარმოადგენდა საზოგადოების გარდამქმნელ და გამახლებელ იარაღს, რომლის მსგავსი არც ანტიკურ ეპოქაში არსებობდა და არც "შუა საუკუნეებში". კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა მშვიდობიანად უნდა მომხდარიყო, პარლამენტში უშრავლესობის დაპყრობით.

შეარღვეული აჯანყების და რევოლუციური დიქტატურის იდეა ძნელი ასატანი იყო გერმანელი სოციალ-დემოკრატებისათვის.

ერთხელ ბერლინში უზარმაზარ დახურულ შენობაში სოციალ-დემოკრატების მიტინგს დავესწარი. ტრიბუნაზე გეორგ ლედებური გამოვიდა. მის მახლობლად მაგიდასთან პოლიციელი დაჯდა. ის თვალყურს ადევნებდა, რომ ორატორს არაფერი ეთქვა ნებადაურთველი. ლედებურის სიტყვის დასაწყისი მე ძალიან ზომიერად მეჩვენა; მაგრამ პოლიციელმა, როგორც ეტყობოდა, ის სხვანაირად დააფასა, მოულოდნელად ზეზე წამოდგა და პათეტიკურად წამოიძახა, მე ვხურავ მიტინგსო. მე გამოაცა მისმა კადნიერებამ; ის სრულიად მარტოდ მარტო იყო და მხოლოდ პორტფელით და ფანქრით იყო აღჭურვილი. წვერ-ულუვაშაპარსული ლედებური კი თანამედროვე რობესპიერად მიმაჩნდა, მისი აუდიტორია თანამედროვე იაკობინელების კლუბად. გავიფიქრე, ეს საბრალო პოლიციელი, ალბათ, თავისი გაუფრთხილებლობის მსხვერპლი გახდებამეთქი. ლედებური დაკმაყოფილდა იმით, რომ ცოტა არ იყოს ნაძებები არტისტული ტონით შეუტია მას. პოლიციელი შეუშფოთებლად წამოდგა, პორტფელი დაეცა და დინჯი ნაბიჯით დარბაზიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ მას უკან გაჰყვნენ სოციალ-დემოკრატების ტრიბუნაც და მისი მსმენელებიც.

საერთოდ, გერმანიის სოციალ-დემოკრატებს თავი მოჰქონდა თავისი ზომიერებით, თავისი მიდრეკილებით წესიერებისა და კანონიერებისადმი. მათი საპირველმასისო დემონსტრაციები ბევრად არ განსხვავდებოდა პარკებში და ბულვარებზე მოსეირნე ბიურგერების ჯგუფებისაგან, თვით მათი შემარცხენე გაზეთები რადიკალური იყო უფრო ფრაზეოლოგიით, ვიდრე შინაარსით.

„ორთოდოქსი“ მარქსისტების თეორეტიკოს კარლ კაუცკისა და რევინიონისტების მეთაურ ედუარდ ბერნსტეინს შორის ბევრად უფრო ნაკლები განსხვავება იყო, ვიდრე კაცს პირველი შეხედვით შეიძლებოდა ეჩვენებოდა. გერმანიის სოციალ-დემოკრატების დაახლოებით გაცნობამ თანდათან შემაჯვლევეინა ის წარმოდგენა, რომელიც სამშობლოში ამ პარტიაზე მარქსის მგზნებარე პუბლიცისტური ნაწერების და ლასალის სიტყვების მიხედვით მქონდა შექმნილი.

მე მაშინ არც ანალიზის ძალა შემწევდა, არც ცოდნა, რომ ამ ემპირიული, ამ ბურჟუაზიული და პროლეტარული გერმანიის უკან სხვა გერმანია დამენახა, ნაკლებ თვალსაჩინო, მაგრამ შეიძლება უფრო რეალური. ეს იყო რეფორმაციის და გლახთა ომების ეპოქის, მინეზინგერელების, ლანცენხტების და რაინდული ორდენების, ბოლოს ტაციტის მიერ აღწერილი ბნელი ტყეების და ვალჰალას ღმერთების გერმანია, ერთი სიტყვით, ისტორიული და პრეისტორიული გერმანია. მისი დანახვა ძნელი იყო უნტერ დენ ლინდენიდან და ბრანდენბურგის კარიბჭიდან. ამისთვის საჭირო იყო პროვინციაში გამგზავრება, მაგალითად, საქსონიის მთიან ნაწილში, სადაც რომელიმე ძველ გოთურ შენობაზე ოცდაათწლიანი ომებიდან დარჩენილ წარწერას წაიკითხავდით, ღმერთო, გვიხსენი შეეციელების მრისხანებისაგანო, ან ვარტბურგში, სადაც ერთ დროს მაისტერზინგერების შეჯიბრება იმართებოდა და სადაც ლუთერმა ნათლად დაინახა, როგორ ამტვრევდა ეშმაკი კაკალს, ხოლო ნაჰუქს მის საწოლს ესროდა; შემდეგ საჭირო იყო რეინის პროვინციაში გემოგზაურათ, სადაც ვენახებით დაფარულ გორაკებზე ფეოდალური ციხეების და კოშკების მხატვრულ ნანგრევებს აღმოაჩნდით, ჰაიდელბერგსა ან ნიურნბერგს სტუმრებოდით, თითქოს საღათას ძილით და-

ძინებულთ შუა საუკუნეებისა და რენესანსის შემდეგ.

ამ წარსულ ისტორიულ ეპოქებს წარუშლელი კვალი დაეტოვებინა თანამედროვე გერმანელის სულში და საკმაო იყო ზოგიერთი უწყინარი ბიურგერისათვის ქვაბურა ქული მოგვხადათ ან გახამებული პერანგი გადაგეწიათ, რათა ფრიდრიხ ბარბაროსას ღროინდელი მუზარადი ან ზიგფრიდის ტყავის ქურთუკი დაგენ-ხათ.



ლაიფციგის უნივერსიტეტი, სადაც ფილოსოფიურ ფაკულტეტზე ჩავეწერე, უძველესი უნივერსიტეტი იყო გერმანიაში და ჩემს დროს საუკეთესოდაც ითვლებოდა. ბევრ დიდ გერმანელს გაეტარებინა აქ სტუდენტობის წლები: ლაიბნიცს, ვოეთეს, ფიხტეს, შელანგს და სხვებს. არც ცოდნის მარაგით, არც სხვა რაიმე სათნოებით მე, რასაკვირველია, ვერ გამოვდგებოდი ესოდენ გამოჩენილი ადამიანების შემკვიდრედ. მაგრამ მე ჩქარა შევაჩინე, რომ ვერც გერმანელი სტუდენტები დაიკვებოდნენ, ჩვენი სახელოვანი წინაპრების ტრადიციებს განვაგრძობთ. მათ აკლდათ სწორედ ის, რაც ყველაზე მეტად მათ წინამორბედ თაობებს ახასიათებდა: ფართო ფილოსოფიური და საზოგადოებრივი ინტერესი, შემოქმედებითი ნიჭი, თავისუფალი აზრის პატივისცემა. ფიხტე ამბობს, მე ლაიფციგში ოთხი თუ ხუთი თვე გავატარე. ეს იყო უბედნიერესი დრო ჩემს ცხოვრებაში; მე იქ საუცხოო პროექტებით აღსავსე თავით მოვედი; იქ ხელი მოვიდევ კანტის ფილოსოფიას და მასში ჩემი სულიერი ტკივილების წამალი და თვით სიამოვნების წყარო აღმოვაჩინეო.

არ მგონია, რომელიმე გერმანელ სტუდენტს ლაიფციგში ჩემს დროს ფიხტეს აღსარების განმეორება შესძლებოდა. ფილოსოფიას ბევრნი სწავლობდნენ, მაგრამ ისეთივე ხელოსნური

პედანტიზმით, როგორითაც სხვებში სოკოთა ან მწერთამცოდნეობის ან კიდევ ქალთა სწავლებათ სწავლობდნენ. რაც შეეხება საზოგადოების გარდაქმნის პროექტებს, დიდ უმრავლესობას ვერ წარმოედგინა, თუ ასეთი პროექტები საქირო და აუცილებელი იყო.

პირველი, რაც თვალში ეცემოდა ჩემსთანა გაუწაფავ უცხოელ ახალგაზრდას, ეს იყო გერმანული უნივერსიტეტის ვიწრო აკადემიური, ვიწრო კორპორაციული სული. უნივერსიტეტსა და საზოგადოებას შორის რაღაც ზღუდე იყო ამართული, მით უფრო ძნელად გადასალახავი, რომ ის უნილავე იყო. პროფესორთა კოლეგია და სტუდენტობა წარმოადგენდნენ ვიწროდ შემოფარგულულ წრეს, პრივილეგიურ საზოგადოებას თავისი განსაკუთრებული ტრადიციებით, ზნე-ჩვეულებებით, მორალით. უნივერსიტეტს თავისი საკუთარი მსაჯულები ჰყავდა, ის ასამართლებდა და სასჯელს ადებდა დამნაშავე სტუდენტებს. ბევრი რამ, რაც დანაშაულად ითვლებოდა უბრალო მოქალაქისათვის, ნებდართული ჰქონდა სტუდენტობას. სტუდენტებს უფლება არა ჰქონდათ ცოლი შეერთოთ, მაგრამ არავის გაუკვირდებოდა, თუ ქუჩაში ან ყავახანაში ისინი ღრინცელს ასტეხდნენ, მოქალაქეებს სცემდნენ, ერთმანეთს დღეულში გამოიწვევდნენ სრულიად უბრალო საბაბით. სტუდენტობის ერთი ნაწილი კორპორაციებად იყო დაყოფილი. მათი ქულების ფერადი ზოლები, მათი ფერადი სამკერდულები მოწმობდნენ, თუ რომელ კორპორაციას ეკუთვნოდნენ ისინი. ახალგაზრდა სტუდენტს ბევრი განსაცდელი უნდა გაეგლო, სანამ სრულუფლებიანი კორპორანტი გახდებოდა; ხოლო ყველაზე პატივსაცემ კორპორანტად ის ითვლებოდა, რომელსაც ყველაზე მეტი ლუდის დაღვეა შეეძლო და რაც შეიძლება მეტი დაშნის კრილობა ემჩნეოდა სახეზე.

ლაიფციგის უნივერსიტეტში სტუ-

დენტები ყოველკვირულ გაზეთს სცემდნენ. ძნელი წარმოსადგენია ამ გაზეთზე უფრო მოსაწყენი და უმინაარსო გამოცემა. წარმოდგენელი იყო, რომ უნივერსიტეტის კედლებში რაიმე პოლიტიკური კრება გამართულიყო; პროფესორები, უმეტეს შემთხვევაში, ან გულგრილად უცქეროდნენ პოლიტიკას, ან კონსერვატორების და ნაციონალ-ლიბერალების მიმდევრები იყვნენ. მათ შორის ბევრი იყო გამოჩენილი მკვლევარი, სახელგანთქმული მთელს ევროპაში, მაგრამ ორიგინალური და დამოუკიდებელი მოაზროვნე ძალიან ცოტა იყო. ვიწრო ნაციონალისტური სული მეტრსმეტად ამქიმებდა აკადემიურ ატმოსფეროს და განსაკუთრებით ხელს უშლიდა ფილოსოფიის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარებას. თუ გერმანელ პროფესორებს დაუფუჯრებდით, გერმანია თანამედროვე კაცობრიობას მეთაურობდა კულტურის ყოველ დარგში, როგორც ანტიკურ მსოფლიოს საბერძნეთი მეთაურობდა.

ლაიფციგის წიგნების გამომცემლობის და ვაჰრობის ცენტრი იყო გერმანიაში. ქალაქი სავსე იყო წიგნის მაღაზიებით, გაზაფხულის და შემოდგომის ბაზრობაზე ანტიკვარულ წიგნს საპატიო ადგილი ეჭირა ბეწვეულობის, ფართლის და სხვა საქონლის გვერდით. ერთხელ, როგორცაც ათიოდე მარკას თავი მოფუყარე და საუკეთესო წიგნის მაღაზიაში შევედი, რათა მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომი შემეძინა. რამდენიმე ენახე მოლაპარაკე ნოქარმა მითხრა: მარქსის ნაწერები ჩვენ არ გვაქვს, თუ გნებავთ, თქვენთვის საგანგებოდ დავუკვეთავ, თუ არა და, უწყობესია, სოციალ-დემოკრატიული წიგნის მაღაზიის მიმართოთ გარეუბანში, იქ მას ფასდაკლებით მიიღებთ. და მე აძლებული გავხდი „წითელი საქსონიის“ გონებრივ ცენტრში, ლაიფციგში, სადაც ლასალმა თავისი პოლიტიკური მოღვა-

წიობა დაიწყო, ორი კილომეტრი გამეგლო, რათა მარქსის მთავარი თხზულება შემეძინა. ეს მგზავრება მსაყმანდ დამღლელი აღმოჩნდა კანტის მიერ აღიარებული სივრცის იდეალობის მიუხედავად.

ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტს ჩემს დროს ბევრი გამოჩენილი პროფესორი ჰყავდა. ფილოსოფიის ისტორიას და ფსიქოლოგიას აქ ვიღებდემ ვუნდტი კითხულობდა, ესთეტიკას—ფოლკელტი, ქიმიას და ნატურფილოსოფიას—ოსტვალდი, გეოგრაფიას—რატცელი, პოლიტიკურ ეკონომიას — ბიუხერი და სხვ. მაგრამ ლექციების არაჩვეულებრივი სიძვირე, გერმანელი პროფესორების და სტუდენტების გულცივი, თითქმის მტრული დამოკიდებულება უცხოელი სტუდენტებისადმი, ბოლოს, განსაკუთრებით, გერმანული მეცნიერების პედანტური, ნაწილობრივ სქოლასტიკური სული ხელს არ გვიწყობდა მაინცადამაინც დიდი აღფრთოვანებით დავწაფებოდით აკადემიურ მუშაობას.

დღესაც რაღაც ტკივილნარევი სიამოვნებით ვიგონებ ავგუსტუს პლაცს, რომელსაც შუაში ბრინჯაოს მითოლოგიურ ფიგურებიანი შადრევანი ამკობდა და ერთი მხრიდან უნივერსიტეტის ფსადი უცქეროდა, მეორე მხრიდან — სამხატვრო გალერეა, ხოლო მესამედან — საოპერო თეატრი. მეტი შეუმღვრევი სიამოვნებით ვიგონებ ლაიფციგის მშვენიერად მოწყობილ, მდიდარ ბიბლიოთეკას, სადაც წიგნებზე თავდახრილს მრავალი საათი გამიტარებია მრგვალ სამკითხველო დარბაზში. მის მყუდროებას არაფერი არ არღვევდა, გარდა წიგნების ფურცლების შრიალისა და ბიბლიოთეკის მსახურების ფრთხილი ნაბიჯებისა. ხშირად ვესტიბიულში გავდიოდი დასასვენებლად, აქ კედლებსა და ქერს, შემკულთ ილიადის და ოდისეას სიუჟეტებზე დახატული სურათებით, კლასიკურ მსოფლიოში გადავყავ-

დი. ხოლო განსაკუთრებულ სიამოვნებას ხელნაწერი კატალოგების განყოფილებაში განვიციდით: რამდენიმე თაობის ადამიანებს ემუშავათ აქ, რათა უზარმაზარ ფოლიანტებში ყოველი დარგის ინვენტარი ჩაწერათ, მეტაფიზიკიდან დაწყებული — თანამედროვე ფიზიკურ ქიმიამდე. საუკუნეების მანძილზე მელანი ალაგ-ალაგ თითქმის გადასულიყო, მაგრამ დამწერის ხელი თითქოს უკეთ იგრძნობოდა სტრიქონების მკრთალ მოხაზულობაში.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გვერდით „ხელოვნების სახლი“ იდგა, კომპოზიტორ მენდელსონ-ბარტოლდის მიერ აგებული. ექ ჩემს დროს კვირაში ერთხელ სიმფონიური კონცერტი იმართებოდა არტურ ნიკიშის დირიჟორობით. ეს სიმფონიური კონცერტები კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა ლაიფციგის მუსიკალურ ცხოვრებას. ლაიფციგში მოღვაწეობდნენ თავის დროზე ბახი, რომელიც აქ ეკლესიის ორგანოსტად მსახურობდა, შუმანი, მენდელსონ-ბარტოლდი. ჩემს დროს ლაიფციგში მოდიოდნენ კონცერტების გასამართავად საუკეთესო პიანისტები და ვიოლონისტები; ლაიფციგელი მუსიკალური რეკონსტრუქციების ყურადღების დამსახურება დიდ გამარჯვებას უღრიდა ახალ დამწევი და მკვრელისა ან მომღერლისათვის. ამიტომ ზამთრის სეზონში ლაიფციგში დედამიწის ყოველი ქვეყნიდან, განსაკუთრებით რუსეთიდან, ინგლისიდან, ამერიკიდან, თავს იყრიდნენ მუსიკის მოყვარულები, უმეტეს ნაწილად, შეძლებული ადამიანები და ხელმოკლე სტუდენტისათვის, რასაკვირველია, ადვილი არ იყო ნიკიშის კონცერტებზე ბილეთის შექნა. მაგრამ კონცერტის წინა დღით იათფასიანი ბილეთები იყიდებოდა მთავარ რეპეტიციაზე დასასწრებლად, შესრულების თვალსაზრისით კი ეს რეპეტიცია არაფრით განსხვავდებოდა თვით კონცერტისაგან. ამ რეპეტიციაზე თავს იყრიდნენ კონსერვატორი-

სა და უნივერსიტეტის სტუდენტები, ლიტერატორები, მუსიკის მკვლევანნი და მუსიკის მოყვარულები, რამდენიმე წამს განსაკუთრებით დიდი იყო ლაიფციგში.

შავსერთუკიანი, გრძელთმიანი არტურ ნიკიში თავისი გრძელთმიანი თეთრი ხელების ძუნწი და ჰარმონიული მოძრაობით ისე მართავდა მორჩილ ორკესტრს, რომ მსმენელს ეგონებოდა, დამკვრელები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ქამანები, თვით დირიჟორი ერთი მრავალთავიანი არსებაა, რაღაც უხილავი ფსიქიკური მოტორით ამოძრავებული. თუმცა მე არავითარი მუსიკალური განათლება არ მიმიღია და განვითარებული სმენის ქონასაც ვერ დავიკვებნიდი, მაგრამ ნიკიშის კონცერტების წყალობით ვიგრძენი ამ ხელოვნების სიდიადე, რომელიც ერთსა და იმავე დროს თითქოს ყველაზე რთულიც არის და იმდენად ელემენტარულიც, რომ თვით ცხოველებზეც ახდენს ზემოქმედებას. ჩემმა დილუტანტიზმმა ხელი კერ შემიშალა ბეთჰოვენის ტრაგიკული სული მეგრძნო, მისი გმირული ბრძოლა კაცობრიობის ბედნიერებისათვის, მისი მოწოდება ძმობისა და სიხარულისაკენ, როგორც ეს, სხვათაშორის, შილერის პათეტიკური სიტყვებით გაისმის მეცხრე სიმფონიის ფინალში.

ლაიფციგი ჩემს დროს ითვლებოდა არა მარტო გერმანული მუსიკალური კულტურის, არამედ მისი ფილოსოფიური კულტურის ცენტრადაც. ამ მხრივ მას მხოლოდ ნაწილობრივ ჰაიდელბერგი, ფრაიბურგი და მარბურგი ეჯიბრებოდნენ, სადაც სხვადასხვა განზრის ნოკანტიანელი პროფესორები კითხულობდნენ ლექციებს. ვილჰელმ ვუნდტი იყო უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი გერმანული იდეალისტური ფილოსოფიისა, უკანასკნელი დიდი ენციკლოპედისტი, მხოლოდ, რასაკვირველია, სრულიად მოკლებული ფრანგი ენციკლოპედისტების მებრძოლ ტემპერა-

მენტს და პუბლიცისტურ მგზნებარებას. როდესაც ადამიანი ვუნდტის გამხდარ, ძაბუნ სხეულს, მის სათვალთან მაცქერაღს ოდნავ ელამ თვალუმს შეხედავდა, ის ძალაუნებურად გაკვირვებით იკითხავდა, როგორ შესძლო მან ესოდენ განშტოებულ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლა და ამდენი დიდტანიანი თხზულების დაწერაო. თავისი მეცნიერული სარბიელი მან ფიზიოლოგიიდან დაიწყო, იქიდან ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაზე გადავიდა და ეთიკით, ლოგიკით და მეტაფიზიკით დაასრულა. მისი ნაწერებიდან ერთი დიდი ბიბლიოთეკა შეიქმნებოდა.

თავისი ჩვევებით ვუნდტი, როგორც ეტყობოდა, გერმანელი პედანტიზმის ვანსახიერებას წარმოადგენდა. ამობენ, კენიგსბერგელი მოქალაქეები თავიანთ საათებს მართავდნენ, როდესაც კანტი სახლიდან გამოდიოდა, ვინაიდან ქალაქის კოშკის საათი შეიძლებოდა წინ წასულიყო ან ჩამორჩენილიყო, კანტს კი ეს არ მოუვიდოდა. ჩემს დროსაც ჩემისთანა უსაათო სტუდენტს შეეძლო გავგო, რომ ზუსტად ნაშუაღღამოდის ოთხი საათი იყო, როდესაც ვიღველმ ვუნდტი თავის მოხუც მეუღლესთან ერთად ქოლგით ხელში თავისი ბინიდან გამოვიდოდა, რათა ხეივნების გზით გარს შემოეველო ლაიფციგის ძველი შიდა ნაწილისათვის და უნივერსიტეტში მოსულიყო ერთი წუთის ვადაუცილებლად. მრავალრიცხოვანი აუღიტორია მას მოუთმენლად ელოდა. მისი ფსიქოლოგიის კურსს ზაფხულის სემესტრში და ფილოსოფიის ისტორიისას — ზამთარში იმდენი მსმენელი ესწრებოდა, რომ მრავალი სტუდენტი იძულებული იყო ფეხზე მდგარიყო ან კათედრის საფეხურებზე ჩამოხჯდარიყო. ვუნდტს სიბერეში სუსტი ხმა ჰქონდა და მისი პირველი სიტყვები ბუნდოვნად ვაისმოდა ამფითეატრის უკანასკნელ რიგებში. მაგრამ ჩქარა სრული სიმშვიდე მყარდებოდა, მხოლოდ რომელიმე დაგვიანებული

სტუდენტი თუ შემოაღებდა ვარს ქლოშინით. უბედურება იქნებოდა, თუ ეს სემიტური ტიპის და ისიც მდებარეობითი სქესის ადამიანი ამხმჩინდებოდა. მაშინვე გერმანელი სტუდენტები იატაკს ფეხს ვაუსვამდნენ და შრიალს ასტეხდნენ. ასე ხატავდნენ ისინი ჩვეულებრივად თავიანთ პროტესტს.

თავისი ეკლექტიკური ფილოსოფიური სულის მიუხედავად, ვუნდტი კათედრაზე მაინც შთავონებული მოაზროვნის შთაბეჭდილებას ახდენდა. იგივე ითქმის იოჰანეს ფოლკელტზეც, რომელმაც თავისი ლექციებით ინტერესი გამოიღვიძა ხელოვნების ფილოსოფიისადმი. უფრო ახალი თაობის ლექტორები, საუკეთესო შემთხვევაში, კეთილსინდისიერი კომენტატორები იყვნენ. ერთი მათგანი, პაულ ბარტი, იმ დროს რუსეთშიც ცნობილი იყო თავისი წიგნით „ფილოსოფიის ისტორია, როგორც სოციოლოგია“. როდესაც მის სემინარში „წმინდა გონების კრიტიკას“ ვარჩევდით, ის ხშირად უიმედოდ იკარგებოდა კანტის დახლართული პერიოდების ჯუნგლებში, საიდანაც ის ჩვეულებრივ გამოჰყავდა ერთ ახალგაზრდა სერბიელ სტუდენტს, გვარად რისტიჩს, ერთ უნიჭიერეს ახალგაზრდას, რომელიც მე უცხოეთში შემხვედრია. ის დიდი პატრიოტი იყო და, მგონია, ავსტრიელების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა.

მეორე გამოჩენილი სტუდენტი ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე ჩვენი თანამემამულე დიმიტრი უხნაძე იყო. ეს იყო მოხდენილი გარეგნობის ახალგაზრდა კაცი, დაჯილდოებული პატიოსანი და ნატიფი აზროვნების ნიჭით. მაგრამ, ცოტა არ იყოს, გულჩათხრობილი. სადოქტორო დისერტაცია რუს ფილოსოფოს ვლადიმირ სოლოვიოვზე დაწერა. თუმცა, როგორც დ. უხნაძე მარწმუნებდა, ვლ. სოლოვიოვს ფრიდრიხ შელნგის ძლიერი ზეგავლენა ეტყობოდა და მთელი გვერდები მისი ნაწერებიდან ზუსტად ემთხ-

ვეოდა გერმანელი სუბიექტური იდეალისტის ნაწერებს, აღმოჩნდა, რომ ლაიფციგის უნივერსიტეტის პროფესორებს არასოდეს არ გაეგოთ სოლოვიოვის გვარი. ამიტომ დ. უზნაძე იძულებული გახდა ჰალეს უნივერსიტეტში გადასულიყო სადოქტორო დისერტაციის დასაცავად. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დ. უზნაძემ დიდი როლი შეასრულა ჯერ ქუთაისში, როგორც გიმნაზიის მასწავლებელმა, ხოლო შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში, როგორც ფსიქოლოგიის კათედრის გამგემ. მეორე მისი ფოტოგრაფიული სურათი მაქვს, ერთი სტუდენტობის დროისა, ხოლო მეორე — გარდაცვალების წინა წლებში გადაღებული. და როცა ამ ორ სახეს ერთმანეთს ვადარებ, ერთს შეუმღვრეველი თვალებით მაკეერალს, ხოლო მეორეს — ტრაგიკული ნიღაბის მსგავსს, ფრანგი პოეტის სიტყვები მაგონდება: „ჩემი ყრობა მხოლოდ პირქუში ქარიშხალი იყო, დროდადრო განათებული მზის ბრწყინვალე შუქით; მეხმა და წვიმამ იძღენი განადგურება გამოიწვია ჩემს ბაღში, რომ ცოტადადარჩა ოქროსფერი ნაყოფი; აი უკვე დადგა აჩრთა შემოდგომა და საჭირო გახდა ნიჩბების, ბარების მოშველეობა რათა ხელახლა გავასწორო გადარეცხილი დედამიწა, სადაც ნიაღვარს საფლავებით ღრმა ორმოები გაუთხრია“.

ეკლექტიზმის, კომპილაციის სული მარტო გერმანული აკადემიური აზროვნებისათვის როდი იყო დამახასიათებელი. დამოუკიდებელი აზროვნების ნიჭი თითქოს საზოგადოდ გამჭრალიყო, გოეთეს ან ბისმარკის ციტატის დამოწმება ისევე სავალდებულო იყო ჩემი დროის გერმანელი პუბლიცისტისა და ჟურნალისტისათვის, როგორც ბიზანტიელი თეოლოგისთვის შუა საუკუნეებში ბასილი დიდის და გრიგოლ დთისმეტყველის ციტატის დამოწმება იყო სავალდებულო.

ხშირად, როდესაც ღარიბული სტუ-

დენტური საუბრის შემდეგ, რომელიც ჩვეულებრივ ერთი ფინჯანი ჭრქო ყავისა და ერთი პატარა ჭექერი ჭურჭლისაგან შედგებოდა, აუდიტორიაში შეესულვარ, ძალაუნებურად გამიფიქრია, რამესაქმება მე საქართველოდან გაღმობეწილ ახალგაზრდას, თუ როგორ სკრის შემცნობი სუბიექტის და შესაცნობი ობიექტის ურთიერთობის საკითხს გერმანული ფილოსოფია და რად გამომადგება ჩემს სამშობლოში ლაიბნიცის მონოლოგიის ან კანტის ტრანსცენდენტალური ესთეტიკის ცოდნა-მეთქი.

შეუძლებელი იყო გარედან მოსულ, ოდნავ დაკვირვებულ ადამიანს თვალში არ სცემოდა ის წინააღმდეგობა, რომელიც პრაქტიკულ ცხოვრებაში გამეფებულ ტლანქ უტილიტარიზმსა და აკადემიურ აზროვნებაში თითქმის შეუზღუდველად აღიარებულ იდეალიზმს შორის არსებობდა. ცხოვრებაში ადამიანის ღირებულება ფულით იზომებოდა, ძლიერ ხშირად თვით ვითომდა სოციალისტურად მოაზროვნე გერმანელი მუშების ოცნებას ის შეადგენდა, რომ ცოტაოდენი თანხა შეეძინათ და დუქნის ან ლუდხანის პატრონები გამხდარიყვნენ სიბერეში. სიღარიბე ბიურგერულ წრეებში დიდ უბედურებად, თითქმის ბიწიერებად ითვლებოდა.

მგონია, პირველად გეორგ ბრანდესმა შენიშნა, რომ საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ გერმანიაში ყველაზე პოპულარული ლითონი რკინა გახდა. ჩვენს დროსაც ყველაზე საპატიო ორდენად რკინის ჯვარი ითვლებოდა, საუკეთესო თავსაბურავად — რკინის მუზარადი, უდიდეს ადამიანად — რკინის კანცლერი: ბისმარკის სურათს ყოველ ბინაში აღმოაჩენდით, მის ბრინჯაოს ძეგლს — ყოველ მოედანზე. პირტიტველი ლეიტენანტები ქუჩებში რკინის ხმლებს მიაჩნარუნებდნენ რკინის გორგოლაქებით და ცდილობდნენ რკინის ქანდაკების უგრძნობელი გამომეტყველება მიეღოთ.

დოქტორის ხარისხის მქონე მეცნიერი, მაღალი თანამდებობის მოხელე, ბანკირი, ქარხნის პატრონი, მით უმეტეს ბარონის, გრაფის, პრინციის წოდების მქონე ადამიანი თავის თავს რაღაც შარავანდელით მოსილ არსებად სთვლიდა და ცდილობდა ეს რწმენა სხვებისთვისაც ჩაეგონებინა. ყოველი გერმანელი, თვით დარბაისელი და გონებაგახსნილი, თავის თავს დიდად შეურაცხყოფილად ჩასთვლიდა, თუ მიმართვაში მისი ტიტული ან წოდება დაგავიწყდებოდათ.

ქალ-ვაყენი ძალიან ხშირად განცხადების მიხედვით ქორწინდებოდნენ, ასეთი განცხადებები ყველა ბურჟუაზიულ გარემოში იბეჭდებოდა. იქ დაქორწინების მსურველი ყველა თავის ღირსებას და სათნოებას აღნიშნავდა: სიმაღლეს და ტანისმოყვანილობას, კანის და თმის ფერს, ჯანმრთელობას და ტემპერამენტს. ოჯახური კერის სიყვარულს, ხოლო, განსაკუთრებით, შემოსავლის ან მზითვის რაოდენობას. ასეთი ცოლქმრობა ერთგვარ კომერციულ ბელშეკრულებას წარმოადგენდა, რისკზე დამყარებულს. მომგებიანს ან წამგებიანს, გარემოების მიხედვით. რაც შეეხება სტუდენტების სამიჯნურო კავშირებს მალაზიების და ყავახანის მსახურ ქალებთან, მათ ჩვეულებრივ ხანმოკლე შეთანხმების ხასიათი ჰქონდათ. გერმანიაში უფრო იშვიათი იყო ისეთი კატეგორიის ქალიშვილები, როგორიც პარიზელი გრიზეტები იყვნენ, ალფრედ დე მიუსეს მიმი პენსონები, რომელნიც თავიანთი თავისებური კულტურით სიტლანქეს აცლიდნენ სქესობრივ ურთიერთობას და მას რომანტიკულ ელფერს აძლევდნენ. მითუმეტეს აქ წარმოუდგენელი იყო მარი დიუპლესი, მარგარიტა გოტიეს პროტოტიპი, ესოდენ სახელგანთქმული მწერლების, მხატვრების და კომპოზიტორების მიერ.

მაგრამ თუ გერმანელი ქალიშვილსაგან ბიურგერების და მუშების წრეებში მაინცდამაინც არ მოითხოვდნენ, რომ მას უმანკოება შეენახა თავისი მომავალი საქმროსთვის, სამაგიეროდ, გათხოვების შემდეგ გერმანელი ქალი, ჩვეულებრივ, ურყევ ერთგულებას ინარჩუნებდა თავისი მეუღლისადმი და თავის თავს ვალდებულად სთვლიდა, რაც შეიძლება ჩქარა, მისი ენა და ხნე-ჩვეულებანი შეეთვისებინა, თუ ის უცხოელი იყო.

თუ ფიზიკური სისუფთავე და წმინდა მოქალაქეობრივი რიგიანობა ზნეობრივი ჯანსაღობის უპირველესი გამოვლინებაა, შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის ზნეობრივი ატმოსფერო იმპერიალისტური ომის წინ საერთოდ ჯანსაღი იყო. უცხოელს თვალში ეცემოდა ამ ერის სიყვარული წესიერებისადმი, მისი პატიოსნება და შრომისმოყვარეობა. ხოლო განსაკუთრებით მისი გასაოცარი ორგანიზაციული ნიჭი. სისხლის დამნაშავეთა რიცხვი მცირე იყო და დიდს ქალაქებში მკვლელობა უფრო იშვიათად ხდებოდა, ვიდრე თვითმკვლელობა.

მაგრამ, როგორც ეტყობა, არც იაფფასიანი აბანოები და სუფთად შენახული საჯარო საპირფარეშოები, არც ჰუმანური სოციალური კანონმდებლობა, რომელიც ადამიანებს უმუშევრობისა, უბედური შემთხვევებისა და სიბერისაგან აზღვევს, არც ორსულ დედაკაცებზე, ობლებზე და მათხოვრებზე ზრუნვა, არც სახალხო უნივერსიტეტის და ბიბლიოთეკების ქსელი არ კმარა, რომ ერის ზნეობრივი ატმოსფერო სავსებით ჯანსაღად ჩაითვალოს.

გერმანელ ხალხში თავიდანვე განვითარებული იყო სოციალური ინსტინქტი, მაგრამ კულტურის ყოველ დარგში, ეკონომიურ ცხოვრებაშიც და პოლიტიკაშიც, ლიტერატურაშიც და ხელოვნებაშიც მის წინააღმდეგ ბურჟუაზიული ინ-

დივიდუალიზმი მძლავრ და გამანადგურებელ შეტევას აწარმოებდა.

სასამართლო დამოუკიდებელი იყო, სამართლიანობის შეგნება უაღრესად განვითარებული. სასამართლოს კვლევებიდან სრულიად გამკვეებული იყო ინკვიზიციის სული, რომელმაც შემდეგში ასეთი საშიში გამოხატულება მიიღო ნაციისტების დროს, და ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ იმდროინდელ გერმანიაში უდანაშაულო კაცი დაესაჯათ მართოდენ უკვეის საფუძველზე. მაგრამ გერმანიაში, ისევე როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, შესუსტებული იყო ის შეგნება, რომ კულტურის განვითარების მიზანს ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალების ყოველმხრივი გაშლა წარმოადგენს, და რომ ოქროს და საქონლის ფეტიშიზმი ყველა ფეტიშიზმზე უარესია.

როგორც ბიურგერულ კლასში, ისე თავისუფალი პროფესიების წრეებში საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა ასფალტის ადამიანი, რომელსაც შეიძლება არასოდეს ცოცხალი ბატი არ ენახა და თავი ენციკლოპედიური ლექსიკონიდან ამოღებული ცნობებით ჰქონდა გატენილი. გერმანია სამართლიანად ამაყობდა თავისი გამოჩენილი სპეციალისტებით ბუნებისმეტყველების, ფილოლოგიის, ტექნიკის, მედიცინის დარგებიდან: მაგრამ ეს სპეციალისტები ყრუ-მუნჯი ხდებოდნენ, თუ მათს საზოგადოებაში საუბარი მათი სპეციალობის ზღუდეს გადასცდებოდა. დამახასიათებელია, რომ სიტყვა ინტელიგენცია არ იხმარებოდა გერმანულ ენაში. ყველაზე სიმპათიურ შთაბეჭდი-

ლებას ფართო გონებრივი ინტერესის მქონე ადამიანები ახდენდნენ, ნამდვილად ინტელიგენტები ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ფილოსოფიურად, ლიტერატურულად, მუსიკალურად განათლებულნი. ისინი უფრო ხშირად სამხრეთ გერმანიაში გვხვდებოდნენ. ხოლო ყველაზე ანტიპათიური იყო ქედმაღალი ტევტონი, გაბოროტებული მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ იმის გამო, რომ სხვა უფრო ბედნიერმა ერებმა საუკეთესო მიწა-წყალი დაიპირეს მზის ქვეშ. მის თავში ნიცშეს ზეკაციის ადვა ძველი ებრაელობის მესიანისტურ წარმოდგენებთან იყო შეუღლებული, გრაფ გობინოს პარადოქსები ერების დაბერებასა და სიკვდილზე — ჰეგელის დებულებასთან, რომ მსოფლიო სულმა პრუსიის სახელმწიფოში ჰპოვა თავისი საბოლოო განხორციელებაო, ისტორიული მოგონებანი დასავლეთ რომის იმპერიის დამხობის და ხალხთა გადასახლების ეპოქიდან — ბისმარკის და მოლტკეს კულტთან.

ანტისემიტიზმს გერმანიაში რაღაც მისტიკური ელფერი ჰქონდა; ბევრ წვრილბურჯულს შეურყვევლად სწამდა, რომ ევროპაში ყოველი სოციალური ბოროტება აღმოიფხვრებოდა, თუ იქიდან ებრაელებს განდევნიდნენ. ზოგიერთ გერმანულ მოაზროვნეს კაპიტალიზმის სული ბოროტი სემიტური გენიის ნაშთად მიაჩნდა. ას გერმანულზე ერთი ებრაელიც არ მოდიოდა, მაგრამ ებრაელები ყველგან ჩანდნენ: ვაჭრობაშიც, ბანკშიც, ბირჟაზეც, თეატრშიც და პრესაშიც. ეს აღმფოთებას იწვევდა შოვინისტების წრეებში.

*
* *

რუსეთიდან გამოსული ახალგაზრდობა გერმანიის უნივერსიტეტებში პოლიტიკურ ჯგუფებად იყო დანაწილებული. არსებობდა სოციალისტ-რევოლუციონერების, ბოლშევიკების, მენშევიკების, პოლონელი სოციალისტების, ებრაელი სიონისტების და სხვა პარტიების ჯგუფები. მათ შორის ბრძოლა წარმოებდა ისეთი გააფთრებით, როგორც ეს იყო პირველი საუკუნეების ქრისტიანულ სექტებში. ლაიფციგელი ქართველი სტუდენტების უფრო აქტიური ნაწილი, შვიდი-რვა კაცი, ბოლშევიკების ჯგუფში შევიდოდი.

ჩვენს ჯგუფს ხელმძღვანელობდა სტალინის მეგობარი მიხეილ დავითაშვილი. ეს იყო გამხდარი, შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი, ცოტა ნაადრევად მოტეხილი გაქირვებული ცხოვრებით; ის ქვეშ-ქვეშ გამოიყურებოდა თავისი დამცინავი თვალებით, მაგრამ პირდაპირი და პატიოსანი სულის პატრონი იყო. მისი ფილტვები ტუბერკულოზით იყო დაავადებული, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ არც ერთს მის ატოშს მეშხანობის სენი არ შეხებია. მის აზროვნებას ერთგვარი ცალმხრივობა ახასიათებდა. ის წარმოშობით იყო ქართლიდან, სოფელ წრომიდან, სადაც ათას ხუთასი წლის წინათ სპარსელმა ცეცხლის თავყანის-მცემლებმა წმინდა რაყდენი დაისრეს. თავისი ირონიული, „მეფისტოფელური“ ჰკუის მიუხედავად მიხეილ დავითაშვილი მზად იყო ჭრილობები მიეღო მარქსის და ლენინის მოძღვრების დაცვაში.

ხშირად ჩვენი მოწვევით ენევიდან და პარიზიდან ლაიფციგში ვინმე გამოჩენილი ემიგრანტი მოდიოდა მოხსენებებში. № 10.

ნების წასაკითხავად. ზოგიერთი რევოლუციონერი-ვეტერანი, რუსეთის კატორღაში გაქალაქავებული დევნიებიდან გაქცეული ლევ დეიჩივით, ჩვენში მოკრძალებას იწყებდა, თუნდაც მისი მოთვლამხედველობა ჩვენთვის მიუღებელი ყოფილიყო. ა. ლუნაჩარსკიმ თავისი მოხსენებით იბსენზე ინტერესი გამოიღვიძა დიდი ნორვეგიელი დრამატურგისადმი.

ხშირად სხვადასხვა ფრაქციას შორის ცხარე კამათი იმართებოდა ისეთი საკითხის გარშემო, რომელიც დღეს შეიძლება უმნიშვნელოდ გვეჩვენოს: ბოლშევიკები და მენშევიკები მზად იყვნენ ერთმანეთს პაპისტების და ანტიპაპისტების გააფთრებით დაჯახებოდნენ პარტიული წესდების პირველი მუხლის მეორე პარაგრაფის გამო. მიწის სოციალიზაციის მომხრეები შეჩვენებას უგზავნიდნენ იმათ, ვინც მიწის მუნიციპალიზაციას მოითხოვდა, ტერიტორიული ავტონომიის მიმდევრები ჯოჯოხეთის მოციქულებად სთვლიდნენ ცენტრალისტებს. ერთი უკრაინელი სტუდენტი ყოველი მოხსენების შემდეგ ზეზე წამოვარდებოდა სახეშეწითლებული და მომხსენებელს შეეკითხებოდა, რა აზრის ხართ უკრაინის ავტონომიის შესახებო. მომხსენებელი, უმეტეს შემთხვევაში, სახტად რჩებოდა, ვინაიდან მისი მოხსენების თემას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ეროვნული ავტონომიის საკითხთან.

ეს ჩვენი სტუდენტობა, ასეთი მღვიძარე, ასეთი მგზნებარე, ხშირად გულუბრყვილო, მაგრამ ყოველთვის უანგარო—სრულს კონტრასტს წარმოადგენდა გონებრივი კონსერვატიზმით და პოლიტიკური ინდიფერენტიზმით და-

ავადებული ზოგიერთი გერმანელი სტუდენტის მიმართ.

რუსეთ-იაპონიის ომმა განსაკუთრებით დიდი მღელვარება შეიტანა ჩვენს პოლიტიკურ წრეებში. ჩვენ დღითიდღე მოუთმენლად ველოდით, რომ მანჯურიაში დამარცხება საფუძვლიანად შეაჩვენებდა რომანოვების მონარქიას და ის დაემხობოდა. რუსეთში დაიწყო მასობრივი გაფიცვები, დემონსტრაციები; განსაკუთრებით ძლიერი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია 1905 წლის 9 იანვრის ამბებმა, მშვიდობიანი ჰუმანების დემონსტრაციის დახვედრამ პეტერბურგში. უცხოეთში ყოველივე გაზვიადებულად გვეჩვენებოდა, ნაწილობრივ საზღვარგარეთის პრესის ახმაურების, ნაწილობრივ ჩვენი გამაფრებელი მგრძობიარობის წყალობით ჩვენ გვეგონა, რომ დაღა მეფის ხელისუფლების განვითხვის დღე, რომ რევოლუცია მოგვიხმობდა საგუშაგო პოსტზე გამოეცხადებულყოფით. ქართველი ბოლშევიკი სტუდენტები გამოვეთხოვეთ პავლოვსკის და მაკაროვის ლექსიკონებს, ვუნდტის და ბიუნერის ლექციებს და სამშობლოსაკენ გამოვეშურეთ.

თბილისში ჩამოსვლისთანავე მე ვიგრძენი, რომ რუსეთის მონარქია უფრო მაგრად იდგა ფეხზე, ვიდრე მეგონა. მე პოლიტიკური მებრძოლის ტემპერამენტი და პატივმოყვარეობა არ მქონდა და ყოველთვის მოვლენათა მეთელაყურის როლი მერჩია, ვიდრე აქტიური მონაწილისა. არასოდეს დიდ ტრიბუნაზე ასვლა არ მყვარებია, თავს დაკმაყოფილებულად ვგრძნობდი, თუ შესაძლებლობა მომეცემოდა, გაზეთის ან ჟურნალის მუშევრებით ქართველ ინტელიგენტურ საზოგადოებას გამოვლაპარაკებოდი და უცნობი მეგობრების წრის მოწონება დამემსახურებინა. 1905 წლის მოძრაობაში მაინც ვატყუებით ჩავები. თავდაპირველად სამიოდე წერილი მოვათავ-

სე ფილიპე მახარაძის „მოგზაურობა“, ხოლო შემდეგ რუსულ „კავკასკი რაზობი ლისტოკსა“ და სტალინის „ახალ ცხოვრებაში“ რამდენიმე წერილი დავებეჭდე ეროვნულ საკითხზე და რუსეთის რევოლუციის პერსპექტივებზე. ეს წერილები, რასაკვირველია, მოუშფიფებელი პოლიტიკური გონების ნაყოფს წარმოადგენდა. მე უფრო ხშირად ვაბრუნებდი სიტყვა „პროლეტარიატს“, ვიდრე ეს ასატანი იყო. მაგრამ, მგონია, ჩემს წერილებში იყო იმ დიდი სოციალური ქართველების წინაგრძობა, რომელთაც შემდეგ მთელი კაცობრიობა შეაზანზარეს. „ახალ ცხოვრებაში“ მიხეილ დავეითაშვილიც თანამშრომლობდა. იქ ორიოდე შენიშვნა მოათავსა აგრეთვე შალვა შარაშიძემ, შემდეგ თავუნას ფსევდონიმით ცნობილია ჰუმორისტმა.

რამდენადაც „კავკასკი რაზობი ლისტოკის“ ხელმძღვანელი სტუფანე შაუმიანი თავაზიანი და მოკრძალებული აღამიანი იყო, იმდენად მოურიდებელი იყო გაზეთის ერთი მთავარი თანამშრომელი, რომელიც ისიდორ კორას ფსევდონიმით წერდა. ეს იყო ახმაზი, მსხვილ დაწვებიანი რუსი, ყოვლისმცოდნე დილეტანტი, რომელიც თითქოს თავის უმთავრეს სპეციალობად აჯანყებისადმი მოწოდებას და ბარიკადების აგებას სთვლიდა. მისი ხმა იესო ნავინის ყველა მებუქის ხმას დაჰფარავდა. ის ყოველთვის დროზე ასწრებდა ჩვენი ღარიბი რედაქციის საღაროს დაცარიელებას, ისე რომ სხვა თანამშრომლები ხშირად სამარხვო სუფრაზე ვრჩებოდით. როდესაც რეაქცია დაიწყო, ისიდორ კორა თბილისიდან მიიმალა. როგორც გადმომცეს, ის ნ. ბერდიაევის გავლენით თითქოს რელიგიურ მისტიციზმში გადავარდნილიყო და შემდეგ თავი მოეწამლა.

პოლიტიკურ მიტინგზე მე მხოლოდ ერთხელ გამოვედი. ეს იყო გურიასი, სოფელ შემოქმედში, სადაც მახლობ-

ლი სოფლებიდან დიდძალმა გლეხკაცობამ მოიყარა თავი. აქ სოციალისტ-ფედერალისტებმა საუკეთესო ორატორები გამოიყვანეს. მათ მხარს უჭერდნენ სოციალისტ-რევოლუციონერებიც. სოციალ-დემოკრატების მხრივ ფილიპე მახარაძე და ჭოლა ლომთათიძე გამოვიდნენ. მეც წარმოვთქვი მოკლე სიტყვა. გლეხკაცობას უფრო ჩვენი სიტყვები მოეწონა, ინტელიგენციის მეტ ნაწილს — უფრო ჩვენი მოწინააღმდეგეებისა. ფედერალისტების ერთ ორატორს საჯაროდ შევეკითხე, როგორ წარმოგიდგენიათ, სოციალიზმის დამყარების დრო შორეული ამბავია, თუ ახლობელი-მეთქი. ასი წელიწადი მაინც უნდა ვიცადოთო, მიპასუხა მან. დამსწრეთა დიდ უმრავლესობას ეს პასუხი არ მოეწონა: შორეული ბედნიერების ლოდინი ცუდი მალამოა ტანჯული კაცობრიობისათვის.

რეაქციის წლებში რამდენჯერმე ჩავედი გურიაში. ერთხელ, მოღუშული შემოდგომის დილას, ჩემს ოთახში ვიჯექი ბუხართან, ფიქრებში წასული. უცებ მომესმა, რომ აივანზე რამდენიმე კაცი ამოვიდა ჩქარი ნაბიჯით. კარის გაღება ძლივს მოვასწარი, რომ ოთახში შემოიჭრა მეფის მთავრობის ერთი უერთგულესი აგენტი პრაპორშჩიკი კოწია ბერიძე. მას თან ახლდა მთელი რაზმი ცხენოსანი ჩაფრებისა.

— თქვენი სახელი და გვარი? — შემეკითხა ის საღამოს მოუცემლად. მე ვუპასუხე.

— განა თქვენ ვიქტორი არ გქვიათ?

— არა! არ მახსოვს, რომ ჩვენს გვარში ვინმეს ეს სახელი რქმოდეს.

— როგორ არა. თქვენმა მეზობელმა გლეხმა, რომელსაც ვიქტორის ბინის ჩვენება მოვთხოვეთ, პირდაპირ თქვენს კონსპირატორს მოგვიყვანა.

— ჩემი მეზობელი შემცდარა.

პროტესტის მიუხედავად, ბერიძემ თავის ჩაფრებს უბრძანა საბლი გაეჩხრიკათ. მათ დიდი გულმოდგინე-

ბა გამოიჩინეს და გაჩხრივეს არა მარტო საწერი მაგიდის ყუთები და ოდის ოთახები, არამედ პერიც, საკუქნაოც და მარანიც, მაგრამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს. ბერიძემ მაინც მომცა წინადადება ცხენი დამეპირავებინა და ოზურგეთში წავყოლოდი საქმის გამოსარკვევად. ოზურგეთში გენერალ ტოლმაჩევის კანცელარიაში შემიყვანეს. მე ტოლმაჩევს აეუხსენი, ლაიფციგის უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ, გურიაში დროებით ჩამოვედი, ჩქარა ისევ უცხოეთში მივემგზავრები-მეთქი.

— რას სწავლობთ, — შემეკითხა გენერალი.

— ფილოსოფიას.

— რატომ ლაიფციგში და არა ვენაში? ფილოსოფიური საგნები ვენაში უკეთაა დაყენებული.

მე, ცოტა არ იყოს, დაუფარავი გაცემით შევხედე. მას იმდენად საღდაფონური გარეგნობა ჰქონდა, რომ ვერავეთარ შემთხვევაში ვენელი ფიზიკოსის და ემპირიოკრიტიკოს ფილოსოფოსის ერნესტ მახის მიმდევრად ვერ ჩაითვლებოდა. უეჭველი იყო, მას უნდოდა ჩემთვის ეჩვენებინა, რომ მართოდენ რევოლუციონერი გურული გლეხებისა და ოდესელი მუშების დახურეტასა და გაციმიბრებაში არ იყო დახელოვნებული.

რადგან არავითარი მამხილებელი საბუთი არ აღმომაჩნდა, ტოლმაჩევმა გამათავისუფლა და იმ საღამოსვე შინ დავბრუნდი. ჩემს ოთახში შესვლისთანავე ვიგრძენი, რა ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადავრჩი დატუსაღებას და ციმიბრში გადასახლებას. საქმე ის იყო, რომ მე მანამდე არც გამხსენებია, რა საშინელ მამხილებელ საბუთს იპოვნინდნენ ჩემს საწინააღმდეგოდ, ბერიძეს და მის მეძებრებს რომ წიგნების კარადაში შეეხედათ, იქ, მამაჩემის შავყდიანი წიგნების გვერდით, აღმოაჩინდნენ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მარ-

ქსისტულ წიგნებს და სხვადასხვა ქალაქს, გულმოდგინედ დანაშრის და ბეჭედდარტყმულს. ყოველივე ეს ადგილობრივ ორგანიზაციას მიეძღვრებინა ჩემი უმცროსი ძმისათვის, რომელიც ყირიმში სწავლობდა და სოფელში მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიოდა. რადგან ჩემი ძმა პოლიტიკით არ იყო დაინტერესებული და მთავრობის თვალში საეჭვო პიროვნებად არ ითვლებოდა, ორგანიზაციას სწორად ეგარაუდა, რომ ჩვენი სახლი, სადაც მხოლოდ ორი დღე-ღამე იცხოვრობდა, საიმედო თავშესაფარი იყო მათი წიგნებისა, სივრცისა და ოქმებისათვის. მაგრამ მე კარგი დღე არ ღმამდგებოდა, თუ ჩემი სტუმრები უფრო წიგნის კარადით დაინტერესებულიყვნენ, ვიდრე მარანით და საწინებლებით.



როდესაც საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საქართველოდან ისევ ევროპაში დაებრუნდი, მე მოვახდინე ჩემი პოლიტიკური და ზნეობრივი იდეალების გადაფასება და განვიცადე სულიერი კრიზისი, ნაკლებ მძაფრი, მაგრამ უფრო ხანგრძლივი, ვიდრე ჩემი ბავშვობის დროს რელიგიური კრიზისი იყო. მე დავრწმუნდი, რომ ინტერნაციონალიზმის პრინციპები, ცოტა არ იყოს, ცალმხრივად და აბსტრაქტულად მქონდა ათვისებული. შეიძლება ითქვას, რომ მე იმ დროს ერთგვარი სულთა საღიხინებელის კიბის საფეხურები ავიარე.

ევროპულ მეცნიერებაში ამოდ ვეძებდი იმ კითხვების პასუხს, რომელიც მე მჭენჯნიდნენ, ფლობერის რომანებით და შოპენის ნოქტიურნებით კი არ შეიძლებოდა სულიერი სიცარიელის ამოვსება. ქართული კულტურის ისტორიას სუსტად ვიცნობდი. მაგრამ სწორი ინტუიციით ვგრძნობდი, რომ

მხოლოდ ჩემი სამშობლოს კულტურულ წარსულში შემეძლო მეპოვნა სათანო, რომელიც ბნელ გზებს გამოიხატებდა სექტაციზმის ლაბირინთში.

ერთი ზამთრის სემესტრი ლიფციგში მოცარტის ქუჩაზე უფრო ნაღვლიანად გავატარე, ვიდრე დიდი ავსტრიელი კომპოზიტორის ნათელ გენიას შევეფერებოდა. ქვედა სართულში ვცხოვრობდი და მზეს ვერ ვხედავდი. გურიიდან გამოყოფილმა ციებამ დამასუსტა. მღორედ მიმდინარე პლაისეს ნესტის სუნი მაღიზიანებდა. ფსიქოლოგიურ ინსტიტუტში, სადაც თითქმის ყოველდღე დავდიოდი დიმიტრი უზნაძესთან ერთად, უამრავი ფიზიკური ხელსაწყო იდგა ადამიანის გრძნობათა და შეგრძნებათა გასაზომად და გამოსაკვლევად. ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პროფესორმა თავის შესავალ სიტყვაში განაცხადა: იცოდეთ, საუკეთესო ფსიქოლოგი ის არის, ვინც საუკეთესო ფიზიკოსიაო. ეს განცხადება მით უფრო მეუცხოვა, რომ შემეცნების თეორიაში ის თავის თავს იდეალიზმის მიმდევრად სთვლიდა. ერთხელ, როდესაც ხელში ჰამსუნის „მისტერიები“ დამინახა, მიჩია, ეს წიგნი განზე გადასდე და ეუნდტის „ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის საფუძვლების“ შესწავლას შეუდექით. ეს „საფუძვლები“ სამი უზარმაზარი, თითქმის ათას-ათასგვერდიანი ტომისაგან შედგებოდა და სასოწარკვეთილების გამომწვევი ბიბლიოგრაფიით მთავრდებოდა. მე ვფიქრობდი, რომ, თუ მის რჩევას დავეუჯერებდი, იგივე მომივიდოდა, რაც რაბლეს პანტაგრუელს მოუვიდა, ე. ი. რაც მეტს ვისწავლიდი, მით უფრო უგუნური გავხდებოდი.

ამ დროს ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ჩემს პატარა ბიბლიოთეკაში რამდენიმე ქართული წიგნი აღმოჩნდა, „ქართლის ცხოვრების“ იაფფასიანი გამოცემა, „გეფხისტყაოსანი“, ბარათაშვილის ლექსების კრებული, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“. დიდი ყურა-

დღებით წაეკითხე აგრეთვე იპოლიტ ტენის „ხელოვნების ფილოსოფია“. მან მე დამარწმუნა, რომ ეროვნული შემოქმედებითი სულის თავისებურება უფრო თვალსაჩინოდ ხელოვნებაში მკლავდება, ვიდრე სულიერი და მატერიალური კულტურის რომელიმე სხვა დარგში.

ერთხელ დილით ჩემი ოთახის კარი გაიღო და მიხვილ დავითაშვილი შემოვიდა. ეს ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო, იმიტომ რომ ძალიან შორს შეგულებოდა, სადაც ტაშკენტსა თუ სამარყანდში, სადაც ის თავის ცოლთან, ბოლშევიკ რუსის ქალთან ერთად გაემგზავრა, რათა თბილისის პოლიციას დამალვოდა. ის ლაიფციგში თითქმის უფულოდ, სხვისი პასპორტით წამოსულიყო შუა აზიიდან და გზაზე დიდი გაჭირება გადაეტანა. „თეთრი ირემის“ სასააღილოში, სადაც ჩვენ ერთად წავედით, მან სუფთად წვერგაპარსული და თმაგადაგლესილი ლაჭიების შემფოთება გამოიწვია თავისი გაბურძგვნილი შავი თმით და დაფლეთილი ქურჭით,

რომლის სარჩულიდან ბამბის ფთილებს გამოეყო თავი. ძალიან მზიერი იყო და თავდაპირველად გაანადგურა პატარა ფუნთოშები, განკუთვნილი ხუთი თუ ექვსი დაგვიანებული თანამეინახისთვის. შემდეგ დიდი ნაჭერი ჩამოათალა შუა სუფრაზე დადებულ საერთო პურს. მე შევამჩნიე, რომ ის იმდენად დანაყრებაზე არ ზრუნავდა, რამდენად იმაზე, რომ აბუჩად აეგდო გერმანელი ფილისტერების მართებულების გრძნობა.

მეორე თუ მესამე დღეს ლაიფციგის როზენტალში გავისვირნეთ. ამ მშვენიერ პარკში, სადაც სტუდენტობის დროს ლაიბნიცს უყვარდა თურმე სიარული, მიხვილ დავითაშვილმა თავისი სიჭაბუკის რომანტიკული ისტორია მიაშბო. მისი იდილიურად დაწყებული და ტრაგიკულად დასრულებული სიყვარულის ამბავი მოწმობდა, რომ ამ რევოლუციონერი სპარტანელის სული დახშული არ იყო უნაზესი ტრფიალის განცდებით სათვის. ამიტომ მან მეც ადვილად გამოვიცა, როდესაც ჩემი ეჭვების და ძიებების აღსარება ვუთხარი.

(დასასრული იქნება)



პარლ კალამი

ქართული საბჭოთა პოეზიის საკითხები



ყოველი ქართველი საბჭოთა პოეტის შემოქმედების მთავარი წყარო და მთავარი თემატ, რა თქმა უნდა, სოციალისტური შრომა, ხალხთა ძმობა და ადამიანთა უბედნიერეს მომავალზე ოცნებაა.

დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ხელახალი აღორძინების წლებში, ქართული პოეზია, ისე როგორც მთელი ქართული მწერლობა, ცდილობდა თავისი მოწოდების სიმძლავრე მდგარიყო.

კომუნისმის მშენებელთა შორის ქართულ პოეზიასაც აქვს თავისი კუთხე, თავისი უბანი.

ჩვენ არცთუ ისე ცოტანი ვართ, რომ ცოტა მოგვეთხოვოს. მწერალთა კავშირი ასზე მეტ პოეტს აერთიანებს, ასზე მეტი წიგნია დაბეჭდილი ამ პერიოდში.

და ვიდრე ჩვენი ასეულის ახალ პოეტურ პროდუქციას კონკრეტულად განვიხილავდეთ, საერთო სურათის დახატვისათვის თვალი გადავავლოთ სამამულო ომის დროინდელ ჩვენს შემოქმედებით მუშაობას.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სამამულო ომის დროს შექმნილი პოეტური ნაწარმოებები რჩებიან ჯერჯერობით ქართული საბჭოთა პოეზიის მწვერვალებად.

ამ წლების ქართული საბჭოთა პოეზია არ ჩამორჩება თავისი ხალხის მღელვარე ცხოვრებას. იგი ხალხის პათოსის, ხალხის სულის მგზნებარე გამომხატველია. ასე ახლოს მხატვრული სიტყვა ჩვენი ხალხის ფართო მასებთან არასოდეს არ მისულა.

მოსისხლე მტრის წინააღმდეგ მონოლითურად შეერთებული აღდგა ჩვენი ხალხის ძალა, ჩვენი აწმყო, წარსული და მომავალი. ჩვენს პოეზიასაც ძალას მძატებდა არა მარტო ჩვენი ბელადის, ჩვენი მშობლიური სტალინის საარაკო სიმტკიცე, არა მარტო უძლეველი გუგუნი მოძმე ხალხებისა, დიდი რუსი ხალხის ზღვა ენერჯია. ჩვენი პოეზიის ლენინური დროშა თავისუფალი საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ლიტერატურულ დიდ ტრადიციას ემყარებოდა.

ჩვენთან ერთად იბრძოდნენ ილია, აკაკი, ვაჟა.

მხატვრული სიტყვის ძალის შეგრძნობა ამ სიცოცხლის პათოსით საცხედლებში უაღრეს მოთხოვნილებად გადაექცა ხალხის ფართო მასებს.

ამიტომ ისმოდა და ახლაც ისმის მომხიბვლელად იმდროინდელი ფიცი გალაკტიონ ტაბიძის: „მშობლიური ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ“.

ამიტომ უთუოდ საინტერესო პოეტური მიგნება იყო, როცა ქართული ტრადიციული მისალმება „გამარჯვება“ სიმონ ჩიქოვანმა თავის ლექსში ფრთიან ლოზუნგად აამაღლა: „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“.

გაიხსენეთ ალიო მირცხულავას, ალ. აბაშელის, რ. მარგინის, ი. ნონეშვილის და სხვათა ლექსები, ილო მოსაშვილის ცნობილი ციკლი ლექსებისა — „მისი ბარათი“, დავით გაჩეჩილაძის „ძახილი უკვდავებისა“.

ჩვეგმის ხეობაში, ბაქსანის ნაპირებზე და ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებ-

თან ჩვენი ჯარის ქართული ნაწილები ჩვენს ლექსებს მღეროდნენ... ჩვენი ლექსები, სახელდახელოდ ფურცლებზე გადაბეჭდილი, სწვდებოდა ყირიმს, სწვდებოდა მტრის ზურგში მოქცეულ პარტიზანთა ჯგუფებს. ჩვენს ლექსებს ხალხი მღეროდა, იზებირებდა.

და არა მარტო ლექსებსა და სიმღერებს!

იმდროინდელი თბილისის მღელვარე დღეები ცოცხალი სახეებით გამოხატა გრიგოლ აბაშიძემ თავის პოემაში.

ჩვენი პოეზია არ ერიდებოდა არც გამარჯვების სიხარულით სავსე ყვირის გადმოცემას და არც ვაჟაკურ ცრემლს, მწუხარებას.

მისი გულის ძგერა, ლექსთა წყობა რიტმულადაც თითქოს ხალხის გულის ძგერის განმეორება იყო.

რა ჰქმნარიტი ხალხურობით ეღერს, მაგალითად, ბრძოლის ველზე დაცემული ვაჟაკის სიტყვები:

ლაშლის ბიჟი ვიყავი,
ბეჭზე არწივი მესატა,
ცხრაშეტი წლისა შევსრული,
ოცე არ გადამეხადა...
სამშობლოს დროსა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მესხადა...

და შემდეგ:

არ დაიდარდო, დედაო, რაც მე სიკვდილით
გაწყინე.
მე შენი ძუძუს ნათელი საქვეყნოდ
გამოვბარწყინე.

გიორგი ლეონიძის ამ ბრწყინვალე ლექსის გვერდით გაიხსენეთ კიდევ ერთი სულ პატარა ნაწარმოები, რომელიც, დაიწერა თუ არა, სახალხო სიმღერად იქცა:

კაპიტანი ბუხაიძე, როგორც მებრძოლი, სხვა ქართველ მებრძოლთაგან თითქმის არაფრით გამოირჩეოდა. ავტორისაგან ვიცით, რომ ეს ლექსი მას ასეთივე პათოსით შეეძლო გმირულად დაცემულ მეთრე მებრძოლზე, შუბითიძეზე, დაეწერა. და თუმცა ავტორმა უპირატესობა ისევდაისევ კაპიტან ბუხაი-

ძეს მიაკუთვნა, ლექსი მაინც რომელიმე პიროვნებისადმი მიძღვნილი სიმღერა კი არ არის, არამედ მასში ტიპიურად არის დახატული ერთ-ერთი რიგითი ქართველი მებრძოლის გმირული სახე, მაგალითის მიმცემი და ყველასათვის მისაბაძი. კონკრეტული ფაქტი აქ იმდენად განზოგადებულია და ტიპიურობამდე აყვანილი, რომ კაპიტან ბუხაიძის თავგანწირული და კეთილშობილური მოქმედება თვით საბჭოთა საქართველოს გულისტქმაა.

ამიტომ დააყენა ეს რიგითი მებრძოლი ჩვენმა ხალხმა იმ ქართველი გმირების გვერდით, რომელთა მკერდს საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი ამშვენებს...

პატარა ლექსის უფრო დიდი გამარჯვება მე იშვიათად მსმენია. ირავლი აბაშიძის ეს ლექსი მკაფიოდ ასურათებს, თუ რა დიდი როლი შეასრულეს ჩვენმა მწერლებმა, როცა ისინი მხარში უდგნენ ჩვენს მებრძოლებს და მათი გმირული ამბები არა მარტო თავის თანამედროვეებს, არამედ მომავალ საუკუნეებსაც მიაწოდეს.

ამგვარივე მოთხოვნილება უნდა წავუყენოთ ჩვენ დღევანდელი სოციალისტურ შრომის და მშვიდობის, ხალხთა ძმობის და კომუნისმის შენებისათვის თავდადებულ ადამიანთა გმირული სულის გამოხატველ ლექსებსა და პოემებს.

სოციალისტური რეალიზმის მწერლობა-პოეზია ჩვენი სინამდვილის მაღალიდგურ და მაღალმხატვრული ასახვის გზით შრომითი გმირობის ყოველ კონკრეტულ გამოვლენას ვიწრო პიროვნულ ან კუთხურ ნაქუქში კი არ უნდა აქცევდეს, არამედ უნდა განაზოგადებდეს, ტიპიურ რეალისტურ სახედ უნდა ამაღლებდეს, რომ მასში ხალხმა თავისი სულიერი ცხოვრების ტიპიური გამოვლენა დაინახოს.

სოციალისტური შრომა, სოციალისტური შრომის ტიპიური წარმომადგე-

ნელნი არ შეიძლება ვხატოთ ექსკურსიაზე მოსული კაცის თვალსაზრისით. რაც არ უნდა ზუსტი იყოს ამგვარად შექმნილი გვირის გარეგნული პორტრეტი, რაც არ უნდა ზუსტად იყოს დახატული გარემო, მშენებლობა, რაც არ უნდა მაღალფარდოვანი სიტყვებით მი-

ვესალმოთ მას, თუ ჩვენ ეს შრომა და შრომის გმირი მის განვითარებაში, მის ისტორიულ მნიშვნელობაში არ წარმოვიდგინეთ, თუ მხატვრულ სახედ არ განვაზოგადეთ, ჩვენი ნაწარმოები ხალხის გულს წამითაც ვერ აღაფრთოვანებს.

1. ჩვენი ახალგაზრდა პოეტები

სამამულო ომის დამთავრება, 9 მაისი, ომიდან გამარჯვებით შინ დაბრუნებულთა სიხარული, ომის სურათების მოგონება — დღემდე წითელ ხაზად მოჰყვება ჩვენს პოეზიას.

გამარჯვების დღეს ყველა პოეტი შეეგება აღფრთოვანებით. ამ პათეტიკური ლექსებიდან ბევრი შეიძლება კაცმა ხელახლა გადაიკითხოს, მაგრამ მე, რატომღაც, პირველ ყოვლისა, ანა კალანდაძის ნახი და ქალური ღიმილით აღსავეს ლექსი მინდა გავისხენო, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ლექსი დაკავშირებულია ამ ახალგაზრდა პოეტი ქალის პირველ ამღერებასთან. იგი თითქოს მძვინვარე ომის დამთავრებას უცდიდა. მოკრძალებით მოვიდა პირველ დღესვე და თავისი ლექსების პატარა რვეულით საერთო ყურადღება მიიქცია.

მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია და შენს ქოხთან გუგუნია თელვის, კარში გამო ჭია-ჭია მარია, არას გაენებ, მხოლოდ მოგეფერები. მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია და შენს ქოხთან გუგუნია თელვის.

დამერწმუნებით, რომ ამ ლექსის პირველი სტრიქონიდანვე იგრძნობა პოეტის საკუთარი ხმა, საკუთარი ინტონაცია.

შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია, ჩვენი მოსერა, ანა, როგორ ინდომეს? გაემარჯვეთ, ჭია-ჭია მარია, ევგალობით ჩვენს სამშობლოს მინდორ-ველს.

სტრიქონსა და სტრიქონს შორის უსიტყვოდ ახერხებს ავტორი პლასტიკურად დახატოს თავისი თავი, ქალური სინაზით და სისათუთით ეფერება

იგი დარის მომასწავებელ პაწაწინა კიამარიას და თანაც სამშობლოს და ქვეყნის ბედნიერ წუთს უკავშირებს საკუთარ გულს.

ზღვად დარხელ მინდორს გაუხარია, ბელტს აბრუნებს — ეს ნიკორა ხარია, დნჯად მისდევს კვალში ძველი გუთანი, ვერ წაიღებს ხორბალს სულთამხუთავი... ჩემი გული ვარდფურცლობის დარია, შრიალეხენ, გუგუნებენ თელვები, ჩვენში მუდამ გათენების დარია, კობას ხმლის ქვეშ მტერს არ გაეთენების!

მე მგონია, ამ წყნარ ლირიკულ ლექსში უფრო მეტი სიხარული და სიყვარულია გამოთქმული, ვიდრე ბუკ-ნადართი ახმინანებულ გამყივარ ლექსებში, რომლებიც, გულწრფელად თუ ვიტყვით, არც ისე ცოტაა ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

აქვე უნდა დავასახელო ამავე ავტორის „საქართველოო ლამაზო“, როგორც პატრიოტული ლირიკის ნიმუში, და პლასტიკურად საკვირველად გამოკვეთილი ლექსები: „არაბი ხარ“, „თუთა“ და „თათრის გოგონა“. ახალგაზრდა ავტორის შემოქმედებაზე, ავტორისა, რომელიც ლექსების ამ წიგნს სტუდენტობის დროს წერდა, რა თქმა უნდა, საკმაო გავლენა იქონია საისტორიო ხასიათის წიგნებმა, ძველმა ლიტერატურულმა ტრადიციებმა. არა მარტო მის ლექსებს სპირდებოდა ცხოვრებაში გამოცვლა, არამედ თვით ავტორსაც... საქირო იყო მოვლა, ხელმძღვანელობა, რედაქტორი. ლიტერატურული საზოგადოებრიობა კი მას ანგარიშშიუცემელი ტაშით შეხვდა მხოლოდ. აღმოჩნდნენ მოხალისე მრჩეველებიც და, აი, ახლა,

როცა მის პირველ წიგნში ზემოთჩამოთვლილი ლექსების გვერდით პუბლიცისტურ ლექსებს ვხვდებით, აშკარა ხდება, რომ თემის შეცვლა საკმაო არაა თვით ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტისათვისაც კი, რომ მან საყურადღებო ნაწარმოები დაწეროს.

საჭიროა თვით მწერლის ყოფა, გარემო, მისი შემოქმედების მასაზრდოებელი წყარო შეიცვალოს, რომ მან ისეთივე უშუალოდობით, ორგანიულად აითვისოს ახალი თემა.

ანა კალანდაძისათვის პუბლიცისტური ლირიკის ენარზე გადასვლა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ეს ენარი მეტ გამოცდილებას, მეტ ოსტატობას, მეტ პოლიტიკურ სიმანგილეს მოითხოვს, და თუმცა მას განსაკუთრებით ცუდი არაფერი დაუწერია, მისი ამ ენარის ლექსები მაინც საერთო ტრადიციულ უფრო წარმოადგენენ.

ავიღოთ, მაგალითად, „კორეელი ქალიშვილების სიმღერა“:

ჩვენ ვიბრძვით, რომ ეს სამშობლო ჩვენი არ იყოს ქვეყნად არავის მონა,

ჩვენ ჩვენი ქვეყნით გავდევნით დოლარს, შორს კორეიდან ტრუმენის ხელი!

გასაგებია, რომ ჩვენ აქ იდეურობაში ვერ შევედრავებით ახალგაზრდა მწერალს, აღებულ თემაც ქართველი პოეტისათვის კარგია და კეთილშობილური. ჩვენ მისი მხატვრული ასრულება არ გვაკმაყოფილებს, ღარიბია და პრიმიტიული პოეტური ფრაზა, სახეები, რითმა. ამიტომაც ლექსი ისე ემოციური არაა, როგორც მოველოდით.

რომ ჩვენი კრიტიკა, ლიტერატურული საზოგადოებრიობა, მწერალთა კავშირი უკეთ ზრუნავდნენ ახალგაზრდა მწერლის წინსვლისათვის, ამ მაგალითის მოტანა ზედმეტი იქნებოდა.

„ლიტერატურულმა გაზეთმა“ კი ამ წიგნის შეფასება ერთი რეპლიკით, უკეთ რომ ვთქვათ, ერთი ლირიკული ამოკვნივით გამოხატა. წერილის ავტორი, ვლ. მაჭავარიანი, ანბანურ კეშმარტივ-

ბებზე დავობს, ებრძვის ვიღაც არარსებულ კრიტიკოსს, რომ „ლიტერატული ლექსი პოეტური შემოქმედების ადვილი და შეღავათიანი ენარი არ არის“, (რა თქმა უნდა!), რომ „პატარა ლირიკული ლექსის დაწერას მეტად დიდი ნიჭი და პოეტური უნარი სჭირდება“, (რა თქმა უნდა!) რომ, ია, თუთა, აღუბლის ტოტი, მიმოზა, ვერხვი, და ყველაზე ხშირად ყაყაჩო, წითელი ყაყაჩო, ჩვენი სამშობლოს თვალწარმტაცი ფლორა ანა კალანდაძემ რალაც უჩვეულო სინაზით, ტურფა სიტყვით შეამკო და აამეტყველა“. ავტორი ბოლოს დასძენს: „ანა კალანდაძეს კარგად ეხერხება პეიზაჟის მოკვეთილი მეტაფორით გაცოცხლება“, და მოჰყავს სტრიქონები:

„მზემ აიწია ფეხის წვერებზე,

მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა...“

მე მგონია, ამ მაგალითით სრულიადაც არ მტკიცდება, რომ ანა კალანდაძეს პეიზაჟის დახატვა ეხერხება. აქ არავითარი პეიზაჟი არაა დახატული, აქ უფრო სიტყვის თამაშია. განა ანა კალანდაძის ლექსების გულდასმით განხილვის დროს მხოლოდ ეს უნდა აღმოგვეჩინა? რამდენი რამ შეეძლო ეთქვა კრიტიკოსს ახალგაზრდა პოეტისათვის, და ეს არა მარტო ანა კალანდაძეს, არამედ ყველას არსებითად შეგვეხებოდა. ეს იქნებოდა ნამდვილი დახმარება. ქათინაურებს კი ნამდვილი ტალანტი არ საჭიროებს.

თუნდაც ამ ქათინაურების ობიექტი ქალი იყოს.

რაკი ახალგაზრდა პოეტებზე ვლაპარაკობთ, აქვე დავასახელოთ ამავე წლებში თავდამტკიცებული ახალგაზრდა პოეტები — არჩილ სულაკაური, ნაზი კილასონია და მუხრან მაჭავარიანი.

არჩილ სულაკაურის ლექსებში და პოემებში ნათლად ჩანს ახლის შეგრძნების უნარი. პოეტი ცდილობს მტკიცე კომპოზიციით ჩამოაყალიბოს ლექსი. თემის პოეტური გააზრება უმეტეს შემთხვევაში პოეტურია და ორიგინალური. ა. სულაკაურის ნაკლი კი ხშირად

პოეტური ფრაზის ბუნდოვანებაშია, იგრძნობა, რომ ახალგაზრდა ავტორი უბრალო, სადა სტრიქონს არ ენდობა, განგებ ართულებს და განგებ ტვირთავს ლექსს ძნელად ასათვისებელი სახეებით. მის ლექსებში აქა-იქ გვხვდება ყრუ რითმებიც. კარგია, რომ ახალგაზრდა ავტორი „ახალგაზრდობის თემითა“ გატაცებული.

მიშხიდველი ლირიკული ინტონაცია გაგვაგონა თავისი პატარა წიგნით ახალგაზრდა პოეტმა ქალმა ნაზი კილასონიამ. დიდი სითბო ჩააქსოვა მან სტალინისადმი მიძღვნილ ლექსში. ამ ლექსს კომენტარიები არ სჭირდება. მე მხოლოდ რამდენიმე სტროფს მოგაგონებთ ამოკრებით:

მე ჰვეყნად ერთი ნატერა მებადა
და ამ ოცნებით გაეღე თვალი,
მურღა შევიცხლა უკდავებამდე,
რომ ერთხელ მაინც შენახე, სტალინი
...მაგრამ... მარტი და გლოვა ესოდენ...
წაშწავეს ცრემლი მოსწყდა მიჯრითა.
შენ რომ მოსკოვში სიკვდილს ებრძოდი,
საქართველოში სუნთქვა მივირდა!
...ელღანაცემი და დაზაფრული
მე გამოვდივარ ღამეში, ქარში,
როგორ ვიწამო ეს გაზაფხული,
როგორ შევხედო ქვეყანას თვალში?

ნაზი კილასონიას ამ პირველ წიგნში აღსანიშნავია სხვა ლირიკული ლექსებიც. განსაკუთრებით ეს ითქმის ლექსებზე — „თუ გყვარებია“ და „ყვავილების მაყარი ვარ“. პოეტის ქალური ხმა, მაყვალა მრველიშვილისა და ანა კალანდაძის ლექსებთან ერთად, სინაზეს და სითბოს ჰმატებს ქართული პოეზიის ტრადიციულად ვაჟკაცურ ხმას.

მუხრან მაჭავარიანის ლექსს პირველ სტრიქონითვე იცნობ, გარჩევ სხვა პოეტის ლექსისაგან. საკუთარი პოეტური მეტყველების შემუშავებისათვის ბრძოლა უთუოდ მოსაწონია და სავალდებულო ყველა ახალგაზრდა პოეტისათვის. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის აგრე როდია. ჩვენ ახლა ზედმეტად გაუბრალოებული, პრიმიტიული და ეპიგონ-

ური ხასიათის ნაწარმოები უფრო მეტი მოგვეპოვება, ვინემ იდეურად და მხატვრულად ახალი, სხვადასხვა ლექსები. ამიტომ ზედმეტი შეძახებით არ უნდა შევჯავროთ ახალგაზრდა ავტორი, რომელიც ახალი ფორმის ძიებით არის გატაცებული.

ახალგაზრდა შემოქმედს ლაბორატორიული მუშაობა, რა თქმა უნდა, უფრო მეტად უნდა ახასიათებდეს, ვინემ საბოლოოდ უკვე ჩამოყალიბებულ პოეტს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რედაქტორმა ყოველი ლიტერატურული ვარჯიშობა და ძიება დაბეჭდოს. მხატვრული ნაწარმოები, რომელიც თავისი მნიშვნელობით ფართო საზოგადოებრივ ინტერესს არ იმსახურებს, პოეტის ლაბორატორიაში უნდა დარჩეს. მუხრან მაჭავარიანის რამდენიმე ლექსი, მათ შორის, „ლენინი“, „ჭადარს ეტყვის ჭადარი“, „თბილისის ზღვასთან“ და „საბა სულხან ორბელიანი“ აშკარა მაჩვენებელია ავტორის ნიჭიერებისა. ქურნალ „მნათობში“ დაბეჭდილმა ერთ-ერთმა ლექსმა, სადაც მუხრანი თავის ყრმობას ესაუბრება, სამართლიანად გამოიწვია უკმაყოფილება. საკუთარი ხმით გატაცებული პოეტი ისე ასცდა სწორ ტონს, რომ დროზე ვერ მიუხედა თავის ლექსს სიყალბეს.

ზემთ განხილული ახალგაზრდა ავტორების გვერდით შეგვიძლია დავასახელოთ აკაკი გეწაძე თავისი ახალი წიგნით, სადაც უმთავრესად ლირიკულ ლექსებით არის გადმოცემული სამამულო ომის ფრონტზე დაეკაცებული ახალგაზრდა პოეტის განცდები.

ჩვენ შეგვიძლია გავინსენოთ სოხუმში მცხოვრები ახალგაზრდა პოეტის შოთა აკობიას ლექსი, სადაც პოეტურად ვარგად არის დანახული ის ახალი, რაც სოციალიზმის მშენებლობის წლებმა შექმნეს ჩვენს ქვეყანაში. აი, მაგალითად, როგორია „ტყვარჩელის ღამე“:

ტყვარჩელის მთებში აღარ პინდღვბა,
მიდამის ბნელი აღარა ჰჭარავს,

ირმის ნახტომად ამობრწყინდება მთებზე კვეხანი და აყარმარა! უწინ ამ კლდესთან ომობდა ქარი, ბნელში ნაძვები ღამეს ათევდნენ, მიკვირს, რა დიდი შანაღვი არი იმ სიბნელიდან ამ სინათლემდე. მე ამ სინათლემ შვერა მომტაცა, ელექტროშუქთან საერთო ეპოვე, ის მახალგაზრდებს შახტის ოსტატთან, ხელნაწილ დღესთან ის მახალგაზრდებს.

ავტორი შემდეგ ხატავს მთების გულში გაჩაღებულ შრომას და ტყვარჩელის ღამის სურათს ასე ამთავრებს:

შოკის ორთქლმავალი დაიწყებს კვილს;
— განძი მომაქვსო! — გასძახის ხველეთს,
— გზა შვიდობისა! — გუშავებებით
სემაფორები ასწევენ ხელებს!

უთუოდ კარგად დახატული სურათია. ახალი მოვლენების მახვილი თვალით დანახვი ახალგაზრდა პოეტის პირველი დამახასიათებელი ნიშანი უნდა იყოს.

თვალსაჩინო ნაწარმოებია ამავე ავტორის ლირიკული პოემა „ჩემი მასწავლებელი“. ჩვენ მეტ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, სტალინირსა და სხვა ქალაქებში მომუშავე ამხანაგებს. ახალგაზრდა ძალებით განსაკუთრებით მდიდარია ქუთაისი, მაგრამ თვითკრიტიკულად უნდა ვალიაოთ, რომ ისინი ჩვენს ყურადღებას მხოლოდ მაშინ მიიქცევენ ხოლმე, როცა თბილისში გვესტუმრებიან, ან აქ გადმოდიან საცხოვრებლად.

წლების მიხედვით თითქოს განსახილველ ფარგლებში არ შემოდის, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდა პოეტების აქტივში მაინც უნდა შევიტანოთ ახლახან გამოცემული ლექსების წიგნი ახალგაზრდა პოეტის — მირზა გელოვანისა, რომელიც გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე ბერლინის მისადგომებთან.

მირზა გელოვანის სახით ჩვენ გვყავდა მეტად ნიჭიერი პოეტი და გულწრფელი პატრიოტი. სიკვდილის წინ დაწერილი მისი ფიცი გულჩამწვდომად ისმის. პოეტი ასე მიმართავს საშობოლოს:

თუ ოდესმე, როგორც ძველად,
ამ ცას ვინმე შეგვეცილოს,
წმინდა ვალის მოსახდელად
უყოყმანოდ შეგვეწირო.
მოეკედე ისე ღმილმჩენი,
ვით კვდებოდნენ გმირნი ძველად,
რომ, საშობლოვ, საჭმე ჩემი
ღარჩეს შენდა სადღევრძელოდ...

მირზა გელოვანის ეს პატარა წიგნი გვჩიბლავს თავისი მაღალი პოეტურობით, კარგი პართულით.

ჩვენი ეურნალ-გაზეთების რედაქციები სათანადოდ არ ასწორებენ მასალას. იბეჭდება თვითდინებით შემოსული ნაწარმოებები. მაგალითად, თუ მაინცდამაინც აუცილებელი იყო დაებეჭდათ ეურნალში შ. სამადაშვილის ლექსი „ნაძვი“, რატომ არ გაუსწორეს ავტორს კუთხური ყოყოჩობის გამომხატველი ასეთი სტრიქონები:

ნაძვი მიქცერს და შემომშრიალებს;
მე აფხაზეთის მიწაზე ვხარობ.
კახლო, მხედავ? მოსაწონი ვარ,
ვით თქვენში მაჭრის ჩუხჩუხა წყარო.

რატომ უსათუოდ „კახლო?“ რასაქიროა გაესვას ზავი კუთხურობას? და თუ კახელს ვახსენებთ, რატომ მაინცდა მაინც მაჭრის ჩუხჩუხა წყარო უნდა გაგვახსენდეს?!

მამ რა გგონია, რითა მჯობია
ქინძმარაული ჩია ტანისა? —

ედავება პოეტს ნაძვი. პოეტე თავგამოდებით ცდილობს დაიკვას თავისი „კახელობა“ და ქინძმარაული:

ვაზი? მას ვუვლი სასახელოთა,
ვეფერები და თვის დატრიალები, —
მე ყურანის წვენი ძალაც შვევლოდა
ომში მტერი რომ გავატალით!

ფაშისტური ურდოების განადგურება ყურანის წვენის ძალით?! (ალბად ღვინო უნდოდა ეთქვას). დამერწმუნებით, უხერხული კვეხნაა, სხვა რამ არა ვთქვათ რა. უნებლიეთ თვით იმ კახელეების დამცირებაა, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ სამამულო ომში.

ჩვენი ეურნალ-გაზეთები უკეთ უნდა

თავისუფალი დეკადენტური რეციდივე-
ზისაგან.

გ. მერკვილაძე არ იქცევა მართებუ-
ლად, როცა ოცდაათიანი წლების პოე-
ზიის მიმოხილვას გ. ტაბიძისა და გ. ლე-
ონიძის შემოქმედებით ამოწურავს. თუ
ჩვენი ხალხის ამ პერიოდის ცხოვრებას
სწორად წარმოვიდგინოთ, თუ ქვეყნის
ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზა-
ციის და მშენებლობის ამ დიადი წლე-
ბის ლიტერატურულ ძალებს გავითვა-
ლისწინებთ, სულ სხვა სურათი გადა-
იშლება. ოცდაათიანი წლების ქართუ-
ლი საბჭოთა პოეზიის ტიპიურ წარმო-
მადგენლებად ზემოხსენებულ პოეტებს
ვერ მივიჩნევთ. აი, ასეთი არასწორი
პოზიციები და შეხედულებანი ელობე-
ბა წინ საბჭოთა პოეზიას.

როგორც აღინიშნა, ჩვენი პოეზია
თემატურად და იდეურად სოციალის-
ტური რეალიზმის დიდ გზაზეა გამოსუ-
ლი. მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს,
რომ საბჭოთა პოეტმა უფრო მეტად
უნდა იბრძოლოს სოციალისტური რეა-
ლიზმის დიდი პოეზიის შესაფერის მა-
ღალმხატვრულ საშუალებათა გამოსა-
ძებნად, ახალი მხატვრული ხერხებით
შეიარაღებისათვის, ოსტატობისათვის.
დამახასიათებელია, რომ ჩვენი პოეტე-
ზი არა მარტო თემატურად, არამედ
გამოხატვის ფორმითაც ძალიან ჰგვანან
ერთმანეთს. საჭიროა ბრძოლა საკუთა-
რი ხმის, საკუთარი ინტონაციის გამო-
მუშავებისათვის.

უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ
ცხოვრებაში ღრმად შექრის გზით შე-
იძლება შეიქმნას იდეურად და მხატვ-
რულად მაღალხარისხოვანი პოეზია. გა-
იხსენეთ, რომ ტვარდოვსკის „ვესილ
ტიორკინი“, ანტოკოლსკის „შვილი“
დაიწერა მღელვარე დღეების მონაწილე

შემოქმედთა მიერ. ცხოვრებაში ღრმად
შექრითა და მისი მაღალმხატვრული გა-
მოსახვით ჩვენთვის განსაკუთრებულ
მნიშვნელოვანია პოეტი ნიკოლოზ ტი-
ხონოვი. მისი არა მარტო „კირავი ჩვენ-
თანაა“, არამედ წიგნები — „ლექსები
კახეთზე“ და „საქართველოს გაზაფხუ-
ლი“ ბრწყინვალე გამოხატეა ქართვე-
ლი ხალხის მეტად კოლორიტული და
სიახლით სავსე ცხოვრებისა... ამიტომ
მინდა ქართველი პოეტების გვერდით
მასაც საპატიო ადგილი დავუთმო.

ჩვენ ვერ დაგვამშვიდებს ის მდგო-
მარეობა, რომ პოეზიის ფრონტი დიდ
რუსეთშიაც კი ამჟამად რამდენადმე
მიწყნარებულია. ქართულ საბჭოთა პო-
ეზიას არ დაუკარგავს ის მაღალი ად-
გილი, რომელიც მან ერთ დროს მოი-
პოვა. უნდა ვიბრძოლოთ ამ ადგილის
გაძლიერებისა და გაღრმავებისათვის.

ყოველ პოეტურ ნაწარმოებს, რა
თემაზე და რა ენაზეც არ უნდა იყოს
ის შექმნილი, ერთი მაღალი საზომით
უნდა მივუდგეთ: მას დიდი საკავშირო
მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, თავის
დიდ სოციალისტურ შინაარსს ერთე-
ნული ფორმით უნდა გამოხატავდეს, რა-
თა თავისი წვლილი შეიტანოს მრავალ-
ერიანი საბჭოთა კავშირის პოეზიაში.
ჩვენ ასეთი მხატვრული ნაწარმოებე-
ბით უნდა წარვდგეთ მწერალთა მეორე
საკავშირო ყრილობაზე.

საბჭოთა პოეზიის გადაუღებელი
ამოცანები მახვილად უნდა დაისვას არა
მხოლოდ მწერალთა ორგანიზაციისა და
მწერლების წინაშე. მუდამ უნდა გვახ-
სოვდეს, რომ მოწინავე მკითხველი მა-
სის, ჩვენი რესპუბლიკის პარტიული
აქტივის მონაწილეობის გარეშე არ შე-
იქმნება მაღალიდეური და მაღალმხატვ-
რული საბჭოთა პოეზია.

ეხმარებოდნენ ავტორებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას. ჩვენი ლიტერატურის მომავალი დიდად არის დაწყარბული ჩვენს მომავალ თაობაზე. ქართული ლიტერატურის კარებთან ახალგაზრდა პოეტების მთელი ლაშქარია მომდგარი. მე არ შევუდგები წინასწარმეტყველებას, რომელი მათგანი რომელ ადგილს დაიკავებს. მაგრამ ბითუმად, ერთი ხელმოსმით მათი ბეჭდვა, როგორც ეს მწერალთა კავშირის ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისიას გამოუვიდა, — ერთ კრებულში ერთბაშად სამოცამდე ახალი პოეტის გამოყვანა, — ხელის შეწყობად არ მიმაჩნია.

ლიტერატურაში სიმრავლე არასოდეს არ წყვეტდა საკითხს, ხარისხი იყო მუდამ მთავარი.

მხატვრული ხარისხისთვის ბრძოლა კი ნიშნავს თვითეული შემოქმედის უკეთ შესწავლას და მისი ინდივიდუალური შემოქმედებისათვის კონკრეტული დახმარების აღმოჩენას.

ჩვენი პრესა ახალგაზრდებს უმეტეს შემთხვევაში ჯგუფ-ჯგუფად ბეჭდავს და ერთ საერთო ქულსაც ახურავს წარწერით: „ახალგაზრდა მწერლების შემოქმედება“. მე მგონია, ეს შემდარი პრაქტიკაა. შეიძლება არსებობდეს, მაგალითად, ახალგაზრდების ეურნალი (ეს საკითხი, საერთოდ უნდა დაისვას), მაგრამ საერთო ეურნალში და გაზეთში

დაბეჭდილ ლექსებს ან მოთხრობებს არასოდეს არ უნდა დაერთოს რაღაც თავის გამამართლებელი საშუალება წარწერა. თუ მხატვრული ნაწარმოები გამოქვეყნების ღირსია, უნდა გამოქვეყნდეს. არაა საჭირო ვაგაფრთხილოთ მკითხველი, რომ ის ახალგაზრდა ავტორის ნაწარმოებს წაიკითხავს, და არც ისაა მოსაწონი, ნაწარმოების წაიკითხვამდე ოქროს მედლებით და ტიტულებით თვალი აუქურელოთ მკითხველს.

რუსულ ეურნალ-გაზეთებში, მაგალითად, მე არ შემიძინა ტიხონოვის, ტვარდოვსკის, სიმონოვის ყოველ ლექსს და ყოველ პოემას თავზე მათი ლაურეტობა, ორდენოსნობა, აკადემიკოსობა თუ სახალხო პოეტობა ეწეროს. ეს ჩვენი პარადული მიდრეკილება და პროვინციულობაა, ჩვენში ერთ დროს გამეფებული პარადულობის გადმონაშთია.

ნაწარმოებმა ძალდაუტანებლად, თავისთავად უნდა გაიკვლიოს გზა ხალხის გულამდე.

ჩვენი ახალგაზრდა პოეტები ამ გზას თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებით, საკუთარი ნაბიჯით, საკუთარი ხმით უნდა მიჰყვნენ. სხვის ეტლში ჯდომა, რაგინდ კომფორტაბელურად არ იყოს ის მოწყობილი, ახალგაზრდა პოეტს არ შეშვენის. მკითხველი ახალგაზრდა პოეტისაგან ახალ სიტყვას განსაკუთრებით მოელის.

2. სოციალისტური შრომისა და მშენებლობის თემა

ისე როგორც ჩვენს მომე რესპუბლიკებში, საქართველოშიც ჩვენს თვალწინ, ჩვენი მონაწილეობით დღითიდღე შენდება და მშენდება ჩვენი სამშობლო. სოციალისტური შრომა, კომუნისმის მშენებლობა ყველაზე საპატიო, ყველაზე კეთილშობილური თემაა დღევანდელი პოეტისათვის. ახალი ქარხნები, ელსადგურები, ქალაქები, ახალი ტიპის მშენებლები, ოსტატები, სოციალისტური შრომის ახალი ფორმები, ახალი ყოფა თავის მხატვარს ელის. მეღითონეთა

ქალაქის ლუმელი მხოლოდ ქართულ ფოლადს კი არ აღნობს, იგი ახალი ტიპის ფოლადის ვადამდნობელსაც ჰქმნის. სტახანოვური დაზგა მხოლოდ სამრეწველო პროდუქციას კი არ უშვებს, დღითიდღე ზრდის და ამაღლებს სოციალისტური შრომის გმირს.

გიორგი ლეონიძის ლექსის არ იყოს, „კომუნისმის ხარაჩოებში დგას მთელი საქართველო“. თბილისის გვერდით შეიქმნა ახალი ქალაქი რუსთავი, დიდი სამგორის მშენებლობა.

არაერთი და ორი კარგი ლექსი და სიმღერა დაიწერა რუსთავეზე, მაგრამ რუსთავეი მაინც თავის უკეთეს მომღერალს მოელის.

რუსთავეზე დაწერა პოემა ალიო მირცხულავამ. მოსალოდნელი იყო, რომ გამოცდილი ოსტატი, საყოველთაოდ მოწონებული პოემის — „ენგურის“ ავტორი მელითონეთა ქალაქს კარგად შეისწავლიდა, ნაწარმოებს მასალის კარნახით შესაფერის სიუჟეტს დაუდებდა საფუძვლად და მისთვის ჩვეული გამართული ლექსით ჩვენც აღგვაფრთოვანებდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ პოემაში პოეტმა „ენგურის“ გმირებიც მოიშველია, მოსალოდნელ გამარჯვებას მაინც ვერ მიადწია. ავტორი აქ ვერ ახერხებს, მის მიერ აღებული პრობლემით სათანადოდ დააინტერესოს მკითხველი. აკადემიკოს გარიშვილსა და ახალგაზრდა სპეციალისტ არჩილ დევიძის შორის შექმნილ ხელოვნურ კონფლიქტს გულცივად ვხვდებით, ვინაიდან მხატვრულად არ არის დასაბუთებული მათი სამშენებლო პროექტების აკარგვიანობა.

რუსთავემა შთააგონა აგრეთვე ნიკიერ პოეტს ხუტა ბერულავას, დაწერა პოემა ფოლადის მდნობელზე („რუსული გული“). ამ პოემაში კარგად არის გადმოცემული ახალგაზრდა ქართველი მეფოლადის მრავალფეროვანი ცხოვრება. ჩვენ ამ ახალგაზრდის მარტო შრომა და სწავლა კი არა, მისი ინტიმური გრძნობები და ბავშვობის მოგონებებიც გვაღელვებს და გვაინტერესებს, ვადევნებთ თვალს მის დავაყვაცებას და დაოსტატებას.

რუსი მეფოლადის — ივანე ფროლოვის სახე შესანიშნავად არის დახატული პოემაში: იგი ახალგაზრდა ქართველი მეფოლადის მასწავლებელიც არის და გულთბილი მეგობარიც. სიუჟეტი თავისუფლად იშლება. დახატული პეიზაჟები, ვოლგა, სტალინგრადი და, რაც მთავარია, მეფოლადეთა შრომა — ქართული პოემის სრულიად ახალი შენა-

ძენია. პოემის შუაგულში მეტად ტიპური მოვლენაა ჩასმული, თუ განვაზოგადებთ, ამ პოემით უფროდ რუსი და ქართველი ხალხების შეგობრობა და სიყვარულია გამოთქმული. კარგად არის გადმოცემული რუსი ხალხის კეთილშობილური თვისებები, რუსული გული.

საწარმოო თემაზეა დაწერილი აგრეთვე ალ. შენგელიას ლექსების ციკლი „ფოლადის ქალაქის ქრონიკები“. ალ. შენგელიას ამ ლექსებს ჩვენი მელითონეთა სახეებისა და წარმოების დიხატვით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენს ლიტერატურაში.

მეორე დიდი ობიექტი, სადაც გაიშალა ნამდვილი სახალხო მშენებლობა და რომელმაც ყველა პოეტის გულისყური მიიპყრო, ეს არის სამგორი. ამ თემაზე დაწერილ მრავალ ლექსში და სიმღერაში მინდა გამოვარჩიო გრიგოლ აბაშიძის ლექსების ციკლი „სამგორის ველზე“.

პირველ ლექსშივე, რომელიც მიძღვნილია ლენინისადმი, გამოხატულია ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარული, როგორც პოეტი ამბობს, „სინათლედ ქცეულ ადამიანისადმი“.

გრიგოლ აბაშიძე გატაცებით ხატავს და უმღერის სოციალისტურ შრომას, სამგორის წარსულს და სამგორის მომავალს. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს პატარა ლექსი „საღამო თბილისის ზღვაზე“, რომელიც მაშინ პოეტის ოცნებას გამოხატავდა, ახლა კი უკვე სინამდვილეა.

იხე როგორც ყოველთვის, გრიგოლ აბაშიძის ლექსი დახვეწილი და ნათელია. პოეტი ახერხებს კოლორიტული სურათებით, სახეებით, ოსტატურად დახატოს ყოველი ახალი კონკრეტული მოვლენა და მისცეს მას მაღალი იდეურ-პოლიტიკური დანიშნულება.

სამგორს და თბილისის პირველ აშენებას უძღვნა თავისი საგმირო ეპოპეა გიორგი ლეონიძემ. ეს ნაწარმოები რო-

ვორც მოცულობით, ისე თავისი მნიშვნელობით, დიდია და საყურადღებო.

მიუხედავად მრავალი კრიტიკული შენიშვნისა, მე მაინც ვფიქრობ, რომ გ. ლეონიძემ ისტორიული მასალის დიდი ცოდნით და შეგარძნებით, მაღალი პოეტური პათოსით აღადგინა თბილისის პირველი მშენებლების და თბილისისთვის პირველი მებრძოლების მხატვრული პანოები. დაეყრდნო რა ხალხური ლექსის ჰიპერბოლურ სახეებს, ავტორმა მონუმენტურად დახატა თბილისის მშენებლობის იმდროინდელი გმირები. მხოლოდ მშენებლობის დროის, საბჭოთა ეპოქის პოეტს შეეძლო ისტორიულ მასალაშიც გამოენახა ხალხის ძალღონის გადმომცემი ეპიზოდები, რომლებიც, როგორც მხატვრული პარალელები, ჩვენი დიდი სოციალისტური მშენებლობის გვერდით ჩვენს მშრომელებს საამაყოდ მოაგონებენ წინაპართა შრომასა და ამბავს. ისტორიულ მასალაზე აგებული ასეთი ნაწარმოები თავისი სულით ჩვენსავე დროს გამოხატავს. მე პოეტს ვედავები უმთავრესად ენის საკითხში. იგი ზედმეტად არქაულია. არ არის აუცილებელი ძველი ისტორიული მასალა ძველი ენით გადმოსცე. პირიქით, თანამედროვე მკითხველთან ძველი ისტორიული სურათების დაახლოების მიზნით ენა რაც შეიძლება სადა და უბრალო უნდა ყოს. სადა/ენა ეპიკური ნაწარმოებისათვის განსაკუთრებით საჭიროა. შეადარეთ პუშკინის „ევგენი ონეგინის“ ენა პუშკინისავე სხვა ლექსებს, მაგალითად „წინასწარმეტყველს“. ჩვენს პოეტს კი

უფრო ეადვილება პათეტური ლირიკით გადმოგვეცეს მოვლენები, ვინემ მოგვითხროს ეპიკურად და უთუოდ ამიტომ ეძნელება მკითხველს ასეთი ამალღებული ტონით დაწერილ სტროფებს ბოლომდე ყურადღებით მიჰყვეს.

სასურველია ამ ეპოპეას ისევ დაუბრუნდეს ავტორი. ასეთ ნაწარმოებზე ათეული წლობით მუშაობენ.

ამ ბოლო წლებში ნაყოფიერად მუშაობს პოეტი ოთარ ჭელიძე. თავისი ლირიკული ლექსებით და პოემით მან სცადა სამგორის ველზე გაჩაღებული შრომის დახატვა. მისი პოემა „ზღვის დაბადება“ ყურადღებას იპყრობს უმთავრესად სოციალისტური შრომის გამოხატველი ახალი სურათების შექმნით.

შესამჩნევია პოეტში ახლის დანახვის და გამოხატვის უნარი. და ეს მეტად მნიშვნელოვანი თვისებაა ჩვენი ეპოქის შემოქმედისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პოემაში ზოგი ადგილი რიტორიკულად გაქიანურებულია. ჩვენი წარმოების, ჩვენი მშენებლობის მუშებისა და ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელთა სახეები ჩვენს ლიტერატურაში საერთოდ ჯერ კიდევ სუსტადაა მოცემული. მოწონებით უნდა შევხედეთ როგორც ო. ჭელიძის, ისე ამ თემაზე მომუშავე სხვა ამხანაგების შემოქმედებითს შედეგებს. უნდა მოვუწოდოთ ყველას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მაღალი ტემპით განვითარებული ინდუსტრიის შემქმნელი გმირები მაღალი ოსტატობით გამოხატონ.

3. ახალ მოვლენათა დანახვისა და გამოხატვისათვის

საბჭოთა საქართველოს მთელი სიმდიდრე მის სოციალისტურ მინდვრებსა და მთებშია. მდიდარია თავისი ბუნებით და თვისებებით ამ მინდვრებზე მომუშავე მშრომელებიც. ომის შემდეგ ჩვენი პარტიის განსაკუთრებული ზრუნვით ამალღდა შრომითი მანქანებლები.

ამალღდა მშრომელთა კულტურული და ეკონომიური მოთხოვნილებანიც. სოციალისტურ სოფელს, მის მოწინავე აღამიანს, საქართველოს ბუნებას და ამ ბუნების ხალხს სამსახურში ჩამყენებლებს უმღერის და ხატავს თავისი ლექსების საში ჯგუფით ირაკლი აბაშიძე:



„სიმღერა მკის დროს“, „ჭყვივის გუ-
რია“, „მონადირის ლამეები“.

ამ ლექსებში მრავალი რამ არის სა-
ნიმუშო და კარგი. მხატვრულად დახა-
ტული პეიზაჟი, გმირული შრომა, სოფ-
ლის მშრომელთა ტიპური სახეები და,
რაც მთავარია, თვითეული თემის პოლი-
ტიკური სიმახვილე მეტად მიმზიდველს
და ემოციურად ასათვისებელს ზღის
მათ. როგორც ვიცით, ჩვენი სოფლის
თვითეულ კოლმეურნეს სჩვევია, თა-
ვისი სოფლის აკარგი და თავისი პი-
რადი საკითხები საქვეყნო საქმეებს
დაუქვემდებაროს, მშვიდობისათვის ბრძო-
ლა თავისი კოლმეურნეობის უხვი მო-
საველით გამოხატოს. იგი პოლიტიკურად
გათვითცნობიერებულია და ყოველ სა-
კითხს საზოგადოებრივი ინტერესის მი-
ხედვით უცქერის. ამიტომ მეტად ბუ-
ნებრივია და რეალისტური, როცა ირავ-
ლი აბაშიძე გამაღებული მკის დროს,
პურის ყანის დახატვისას, ალაზნის ვე-
ლიდან ამერიკაში ერსკინ კოლდუელს
გვამათება. ეს ლექსი, ჩემი აზრით, პო-
ლიტიკური ლირიკის საუკეთესო ნიმუ-
შია. პოლიტიკური ლირიკის ოსტატის
არც ერთი ლექსი ისე არ მოგაგონებთ
თქვენ მიაკოვსკის სტილს თავისი სა-
საუბრო ენით, სახეების პოლიტიკურად
გამახვილებითა და კონტრასტების ჩვე-
ნებით, როგორც, მაგალითად, ქვემოთ
მოყვანილი სტრიქონები:

მზე შუბს აჯახებს კომპანის ფარფლიან
ბორბალს,
თითქოს რაინდი ლამაზი ომობს პაერში;
გომბორის სიო დასთამაშებს ზეაერიელ
ბორბალს,
სიო, იმგვარი, როგორც მაშინ —
ორმოცდაერთში.

შემდეგ პოეტი მოაგონებს იმ დროს
სტუმრად ჩამოსულ ამერიკელ მწერალს,
თუ რა სიხარულითა და გაოცებით ხვდე-
ბოდა იგი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი შრო-
მის გამარჯვებას, მოაგონებს აგრესორ-
თა შემოსევას.

და აი ახლა, როცა ჩვენმა ქვეყანამ

თავი უკვე დაიხსნა აგრესორისგან და
კვლავ მშვიდობიან შრომას მშვენიერად

მე არ მეგონა, რომ მშვიდობას არ
დაიცავდი,
მშვიდობისადმი არ მჯეროდა შენგან
ღალატი!

უსაყვედურებს პოეტი ერსკინ კოლ-
დუელს.

უკვე ჩვენი ქვეყნის სიმალიდან —
სიმართლის ტრიბუნიდან, შემაჩვენებ-
ლად გაისმის საბჭოთა პატრიოტის სი-
ტყვები ამერიკელისადმი:

ნუთუ სტყუდი? მე მჯეროდა შენი
კაცობის,
თორემ თქვენებურ ორბირობას არ ვიციო
განა?
მე მსურდა წმინდა ყოფილიყავ ჩემი
ნაცნობი,
როგორც ეს მიწა, ეს ნიაფი, პური და ყანა...

ყოველი საბჭოთა პატრიოტი ამ ლექ-
სის კითხვის დროს გრძნობს ახალი პოე-
ტური სიტყვის ძალას. ასეთი ძალად
პოზიციით შეგვიძლია გავხდეთ ჩვენ,
ქართველი საბჭოთა პოეტები, ხალხის
სულსკვეთების გამომხატველნი. ასეთი
იყო ვლადიმერ მაიაკოვსკის პოზიცია
და სტილი.

ჩვენი პოეტური ენა, სახეები, გამო-
თქმები მაიაკოვსკისებურად ახლოს
უნდა იყოს ხალხთან, ცნობილია, თუ
როგორ მუშაობდა მაიაკოვსკი თავისი
პოეტური ენის შესამუშავებლად. იგი
მუდმივ კონტაქტში იყო ახალ მკითხ-
ველთან (მუშაყველებთან, კომკავში-
რელებთან, წითელარმიელებთან).

მსგავსად მაიაკოვსკისა, თანამედროვე
მკითხველის ცოცხალი სასაუბრო ენა და
ჩვენი პოეტური მეტყველება უფრო
ახლოს უნდა იყოს ერთმანეთთან. აკა-
კის ნოვატორობაც თავის დროზე ამით
გამოიხატა. სამწუხაროდ, დღეს აგრე არ
არის. მრავალი მაგალითით შეიძლება
დამტკიცდეს, რომ ჩვენი ლექსის ენა
ხშირად ლიტერატურულ ტრადიციებს
უფრო ემორჩილება, ვინემ ახალი მოვ-

ლენების ახლებურად გამოთქმის ტენდენციას. ირაკლი აბაშიძის ლექსები ამითაც არის საგულისხმო, მისი პოეტური ენა თითქმის ყოველთვის ხალხურია. იგი ქართული პეიზაჟის, ქართველკოლმეურნეთა დახატვით ცდილობს ჩვენი ეროვნული თავისებურებანიც ჩააქსოვოს სოციალისტური შინაარსის მადალიდევურ ნაწარმოებში.

სოციალისტური სოფლის ამსახველი ნაწარმოებები, განსაკუთრებით ომის შემდგომი პერიოდისა, საკმაოდ ბევრია. საყურადღებო ლექსები დაწერა თუშმეცხვარეებზე შალვა ამისულაშვილმა. კოლორიტულია და ყოფითი სურათებით მდიდარი გ. კაკაბიძის ლექსები სოციალისტურ სოფელზე.

ჩვენი პოეტები მშვიდობას, სამშობლოს, ლენინსა და სტალინს განსაკუთრებული შთაგონებით უმღერიან. პოპულარულია ი. გრიშაშვილის ფრთიანი პოეტური ფრაზებით დაწერილი ლექსები „დიდება ბელადს“ და „დიდ სტალინს პატარა გორელებისაგან“. შესანიშნავი ლირიკული ლექსი უძღვნა მშენებელ ქალს ვიქტორ გაბესკირიამ. მეტად გულთბილი და ლირიკულად ამღერებული ლექსებით მიმართა ახალგაზრდობას ს. შანშიაშვილმა: „როცა თქვენთან აღარ ვიყო, ბალებო“, „ომგადახდილ ვაეკაცს“ და „მგზავრის სიმღერა“.

ჩვენს დიდ სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას, ლენინსა და სტალინს შთაგონებით უმღერიან ა. აბაშელი, ვალაკტიონ ტაბიძე, კ. ჭიჭინაძე, მ. ლებანიძე. ისე როგორც ჩვენი რესპუბლიკის ყო-

ველ დიდ საქმეს, ჩვენი პოეტების უმეტეს ლექსებს ნათელივით თან ახლდა ყოველთვის ჩვენი ბელადების, გენიალური ლენინისა და სტალინის სახელები. 1953 წლის მარტის მწუხარე დღეებმა კიდევ უფრო მეტად გვაგრძობინა ამ ორი სახელის განუწყრელობა.

კიდევ უფრო მეტად გამობრწყინდა ჩვენს პოეზიაში ის დიდი სიყვარული, რომელიც ჰქონდა სტალინს ლენინისადმი.

მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება ხაზგასმით არ აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენი პოეტების საგრძნობი ნაწილი თავისი ლექსებით ჩვენს მშენებლობას, ჩვენს კოლმეურნეობებს, ჩვენს ცხოვრებას უმთავრეს შემთხვევაში მისალმებით და რიტორიკული ქება-დიდებათ ზედება, ნაცულად იმისა, რომ ღრმად შეისწავლოს ცხოვრება, ახალი მოვლენები თავის ჩანასახშივე დაინახოს და რაც ტიპურია, ლირიკული ლექსით თუ პოეზიით მხატვრულად ასახოს.

თქმა არ უნდა, რომ ჩვენს საზეიმო დღესასწაულს საზეიმო აღნიშვნა სჭირდება, მაგრამ უხერხულია და აუტანელი, როცა რომელიმე ცნობილი ლირიკოსის წიგნი ჰგავს ისეთ კალენდარს, სადაც მხოლოდ საზეიმო დღეებია აღნიშნული.

ზოგჯერ კი ჩვენი ცნობილი ავტორების განსაკუთრებული მომენტებისათვის გამიზნული ლექსები და პოემები იმდენად ნაჩქარევია და მხატვრულად დაუმუშავებელი, რომ აშკარა ხდება: ავტორს იმედი აქვს, მის ნაცულად ასეთ ნაწარმოებზე მთარგმნელი იმუშავებს...

4. ერთა ძმობისა და მეგობრობის სიმღერები

თანამედროვე ქართული საბჭოთა პოეზია ერთა ძმობასა და მეგობრობას ემსახურება. ამ თემას, რა თქმა უნდა, მთელი თავისი სიღრმით ლენინ-სტალინის ეპოქამ გაუხსნა გზა, ამაღლა კომუნისმის იდეებამდე, მაგრამ ქართველი პოეტისთვის ერთა მეგობრო-

ბა ტრადიციულადაც მოცემული იყო, დაწყებული „ვეფხისტყაოსნის“ გმირების უანგარო სიყვარულით და მრავალფეროვანი ხალხური პოეზიით.

დიდი რუსი ხალხის, რუსული ენის სიყვარული შესანიშნავად გამოიხატა თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

რევან მარგინის მეტად აქტიურად თემებზე დაწერილი „მისაღმებათა ნაკადი“, „აქა შშვილობა“ და „სიმღერა კომუნისტისა“ მრავალი ლექსით გადმოგვცემს ამ კეთილშობილურ გრძნობას.

კოლორიტულადაა დახატული, მაგალითად, უხვი მოსავლის ოსტატის — ქართველი კაცის რუს თანამოძმე კოლმეურნეებთან შეხვედრა:

მას ზარბლისფერი დაქრავს სახეზე,
წარბები შეენის გადაგრუხული,
თუმცა ხანდახან სიტყვას დაეძებს,
შინც ტაბოლა მისი რუსული.
ესე ღვას, თითქმის ცვლავ ყანაშია
(თუმცა იქ არის ფიჭვებით იგი),
ხელეუროვით აუტაცინა
ლენინისა და სტალინის წიგნი...

დიდი რუსეთის სიყვარულს გამოხატავს ალ. გომიაშვილის ცნობილი ლექსი „ვოლგა, ვოლგა“. აღსანიშნავია ამავე ავტორის პოეტურად კარგად გააზრებული „ომგადახდილი“, რომელიც 1950 წელს დაიბეჭდა.

შშვილობის ჯარისკაცის ქანდაკება სიმბოლიურად ღვას:

იმის ერთ ხელში ელავს ხმალი,
სტალინგრაძული
და მეორეში — ბავშვის სახით — ნათელი
მზისა,
ამ ნათელისთვის გოლიათი იბრძოდა ველად
და ხმლით ხაზავდა დასაუღმოს ქალაქებს
ირველივე
გასტრა ევრობა... და ნათელის გამოსახსნელად
სტალინგრაძიდან შემოვიდა
ბერლინი იგი.
ახლა ღვას მაღალ რაიხსტაგის ნანგრევთა
შორის
ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული მისი სახეება,
და ეით ნათელი დიდებისა
დღისით და ღამით
ის ბერლინიდან სტალინგრაძის ვარსკვლავებს
ხედავს.

შალვა აფხაიძემ ლირიკული ლექსების მთელი ციკლი უძღვნა რუსეთში თავის მოგზაურობას. ამ ლექსებში გულთბილი გრძნობითაა გამოხატული ახალი, საბჭოთა ცხოვრება.

ცალკე უნდა აღინიშნოს გრიგოლ აბაშიძის პოემა „წითელ მოედანზე“. ეს პ. „მნათობი“ № 10.

უკვე პოეტის ფართო ტილოა, სადაც არა მარტო წითელი მოედნის ისტორიული დღეებია მოთხრობილი, არამედ ჩვენი დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის შთამავგონებელი პორტრეტებიც კარგად არის დახატული. ამ პოეტურ პოემაში გადმოცემულია ხალხთა სიყვარული ჩვენი ქვეყნის გულის — მოსკოვისადმი.

უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობა ჩვენი პოეტების სიყვარული თემაა: მრავალ ლექსთა შორის აღსანიშნავია ალიო მირცხულავას დიდი პოეტური უშუალობით დაწერილი ლექსი „უკრაინას“.

შენს ბრწყინვალე ზემს ვხვდებით,
მზე დაეღაყებს ვარდისფერად,
შენვენ მოჭრის მერცხლის ფრთებით
ჩემი სიტყვა და სიმღერა! —

წერს მალაღმბატვრული სისადავით პოეტი და შემდეგ ქართველი კლასიკოსის — დავით გურამიშვილის ტრაგიკულ ბედს დიდი უკრაინის ხალხის ცხოვრებას უკავშირებს:

გადმოლახა ფეხით ცხრა მთა,
შეღვა ამ წყლის ნაპირებთან,
აქ საკუთარ წისქვილს ღვამდა
და სიმშვილეს აპირებდა...
... მასთან ერთად ჭირიც ნახე,
მასთან ერთად ცრემლი ღვარე,
შეიწყნარე მკვდრი სახე
და შეილივით, შეიყვარე...

ამ ლექსს ახასიათებს დიდი გულთბილობა. იგი ხალხთა ძმობის სანიმუშო ლირიკული დასურათებაა.

აღსანიშნავია მაყვალა მრეველიშვილის ლირიკული ლექსების ციკლი — „უკრაინაში“. სანდრო ეულის მთელ პოეტურ მუშაობაში გამოირჩევა ღვასა უკრაინისკისადმი მიძღვნილი ლექსი „შეატეხელა“.

ქართველმა პოეტებმა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს უძღვენეს დიდი კრებული.

განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავა ამ პერიოდში ნიქიერმა პოეტმა

იოსებ ნონეშვილმა. ერთა ძმობისა და მეგობრობის დასასურათებლად მან ჩვენი მეზობელი ხალხის მდიდარი წარსული და მდიდარი დღევანდელი დღე აირჩია. ლექსების ციკლი „სომხეთში“ მრავალ პოეტურ ნაწარმოებს შეიცავს და უთუოდ ავტორის დამსახურებული გამარჯვებაა. გამოირჩევიან ლექსები — „ოჯახი, დროშა, ჭეშმარიტება“, „ბაღდა წყაროებისა“ და „დამდეგ იყო ოქტომბრისა“. ამათ გვერდით გვხვდება ისეთი ლექსებიც, რომლებიც სათანადო პოეტურ სიმაღლეზე არაა აყვანილი.

მრავალრიანი საბჭოთა კავშირის ლირიკული სიმღერა გაისმის აგრეთვე ამავე ავტორის ცნობილ პოემაში, რომელიც სამამულო ომის თემაზეა დაწერილი. ესაა „ამბავი ერთი ქალშვილისა“.

საბჭოთა სომხეთს მიუძღვნეს ახალი ლექსები ალიო ადამიამ, თეიმურაზ ჯანგულაშვილმა, სიმონ ჩიქოვანმა, იოსებ გრიშაშვილმა და გიორგი ლეონიძემ.

სიმონ ჩიქოვანის ლექსების წიგნი „ახალი დღიურები“ მრავალმხრივ საინტერესოა წიგნია. აქ ჩვენ არ შეუვლდებოთ თვითიული ნაწარმოების განხილვას, მაგრამ მაინც არ შეიძლება არ გამოვყოთ პოეტური გონებამახვილობით გააზრებული ლექსი „ყვარულში“, სადაც სომეხი და ქართველი ხალხების სიყვარული მათი საუკეთესო შვილების — ოვანეს თუმანიანის და ილია ჭავჭავაძის ურთიერთობაში, ურთიერთგაგებაში არის გამოხატული. საბჭოთა პოეტი მოწიწებით და სიყვარულით უკავშირებს წინაპართა კეთილშობილურ ოცნებებს ჩვენი დღეების ლაღსა და თავისუფალ ცხოვრებას.

ახალი სომხეთის აღორძინებას უმღერის ლექსი „ზანგას ნაპირზე“. სურათოვნად არის დაწერილი ლექსი „სომხეთის მთებში“. ჩვენი პოეზიისათვის უფრო ფართო მასშტაბისა და მნიშვნელობისაა თემატიკურად და მხატვრული შესრულებით ორი ციკლი ლექსებისა

„პოლონეთის გზაზე“ და „გოურეს ცაცხვებთან“. ლირიკული პოეზიის მთავარ წყაროს ყოველთვის ავტორის ბიოგრაფია წარმოადგენდა.

ახალ პოლონეთზე და დემოკრატიულ გერმანიაზე დაწერილი ამ ლექსების უმრავლესობა პოლიტიკურად მოაზროვნე პოეტის, საბჭოთა პატრიოტის მხატვრული სიტყვაა. ეს წიგნი ამდიდრებს ქართულ პოეზიას პოლონეთისა და გერმანიის ომისშემდგომი დროის სურათების დახატვით და საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხების დასმით.

მხოლოდ ერთ საკითხში ვერ დავეთანხმებით ბ. ჟღენტს, რომელიც აღნიშნავდა: „ახალ დღიურებშიც“ ვხვდებით ისეთ ლექსებს, რომლებშიც „გარეგანი ფორმა“, სიტყვის ხელოვნება ვერა დგას ნაწარმოებში გამოხატული აზრისა და მონაფიქრის სიმაღლეზე“. ცოტა უფრო ქვევით კრიტიკოსი განაგრძობს: „პოეტი ივიწყებს სიტყვიერი ქსოვილის შესაბამისად მაღალი ხელოვნებით დამუშავების ამოცანას... ს. ჩიქოვანი იყენებს ისეთ ღარიბ რითმებს, როგორიცაა“... და შემდეგ მოჰყავს ეს რითმები. როგორ? სიტყვიერი ქსოვილის შესაბამისად მაღალი ხელოვნებით დამუშავება, რითმები „გარეგანი ფორმა“ ლექსისთვის?! ყველა-ყველა, მაგრამ მრავალი წლის მანძილზე „ფორმისათვის“ ისეთ თავდადებულ მებრძოლს, როგორიც ბ. ჟღენტია, ფორმის ასეთ უგულვებელყოფა არ მიეტევა. აზრისა და მონაფიქრის გამომხატველი ფორმა ლექსის გარეგანი მხარე კი არა, არსებითი მხარეა, ვინაიდან, რაც არ უნდა კარგი აზრი და მონაფიქრი იყოს, დაბალმხატვრული გამოხატვა მას პოეზიის მიღმა დააყენებს.

არც რითმა „გარეგანი ფორმა“, ანუ „ლექსის სამკაული“, როგორც ეს მრავალ კრიტიკოსს ჰგონია. რითმა ხშირად ლექსის დინების, ლექსის აზრის წარმართველი და მათრგანიშებელია. რითმა მხოლოდ ლექსის მუსიკალობის შემ-

ქმნელი კი არაა, არამედ ლექსის სტრიქონების შემკვრელია. სტროფი რომ შენობის ამართულ ოთხ კედლად წარმოვიდგინოთ, ცუდრიითმიანი სტრიქონი ჩამოშლილ კედელს დაემგვანებოდა.

ამ ბოლო დროს საერთოდ დაკანონდა სტატიის ბოლოში ცუდი რითმების სიის დართვა, რომ ამით კრიტიკოსმა ნაწარმოების ფორმის ანუ მხატვრული ოსტატობის სავალდებულო გარჩევა აიცილნოს. რითმების ცალკე ამოკრეფა და განხილვა არ შეიძლება. თუ რომელიმე პოეტს სიტყვის ხელოვნება არ უვარგა, არ შეიძლება მისი ნაწარმოები მაღალიდუური და მაღალმხატვრული იყოს. მინდა შევეხო კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს.

გიორგი ლეონიძემ გამოაქვეყნა „უნგრული ლექსები“. ლექსების ეს ციკლი

5. ჩვენი კომუნისტური განვითარებისათვის

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენში სოციალისტური შრომის ამსახველ ნაწარმოებთა დაწერის მრავალი ცდა იყო, ვცდილობდით ჩვენს ცხოვრებაში ახალი, ტიპური მოვლენა დაგვენახა და დაგვეხატა.

ქართულმა პოეზიამ ამ წლებში არსებითად თავი დააღწია ვიწრო, კუთხურ პროვინციალიზმს, თავი დააღწია ისტორიული თემების სიმრავლეს.

მღელვარე ცხოვრებიდან განზე გამდგარი უიდეო ლირიკა აღარავის იზიდავს. ქართველი საბჭოთა პოეტი, აგრძელებს რა შაიკოვსკის მაღალ ტრადიციას, ყველაზე მოწინავე, ყველაზე პროგრესული ქვეყნის პატრიოტი მოქალაქეა. ქართული პოეზიის მთავარი თემა ლენინიზმის იდეებისათვის ბრძოლაა. ერთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის გამოხატვას ემსახურება ჩვენი ლირიკა, ჩვენი ეპოსი. მაგრამ კონკრეტული მხატვრული მასალების განხილვიდანაც ჩანს, რომ პოეზია ჯერ კიდევ საგრძობლად ჩამორჩება ჩვენს მგზნებარე ცხოვრებას, იგი კომუნიზმის

პოლიტიკურად და იდეურ-მხატვრულად საყურადღებო მრავლენაა ჩვენს მწერლობაში და, თუ არ შივილებთ მხედველობაში ამ ციკლისათვის ზოგიერთ ნაჩქარევად დაწერილ ლექსს, აქ ჩვენს წინ წარმოდგება ახალი უნგრეთის მიწა-წყალზე მოგზაური პოეტი, რომელიც ყოველი თემის პოეტურად გააზრებისას აერთიანებს დემოკრატიული უნგრეთისა და საბჭოთა საქართველოს მეგობრობასა და სიყვარულს. შესანიშნავი ლირიკული ლექსებია „შით“, „ხიდი“, „ვილენ სტალინი“. გიორგი ლეონიძის ლექსებიც მაღალმხატვრულად გამოხატავენ ერთა ძმობისა და მეგობრობის ამ დიად იდეას, რომელსაც განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში ფართოდ ემსახურება ქართველი საბჭოთა პოეტების მხატვრული სიტყვა.

მაღალ იდეებს მაღალმხატვრულად, სრულყოფილად ჯერ კიდევ ვერ გამოხატავს.

გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთ დროს ჩვენს რესპუბლიკაში გაბატონებულმა პარადულობამ შემოქმედებითად ბევრი რამ დაგვაკარგვინა. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის მაშინდელ მეთაურებს ჩვენი ბუკი და ნაღარა, ჩვენი ოდები და ლირიკული ჭაბუკები უფრო მოსწონდათ, ვიდრე ნამდვილი პოეტური ნაწარმოებები.

პიროვნების კულტით ზოგიერთი ჩვენგანი იმდენად იყო გატაცებული, რომ ხალხის შრომას რომელიმე რაი-ალმასკომის თავმჯდომარეს მიაწერდა და მას უძღვნიდა სონეტებს.

შეიქმნა პოეტების გაბატონებული სახელები, რომელთაც მორჩილი და დამფრთხალი კრიტიკა სიტყვას ვეღარ უბედავდა... და სწორედ ამის გამო ნაწარმოებთა მხატვრული ხარისხიც დაეცა და ახალი მხატვრული ფორმებისათვის ბრძოლაც თანდათან მინელდა.

უყურადღებობა და განუკითხველობა ლიტერატურის ყველაზე დიდი მტერია. ქართველ პოეტებს, განსაკუთრებით ზოგიერთ მათგანს, ხედმეტ ყურადღებაც აქცევდნენ, მაგრამ არსებითად ქართული პოეზია უყურადღებოდ და განუსჯელად იყო მიტოვებული. ამან ხელი შეუწყო ხალტურას. ამიტომაც, რომ კარგ ნაწარმოებთა გვერდით გვაქვს ჩიქორთულად დაწერილი ბევრი ლექსი და პოემა. ამიტომ გაბატონდა ჩვენს პოეზიაში ერთფეროვნება. ჩვენში დღემდე საავტორო უფლებაჲ კი არაა დაკული. რითმებს, სახეებს, მეტაფორებს დაუსჯელად ითვისებს ხან ერთი ავტორი, ხან კი — მეორე.

ლენინი, სტალინი, ჩვენი პარტია ყოველთვის მიგვითითებენ, რომ წინსვლის და აღმავლობის მთავარი ხელშემწყობია მაღალიდგური კრიტიკა და თვითკრიტიკა. ჩვენს პოეზიას, როგორც აღინიშნა, კრიტიკა ვერ ეხმარებოდა. გაბატონებული სახელების წინაშე ისეთი მორჩილი მდუმარება დამკვიდრდა, რომ მეც ძლიერ მიჭირს, ისეთი საყვარელი პოეტის შესახებ, როგორც იოსებ გრიშაშვილია, ჩემი გულმტკიველი პირდაპირ ვთქვა. იოსებ გრიშაშვილი თავის ლექსებს დიდი გულმოდგინებით და ყურადღებით ებყრობა. მით უფრო შეუწყნარებელია ის გართიმული, ეგრეთწოდებული საგაზეთო ლოზუნგები, რომლებითაც, სამწუხაროდ, მიიღარია მისი ბოლოდროინდელი ლექსები. აი, მაგალითად:

მის ბატონი აქვს ცული, უმაქნისა,
რომ სხვის მონაგაოთ გაისქლოს ქისა.
იგი ცეცხლში ახვევს სახლებსა და ბაღებს,
ჩვენი ხეივანები პაერს აჯანსაღებს.
შუბი ამოძრავებთ საბჭოების მიმართ,
შიში ამოძრავებთ, რომ ევლიბივართ იმათ.

ეს გართიმული ფრაზები პრიმიტიულია, ტრაფარეტულია, არაპოეტურია. პოეზია საგაზეთო ლოზუნგების გართიმვა არ არის. მაგრამ ამავე დროს ყოველი ლოზუნგი შეიძლება კარგ პოეტურ ნაწარმოებად ვაქციოთ.

არ შემიძლია არა ვთქვა ორიოდ სიტყვა სახალხო პოეტის, განსაკუთრებით ტაბიძის ტომების შესახებ. უსიტყვობა ცუდად არის შედგენილი.

ლექსების დალაგებას და დადგენას რომ თავი დაეანებოთ, ზოგიერთი ლექსი ხან ნაწილ-ნაწილ და ხან მთლიანად სხვა ლექსშია შეტანილი. ამ ტომებში მხოლოდ მეტეორებივით ეღვარებენ ისეთი ბრწყინვალე ლექსები, როგორცაა „ვარ ვინმე მესხი“, „ნიკორწმინდა“, „ფიცი“, „ღრუბლები“, „ღრუბლები ძაუგთან“ და სხვ. დიდი ნაწილი ლექსებისა კი, უნდა ითქვას, გ. ტაბიძის კალამს სრულიადაც არ შეეფერება. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ რედაქტორმა და გამომცემლობამ სრული უფლება მისცეს ავტორს მდარე და გაჰიანებული ლექსებით დაწრილოს ის შესანიშნავი პოეტური ნაწარმოებები, რომელთა გამოც იგი ხალხს უყვარს.

ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ გ. შერკვილაძეს, რომელიც ლამობს ხელოვნურად ჩამოკვეთოს გ. ტაბიძის პოეზიას დეკადენტობისა და დაცემულობის ის საკმაოდ დიდი პერიოდი, რომელიც ცნობილია ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში. შემთხვევითად აცხადებს კრიტიკოსი „არტიტულ ყვავილებში“ მოთავსებულ იმ ლექსებს, რომელთაც ატყვიან დეკადენტურობის ბეჭედი. (გავიხსენოთ პოეტის „მე და ღამე“, „ლურჯა ცხენები“, „ცამეტი წლის ხარ“). სამაგიეროდ, ავტორი ხელოვნურად აზვიადებს ტაბიძის რევოლუციამდელ რევოლუციონერობას. ასეთი თვითნებური გალამაზება სრულიადაც არ სჭირდება ჩვენს ცნობილ პოეტს. გალაკტიონ ტაბიძის, როგორც შემოქმედის, სიძლიერე სწორედ იმაშია, რომ იგი თანდათან იშორებდა დეკადენტურ გავლენებს და ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა, საბოლოოდ დაადგა სოციალისტური რეალიზმის ნათელ გზას. მიუხედავად ამისა, მისი ლექსი თავისებურად არც ახლავს



მოწინავე საბჭოთა მწერალი



ილო მოსაშვილის მხატვრულ შემოქმედებას ღირსეული ადგილი უკავია ქართულ საბჭოთა მწერლობაში. ვიდრე იგი ცნობილი პოეტი და დრამატურგი გახდებოდა, სანამ მისი შემოქმედების მთავარი საგანი და თემა სოციალისტური მშენებლობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხები შეიქმნებოდა, თავის ადრინდელ ლექსებში ახალგაზრდა პოეტი ნაციონალიზმის, უსაგნო ლირიკისა და დეკადენტური განწყობილების ტყვეობაში იმყოფებოდა.

ასეთი იყო ილო მოსაშვილის პოეტური პროდუქცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და შემდეგ წლებშიაც.

დიდი გავლენა მოახდინა ილო მოსაშვილის შემოქმედებით შემობრუნებაზე სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. მოპოვებულმა თვალსაჩინო წარმატებებმა, იმ საფუძვლიანმა განმახლებელმა ძვრებმა, რასაც მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ჰქონდა ადგილი. ათას ცხრას ოცი წლით დათარიღებული ილო მოსაშვილის ერთი ლექსი სათაურით „პირველი სევდა“ კარგად გამოხატავს პოეტის იმდროინდელ სულიერ ვითარებას, დეკადენტური განწყობილებით გატაცებას:

რა ვქნა, გარეთ წვიმს, ფანჯარაზე ჩამოდის ღარი,
 თითქო შინაც წვიმს... და წვიბდეს და
 თითრად თოვდეს,
 დღეს ისე შინდა სიყვარული აღარ
 მახსოვდეს, —
 მოაწყდეს კარებს შფოთიანი ნოემბრის ქარი
 ჩამიქროს კვარი,
 შემოდგომა მომიხლოვდეს!

საქართველოს აღორძინების გზაზე დადგომამ ახლებურად მომართა პოეტის ჩანგი. მის ხმაში გაისმა მტკიცე იმედი და გულწრფელი სიხარული სისხლქარბი სიცოცხლის საფუძვლების შექმნის გამო. 1919 წელს დაწერილ ლექსში „მიყვარს“ პოეტი განყენებულად, ზოგადობით აღსავსე სტრიქონებით მიმართავს სამშობლოს და ეუბნება:

სალამი ველო, სალამი მთებო,
 გიცქერთ და ამ გულს დარდი სცილდება,
 თქვენზე ყოველთვის მსურს ვოცნებო,
 თქვენთან სიკვდილიც მიაღვიღებო.

ჩვიდმეტი წლის შემდეგ იგი ასე შეჰხარის საბჭოთა ახალგაზრდობას, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ტოლ თაობას:

და შენს თაობას როდესაც ვხედავ,
 ფართული სევდა გულს აღარ ჩრდილავს,
 გიცქერ და ვფიქრობ: შენსავით ნეტავ
 მეც ვშობილიყავ ოქტომბრის დღიას.

მიუხედავად იმისა, რომ პოეტს ორმოცი წლის ასაკისათვის მიუღწევია, მას მაინც ოცი წლის ჰაბუკად მიაჩნია თავი, გრძნობს ძალთა უშრეტობას, მხნეობას, ახალგაზრდულ გატაცებას:

ორმოცი წლის ვარ, ვერ მნახავ მოხილს,
 თუნდა ორმოცი დამრუნდეს ორჯერ,
 ის ოცი წელი — უფალო ოხვრის,
 ფოთლებჩამოყრილ ტოტივით მოვჭერ.

ფოთლებდაცვივებულ ტოტს შეადარა ავტორმა თავისი სიცოცხლის ის პერიოდი, როცა საკუთარი ადგილი ვერ ეპოვნა მას ამქვეყნად, როცა ბავშვობის წლიდანვე მისი თანამემამულენი არა-ადამიანური შრომით წელში გაწყვეტილი „ჩწვოდნენ მზეში, ებუგებოდათ

მამულ-დედული“, ერთმანეთს შერთ-
ვოდა მათი „ქენესა და გუთნდედური“.

პოეტი უსაზღვროდ არის აღტაცებუ-
ლი იმის გამო, რომ ჩვენში სამუდამოდ
მოისპო ადამიანის ექსპლოატაციის შე-
საძლებლობა, ქვეყნად გამეფდა შემოქ-
მედებითი შრომა, თავისუფლება და
სიხარული. ამ უდიდესმა ეპოქალურმა
ცვლილებებმა თვითეული საბჭოთა შე-
მოქმედის წინაშე სულ სხვა ამოცანები
დასახა. ეს არის ერთადერთი სწორი
და გონივრული გზა ახლისათვის თავ-
დადებული ბრძოლისა, წარსულისაკენ
უკვე დაგმობილისა და უარყოფილისა-
კენ უკანდასახევი შარაგზის ჩაქეტვისა
და ზიდის ჩალეწვის საშუალება.

პოეტს ეძახის მისი სახელი —
დიდი ეპოქის ცეცხლში დაიწვას,
ყოველი ქვის და
რკინის ნახევი,
მკერდით,
სისხლით და
ლექსით დაივას.

ყველაზე არსებითი და მთავარი ილო
მოსაშვილის შემოქმედებაში არის საბ-
ჭოთა პატრიოტიზმი, სოციალისტური
სამშობლოს მხურვალე სიყვარული.
მაგრამ ეს როდი ანელებს პოეტის
გრძნობათა ძალას მოძმე ერებისადმი.
ამ მხრივ საყურადღებოა ი. მოსაშვი-
ლის ლექსი „ბელორუსიაში“. იგი 1936
წელს დაიწერა. დაიწერა იმ შთაბეჭდი-
ლებათა გამო, რაც პოეტმა საკუთარი
თვლით ნახულისა და განცდილის გა-
მო მიიღო ბელორუსიაში ყოფნის
დროს. ავტორი ბელორუსიას თავის მე-
ორე სამშობლოს უწოდებს. მას აღაფ-
როთოვანებს მოძმე ხალხის გმირული მა-
ჯისცემა, მისი ძალა და უძლეველობა:

და შენ, მეორე სამშობლოვ ჩემო,
დიდი საბჭოთა ქვეყნის ნაჭერო,
შენი გმირული მარჯვენის ცემა
ვერც ერთმა ძალამ ვერ შეაჩეროს!

პოეტი ღრმად არის დარწმუნებული,
რომ დიდი საბჭოთა ქვეყნის ღვიძლი
და განუყოფელი ნაწილის დაძლევა
არავითარ ძალას არ შეუძლია. ეს რწმე-

ნა მასში კიდევ უფრო განამტკიცებს
სიყვარულს სოციალისტური სამშობ-
ლოსადმი, ყველა მოძმე ერებისადმი.

თანამედროვე ეპოქის უაღრესად
დიდმნიშვნელოვან საყოველთაო-სახალ-
ხო მოძრაობად იქცა ბრძოლა მშვიდო-
ბისათვის, ბრძოლა ომის გამაღებელთა
წინააღმდეგ, აგრესორთა შავბნელი ზრ-
ხეების ჩასაშლელად, ქვეყნად ხალხთა
მშვიდობიანი თანამშრომლობის იდეის
გამარჯვებისათვის. მშვიდობის იდეის
გამარჯვება შეიძლება უზრუნველყო-
ფილ იქნეს მისთვის ბრძოლაში ხალხთა
ფართო მასების აქტიური მონაწილეო-
ბით. მშვიდობისათვის მეტროლ მრ-
ვალმილიონიან მასებს საბჭოთა ქვეყანა
ხელმძღვანელობს. ეს მან პირველმა გა-
მოუცხადა ომი ომს, პირველმა მისცა
მსოფლიოს ხალხებს წარმატაცი მაგა-
ლითი მშვიდობიანი შემოქმედებითი
მშრომის უბირატესობისა ხალხთა შო-
რის შუღლისა და მტრობის წინაშე.
მშვიდობისათვის საბრძოლველად აზ-
ვირთებულ ხალხთა გულისთქმას ვერა-
ვითარი ძალა ვერ შებოროკავს. ამაზე
ლპარაკობს თავისი მხატვრული სიტყ-
ვით ილო მოსაშვილი:

მაგრამ სად არის ამქვეყნად ძალა,
რაც ვი ძალა კაცისშიერი, —
საბჭოთა ხალხზე, ჩინეთის ხალხზე
და ყველა ხალხზე უფრო ძლიერი!

რა თქმა უნდა, პოეტის სავსებით კა-
ნონიერი და მტკიცე რწმენით, ხალხის
კეთილი ნების შესამუსრავად აღმარ-
თული ყოველგვარი ცდა გაცამტვერ-
დება ისტორიული კანონზომიერების
ძლევაშოსილებით, ვინაიდან „სად გა-
გონილა, მზე დააბნელოს და მის სი-
ნათლეს ძლიოს უკუნა!“

პოეტის თქმით საბჭოთა კავშირის ამ
სამშვიდობო მოწოდების ხმას კაცობ-
რიობა ეხმაურება:

რეკენ ზარები და ლაით ცაზე
კრემლის ვარსკვლავი როცა იელეებს, —
უხმობს ვეტნამს, უხმობს ინდოეთს
და ხმალაშვიდილ მალაილებს...

ლექსში მკაფიოდ გამოსკვეივის ურყევი რწმენა, რომ მიუხედავად მსოფლიო იმპერიალიზმის გააფთრებული მზადებისა ახალი ომისათვის, სოციალიზმის, დემოკრატიზმისა და მშვიდობის ძალების წინააღმდეგ, მშვიდობა გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში, როგორც კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობის საფუძველი.

პოეზიის საგანი ძველთაგანვე, როგორც ცნობილია, ბუნების მშვენიერებისათვის, მისი თვალწარმატაცი სილამაზისათვის ხოტბის შესხმა ყოფილა. პოეზია მუდამ გამოხატავდა ადამიანის ალტაცებას ბუნების მოვლენების სიდიადით თუ ზღაპრული სინაზით, ზვიადობით თუ ფერთა სინატიფით. ალტაცების ეს გრძნობა კარგად გამოხატა ილო მოსაშვილმა თავისი ლექსით, რომლის სათაურიც არის „ღამე ტყეში“. მომხიბლავი პოეტური სურათია დახატული ლექსის ამ სტრიქონებით:

დიდებ., რამდენიც უყვიის არწივი
ბუნების გულსა და სიკეთეს.
დადგება ბელურა პატარა კაცივით
და ტოტზე ბუმბულის სასახლეს იკეთებს.
დადგება ტორილა და როგორც მკაფრე,
ყოველდღე შეაღებს ალიონს,
რომ ბალახს შეაბოს ნისკარტის ვეალი
და ცვარი პირველმა დალიოს.

ხოლო განთიადი, შზის ამოსვლა შედარებულია მხატვრის მუშაობასთან. მხატვრად მზე არის გამოყვანილი, რომელიც ზეცას ჩამოაცლის ღამის ნახშირს, მოხდის შავ სარქველს და ამ წაშლილ სურათზე ქვეყანას მეორედ დახატავს.

გარკვეული დეაწლი მიუძღვის ილო მოსაშვილს მხატვრული თარგმანის დარგში. მის მიერ ოსტატურად არის თარგმნილი პაბლო ნერუდას, ტარას შევჩენკოს, ივანე ფრანკოს, ლესია უკრაინკას, ნიკოლოზ ზაბოლოცკის ლექსები.

ნაყოფიერად მუშაობდა ილო მოსაშვილი საბავშვო ლიტერატურაში.

მისი საბავშვო ნაწარმოებნი ხელს

უწყობენ ჩვენი ეპოქის ბედნიერი წარჩითაობის აღზრდას კომუნისტური პრინციპების სულსიკვეთებით.

ქართული სასცენო რეპერტუარის თვალსაჩინო შენაძენს წარმოადგენს ილო მოსაშვილის დრამატურგია. პირველი მისი პიესა „სადგურის უფროსი“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა მაყურებელთა შორის. იგი დაიწერა და დაიდგა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ქარიშხლიან დღეებში. ავტორმა დამაჯერებლად, ცოცხალი ფერადებით დაგვიხატა საბჭოთა ქვეყნის გამირული ცხოვრება სამამულო ომის დროს, საბჭოთა პატრიოტების უანგარო თავდადება კაცობრიობის ვერაგ მტერთან — ფაშისტთან სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, რიგითი საბჭოთა ადამიანების მაღალი მორალური თვისებები, მთელი საბჭოთა ხალხის მტკიცე და ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა საყოველთაო მძიმე განსაცდელის წინაშე.

პიესაში ნაჩვენებია საბჭოთა მამაკაცებთან ერთად ჩვენი ქვეყნის ქალების გამირული სულსიკვეთება, მათი მზადყოფნა — საკუთარი სიცოცხლეც კი არ დაზოგონ სამშობლოს თავისუფლებისათვის, მშობლიური ხალხის კეთილდღეობისათვის, მშობლიური მიწაწყლის განთავისუფლებისათვის ფაშისტური მონობის უღლისაგან. გმირი საბჭოთა პატრიოტები ლევან ჩადუნელი და მისი ქალი მარინე, მოხუცი კუზმიჩი და მისი ცოლი პელაგია, სერგეი პეტროვიჩი და ლიზა ერთი მტკიცე გადაწყვეტილებით მოქმედებენ. ეს გადაწყვეტილებაა — რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მოსპონ და გაანადგურონ ჩვენს მიწაწყალზე შემოჭრილი პირსისხლიანი ფაშისტთა ურდოები. აქ ერთ წმინდათა წმინდა მიზანს ემსახურებიან რუსი და ქართველი, უკრაინელი, კახაკი და ოსი, ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირის ერთ ძმურ ოჯახში გაერთიანებულ ხალხთა ყველა წარმომადგენელი.

კეთილშობილური საბჭოთა პატრიოტიზმის ნათელ გრძნობას ნერგავს საბჭოთა ადამიანში ი. მოსაშვილის, პიესა „სადგურის უფროსი“. სწორედ ამით არის ეს ნაწარმოები ძვირფასი და დიდმნიშვნელოვანი.

პიესის ერთ-ერთი გმირი, რაიკომის მდივანი სერგეი პეტროვიჩი ასე მიმართავს ლევან ჩადუნელს: „ამხანაგო ლევან, შენ უსახელო სიკვდილისა გეშინოდა, სახელოვანი სიცოცხლე ამიტომ მოიპოვე!“ ამ სიტყვებით გამოხატა ავტორმა ყველა ქვეშაობის საბჭოთა პატრიოტის დანიშნულება, მიზანი და სულისკვეთება.

ი. მოსაშვილის დრამა „ნაძირული ქვეები“ თურქეთის ფარგლებში მცხოვრებ ქართველთა მდგომარეობას ეხება. მასში ავტორმა ძლიერი დრამატურგიული საშუალებებით გვიჩვენა თურქეთის მმართველი წრეებისა და ამერიკელი კოლონიზატორების აღვირახსნილი საქმიანობა, მათი ანტიხალხური და აგრესიული შებენელი ზრახვები. პიესამ, რომლის საფუძველზეც მშვენიერი სპექტაკლი შექმნა რუსთაველის სახელობის თეატრმა, დიდი რეზონანსი ჰპოვა და ძლიერი ემოციური ზეგავლენა მოახდინა მაყურებელზე. პირველ რიგში ეს უნდა აიხსნას, რა თქმა უნდა, იმ საკითხების ცხოველყოფილი აქტუალობით, რაც განხილულია ნაწარმოებში და მისი პატრიოტული ძლიერობით. მაყურებელმა ნათლად წარმოიდგინა და ღრმად განიცადა მთელი საშინელება იმ უკუღმართობისა, რომელსაც იმპერიალიზმი მეთოდურად ახორციელებს მშრომელი ხალხის ინტერესების საზიანოდ, მისი ელემენტარული კანონიერი უფლებების შესაბამისად და ფეხქვეშ გასაქელად.

თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენელი, ვილაიეთის უფროსი აბდულ სადაყი ამერიკელ ინჟინერ ჯონ რაიტთან საუბარში აცხადებს: „რა თქმა უნდა! ჩვენი აზრი მუდამ შეწყობილია,

მისტერ ჯონ!“ ამით საეხებოთ გასაუგებია, რა სრული პარმონიულობაა ამერიკელ აგრესორთა და თურქეთის ხელისუფალთა აზრებს შორის, როცა საქმე ეხება ხალხის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ჩატარებას.

პიესის მხატვრული ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ავებულაა მძაფრ დრამატიულ სიტუაციებზე, მოქმედ პირთა ხასიათები მოტივირებულია, კარგად სჩანს ამა თუ იმ ხასიათის ყალიბობის თანმიმდევრობა, გარდაქმნის პროცესის ბუნებრივი დამაჯერებლობა. ავიღოთ, მაგალითად, ჯემალ თურმან-ოღლუს მხატვრული სახე. იგი ვილაიეთის უფროსის მოადგილეა. მისი, როგორც გურჯის, ბრმა იარაღად გამოყენება სურთ თურქეთის ხელისუფალთ, მაგრამ ამბების განვითარების ლოგიკა ჯემალში იწვევს სათანადო რეაგირებას, იგი თვალნათლივ რწმუნდება აბდულ სადაყებისა და ჯონ რაიტების ვერაგობაში, ჯემალი საბოლოოდ აღმოჩნდება თავისი პატრიოტული ღირსების სიმალღეზე და მტრის ტყვიით განგმირული ანდერძად უტოვებს უმცროს ძმას გოგჩას: „ბეჯან ალა მართალს გეუბნებოდა, — ჩვენ ქართველები ვართ... ესენი კი ოსმალები არიან... გიყვარდეს შენი სამშობლო... საქართველო!“

ჯემალს, შუქრის, გაიანეს და მათთან ერთად ყველა პატიოსან გურჯს თავიანთ ნამდვილ სამშობლოდ საბჭოთა ქვეყანა მიაჩნიათ. ეს საესებოთ კანონზომიერი და ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ იმ საშინელ პირობებს, რომლებშიც უხდებოთ ყოფნა თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, ორმაგ ჩავგრას რომ განიცდიან — სოციალურსა და ეროვნულს.

ამ ნაწარმოების დიდ ნაკლს უთუოდ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მასში სათანადოდ არ არის გამახვილებული ყურადღება თურქეთის მშრომელი მოსახლეობის სოციალური ვითარებისად-

მი. ეს კი საგრძნობი ხარვეზია და ჩრდილს აყენებს ნაწარმოების სხვა უდავო ღირსებასაც.

მიწურინული ბიოლოგიის ერთი საკითხის — ახალი, გაუმჯობესებული ცხერის ჯიშის გამოყვანის საკითხის მხატვრულ გადაწყვეტას ისახავს მიზნად ილო მოსაშვილის პიესა „მისი ვარსკვლავი“. ამ ფონზე გაშლილია კოლიზია ნოვატორ გიორგი გეგაურსა და პროფესორ სოლომონ ზანდუკელს შორის. ამ ფონზე ვლინდება ადამიანთა ურთიერთობა, აზრთა წინააღმდეგობა, გრძნობათა სხვადასხვაობა.

ბუნების გამოუცნობი საიდუმლოების გასაღების ხელში ჩაგდებას ლამობს გიორგი გეგაური. ამ მიზნის მისაღწევად იგი გულმოდგინე მეცნიერულ მუშაობას აწარმოებს. მას კი ხელს უშლიან ყოველივე ახლის წინაშე დამფრთხალი, ძველი რუტინის კლანჭებში გამოწყვდიული, ან კიდევ ობივატელურ კაობში ჩაფლული ადამიანები. მიუხედავად შრავალი მძიმე დაბრკოლებისა, ახლის იდეა მაინც იმარჯვებს. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ხალხი, საბჭოთა სინამდვილე, მუდამ სამართლიანობის, ყოველივე მზარდის, პროგრესულის მხარეზეა. ამის გამომხატველია პიესის მთავარი გმირის გიორგი გეგაურის სიტყვები: „რა შესანიშნავი ხალხია ჩვენი ხალხი... აი, ეს უბრალო, კეთილი ადამიანები აშენებენ ახალ ცხოვრებას, სადაც მალე ძირიანად ამოვარდება ღვარძლისა და შურის შხამიანი ფესვები, ჯერ კიდევ ლენინოფასავით რომ სწამლავენ ჩვენს გულსა და გონებას... რა სიყვარულით და მოკრძალებით შემოგვცქერიან ისინი ჩვენ, თავის მახლობელ ხელმძღვანელებს; ცდილობენ მოგვბაძონ, ისწავლონ ყველაფერი, რაც კი ამაღლებს კაცის ღირსებას, მაგრამ ხშირად იმედგაცრუებულნი რჩებიან, რადგან ჩვენ თვითონ ვართ ამ ღირსებას მოკლებულნი...“

და ის ღირსება, რაც ხშირად არ აღ-

მოაჩნდება ხოლმე რომელიმე კერძო პიროვნებას, თვით ხალხში სუფევს, ხალხი ამდიდრებს და აფარდებს ამ ეკუთვრი ღირსებებით ცალკეულ ადამიანებს.

ასეთი სიყვარულითა და პატივისცემით არის გამოთბარი პიესა „მისი ვარსკვლავი“ ხალხისადმი, მისი ღირსებებისადმი, მისი შემოქმედებითი ძალებისადმი.

სატრის ქარ-ცეცხლშია გატარებული პიესის ზოგიერთი პირი. ისინი გამათრახებული არიან ბიუროკრატიზმის, გადაგვარების, მეშხანობის წუმპეში ჩახავსების გამო. ამ ნაწარმოებს თავისი გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია საბჭოთა ადამიანების მორალის შემდგომი ამაღლებისა და განსპეტაკების საქმეში.

„ეს დღე დაილოცოს, როცა რუსულ-ქართულმა ხმალმა და წმინდა სისხლმა, ამ მიწაზე ერთად დადვრილმა, დააკანონა ჩვენი ძმობა საშვილიშვილო!“ ეს აღფრთოვანებული სიტყვები ათქმევინა ერეკლე მეფეს ილო მოსაშვილმა თავის უკანასკნელ პიესაში „გზა მომავლისა“.

რუსი და ქართველი ხალხების საშვილიშვილოდ დამშობილების იდეა, ქართველი ხალხის მტკიცედ დადგომა რუსეთთან შეერთების გზაზე, ამ ერთადერთი სწორი ისტორიული გადაწყვეტილების მიღება ერეკლეს მიერ, შეპირობებულია მთელი იმ მოვლენების კომპლექსით, რასაც ადგილი ჰქონდა ერეკლეს გამეფებამდე და რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ერეკლეს დროს.

ეს მომენტი მხატვრული სახეებით კარგად არის ასახული პიესაში „გზა მომავლისა“. ნაწარმოების მთავარი დრამატული კვანძი ემყარება მოწინააღმდეგე ძალთა დაპირისპირებას. ეს წინააღმდეგობა კი შექმნილია, ერთის მხრივ, ერეკლე მეორის, მის თანამოაზრეთა და, მეორეს მხრივ, სპარსეთის

ორიენტაციის დამცველ ადამიანთა შორის.

მთელი ნაწარმოები წარმოადგენს რუსეთთან საქართველოს შეერთების გარდუვალობის მხატვრულ არგუმენტაციას. ამაშია მისი უპირველესი ღირსება და მნიშვნელობა.

საერთოდ ხაზგასმით არის აღსანიშნავი ილო მოსაშვილის ნაწარმოებთა გამართული, ძარღვიანი სალიტერატურო ქართული. ასეთი ცოცხალი, ხატოვანი ენით არის დაწერილი მისი ეს უკანასკნელი ნაწარმოებიც.



მარტო მხატვრული ლიტერატურის დარგში მუშაობით როდი ამოიწურება ილო მოსაშვილის სამსახური ჩვენი ქვეყნის წინაშე. იგი მთელი რიგი წლების მანძილზე აქტიურად შრომობდა როგორც საზოგადო მოღვაწე.

ბუნებრივია, რომ ქვეყნარბი საბჭოთა შემოქმედი არ დაუშვებს იდგეს განზე, როგორც გულგრილი მეთვალ-

ყურე, პასიური მკვრეტელი იმ უდიდესი საზოგადოებრივი ძვრებისა და გარდაქმნებისა, რაც მისი თანამედროვე ეპოქაში ხდება. შეუძლებელია მან არ იგრძნოს აუცილებლობა — თვითონაც აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მუშაობაში. საბჭოთა მწერლის მაღალი და საპატიო წოდება ავალებს ადამიანს იყოს ერთ-ერთი პირველი და მოწინავე მოქალაქე თავისი დროისა.

საბჭოთა მწერლის ამ დანიშნულებას პირნათლად ასრულებდა სტალინური პრემიის ლაურეატი ილო მოსაშვილი. იგი იყო საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, მშვიდობის დაცვის საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარე. საქართველოს საბჭოთა მწერლების გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრად ყოფნით იგი ქმედითს, ყოველდღიურ პრაქტიკულ დახმარებას უწევდა ჩვენი ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის დასახულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეს.

ნ. ოსტროვსკი (დაბადების 50 წლისთავი)



ნიკოლოზ ალექსის-ძე ოსტროვსკი — ავტორი მსოფლიოში ცნობილი რომანისა „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ — გამოვიდა ლენინური კომპაგენიზაციის პირველი თაობის რიგებიდან. იგი ოქტომბრის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში უშუალო მონაწილეობას იღებდა რევოლუციის გამარჯვებისა და განმტკიცების საქმეში.

ნ. ოსტროვსკი დაიბადა მუშის ოჯახში 1904 წლის 29 სექტემბერს დასავლეთ უკრაინაში. ექვსი წლის ოსტროვსკი ადგილობრივ სკოლაში მიაბარეს და იგი წარმატებით დაამთავრა.

ოსტროვსკის ოჯახი მუდამ დიდ ხელმოკლეობას განიცდიდა, ხშირი იყო ისეთი დღეები, როდესაც დედას შვილებისათვის ლუქმაპურის ყიდვის საშუალება არ ჰქონდა.

სიღარიბისაგან შეწუხებულმა ოსტროვსკის მშობლებმა 12 წლის ბავშვი მიაბარეს ქ. შეპეტოვსკის სადგურის ბუფეტში ხელზე მოსამსახურედ. მას მთელი ღამეები არ ეძინა, დღე-ღამეში 14-16 საათს ამუშავებდნენ. მიუხედავად ასეთი პირობებისა, ოსტროვსკი წიგნებს კითხულობდა ღამიღამობით. იყო შემთხვევები, როდესაც იგი თავის ულუფა სადილს უთმობდა იმ პირთ, ვინც მას წიგნებს ან ჟურნალ-გაზეთებს წააკითხებდა.

1917 წლის ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ ახალგაზრდა ოსტროვსკის ელექტროსადგურზე, მუშათა წრეში მოუსწრო. აქ მუშაობდა მისი ძმა, რომელმაც ნიკოლოზს თავისი მეგობრები გააცნო, მათ შორის რკინიგზის დეპოს ზეინკალი, ყოფილი მეზღვაური, ბოლშევიკი თედორე ფილიპეს-ძე პერედ-

რეიჩუკი, რომელიც რომანის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ მოქმედი პირის — ეუხრაის — პროტოტიპია. თითქმეტი წლის ოსტროვსკის ღრმად ჩაჩნა გულში პერედრეიჩუკის ნათქვამი, რომ ცხოვრებაში ყველაზე მთავარია — იყო მუშათა საქმისათვის ერთგული მებრძოლი. ოსტროვსკი სინამდვილეში იქცა მუშების თავგამოდებულ დამცველად. იგი მჭიდროდ დაუკავშირდა შეპეტოვსკელ მუშა ბოლშევიკებს, დიშასახურა მათი ნდობა და მეტად საბასუხისმგებლო დავალებებს ასრულებდა.

ახალგაზრდა, მსოფლიოში ერთადერთ საბჭოთა რესპუბლიკას თავს დაესხნენ შეიარაღებული ინტერვენტები. ქვეყნის შიგნითაც ამოძრავდნენ მტრები. რევოლუციის პირველი მონაპოვრის — საბჭოთა სახელმწიფოს დაცვა მკაცრი ბრძოლების პირობებში მიმდინარეობდა. ნ. ოსტროვსკი საბჭოთა ხელისუფლების დამყარება-განმტკიცებისათვის თავგანწირულად იბრძოდა. მან დაზვერვის მიზნით შეაღწია მტრის ზურგში, წითელი არმიის ნაწილებს შეპეტოვისკენ მიმავალ გზებს უჩვენებდა და ვახანებით ამარაგებდა მათ.

თხუთმეტი წლის ოსტროვსკი ქუჩაში მიდიოდა, მან თვალი მოჰკრა იატაკ-ქვეშელ რევკომის წევრს თ. პერედრეიჩუკს, რომელიც შეიარაღებულ პეტლიურელ ჯანდარმს დატუსაღებული მიჰყავდა.

ოსტროვსკი წამსვე თავს დაესხა მეზღვაურს. პერედრეიჩუკი გაიქცა. ოსტროვსკი დააკავეს და სასტიკად სცემეს, ცდილობდნენ აეძულებინათ, რათა იატაკქვეშელმა კავშირი გაეთქვა. ოსტროვსკის ვერაფერი ათქმევინეს.

ოსტროვსკი უკრაინაში კომკავშირის დაარსებისთანავე მისი წევრი გახდა. იგი კომკავშირში მუშაობამ გარკვეულ დისციპლინას და წესიერებას მიაჩვია, ამიტომ სამართლიანად თვლიდა კომკავშირს თავის აღმზრდელად.

1919 წ. წითელარმიასთან ერთად ოსტროვსკი მოხალისედ წავიდა ფრონტზე. 1920 წ. აგვისტოში თეთროლონელებთან მომხდარ ცხარე ბრძოლებში ოსტროვსკი მძიმედ დაიჭრა მუცლისა და თავის არეში. იგი რამდენიმე თვე იწვა საავადმყოფოში და მარჯვენა თვალის სინათლე დაკარგა. თექვსმეტი წლის ოსტროვსკი მრავალ ბრძოლაშია გამოვლილი და ორჯერაა დაჭრილი.

1924 წ. 9 აგვისტოს ოსტროვსკი კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს. ავადმყოფობით დასუსტებული ოსტროვსკი ავტომობილის ავარიაში მოჰყვა: მარჯვენა ფეხის მუხლის თავი დაიზიანა. ამ უბედურმა შემთხვევამ მისი ჯანმრთელობა გააუარესა. ამ დროიდან იწყება ოსტროვსკის დაუსრულებელი ავადმყოფობა და მკურნალობა.

1932 წლის აპრილში დაიბეჭდა პირველი ნაწილი ოსტროვსკის ცნობილი რომანისა „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. რომანმა მალე იპოვნა ადგილი მკითხველთა გულში, განსაკუთრებით ალტაცებში მოიყვანა ამ ნაწარმოებმა ახალგაზრდობა. რომანი მაშინვე ითარგმნა მომხმე საბჭოთა ერებისა და უცხოურ ენებზე. ოსტროვსკის სახელი ცნობილი გახდა მსოფლიოში.

1934 წლის დეკემბერს ოსტროვსკიმ დაიწყო წერა ახალი რომანისა „ქარიშხლით შობილი“. ეს ნაწარმოები მან სიკვდილის წინა დღეებში დაამთავრა.

ნ. ოსტროვსკი როგორც თავის პირველ რომანში, ისევე „ქარიშხლით შობილში“ ვეიჩვენებს საშოქალაქო ომის ხანის პროლეტარულ ახალგაზრდობას. ახალი რევოლუციური სამყაროს ადამიანები — პროლეტარული ახალგაზრ-

დობა — სოციალისტური კუმანიზმის კეთილშობილური იდეებისა და გრძობების გამომხატველნი არიან.

ოსტროვსკიმ რეალისტურად, ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით, ყოველგვარი სიყალბისა და ხელოვნურობის გარეშე შეაჯახა ერთმანეთს ორი სამყაროს, ორი კლასის წარმომადგენლები, ვეიჩვენა მათი აზროვნების, ხასიათის, ქცევის თავისებურება.

1935 წლის 1 ოქტომბერს პარტიამ და მთავრობამ სათანადოდ აღნიშნა ოსტროვსკის დამსახურება სამშობლოს წინაშე და მწერალი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით. ჯილდოს საპასუხოდ 2 ოქტომბერს ნ. ოსტროვსკიმ ი. ბ. სტალინს წერილი გაუგზავნა. იგი ამ წერილს ასე ამთავრებს: „...მე გული მტკივა, როცა ვფიქრობ იმაზე, რომ ფაშისმთან უკანასკნელ ბრძოლებში ვერ შეეძლებ ჩემი ადგილის დაქვრას მებრძოლთა შორის. მე შემბოჭა მძიმე ავადმყოფობამ, მაგრამ მით უფრო მეტი აღზნებით ჩავეცემ ლახვარს მტერს სხვა იარაღით, რომლითაც აღმკურნა ლენინ-სტალინის პარტიამ, რომელმაც წერაკითხვის მცირე მცოდნე მუშიდან საბჭოთა მწერლად აღმზარდა“.

ახალი ადამიანის თემა, ჩვენი დროის გმირის ჩვენება — საბჭოთა ლიტერატურის ძირითადი თემაა. ნ. ოსტროვსკის გმირები იმიტომ არიან ჩვენთვის ასე ახლობლები და ძვირფასნი, რომ ამ გმირებში, როგორც სარკეში, ასახულია საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებები.

ასეთი გმირების რიცხვს ეკუთვნის „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ მთავარი გმირი პავლე კორჩაგინი. პავლე კორჩაგინს ბავშვობიდანვე ზრდის და აწრთობს ძველი ბოლშევიკი, მეზღვაური ეტხრაი. პავლას ამ მეზღვაურმა გააძნო პირველად ლენინი.

პავლე კორჩაგინი ახალი ადამიანების — მუშების, ბოლშევიკების თვისებების გამომხატველია. იგი საზოგადო-

ებრებს მუდამ მაღლა აყენებს პირადულზე. ან რას ეუბნება პავკა რიტა უსტინოვიჩს: „მე მომხრე ვარ ისეთი რევოლუციონერისა, რომლისთვისაც პირადული არაფერს არ წარმოადგენს საერთოსთან შედარებით“. ამის შემდეგ არ არის გასაკვირი კორჩაგინის მიერ წარმოთქმული სიტყვები თავის სატროფოსთან საუბარში: „ჯერ მე პარტიისა ვიქნები და მერე შენი და სხვა ახლობლებისა“.

კორჩაგინმა ცალი თვალის მხედველობა დაკარგა. იგი სრულიად არ დარდობს ერთი თვალის დაკარგვას, მხოლოდ ნატრობს: — „ნეტავი მარცხენა თვალი დამესებოდა, — როგორ უნდა ვისროლო ახლა?“ ამ გამოთქმაშიც საზოგადოებრივი და სამშობლოს ინტერესები წინა პლანზეა წამოწეული. ბოლოს და ბოლოს იგი დარწმუნდა, რომ ჯანმრთელობამ სრულიად უღალატა და მისი სიცოცხლის დღეები დათვლილია. ის მაინც არ ყრის ფარხმალს და ჭეშმარიტად გმირული გადაწყვეტილება გამოაქვს: „შესძელ იცოცხლო მაშინაც კი, როდესაც აუტანელი ხდება ცხოვრება. სასარგებლო გახადე ის“. კორჩაგინი ავტობიოგრაფიული გმირია. ოსტროვსკი სინამდვილეში მართლაც გამსჭვალულია ღრმა ოპტიმიზმით, ცხოვრებისადმი ღრმა რწმენით. მის შიძიმე ავადმყოფობა ვერ წყვეტს ცხოვრების ფერხულიდან.

1936 წლის 26 დეკემბერს ნ. ოსტროვსკი გარდაიცვალა. დასაფლავებულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე მოსკოვში.



ნ. ოსტროვსკიმ ზუსტად განჰყვრიტა ფაშიზმის ხასიათი და ბუნება, მისი სიმხეცე და ვერაგობა. „ფაშიზმი ცოფმორეული ეშაიდება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუ ფაშიზმი — ეს ცოფიანი ძალი — ეკვეთება

საბჭოთა კავშირის წმიდათა-წმიდა საზღვრებს, მთელი ჩვენი ქვეყანა აღგება თავისი საზღვრების დასაცავად და მილიონობით მებრძოლი დადგება თოფით ხელში. ეს იქნება სახალხო ომი, რადგან მძარცველებისაგან პატრონები დაიკავენ თავიანთ მიწა-წყალს. ამ უკანასკნელ შეჯახებაში მსოფლიოს ბედს გადაწყვეტს ჩვენი სამშობლოს ახალგაზრდობის ვაჟაკობა, თავდადება და რევოლუციისადმი უმწიკვლო ერთგულება“.

ნ. ოსტროვსკი სულ იმის ფიქრში იყო „გაუწივენი თუ არა სამსახურს ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდას მისი ნაწერები? ააღლევენ, გამოადგებიან თუ არა ისინი მკითხველებს? გამოადგებიან თუ არა მისი ნაწარმოებები საბრძოლო მოწოდებისათვის?...“

თავისი რომანებით ოსტროვსკის უნდოდა ეჩვენებინა „სახე ისეთი გმირისა, რომელსაც მიბაძვს ჩვენი ახალგაზრდობა“. თავის დასახულ მიზანს მან მიაღწია.

ნ. ოსტროვსკის გარდაცვალების ხუთი წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანას მუხანათურად თავს დაესხა ვერაგი მტერი. ოსტროვსკის ნაწარმოებებმა დაიკავა სათანადო ადგილი მებრძოლთა რიგებში.

საბჭოთა არმიის მებრძოლთა მრავალი წერილი ინახება ნ. ოსტროვსკის მუზეუმში. ეს წერილები მოწმობენ, კორჩაგინის მტკიცე და უდრეკმა სახემ რა დიდი გავლენა მოახდინა საბჭოთა ადამიანებზე.

საბჭოთა მებრძოლებს იარაღთან ერთად თან მიჰქონდათ ოსტროვსკის წიგნები და ბრძოლაში ბაძავდნენ ამ მწერლის ნაწარმოებთა გმირებს.

დიდი სამამულო ომის პერიოდში კორჩაგინის შთამომავლებმა — ზოია კოსმოდეშინსკაიამ, კაბიტანმა გასტელომ, ლეიტენანტმა ტალალიზინმა, ლიზა ჩაიკინამ, ალექსანდრე ჩეკალინმა, ალექსანდრე მატროსოვმა და კრასნოდონ-

ნელმა ჰაბუკებმა თავდადებული გმირობით მთელი მსოფლიო განცვიფრებაში მოიყვანეს და უჭკნობი დიდებით და შარავანდელით შემოსეს საბჭოთა ახალგაზრდობის სახელი.

ნ. ოსტროვსკის აზრით, საბჭოთა მწერლები მხოლოდ მაშინ შეასრულებენ ადამიანის სულის ინჟინრის საპატიო როლს, როდესაც მწერლები აქტიურად გაწევენ ბოლშევიკური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის პროპაგანდას. საბჭოთა მწერალი კარგად უნდა იცნობდეს ცხოვრებას, რათა სიმართლით ასახოს თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ეს ცხოვრება. საბჭოთა მწერალი არ შეიძლება ცხოვრებას ჩამორჩეს.

„მწერალი — ეს მასწავლებელია, — ამბობს ნ. ოსტროვსკი, — მასწავლებელი კი შეიძლება იყოს ის, ვინც მათზე მეტი იცის, ვისაც იგი ასწავლის, ვისაც გააჩნია სათქმელი... აი, რატომ ჩვენ, მწერლები, მედროშეთა მოწინავე რიგებში უნდა მივდიოდეთ, და არა მესამე თანრიგის ადამიანებში მივჩინალებდეთ. ზურგში მოკალათებულ მწერლებს არ შეუძლიათ, უფლება არა აქვთ ასწავლონ მათ, ვინც ჯაცილებით გაასწრო მათ. მწერალს არ შეუძლია იღვეს ცხოვრებისა და ბრძოლის გარეშე... არ შეიძლება გულგრილი „მაყურებელი“ იყოს... საბჭოთა მწერალი — სოციალიზმის მშენებელია, და არა გულგრილი „მკვრეტელი“, იგი მებრძოლია. მებრძოლი, მასწავლებელი, ტრიბუნი. დიდი ბუნების ადამიანი...“

მწერალი ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის გადაანათების აღმომფხვრელი უნდა იყოს... უნდა გახსოვდეთ, რომ მწერალი ცეცხლის მოწინავე ხაზზეა წამოწეული და ჩვენი პარტია მოითხოვს, რომ მწერლის ყოველი სიტყვა ზედმოდეს მიზანს, რომ მწერლის სახეები გულს წვდებოდეს, ამისათვის კი საჭიროა იცოდნენ შენი იარაღი და მისი მოხმარება“.

ნ. ოსტროვსკიმ კრიტიკის დანიშნულება ასე განსაზღვრა: „კრიტიკა — ეს სისხლის სწორი მიმოქცევაა, ურთულესოდაც გარდაუვალი იქნებოდა ერთ ადგილას გაყინვა და ავადმყოფური მოვლენები“.

კრიტიკის გარეშე ყოველ ორგანიზმს შეუძლია დაღუპეს, კრიტიკის გარეშე არ არსებობს მოძრაობა წინ. ადამიანი, რომელსაც კრიტიკის ეშინია, — ლაჩარია, საბჭოთა ხალხს არ შეუძლია ასეთ ადამიანს სცეს პატივი.

ობიექტურობა და მიუღვამლობა კრიტიკის მთავარი ძარღვია. მწერალ მ. შოლოხოვისადმი მიწერილ წერილში ნ. ოსტროვსკი დაეინებით მოითხოვს მისგან: „წაიკითხე და თქვი ის, რასაც ფიქრობ ამ ნაწარმოებზე (ქარიშხლით შობილია“ — ვ. წ.), მხოლოდ სინდისიერად, თუ არ მოგეწონება, დაცხე!... იცი, მიშა, ვეძებ პატიოსან ამხანაგს, რომელიც პირდაპირ სახეში დამცხებს. ჩვენი ძმები, მწერლები გადაეჩვივნენ გულდაგულ ლაპარაკს, მეგობრებს კი „წყენინების“ ეშინიათ. ეს კი არ არის კარგი. ქება წაახდენს კაცს. გადაჭარბებული ქება თვით ძლიერი ნებისყოფის ადამიანსაც კი გადააცდენს სწორი გზიდან. ნამდვილმა მეგობრებმა უნდა სთქვან სიმართლე, რაგინდ მწვავე იყოს ეს სიმართლე. წერა კი საჭიროა უფრო ნაკლებ, ვიდრე კარგზე, — კარგისათვის არ გაგვლანძღავს ხალხი“.

კრიტიკის ფრონტზე მომუშავეებს ოსტროვსკი მოუწოდებს: „ამოაგდეთ თქვენი სტრიქონებიდან საერთო ფრაზები, გამოუცხადეთ მათ ომი, როგორც გამოცხადებული აქვს ომი ენის ყოველგვარ დამახინჯებას. დაე ყოველივე ფრაზა კონკრეტული და არა „საერთოდ“ იყოს“.

ნ. ოსტროვსკის აზრით, ლიტერატურული კრიტიკის მოვალეობაა თავისი ზემოქმედება მოახდინოს საბჭოთა მწერლობაზე, დაეხმაროს მათ პროფესიული ოსტატობის ათვისებაში, ასწავ-

ლოს მათ ცხოვრების სიღრმეში შე-
პრა, — ნახონ ჰეშმარიტად ახალი, შე-
უწყონ ხელი მის ზრდას და გაფურჩქვნას.

ნ. ოსტროვსკი იმდენად ცნობილი
მწერალი გახდა მსოფლიო პროგრესულ
მკითხველთა წრეებში, რომ მასთან მი-
მოწერას აწარმოებდნენ მსოფლიოს
ყველა კუთხიდან. მარტო 1935 წელს
ათი თვის განმავლობაში მკითხველები-
საგან მან 5120 წერილი მიიღო.

ჩეხოსლოვაკელი ხალხის ნაციონა-
ლურმა გამრმამ; პიტლერელებისაგან ნა-
წამებმა კომუნისტმა იულიუს ფუ-
ჩიკმა, როდესაც 1934 წელს ნ. ოსტროვ-
სკის რომანი „როგორ იწრთობოდა ფო-
ლადი“ წაიკითხა, აღტაცებულმა წარ-
მოსთქვა: „კომუნისტებს არაფრის არ
ეშინიათ — აი, წიგნის დასკვნა, აი, ავ-
ტორის ცხოვრების შეჯამება“.

გახეთ „იუმანიტეში“ მოთავსებულ
ნეკროლოგში ლუი არაგონი წერდა:
„ნ. ოსტროვსკი — შემოქმედებითი სი-
ვაცუკაცის, ბოლშევიზმის, მუშებისათვის
თავდადების განხორციელებამა. ღირს
სიცოცხლე — რის გულისათვისაც სი-
ცოცხლე ეწოდა მას, რის წყალობითაც
გმირულად უკვდავეყო თავისთავი“.

რომენ როლანმა გაზ. „კომსომოლ-
სკაია პრავდაში“ გამოაქვეყნა სტატია
სათაურით „კორჩაგინის ბედნიერება“,
სადაც იგი წერდა: „ნიკოლოზ ოსტ-
როვსკი მღუღარე ცხოვრების და პერო-
იზმის ჰიმნთაგანია. ოსტროვსკიში ყვე-
ლაფერი ბრძოლისა და მოქმედების
აღია, და ეს ალი მხოლოდ იზრდება და
ფართოვდება იმის კვალობაზე, რაც უფ-
რო ჯარს ერტყმის მას წყვილი და
სიკვდილი... დაე ეს კეთილშობილი
ბედნიერება ახალგაზრდა გმირისა, რომ-
ლისთვისაც „არაფერი პირადული, მა-
რადიული არ არის — ბრწყინავდეს მისი
სიკვდილის შემდეგაც“.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის
თვალსაჩინო მოღვაწემ მწერალმა და
მეცნიერმა გო მო-თემ მოსკოვში ნ. ოს-

ტროვსკის სახლ-მუზეუმის მნახველთა
წიგნში ჩაწერა: „თუმცა მენი გეროდე-
ცვალე, მაგრამ ყოველი პატიოსანი ადა-
მიანის გულში ცოცხლობს შენი სახე-
ლი, რომელიც მას ბრძოლასა და შრო-
მაში ამხნევებს“.

ჩვენს ქვეყანაში ოსტროვსკის რომა-
ნები საყვარელ წიგნად გადაიქცნენ და
მომხე ეროვნებათა 43 ენაზე 153-ჯერ
გამოიცა. მათი ტირაჟი ორნახევარ მი-
ლიონს აღემატება. ოსტროვსკის შემოქ-
მედებამ მსოფლიოს მოწინავე მკითხ-
ველამდე მიიღწია. 1941 — 1947 წ. წ.
მისი ნაწარმოებები საზღვარგარეთ 16
სახელმწიფოს 31 გამოცემლობამ და-
ბეჭდა.

ოსტროვსკის რომანების ასეთი პო-
პულარობა ნათლად მეტყველებს იმაზე,
თუ რამდენად განახორციელა მან საბ-
ჭოთა მწერლის ძირითადი ამოცანა —
იყო ადამიანის სულის ინჟინერი.

„ადამიანისათვის ყველაზე ძვირფაა
სიცოცხლეა. სიცოცხლე მას ეძლევა
მხოლოდ ერთხელ და საჭიროა ისე იც-
ხოვრო, რომ მწვავედ არ გტკიოდეს
გული უმიზნოდ გატარებული წლებისა-
თვის; რომ არ გწვაოდეს სირცხვილი
უსინდისო და წვრილმანი წარსულისა-
თვის, რომ სიკვდილის წინ შეგეძლოს
თქვა: მთელი ცხოვრება და მთელი ძალ-
ღონე შევალე ქვეყანაზე ულამაზეს
საქმეს — კაცობრიობის განთავისუფ-
ლებისათვის ბრძოლას...“

პავლე კორჩაგინის ამ სიტყვებში მო-
ცემულია ოსტროვსკის მთელი ცხოვ-
რების ფილოსოფია, რომლის პრაქტი-
კულ განხორციელებას შეალია მწე-
რალმა თავისი ხანმოკლე და ჰეშმარი-
ტად გმირული ცხოვრება.

ჩვენს ქვეყნის ათასობით ახალგაზრ-
დები, კითხულობენ რა ნიკოლოზ ოს-
ტროვსკის წიგნებს, ცდილობენ იყვნენ
ისეთივე კეთილშობილნი, ნებისყოფით
და სიმამაცით აღსავსენი, როგორც
ოსტროვსკის რომანების გმირებია.



კოსტა ხეთაგუროვის ურთიერთობანი მოწინააღმდეგე მოღვაწეებთან



თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მის შემდეგ, რაც გარდაიცვალა დიდი ოსი პოეტი კოსტა ლევანისძე ხეთაგუროვი. უმწიკლო სამსახურმა ხალხისადმი, გმირულმა ბრძოლამ ვერძოვლო ხალხის ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის, რევოლუციურმა მუშაობებამ პოეტს დარსდელი აღდგოლი მოაქუთვანა ჩვენს ეპოქაში.

კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედებითი გზა, მისი ლიტერატურული, პუბლიცისტური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა გამსჭვალული იყო ერთი მიზნით — დახმარებოდა შრომელ ხალხს თავისუფლებისა და ბედნიერების მიღწევის საქმეში. პოეტის შემოქმედების მებრძოლი სულიკრებთა გამოხატავს ოსი და სხვა ხალხების ფიქრებსა და მისწრაფებებს, მისხანებასა და შეუნღებელ სიძულვილს მხაგრელო კლასის წინააღმდეგ. ვისაც კი ერთხელ მაინც გაუგონია პოეტის შთამბეჭებელი სიტყვა, მაშინვე დაინახავდა მასში „თანასწორობისა, თავისუფლებისა და ძმობის“ მომღერალს.

ამ პრინციპებისადმი ერთგული პოეტი თამამად და წარბეუნებელი პირდაპირობით ბრძვის დაჩაგრული მასების ბედნიერებისათვის. კოსტა ხეთაგუროვმა მთელი თავისი ძალ-ღონე შეაღია არა მარტო დაჩაგრული მასების განთავისუფლებისათვის ბრძოლას, არამედ შრომათუხი ხალხის განათლების საქმესაც. ოსი ხალხის სულიერი განვითარებისა და განათლების საწინდარს კოსტა ხეთაგუროვი, პირველ ყოვლისა, ხედავდა დიდ რუს ხალხთან დაახლოებაში, მასთან ახლო შეგობრულ ურთიერთობაში, მისი პილიარი კულტურის ათვისებაში.

თავისი ოცნების განხორციელებას — თავისუფალი ენაზე შრომათუხი ოსეთი, კოსტა ხეთაგუროვი ასევე უკავშირებდა დიდი რუსი ხალხის მეგობრობას, გავრთიანებულ ძალით ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობისა და ექსპლუატატორული კლასების წინააღმდეგ, რადგან რუს ხალხში ის ხედავდა ისეთ „ადამიანებს, რომელნიც ამზადებდნენ სისხლიან გარიყრავს ბედნიერი დღის მისაღწევად“.

თავის ნაშრომებებში, პუბლიცისტურ წერებებში და პრაქტიკულ მოღვაწეობაში ხეთაგუროვი თავის თანამეგობრეებს მოუწოდებდა — აეთვისებინათ ის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც შექმნა დიდი რუსი ხალხის გენიამ.

კოსტა ხეთაგუროვი რუსული კულტურის დიდ

წარმომადგენელთა შემოქმედების არა მარტო პრაქტიკულად ეწეოდა, არამედ ხალხს შთაბეჭებდა მათ იდეებს და თვითონაც სწავლობდა მათგან.

ხეთაგუროვის ლექსების დიდი ნაწილი დაწერილია პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, კოლცოვის, კრილოვის შემოქმედების გავლენით. განსაკუთრებით ძლიერია მასზე ნეკრასოვის შემოქმედების გავლენა. ხეთაგუროვის შემოქმედების იდეურ მიმართულებაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ გარემოებამ, რომ ის აღზარდილი იყო რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების — ჩერნიშევსკის, ბელინსკის, დობროლუბოვის, გერცენის იდეებზე.

პოეტი იბრძოდა არა მარტო რუსი და ოსი ხალხების მშური მეგობრობისათვის, არამედ ყველა დაჩაგრული ხალხის მეგობრობისათვის. ამ ხალხთა ბედნიერებასა და თავისუფლების უკავშირებდა მათ მშური მეგობრობას.

კ. ხეთაგუროვის შემოქმედებაში ერთ-ერთი ძირითად მოტივს წარმოადგენს ინტერნაციონალიზმის იდეა, ხალხთა ძმობისაკენ მოწოდება. ის, ამავე დროს, განსაკუთრებული ინტერესით აღყენებდა თავის მომეხი ხალხების კულტურის განვითარებასა და აყარებდა კავშირს ამ ხალხთა შორინავე წარმომადგენლებთან.

ყერძოდ, ფართოდ არის ცნობილი მისი ურთიერთობა ქართულ მოწინავე საზოგადოებისთან.

მშური მეგობრობის საერთო ინტერესები აყავშირებდა კოსტა ხეთაგუროვს ცნობილ ქართველ საზოგადოებრივ მოღვაწესთან — მიხეილ ზაქარაიასთან.

მ. ყოფიანი ერთ-ერთი აქტიური მუშაკი იყო იმ პროგრესულ ჯგუფში, რომელსაც დიდი ქართული პოეტი ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა. მგარამ მეფის რეჟიმში, თვლიდა რა ამ ჯგუფის მუშაობას თვითმპყრობელობის საზიანოდ, სდევნიდა მას. ჯგუფის ხელმძღვანელები იძულებული შეიქნენ, დაეტოვებინათ თბილისი და სიღმე საბელმწიფო სამსახურში (ვისაც სად შეეძლო) მოწყობილიყვენენ. მ. ზ. ყოფიანი გაემგზავრა ჩრდილოეთ — კავკასიაში, ქალაქ კავკაში (დღევანდელი ორჯინიკიძე) და თავისი შიდალი განათლების წყალობით მოეწყო თერგის ოლქის ახალი ნაწილის მმართველად. იგი იმ თავისი სიუცხლის უცანსეულ დღემდე დარჩა.

ოსეთში და თერგის ოლქის სხვადასხვა კუ-



ზემი სამსახურებრივი მოვალეობის გამო მოგზაურობის დროს მ. ყიფიანმა ღრმად შეასწავლა ოსი ხალხის მძიმე უსიხარულო ცხოვრება. ამას აღასტურებს მისი წიგნი „ყაზბეგიდან იალბუხამდე“, რომელშიც ავტორმა აფიქვრა მთიელების, მათ შორის ოსების, მძიმე ეკონომიური მდგომარეობა.

მოწინავე საზოგადოებრივი იდეებით გამსჭვალულს, პროგრესულ ბიროვნებას მ. წ. ყიფიანს არ შეეძლო სამსახური არ გაეწია ვალდებულო ხალხისათვის. ის იცავდა უმიწაწყო მთიელებს. მაგრამ განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოვლინდა მისი დაუღალავი ბრძოლა ჩრდილოეთ კავკასიის დამაგრული მასების განეთავრება-განთავისებებისათვის.

ყიფიანი ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში: ადგენდა და ამუშავებდა ართიმეტრიისა და გეომეტრიის სახელმძღვანელოებს ქართული სკოლებისათვის, აარსებდა სტეფანწმინდაში (დღეს ყაზბეგი) სკოლას და ამ სკოლისათვის თბილისიდან იწერდა სახელმძღვანელოებს; ბეჭდვდა წერილებს გაზეთ „ივერიაში“, აბამდე მტკიცე ურთიერთობას ილია ჭავჭავაძესთან და ქართულ შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, ინტერესით ადევნებდა თვალს ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარებას და სხვ.

მ. ყიფიანის სიკვდილმა, 1891 წ. მარტს, დიდი მწუხარება გამოიწვია ოსეთის დამაგრული მასების გულში, მასებისა, რომელთა განათლების საქმესაც მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარდა იგი. გამოსატყის რა ხალხის უსახურყო მწუხარებას მ. ყიფიანის გარდაცვალების გამო და მიმართეს რა მშობლიურ კავკასიას, კოსტა ხეთაგუროვი ლექსში „მ. წ. ყიფიანის გარდაცვალების გამო“ წერს:

კავკასო, შენი ხალხთა ოჯახი
 დასტორის მას, ვინც შენს ფიქრებს
 ფლობდა;
 ვინც მოკრძალებულ ქართულის სახით
 ნერგავდა კეთილს და ბოროტს ჰგმობდა.
 ბებრა კი იყო განა მასავით,
 ქოსებში ნთებულ ცოდნის ვარსკვლავად;
 რომ ეყვარებოდით მისებრ მშასავით
 და მტერთ შებობდა ჩვენს დასაცავად?

კ. ხეთაგუროვი მეორე ლექსსაც უძღვნას მ. ყიფიანს „კუბოსთან“, რომელიც დაწერილია ისურვ ენაზე: (მარადი უაღაუუს“).

მწვიდობით, ჩვენზე მოგესხნა ზარუნვა,
 სწორი გზა განელე, იყავ მართალი;
 შენი სახელი აქ უკვადავი,

იქ დაგადგება სხივი ნათელი!
 ყრმობიდან — ვიდრე ღრმა სიბერემდე,
 იყავ ხალხისთვის დაუცხრომელი;
 როგორც ლამპარი, ბნელს გეგონებდა
 შენ, მეგობარო, თანამგზავნობელი!
 დედისებრ ჩვენი მზარე შეიტყებ,
 შენს გულში ჰქონდა მამართალს ალაგი;
 ჩვენ რა პატივი გადავიხადოთ,
 რით დავფასოთ შენი ამაგი“

ეს ლექსი გადაიჭყა ხალხურ სიმღერად (როგორც ენობლია, კოსტას ლექსები ხალხურ სიმღერებად იქცეოდნენ ხოლმე). არ იყო ისეთი ოსი ადამიანი, რომლის გულშიც მწუხარე პანგად არ ჩაღვრილიყო მ. ყიფიანისადმი მიძღვნილი ლექსის სტრიქონები.

კოსტა ხეთაგუროვი მ. ყიფიანში ხედავდა არა მარტო ერთგულ მეგობარს, არამედ თანამოაზროვნესა და საზოგადო მოღვაწეს, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე შეაღია მისი მშობლიური ხალხის სამსახურს.

ფართო დიამაზონის მოღვაწე კოსტა ხეთაგუროვი, რომელიც გამსჭვალული იყო ინტერნაციონალიზმის სულით, ღრმად დაინტერესებული იყო ქართველი ხალხის კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრებით, რადგან ქართველი და ოსი ხალხები საუფუნეთა განმავლობაში ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ მტკიცე მეგობრობით. და ამ, ხეთაგუროვი ყიფიანში ხედავდა საქართველოს მოწინავე საზოგადოებრივობის წარმომადგენელს. ეტეს გარეშეა, რომ ყიფიანმა გარკვეული როლი შეასრულა ხეთაგუროვისათვის საქართველოს ახალ საზოგადოებრივ ძალთა პროგრესული მოძრაობის გაყენებაში, იმ საზოგადოებრივობისა, რომელსაც სათავეში ედგა ილია ჭავჭავაძე.

კოსტა, როგორც გამოჩენილი მოღვაწე, არ შეიძლება დაინტერესებული არ ყოფილიყო ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობით ხალხის განმანათლებლობის საქმეში.

ის გზები, რომლებსაც კოსტა ეცნობოდა ქართულ კულტურასა და საზოგადოებრივ აზრს, მხოლოდ ყიფიანით არ განისხმლებოდა.

კოსტა კარგად იცნობდა ქართულ ლიტერატურას, კერძოდ აკაკი წერეთლისა და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას. მძიმედ დაავადებულა ალექსანდრე ყაზბეგი, იყოფებოდა რა წლების განმავლობაში საავადმყოფოში, დიდ გაძირვებას განიცდიდა. კოსტა ხეთაგუროვი მწკვედ განიცდიდა მწერლის უმწეო მდგომარეობას. ამის თაობაზე მან გაწ. „სვეერნი კავკაზში“ დაბეჭდა წერილი, რომელშიც სასტიკ პრიტყატს აღხედებდა ავადმყოფი მწერლისადმი არაადამიანური დამოკიდებულების გამო. იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა გვექონდინ კოსტა ხეთაგუ-

როვის დამოკიდებულებაზე მოძვე ხალხთა მოწინავე აღმსარებლისადმი, კერძოდ ალექსანდრე ყაზბეგისადმი, ზედმეტი არ იქნება ვივეცნით ამ წერილს.

ამ ეს წერილიც:

„ღიად პარტივემული ბ-ნი რედაქტოროი ნება მიბოძეთ თქვენს გაზეთში მოვითავსო ქვემოთ მოყვანილი წერილი.“

ყველას, ვინც კი ეტაოდანდ მაინც დაინტერესებულა კავკასიის მოღვაწეებით, წაუკოთხავთ და გაუგონაით ამ მწარე ხეცდრის შესახებ, რომელიც წილად ხვდა ქართველ მწერალს ალექსანდრე ყაზბეგს. ყველას, ვინც რამდენადმე მაინც იცნობს ამ მართლაც უბედურნი სახალხო მომღერლის ცხოვრებას, არ შეიძლება ეჭვი არ შეეპაროს ყველაფერ იმაში, რაც მის შესახებ იწერება. ამიტომ ჩემს თავს ნებას ვაძლევ მიუშართო მწერალ სანდროს უახლოეს ნათესავებს, რათა ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით უაზრონ ან დაადსტურონ ის უკანასკნელი ცნობები მის შესახებ, რომლებიც მოთავსებული იყო გაზ. „ტიფლისსკი ლიტერაის“ № 94-ში, წერილში „ორი ჯილდო“ წერია, რომ ის (ალექსანდრე ყაზბეგი), რომელმაც დაკარგა ღვთით მინიჭებული ჭვირფასი ნიჭი, შეიძლება იმიტომ რაჲ ძალად ბევრი რამ მისცა თავის ხალხს, იყოფებდა საგონებში, სხვა შემოღობებთან ერთად საერთო პალატაში, იყვებდა როგორც უღატაკესი კაცი, არა აქვს ისეთი არსებითი საჭიროების საგანიც კი, როგორცაა ჩაი და ისეთი უმნიშვნელო სიამოვნება, რასაც პაპირისი წარმოადგენს. მაგრამ ამ მდგომარეობის შენარჩუნებაც არ ძალუქს მას. ა. ყაზბეგს საშუალება არა აქვს ფული გადაუხადოს საავადმყოფოს და ამ დღეებში, როგორც უსარგებლო ნივთს, ქუჩაში გადააგდებენ. კიდევ კარგი, რომ ჩუმი შეშლილობა აქვს და არავის ზიანს არ მოაყენებს.

ნუთუ ალექსანდრე ყაზბეგს, რომლის შესანიშნავ ყდებში ჩასკულ ნაწარმოებებს უდიდესი სიამოვნებით კითხულობენ, რომლის მამის ბრწყინვალე სახლში უაჩრავი ხალხი ჭამდა და სვამდა, ისეთი ჯილდო უნდა ხვდეს წილად რომ ქუჩა-ქუჩა იაროს და სადმე ღობის ძირას შიშვლით მოკვდეს?...
უპირჩილესად ვთხოვ კავკასიის სხვა გამოცემათა რედაქტორებსაც, გადაეკვდონ ეს წერილი.

3 მაისი, 1893 წ., ქ. სტავროპოლი“.

აქ მოტანილი ფაქტებით არ ამოიწურება პოეტის სიყვარულით აღსავსე მეგობრულ დამოკიდებულება საქართველოს მდიდრეულ მოქალაქეებთან, ქართველ ხალხთან და მის კულტურასთან.

თვით ქართველი ხალხიც გულისხმირად ეპყრობოდა დიდ ოს პოეტს. ქართველი და ოსი ხალხების მტკიცე მეგობრული ურთიერთობის წყალობით კოსტა ხეთაბურავის მგზნებარე შემოქმედება ქართველი ხალხის ფართო მასებას ჭვირფას საკუთრებად გადაიქცა. მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ჯერ კიდევ პოეტის სოციალური იცნობდა მის შემოქმედებას, ზოგიერთი მისი ღვესი ქართველ მუსიკოსთა შემწეობით მუსიკალური კულტურის განმად გადაიქცა.

ამ მხრივ უნდა აღინიშნოს კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის დიდი დამსახურება.

დიმიტრი არაყიშვილმა ცხრაასიანი წლების დასაწყისში კოსტას ღვესზე — „მოთიული ქალის სიკვდილი“ შექმნა მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც კომპოზიტორის პირველ რომანსს წარმოადგენს. იმავე პერიოდში დ. არაყიშვილმა დაწერა მუსიკა ხეთაბურავის პოემის „ფატმას“ ნაწევრებზე, რის შედეგადაც შეიქმნა ორი სხვადასხვა რომანსი: „მწვეშის სიმღერა“ და „ჩაილია შვი“. ეს რომანსები პირველად შესარულა გამოჩენილმა ქართველმა მომღერალმა ვანო სარაჯიშვილმა. რომანსები გადატანილი იქნა აგრეთვე გრამაფონის ფირფიტებზე. ზემოთხამოთვლილი მუსიკალური ნაწარმოებები გამოცემული იქნა სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობის მიერ მოსკოვში, როგორც რუსულ ოსე ქართულ ენებზე.

დ. არაყიშვილი ხშირად ხვდებოდა პოეტს.

ცხრაასიან წლებში ხალხური მუსიკალური შემოქმედების შეკრებისა და შესწავლის მიზნით დ. არაყიშვილმა რამდენჯერმე შემოიჩინა საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია. ამ ექსპედიციების ჩატარება მას დაავლებული ჰქონდა მოსკოვის მუსიკალურ-ეთნოგრაფიული კომისიისაგან. უნდათა, რომ ქართველი კომპოზიტორი, რომელიც პირადად იცნობდა პოეტსა და მის შემოქმედებას, ოსური ხალხური სიმღერების შეგროვების დროს გვერდს ვერ აუხვევდა კოსტა ხეთაბურავს, ოსური ფოლკლორის შესანიშნავ მკვლევარს, ოსური კულტურის კორიფესს კომპოზიტორმა ისიც იცოდა, რომ პოეტის თითქმის ყველა ოს ღვესი, რომლებიც შედიოდა „ოსურ ჩანგში“, ხალხის სასიმღეროდ იყო გამოთქმული. და აი, სწორედ ერთი ასეთი მოგზაურობის დროს ერთმანეთს შეხვდნენ დ. არაყიშვილი და კოსტა ხეთაბურავი.

¹ კოსტა ხეთაბურავი, ტ. III. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, მოსკოვი, 1951 წ., გვ. 7 — 8.

„1902 წელს, საქართველოში ხანგრძლივი მოვზურობის შემდეგ, — წერს თავის წერილში „სიტყვათა მუსიკა“ დ. არაყიშვილი, — მე შევიარე მშობლიურ კავკასიაში, სადაც უნდა ჩამეწერა ოსური ხალხური სიმღერები. ერთ ჩემს მეგობართან ერთად მივედი კოსტა ხეთაგუროვას სახლში. კოსტა გულთბილად შეგეხვდა და ძალიან ესიამოვნა, როდესაც გაიგო ჩემი მისვლის მიზეზი.

— მე მოხარული ვარ, — თქვა მან, — რომ თქვენ დაინტერესდით ოსური სიმღერებით!

მე ფონოგრაფის წესით ჩავწერე შეიდი ოსური ხალხური სიმღერა და მოსკოვში წავიღე“.

უნდა აღინიშნოს, რომ ოსური ხალხური შემოქმედების შეგროვებისა და პროპაგანდის საქმეში დ. არაყიშვილს საპატიო ადგილი უჭირავს.

კომპოზიტორის მიერ ფონოგრაფირებულია ოსური ხალხური სიმღერებისა და ინსტრუმენტალური ცეკვების მნიშვნელოვანი რაოდენობა, მის მიერვე დაწერილია გამოკლევა, მიძღვნილი სამხრეთ-ოსეთის მუსიკალური შემოქმედებისა-

დში. სამხრეთ-ოსეთის მუსიკალური შემოქმედების საკითხებზე კომპოზიტორი პრესაშიც ვერ მოსულა. ოსურ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებას მოსკოვის საზოგადოებრიობა პირველად დ. არაყიშვილის შემწეობით გაეცნო. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც კომპოზიტორი აქტიურ საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა მოსკოვში.

ქართულ მუსიკალურ შემოქმედებასთან ერთად დ. არაყიშვილმა ხალხს გააცნო აგრეთვე ოსური ხალხური სიმღერები და ინსტრუმენტალური ცეკვები.

კოსტა ხეთაგუროვის ახლო ურთიერთობას მოწინავე ქართველ ინტელიგენციასთან და საზოგადო მოღვაწეებთან ადასტურებენ სხვა დოკუმენტები და მოგონებანი.

როდესაც ვეცნობით ამ ფაქტებს, ჩვენ გვოხულობთ შესანიშნავ ფურცლებს იმ მეგობრობისას, რომელიც ძველთაგანვე არსებობდა ქართველ და ოს ხალხებს შორის.



წიგნი ძირითადად განკუთვნილია საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის; ამავე დროს, იგი, ავტორის აზრით, „დამხმარე სახელმძღვანელოს სახით გამოადგება უმაღლესი სკოლების დაბალი კურსის მსმენელებსაც“. ამიტომ, ბუნებრივია, ავტორი ეცდებოდა მკითხველისათვის მიეწოდებინა ელემენტარული ცოდნა ძირითად ლიტერატურულ მიმდინარეობათა და მთავარ საზღვარგარეთულ მწერალთა შესახებ.

ძნელი იქნებოდა ასეთი ხასიათის წიგნის შედგენისას ავტორი რომ კომპილაციის გზით არ წასულიყო. ამიტომ ამ საკითხში ავტორის ვერ შევედევებთ. საქმე ისაა, რომ წიგნი არაა დამდეველი სერიოზული ნაკლავებებისაგან.

ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი, რომელიც წიგნს ახასიათებს, ისაა, რომ მასში უგულვებლყოფილია ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების, სპეციფიკა; უგულვებლყოფილია, აგრეთვე, თვით მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკაც. წიგნში არც ერთ მხატვრულ ნაწარმოებს არ ეძლევა მხატვრულ-ესთეტიკური შეფასება, არაა მოცემული არც ერთი ნაწარმოების მხატვრული ანალიზი. ერთადერთი თხზულება, რომლის მხატვრული ანალიზის ცდაა მოცემული, არის „როლანდის სიმღერა“. მაგრამ ეს ვერ ჩაითვლება სერიოზულ და მეცნიერულად ღირებულ მხატვრულ ანალიზად.

„ნარკვევების“ მეთოდოლოგიური ნაკლია ისიც, რომ მათში არც ერთი საზღვარგარეთელი კლასიკოსის შემოქმედება არაა განხილული ხალხურობის პრობლემის საფუძველზე. მართალია, ავტორი ზოგჯერ ეხება ამა თუ იმ მწერლის დამოკიდებულებას ხალხსადმი, მაგრამ იგი არსად არ ცდილობს ახსნას და დაასაბუთოს კლასიკოსთა შემოქმედების ხასიათი, თავისებურება და მნიშვნელობა მათი მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიის ხალხური ტენ-

დენციებით. ამის ერთ-ერთ ნიმუშს გვაძლევს ნარკვევა მოლიერის შესახებ.

მარქსისტულ ლიტერატურათმცოდნეობაში მტკიცედაა დამკვიდრებული თვალსაზრისი, რომ თავისი მსოფლმხედველობის დრამა ხალხური ხასიათის ძალით მოლიერმა რომაელებზე სავსებითა წარმართა არა მხოლოდ რეაქციული თავადზნაურული კლასის წინააღმდეგ, არამედ ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიის უკვე საგრძნობლად გამოვლენილი ანგარებიათ, ანტიუმწერტი ტენდენციების წინააღმდეგაც; მისი ეს ორმხრივი კრიტიციზმი აყენებს მოლიერის ისეთ დიდ პემანისტთა გვერდით, როგორც არიან შექსპირი, სეიფტი, რუსო და-ვოლთე; ამ კრიტიციზმის ხალხურ-დემოკრატიული ხასიათის ძალით იძენს მოლიერის შემოქმედებითი მემკვიდრეობა თავის უკვდავებას და დღესაც ინარჩუნებს აქტუალურ, მებრძოლ მნიშვნელობას.

ავტორი კი მოლიერის დრამატურგიის ანტი-ბურჟუაზიული ტენდენციის წყაროს ხედავს არა მოლიერის ხალხურობასა და დემოკრატიზმში, არამედ... მის ვითომცდა საკუთრივ ბურჟუაზიულ, ვიწრო კლასობრივ იდეოლოგიაში. მისი მტკიცებით, მოლიერი „ლიტერატურაში იცავდა ბურჟუაზიის ინტერესებს და თავს ესმოდა ბურჟუაზიისადმი მტრულად განწყობილ კლასებს“ (გვ. 124 — 125); მართალია, ავტორი იშვასაც აღნიშნავს, რომ მოლიერი ბურჟუაზიისაც კილავდა, მაგრამ ამ ფაქტს იგი მიაწერს მოლიერის „თვითკრიტიკულ“ კლასობრივ ტენდენციას: „მოლიერი დასცინის, — აცხადებს იგი, — არისტოკრატიას და გულშემატკივრად უყურებს ბურჟუაზიის სუსტ მხარეებს“ (გვ. 125); 126-ე გვერდზე ნათქვამია: „კომედიებში „ქუნწი“, „გაანართებული მდამი“ და სხვ. მოლიერი გულშემატკივრად მიეთითებს თავისი კლასის — ბურჟუაზიის — ცალკეულ მანკერ მხარეებზე, მათი აღმოფხვრის მიზნით“, ხოლო 138-ე გვერდზე იგი ასე ამთავრებს „ქუნწის“ ანალიზს: „სიმუნწეში მოლიერი ხედავს სოციალური ბოროტ-

¹ შოთა რეიშვილი. საზღვარგარეთელი ლიტერატურა. სახელგამი. 1953.

ბის წყაროს, რომელიც გამჭრწნელად მოქმედებს ბურჟუა მოქალაქის ყოფაზე, მის ზეგომბ-რიობაზე. მოლიერიმა გვიჩვენა, რომ მამის სი-ძუნწის შედეგად მოსდევს შეილებიშის მორალურად გაჭრწნა, გარყვნილება, სიცრუე, ჭერდობა, ბედოელობა, ე. ო. ყოველივე ის მანკიერება, რაც იწვევს ბურჟუა ოჯახის გადაგვირე-ბას, დაშლას და ამით აბრკოლებდა ბურჟუაზი-ული კლასის განვითარებას" (გვ. 138), თუ არა-ფერს ვიტყვი იმაზე, რომ „სიძუნწის“ ანუ კა-პიტალის დაგროვების ენების გამოცხადება ბურჟუაზიული კლასის განვითარების დამაბრ-კოლებელ ფაქტორად, რბილად რომ ვთქვათ, უცნურია (ე. მარქსი სწორედ ამ ენებას მიიჩ-ნევს ბურჟუაზიის სოციალური პრაქტიკისა და მგურის „მოზალის“ იმპულსად), აშკარაა, რომ მოლიერის გამოყენა ბურჟუაზიული კლასის შეუფერხებელი განვითარებისათვის მებრძოლ მწერლად დიდი ფრანგი კლასიკოსის შემკვიდ-რების არასწორ გაგებას წარმოადგენს.

მართალია, 141-ე გვერდზე ავტორი, ასე ვთქვათ, „ხარკის მოსახდელად“ ვაჭრობთ ამ-ბობს „საერთოდ მოლიერის შემოქმედების ხალ-ხური ხასიათის“ შესახებ, მაგრამ ეს სიტყვები ლიტონ განცხადებას წარმოადგენს, მით უფრო, რომ მოლიერის შემოქმედების ხალხური ხასია-თის გამოვლენებას ავტორი ხედავს მხოლოდ... სკაპენის მიერ ევრონტის ტომარაში ჩასმისა და ცემის „ეპიზოდში“, რომელშიც „განსაკუთრე-ბით თვალსაჩინოდ გამოვლინდა სკაპენის ცუდღეტობის „სიახლოვე ხალხურ ფარსთან“.

შ. რევიშვილი სისუსტეს იჩენს ისეთი კარ-დინალური მეთოდოლოგიური საკითხის გარკვე-ვაში, როგორცაა ხელოვნების მსოფლმხედვე-ლობისა და მეთოდის ურთიერთობის საკითხი. იგი ვერ უჩვენებს მკითხველს, თუ როგორაა გან-პირობებული ამა თუ იმ მწერლის რეალიზმის ხასიათი, — მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, — ამ მწერლის მსოფლმხედველობისა და იდეო-ლოგიის, მავალთად, მკითხველისათვის გაუგე-ბარია, თუ როგორ ხდება, რომ შემოქმედებითი სიმწიფის დროინდელი შილერი, რომლის „ფი-ლოსოფიურ და ესთეტიკურ შეხედულებებს ეტყობა... ემანუელ კანტის... გავლენა“ (გვ. 193 — 194) და რომელიც „...უფლებულყოფს ნაწარ-მოების შენარჩისა და მხატვრული ფორმის მთლიანობას“ (გვ. 194 — 195), ამავე დროს გვი-ვლინება მალარველისტური ტრაგედიების ავტორად? როგორც ჩანს, შ. რევიშვილს თვითონ უფრძენია, რომ აქ გამოუვალ წინააღმდეგობა-შია ჩაყარდნილი, და ამით თუ აიხსნება, რომ იგი სრულიად არ იხილავს შილერის ისეთ რეალისტურ, მისი ესთეტიკური პრინციპების

საფუძველზე აგებულ ნაწარმოებს, როგორცაა ტრილოგია „ვალენტიანი“.

წიგნში სქემატურად, წინააღმდეგობრივად და ბევრგან არსებითად შედარდა „არსს“ დახასიათე-ბული XVII-XIX საუკუნეთა დასავლეთ-ევრო-პული ლიტერატურის მიმდინარეობანი — ელა-სიციში, რომანტიზმი და რეალიზმი. სანიმუ-შოდ მოკლედან შ. რევიშვილის მსჯელობებს-ფრანგული რომანტიზმისა, საერთოდ, და კერ-ძოდ, ე. პიუგოს შესახებ.

სქემატურად და მდებარი ავტორის დებულება, რომ „...ფრანგულ რომანტიზმში ვაჩვენებთ ორ მიმდინარეობას: რეაქციულ-არისტოკრატიულს და ლიბერალურ-ბურჟუაზიულს“ (გვ. 208) და რომ პიუგო არის „უდიდესი წარმომადგენელი“ ლიბერალურ-ბურჟუაზიული რომანტიზმისა, რომელიც „უახლოვდებოდა რა კაპიტალიზმის წი-ნააღმდეგობათა დრმა გავებასა და ახსნას... გა-მოდიოდა არსებული სინამდვილის შედარებით-ჯანსაღი კრიტიკით“ (გვ. 210). ნამდვილად კი ნაკადთა ბრძოლა ფრანგულ რომანტიზმში უფ-რო მრავალფეროვანი და რთული იყო. რეაქ-ციულ-არისტოკრატიულ ნაკადს (რომელსაც შა-რბორიანი, დე ვინი და სკვენა წარმოადგენ-დნენ) და ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ნაკადს (რომლის ტიპური მსგეურები იყენენ, მაგალი-თად, შადამ დე სტალი, კონსტანი და მიუსე) უპირისპირდებოდა რევოლუციურ-დემოკრატიუ-ლი რომანტიზმი, რომელიც კი არ „უახლოვდე-ბოდა“ მხოლოდ კაპიტალიზმის წინააღმდეგო-ბათა „დრმა გავებასა და ახსნას“ და მხოლოდ „შეიარებით“ ჯანსაღი კრიტიკით კი არ გამო-დიოდა, არამედ რადიკალურად უმხედრდებოდა როგორც არისტოკრატიულ, ისე ბურჟუაზიულ, ე. ო. საერთოდ კლასობრივ, ხალხის ექსპლოა-ტაციას და ჩაგვრზე დამყარებულ სოციალურ წყობილებას, და სწორედ ამ რევოლუციურ-დემოკრატიული რომანტიზმის მეთოდის იყო XIX საუკუნის უდიდესი ფრანგი მწერალი ვიქ-ტორ პიუგო, რომელიც „ამხელდა რა ბურჟუა-ზიულ საზოგადოებას... ამ უპირატესობას იძენდა კრიტიკულ რეალიზმის უდიდეს ოსტატთა წი-ნაში, რომ სახავდა ხალხს მის რევოლუციურ ბრძოლაში და გამოსთქვამდა რწმენის ხალხს ნათელი მომავლისა“ (В. Николаев. Виктор Гюго. М. 1952. стр. 65).

ვერ შეუძლება რა პიუგოს მსოფლმხედველობის ხალხურ ფასებასა და რევოლუციურ-დემოკრა-ტიულ ხასიათს, შ. რევიშვილი ვერ ავლენს პიუგოს რომანტიზმის თვისებრივ, ხარისხობრივ სპეციფიკას — მის რეალისტურ არსს, კერძოდ, პიუგოს მთავარი ესთეტიკური და ლიტერატუ-რულ-თეორიული ნაშრომის — „კომპელის“ წინასიტყვაობის დახასიათებისას იგი აშკარად აზვიადებს „პიუგოს მსოფლმხედველობის და-მხასიათებელ შეზღუდულობას და ნაჭევად-

ულობას" და საბოლოოდ აცხადებს, რომ „მითუხედავად ამისა, „კომუნიზმის“ წინასიტყვაობაში საკმაო რაოდენობითაა რეალიზმის ელემენტები“ (გვ. 217—218). სინამდვილეში კი, პიუგოს როგორც ესთეტიკურ თეორიაში, ისე მხატვრულ პრაქტიკაშიც რეალიზმი როდი წარმოადგენს რომანტიზმში მხოლოდ ელემენტების სახით შემავალ კომპონენტს, არამედ გვევლინება როგორც თვისებრივი, ხარისხობრივი ფაქტორი, რომლის ძალითაც პიუგოს რომანტიზმი, — მსგავსად სხვა რევოლუციურ დემოკრატთა რომანტიზმისა, — არსობრივ სიახლეს იძენს, იქცევა, როგორც ეს შვეინენჯაოდ აღნიშნა ანრი ბარბიუსმა, „რეალისტურ რომანტიზმად“.

წიგნში გვხვდება ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებიც. მაგალითად, მე-7 გვერდზე, იქ, სადაც ავტორი „როლანდის სიმღერის“ შინაარსს გადმოგვცემს, წერია: „ეთერ ხალისაზე მეტდომარე რანდები თამაშობენ ნარდს, უფრო მოხუცი კი შამათს შეიქცევიან“. უნდა შევნიშნოთ, რომ „როლანდის სიმღერაში“ ლამაზაკია არა ნარდზე, არამედ კამათლის თამაშზე, რაც გერ კიდევ ძველგერმანულეში ყოფილა გავრცელებული შემდეგ შამათი ეწოდება კადრაკის თამაშში გადამწვეტ და დასკენითს მდგომარეობას. გარდა ამისა, რას ნიშნავს „შამათს (კადრაკს.— ნ. კ.) შეექცევიან მოხუცი“? წიგნის მიხედვით, მაიონის „ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმოხილველები“ წარმოადგენს სატირიკულ სტატიას (გვ. 244), ნამდვილად კი ეს არის მხატვრული პოემა.

207-ე გვერდზე ავტორი წერს: „ფ. ვნგელსი-სადმი 1868 წლის 25 მარტის თარიღით ვაგზავნილ ბარათში კ. მარქსი წერს ფრანგული რომანტიზმის შესახებ, რომ ის იყო „პირველი რეაქტია საფრანგეთის რევოლუციისა და მასთან დაკავშირებული განმანათლებლობის წინააღმდეგ“. ავტორს უნდა შევნიშნოთ, რომ, გერ ერთი, რომანტიზმის ეს კლასიკური მარქსისეული განმარტება მთელ დასავლეთ-ევროპულ რომანტიზმს შეეხება და არა მხოლოდ ფრანგულს, და, მეორეც, მარქსი ამ განსაზღვრას იძლევა უშუალოდ არა ფრანგი, არამედ გერმანელი რომანტიკოსების მავალითზე; ამას მოჰყობს მარქსის წერილის მთელი კონტექსტისა და, კერძოდ, ციტირებული ადგილის მომდევნო წინადადება, რომელიც შ. რეივიშელს შეუძნეველი დარჩენია: „და თვით ისეთი აღამაინებელი, როგორც ვრიშია, მისგან (ე. ი. ამ „პირველი რეაქციისაგან“.— ნ. კ.) ვერ განთავისუფლებულან“.

წიგნში მრავლად შეინიშნება აზრებისა და

დებულებების დაუკავშირებლობისა და არალოგიკური თანმიმდევრობის შემთხვევები, რაც იმას მოჰყობს, რომ ავტორს არ უმუშავია წიგნის ტექსტზე. მაგალითად, ავტორი წერს: „თავის ასოვლდნეულდებლობით და ბიოგრაფიით ოტელი ასოვლდობის ადამიანი“ (გვ. 89). მკითხველი ელის, რომ მომდევნო წინადადებაში იქნება ახსნილი, თუ რატომ არის ოტელი ახალი ადამიანი. ავტორი კი განაგრძობს: „ფი დაღის კარდაკარ; მას ქვეყნად ზნა არსად გაანია“, და სხვ. ოტელის უსახლკარობა და მისი „კარდაკარ“ საბრელი, ამ გამოთქმის შეუფერებლობაზე რომ არაფერი ეთქვათ, არაა დამაჯერებელი მისი ახალი აღმანიშნისა.

განსაკუთრებით ზერელედაა დაწერილი ქვეთაი — „პაინე და ლუდვიგ ბერნე“ (გვ. 293—294). მკითხველი გაურკვეველი რჩება, თუ ვინ იყო მართალი პაინესა და ბერნეს შორის ბეზილ დავაში.

გასაგებია და მისასაღებელი ავტორის მისწრაფება, წეროს სადად და ახალგაზრდობისათვის მისაწვდომად, მაგრამ ხშირად იგი გუბრალდება და პრიმიტივობამდე მიდის. მაგალითად, გოეთეს ლირიკის შესახებ ავტორი წერს: „ამ პერიოდის ლირიკულ ნაწერებში გოეთე ასახვდა ყოველზე იმას, რაც ახარებდა და ტანჯავდა მას“ (გვ. 163). მაგრამ სოფლიოს ყველა ლირიკოსი თავის ელქსებში ხშირ ასახავს იმას, რაც მას ახარებს ან ტანჯავს. რა არის აქ გოეთესათვის სპეციფიკური? ზოგჯერ ავტორი მკითხველს ისე მოუთხოვს ნაწარმოების შინაარსს, როგორც სკოლამდელი ასაკის ბავშვებს უყვებიან ხოლმე ზღაპრის. მაგალითად, „ვინ ეალფანი, ფანტინა, კოხეტა, ანეოლისი და სხვები არიან კეთილი ადამიანები, მათ დევნიან და ავიწროებენ ბოროტი ადამიანები...“ და სხვ. პაინეს „სიმღერათა წიგნს“ ავტორი ასე ახასიათებს: „ზოგი აქ მოთავსებული ლექსი ნაზია, ზოგი ნაღვლიანი, ზოგი კი — მხარული და სახუპარი“ (გვ. 279).

წიგნში მრავალი უცხოური საკუთარი სახელი არასწორადაა დაწერილი. მაგალითად, „შტუტ-პარტი“ (გვ. 183), უნდა იყოს „შტუტგარტი“, „ქელპოლანდის“ (გვ. 288), უნდა იყოს „ქელ-გოლანდის“, „ჰასკელი“ (გვ. 211) — „გასკელი“, „ჰასენდი“ (129) — „გასენდი“ და სხვ.

საკუთრა ნაწარმის გადამუშავება, თუკი ავტორს სურს სარგებლობა მოუტანოს მოსწავლე ახალგაზრდობას.

ლადო ავალიანის ნოველები *



წიგნში მოთავსებულია ოთხი ნოველი „იმედო“, „ფეიქრები“, „გამომწვევა“ და „ყარიბი მგოსანი“.

პირველ ნოველში „იმედო“ აღწერილია დიდი სამამულო ომის მიმე დღეები, როდესაც საბრძოლველად სოფლიდან წასული მამაკაცების სამუშაოს, უმთავრესად, ქალები ასრულებდნენ. ამ ნოველის მთავარი გმირია ქეთევანი, რომელიც კოლმეურნეობის თვალსაზრისით მშრომელ ქალად ითვლება. მისი ერთადერთი ვაჟი მახარე უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს. დედის აღარდებს, რომ მის შვილსაც მოუწევს ომში წასვლა. მართლაც მიჰყავთ იგი ამაზე აგებული მთელი ნოველი. ამ ნოველში ავტორს მიზნად დაუსახავს გამოხატოს დედობრივი სიყვარულის სიმღერა, მთელი დღის შრომით დაღლილ-დაქანებული დედა თავს არ ზოგავს, ღამით მარტოდ-მარტო სოფლიდან ქალაქს მიამუხრებს ფეხით, რომ ჯარში გაწვეულ შვილს ჩაუსწროს.

გვაქვს რამდენიმე შენიშვნა ამ ნოველის გამო.

ავტორი წერს: „ქეთევანს რა გაბერებდაც არ უნდა დადგომოდა, რა დაბრკოლებაც უნდა შეხვედროდა, გაუმკლავდებოდა, გადალახავდა, მაგრამ შინ მოსვლული კი არ დადგებოდა“. ქეთევანისთვის შინ მისვლა აუცილებელი იყო ამისათვის, რომ „მოუთმენლად ელოდა შვილის ბარათს“. ავტორის ასეთი განმარტების შემდეგ გასაკვირია, რომ ქეთევანი ყურძნის კრფას განაგრძობს მაშინაც, როცა „ვენახიდან თითქმის უველა გაიკრიფა“. დაღამდა, საბარგო ავტომანქანა უმისოდ წავიდა სოფელში.

ავტომანქანის უქეთევანოდ წასვლა ავტორის ამისთვის დაქირდა, რომ ეჩვენებინა დედობრივი სიყვარულის სიმღერა. მანქანას რომ დაეწიოს, გზა მოუტრას, ქეთევანი „გაღუესხმული ხეების“ ღობეში უნდა გაქრეს. ეს შეუძლებელია, იგი ერთადნად დაიკარება. მაგრამ მას შველის მიწაზე დადებულ „ჩელტვით მოზრდილი წნული“. ქეთევანი ამ წნულს ტანზე ფარავთ მიიფარებს და ეკლიან ღობეში გაქრება. დედის სიყვარულის საჩვენებლად საჭირო არ იყო ასეთი ტრაგედია. ნოველში არის სხვა ადგილი, სადაც ჩანს დედის სიყვარული. თუგინდ ის, რომ დედა ღამით შორეული სოფლიდან მარტო მიდის ფეხით ქალაქში დაღლილ-დაქანებული, რომ ჯარში გაწვეულ შვილს ჩაუსწროს.

* ლადო ავალიანი. ნოველები. სახელგამი, 1953.

როგორც ვთქვით, საჭირო არ იყო „მოზრდილი წნული“ გამოყენება ნოველის განვითარებისათვის. შით უმეტეს ჩნის ასნა, თუ საიდან განსდა „ჩელტვით მოზრდილი წნული“. „ქეთევანს გაახსენდა, რომ ეს შუა გაგლუჯილი, დიდი გოდრის ცალი პირი წელან ბავშვებმა ქვემოდან ამოიკანეს და მის ჩრდილში თავს აფარებდნენ“. საღ ჰქონდა ქეთევანს ამაზე ფიქრის თავი, როცა იგი ერთს სურვილს შეეპყრო — მანქანისთვის გზა მოეკრა. ან რა მნიშვნელობა აქვს ამბის განვითარებისათვის, ვინ ამოიტანა ეს „წნული“. არც მოფერის კაბინაში მოფერსა და ქეთევანს შუა მომწყვდეული ქალიშვილის მდგომარეობის აღწერა კმატებს რაიმეს ნოველს. მანქანის მოძრაობის დროს „მოფერის ნიდაყვი ისე მაგრად მიებჯინებოდა ქალიშვილის ფერღზე, ხანაც წელზე, რომ მას სირცხვილისა და სიმწრისაგან სახეზე, აღმური შემოეხეთებოდა“ და სხვ. ეს უსახელო ქალიშვილი ნოველის განვითარების გარეშეა.

ავტორს შეეძლო ქეთევანი სხვა ქალებთან ერთად მშვიდად გაემგზავრებინა მანქანით, ეს ხელს არ შეუშლიდა მას ქეთევანის დედობრივი გრძობა გამოეხატა.

ბევრ დროს ანდომებს ავტორი ქეთევანის შინ მისვლის აღწერას. დაწვრილებით გვაცნობს მის კარმიდამოს, გვესაუბრება, ქეთევანი როგორ მადის წყაროზე, აგეწერს დეტალურად თვით წყაროს, არ არის დაეწეებული გობში გამთბარი წყლით ფეხის დაბანა.

მახარეს ჯარში გაწვევის ამბის გაგება ზღბა არა მარტივად, არამედ გართულბულ პირობებში. ძილს იტებს მეზობელი, რომ ქეთევანს ეს ამბავი შეატყობინოს, არ გამოეპაროს მისი მოსვლა. ამოდ დაშვრა მეზობელი. სოფელში ისეთი ხმაურით შევიდა ავტომანქანა, რომელშიც ქეთევანი იყო, რომ მეზობელს არ შეეძლო მამინეე არ გაეგო რთველიდან ქეთევანის დაბრუნება. ახლო მეზობელს არ შეიძლება არ ცოდნოდა, რომ ქეთევანი მანქანით ბრუნდებოდა. ნოველა არ დაზარალებოდა იმით, რომ მეზობელს ქეთევანისთვის მისი მოსვლისთანავე ეცნობებინა მახარეს ამბავი.

ნოველის ბოლოს დიდი ადგილი აქვს დაზომილი დათას მსჯელობას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდეს თითოეული მოქალაქე ომის დროს. ეს დიდაქტივა თხოობას მოსაწყენად ხდის, მოქმედების განვითარებას აღწერს. მხატვრულ ნაწარმოებში ყოველ დეტალს მზოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ იგი მოქმე-

ღების განეთიარებას ხელს უწყობს. ჩვენ მიერ აღნიშნული ღებტალები კი ასეთ როლს არ ასრულებს.

ნოველაში „ფეიქრები“ ავტორი გვიამბობს, რომ ლევანმა დამთავრა ლენინგრადის საფეიქრო ინსტიტუტი და დაბრუნდა თავის სამშობლოში, სადაც იგი გორის საფეიქრო კომბინატის ერთ-ერთი სამჭროს უფროსად დაინიშნა. აქ აღმოჩნდება, რომ მის თანაშემწედ იმუშავენს ნატო, რომელიც მას უყვარს. ამ თორმეტგვერდიანი პატარა ნოველის ათი გვერდი მიძღვნილი აქვს გორის საფეიქრო კომბინატის ნაწილობრივად დამთავრებული მშენებლობის აღწერას, იქ დაწვრილ მუშაობას, ამიტომ „ფეიქრები“, ჩვენი აზრით, უფრო ნარკვევს წარმოადგენს, ვიდრე ნოველას.

ნოველაში „გამოწვევა“ ნამშობია მუშახტე სილიბისტროს გამარჯვება სოციალისტურ შეჯიბრებაში. მან აღებული ვალდებულება გააპართა — ხეთლიანი გეგმა სამ წელიწადში შეასრულა. სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ამჟამად საყოველთაო სახალხო მოძრაობად იქცა, ჩვენი ლიტერატურისათვის მეტად მნიშვნელოვანი თემაა. ამიტომ ნაჩვენები უნდა იქნას ამ მოძრაობის არა პარადული მხარე, არამედ შრომითი პროცესები, ნოვატორობა, როგორ ეუფლებიან მუშები წარმოების უახლეს და ურთულეს თანამედროვე ტექნიკას და ტექნოლოგიას, როგორ იმაღლებენ ისინი თავიანთ ელტურულ-ტექნიკურ დონეს...

ნოველა „გამოწვევაში“ სწორედ ეს მხარეა გვერდავლილი. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, როგორ იწვევენ მუშახტეები ერთმანეთს სოციალისტურ შეჯიბრებაში და გამარჯვებულს როგორი პატივისცემით ავიღებენ. არაფერია ნათქვამი, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა სილიბისტრომ როგორ მიადნია ამ გამარჯვებას, ან რატომ განიცადა დამარცხება რომანოზში.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლადო ავალიანის წიგნში „ყარბი მგოსანს“. მოცულობით ამ პატარა ნოველზე ავტორს უმაკველად დიდი შრომა გაუწევია როგორც მასალების შესასრულებლად, ისე თვით ნაწარმოების დასახვეწად. ნოველა „ყარბი მგოსანი“ ინტერესით იკითხება. მკითხველს იგი არ იყვარბს მძაფრად განვითარებული სიუჟეტით. აქ აღწერილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების ერთი დღე — 1845 წლის 17 ივნისი — დღე, პოეტის ცხოვრ-

ბაში მნიშვნელოვანი და საბედნიშრო, რომელმაც ნ. ბარათაშვილი სამსახურისათვის, ნაკვალად თელავისა, ელისავეტოპოლს გამგზავნა.

როდესაც ადამიანის ცხოვრებაში გადამწყვეტ მოვლენას აქვს ადგილი, იგი განსაკუთრებული სიძაფრით აღიქვამს ყველაფერს. ნ. ბარათაშვილი თელავს გამგზავრების წინ განსაკუთრებული სიყვარულით და განზორებით გამოწვეული გულსტიციელით ეთხოვება საყვარელ თბილისს, ათავლიერებს მის მიღამებებს. ჭალაქის აღწერა მოცემულია არა შშრალად, არამედ მასში მოცემულია ბედით უმაღლური პოეტის გრძობები.

ბედით უკმაყოფილო პოეტის ცხოვრება სასურველი გზით ვერ წარმართა მგზნებარე და ღრმა მოაზროვნე მგოსნის სამოქმედო ასპარეზი „სასამართლოსა და განიინების“ მეღენისა დამიგიდის უფროსის თანამდებობით შეზოიფარვლან. ბარათაშვილს თავისი ცხოვრების ვერც ინტიმური მხარე აქვს მოწესრიგებული. ვერც მამის ოჯახში გრძნობს თავს ლაღად, თავისუფლად, აქაც შეეწირებულა. „მელიტონის სიახლოვეს ტატო თავს მუდამ უხერხულად გრძნობდა. ვერც ლხინში, ვერც ჰირში მათ გული ვერ გდამუშალებს ერთმანეთს, ვერ დაუხლოვდნენ, ვერ პოიოვდნენ“. ასე უკლუმართად მიდიოდა ბარათაშვილის ცხოვრება. მისი თელავს გამოწვევით მელტონ ბარათაშვილის ოჯახში გამოწვეული სიხარულიც უღღერები გამოდგა. სკოლის ამხანაგი მამუკა ორბელიანი ტატოს სთხოვს იმსახუროს მასთან ერთად ელისავეტოპოლში. შიშის მომგვრელი ხარხაბით შეხვდა მგოსანი ამ თხოვნას. იგი ამბობს: „... რაივ ეჩქარობდი აქაურობას გაველოდი. ერთი ღამეღა დამჩნა გასათევი და... ეჩქარობდი იმისათვის, რომ ექვი არ მასვენებდა, ეექვობდი იმისათვის, რომ ამ სურვილის განზორციელებაც ნაკლებად მგეროდა... მამუკა, რაც თავი მახსოვს, პირველად და იქნებ უკანასკნელადაც შეისმინეს ჩემი თხოვნა, ძლივს რიგიან ადგილს გამამწესეს და ახლა ჩემს წიღივზე უარი ვთქვა?!“

მგოსანი თანხმად თავის მეგობარს ელისავეტოპოლს გაუყვას.

ლ. ავალიანს მიზნად დაესახავს გვიჩვენოს ნ. ბარათაშვილის ბედის უკლუმართობა მთელი მისი ზანმოკლე ცხოვრების მანძილზე, აგეწეწროს ის საბედისწერო დღე, როდესაც მან ელისავეტოპოლს წასვლა გადაწყვიტა.

ამის ჩვენება ავტორმა ყარგად შექმლა.

ირ. კაპარაძე

პართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა




საცნობარო სახელმძღვანელოების გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს. პირველწყაროებას მეცნიერული განსაზღვრა-დამუშავება რთული და სავსახისშეგებლა საქმეა. ქართული კულტურის ამსახველ მასალებზე ამომწურავი ცნობების გამოვლენება გარკვეულ დახმარებას უწევს მკვლევარ-სპეციალისტებს. ამ მიზნით დიდი შრომა გაწეული საარქივო სამმართველოს სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით გამოცემული „ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობის“ I და II ტომებზე.

სასტორიო არქივმა უკვე დაამთავრა ქართულ ხელნაწერთა კოლექციების აღწერა. ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი შეიქნა ის ხელნაწერები, რომლებიც მოთავსებულია არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში. აღწერილობის შემდგენელთ — ბ. გავლიძეს და ს. ვაკაძეს გაუთვალისწინებელი დარჩენიათ რიგი ძირითადი საკითხები და რედაქტორებსაც მსუდველობიდან გამორჩენიათ ზოგიერთი შეცდომა, რომლებიც ამგვარი შრომისათვის განსაკუთრებით საზიანოა.

აღწერილობა უნდა იძლეოდეს გარკვეული ნომრის ქვეშ მოთავსებული ხელნაწერის სწორ სახელწოდებას, რაც უპირველეს ყოვლისა მკითხველს ტექსტის შესწავლასა და ავტორის მიგნებას (თუ ხელნაწერ ტექსტზე არ ჩანს). ეს ყველაზე რთული ნაწილია აღწერილობაზე მუშაობის დროს.

როგორც ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობა აღწერილობის სარეცენზიო ტომებზე? საქმეწარად, ნაკლებშედეგანაა. მთელი რიგი სათაურები არასწორია: მაგ., ხელნაწერები №№ 181 დასათაურებულია „ათონის მონასტრის ერთ-ერთი ხელნაწერის აღწერა“ (რა ხელნაწერის?); 185 — „პეტრე ღარამისა საუფლოზი თქული“ (ლექსი); 131 — „გურამიანი“ (ავტორის მითითების გარეშე); 150 — „სამღერები“ (მოცემულია ერთი ლექსის დასაწყისი და ბოლო); 166 — „ვეფხისტყაოსანი“ (უაბტორი); 179 — „ლექსთა კრებული“ (მოცემულია მხოლოდ ერთი ლექსის დასაწყისი და ბოლო); 226 — „პაპიკაფული წიგნის ნაშთი“ (6 ფურცელი, ფრაგმენტი რაღა იქნება?); 534 — „კონდაკის ნაშთი“ (I) და სხვ.

გარდა ამისა, „აღწერილობაში“ მოიძებნება მცდარი ცნობებიც. შემდგენელნი ბრძალ ეყრდნობიან ვადაწყვეტა ცნობებს და ვერ ახერხებენ მათ შესწორებას. მაგ., „აღწერილობაში“ ვკითხულობთ: ა. „გრიგოლ ორბელიანისაგან, შვე-

ნიერთა ხელშეწევ“ (355, 32). ლექსი აღუქსანდრე კავკავიძისაა. ბ. „ძველთა და ძალთა საქართველოს მეღვქსეთა სახელნი, ნათქვამი პირველისა მეფის თეიმურაზისაგან“ (396, 3). „ტექსტი ნაწევრება არილ მეფის თხზულებისა თეიმურაზიანი“. გ. „ეს სამი ლექსი საბა ორბელიანის თქულია“ (396, 25). ამ სათაურის ქვეშ წარმოდგენილი ლექსთა ნაწევრები ამოღებულია თეიმურაზ მეფის პეტიდან — „წამება ქეთევან დედოფლისა“, და სხვ.

როგორც ჩანს, აღწერებელი ნაკლებად ცდილან ავტორებისა და თხზულებათა სათაურების სწორად დადგენას.

ხელნაწერის ტექნიკური აღწერილობის დროს შემდგენელმა აუცილებლად უნდა აღნიშნოს: ფურცელთა რაოდენობა, ზომა, მასალა, ყდა, ზედი, დაცულობა, თარიღი, ვადაწყვეტი, ვადაწყვერის ადგილი და შემოსულობის შესახებ ცნობა (თუ ასეთი შიშიობება ხელნაწერის შესახებ). სარეცენზიო ტომებში კი ეს წესი არ არის დაცული. კიდევ მეტად უმეტეს შემთხვევაში კურობული მონაცემებთანაც ვეჭვს საქმე. ასე მაგ., „თავანჯელი“, „თავში აკლია“. უნდა იყოს: „ნაკლული“, ან: „დასაწყისი აკლია“. ასევე არეულია ტექნიკური აღწერილობის მეორე ელემენტარული მხარე (ზედი): „ნუსხა ხეცური“, „ნუსხური“ ან კიდევ „თავ ასოები“, „დასაწყისი ასოები“. უნდა იყოს ერთგვარად: „ნუსხური“, „საზედო“ ასოები და ა. შ. ამავე ნაწილში საინტერესოა დათარიღების საკითხიც. მაგ., „აღწერილობაში“ ვკითხულობთ: „XIX საუკუნის პირველი მეოთხედი (ზელის მიხედვით)“ (162 გვ.); „XV-ს-ზე (ზელის მიხედვით)“ (160); „XVIII-ს-ნის დასაწყისის (ზელის მიხედვით)“ (163). ასეა ყველგან მცირე გამოწვლის გარდა, რას გვეუბნება ასეთი ცნობები? — არაფერს, არსებობს დათარიღების სხვადასხვა საშუალება: ა. აღწერილი კოლექციის 95 პროცენტზე ჰეირანში მოიძლება დათარიღდეს (გვიანდელი პერიოდისა); ჰეირანიზნე დაკვირვება, მისი გამოცნობა (ამისათვის სათანადო ლიტერატურის გამოყენება დაგვირდება) უტყუარი საშუალებაა ტექსტის დაწერის არა უადრესი დროის გავებისთვის; ბ. დათარიღება შეიძლება მინაწერში ან ინდერში დასახელებული პირების მიხედვით, ისტორიული დეტალების ცოდნა ამ პირთა ვინაობის შესახებ მიგვაგნებინებს დაახლოებით თარიღს. მაგრამ არაიენ ვედობა ასეთ თარიღს: „XV-ს-ნის პირველი ნახევრის დასაწყისი (ზელის მიხედვით)“

ასეთი არასურსიზღული განსაზღვრა თარიღისა აღწერილობის ნაკლია.

მკვლევარს დიდ დახმარებას უწევს აღწერილობის ტექნიკურ ნაწილში წარმოდგენილი ცნობები გადამწერის, დამკვეთის და დამწერის ადგილის შესახებ. „აღწერილობის“ არც I და არც II ტომი ამ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. სულ ორსავე ტომში 5 შემთხვევაა ადგილის და გადამწერის ჩვენებასა. რომ მოქმედობს ხელნაწერის გადამწერი და დამწერის ადგილი, ამიტომ ხელნაწერის ანდერძის მინაწერებისა და ჩანაწერების გულდასმით შესწავლაა საჭირო, აღმწერლები ამ საცნობარო ნაწილს რაც შემთხვევაში უყურადღებოდ ტოვებენ.

აღწერილობის ძირითადი ნაწილია ხელნაწერის შედგენილობის ჩვენება. თუ ტექსტი სრულია, დასაწყისი ორსამ წინადადებას ვიწრობს ბრტყალებში, ვხსნით ქარავებს, ევდგენთ სწორ ტექსტს კვადრატულ ფრაჩილებში. თუ დადგენა, სწორი წაკითხვა არ ხერხდება, სიტყვის შემდეგ ვწერთ გაკეორების ნიშანს — I თუ დამახინჯებულია — sic-ს, თუ ტექსტი ბოლონაკლებია, სიტყვას — „წყდება“ და ტექსტის ბოლო სიტყვებს ვწერთ ბრტყალებში. საჩვენებლო ტომებში ეს წესი დაცული არ არის. შემდგენელთა მიერ წარმოდგენილი ბუნდოვანი ცნობები არ იძლევიან ხელნაწერის ნამდვილ შინაარსს. მიუხედავად იმისა, ვერც ერთი ხელნაწერის აღწერას ისე ვერ ჩაიკითხავთ, რომ რაიმე უხერხულობას არ წააწყდეთ; ტექსტის ციტირებში წინ და ბოლის ნახმარია სიტყვები: „დასაწყისი“, „ბოლო“ ან „წყდება“. კიდევ მერც ჯერ ტექსტის სათაური იკითხება და შემდეგ მოდის სიტყვა „დასაწყისი“. მაგ., „ანბანთ-ქება შესამკობლად უკვლად წიდიისა ღმრთისმშობლისა მარადის ქალწულისა მარამისა ქმნილი მზს. იოსებ არეშოისაგან (ფ. 9 — 10); დასაწყისი: „ადამის გულის ნაფლან...“, „ბოლო: ქილონო ყოველთ მღვდელთაო“ (ბრტყალები არსად არ არის ნახმარი, აღმწერელთა მიერ უარყოფილია სასვენი ნიშნებიც, რის გამოც გამოწვეულია არევიანობა. მითხველი ვეღარ არჩევს, სად იწყება ციტირებული მასალა და სად წერისლის იწინაშეა — განმარტებანი). საინტერესოა სათაური: „ანბანთ-ქება შესამკობლად...“ არ არის დასაწყისი? რაში გვკვირდება საერთოდ სიტყვა „დასაწყისი“. ეს სიტყვა ისევე ზედმეტია, როგორც დაბოლოება: „მეტო არ არის“, რაც ვაკევირებებს იწვევს. ამ სამი სიტყვის ნაცვლად უნდა ეხმარათ სამი წერტილი, რაც ნაკლებს, „მეტო არ არის“ მიუწყებელია, ასეა №№: 502, 508, 510, 617, 618, 662, 674 და სხვაგან. ამას გარდა, „აღწერილობაში“ ჩნდება კიდევ ზედმეტი სიტყვა: „სათური“ (№ 205), რომელსაც ნახევარი გვერდი უყავია, შემდეგ მოდის „დასაწყისი“, რომელსაც თითქმის შერაცხავს ნახევარი გვერდი უყავია, ამას მოსდევს „ბოლო“, ამასაც იმდენივე ამონაწერი, როცა შეიძლება. მხოლოდ ორი სტრიქონით დაკმაყოფილებულია ვით (№ 208, 210, 584, 595, 597, 598, 600, 601, 602... და ასე შემდეგ).

კრებულებში იშვიათად ვხვდებით გვერდების მითითებას. დიდი უპრაველობა ხელნაწერებისა აღწერილია გვერდების მითითებულად (№№ 524, 525, 530, 536, 537, 579, 580, 710, 711...), ამიტომაც მკვლევარს არა აქვს შესამკობლობა, მიაგნოს ხელნაწერში მითითებულ ცნობებს.

საერთოდ ხელნაწერებიდან დასაწყისისა და დასასრულის მახვევებელი წინადადებები უსისტემოდ და ამოწერილია. ამ მხრივ რომ ზედმეტო მონაცემები არ იყოს, შეიძლება აღწერილობა მოთავსებულყოფი ერთ წიგნში.

განსაკუთრებით ცუდადაა აღწერილი ფრაგმენტები და დაშლილი კრებულები, აღმწერლებს ისინი არ დაუგჯუფებია. სანამოდო ვინეხილოთ № 350 ქვეშ აღწერილი ფრაგმენტები. იწყება ტექნიკური აღწერილობით, რომელიც, როგორც წესი, პეტიტითაა აწყობილი და იქვე ჩართულია „უფლო, დავითნის ნაწყვეტი“ (1). სიტყვები „უფლო“, „ნაწყვეტი“ ზედმეტია, რადგანაც თვით სახელწოდება „ფრაგმენტი“ მითითებს, რომ იგი უფლოა და ნაწყვეტია, ამასთან, დასაწყისის ამონაწერი არ ასახულებს, რომ „დავითნის“ ნაწყვეტია, უნდა იყოს მითითებული ნახევლი „დავითნიდან“ შესატყვისი თავი და მუხლი. ფრაგმენტების მონდევრო ქვენიშნების აღწერა მიდის საერთო წესის დარღვევით, ყოველგვარი მახვევებელი კორპუსითაა დაბეჭდილი, ტექნიკური ნაწილიც და დასათურება-დასაწყისიც. მაგ. „2. ფრაგმენტი (2 ფ. 18×12), ეტრატე, ნაწყვეტი, ნესტური, XVI სოფ., წმინდანთა ცხოვრებიდან, დაზიანებული, იწყება: „ადგო ადგლო... სოლომონს და...“ ზუსტად ასეა. განა ეს მონაცემი კმარა იმის საბუთად, რომ იგი „წმინდანთა ცხოვრების“ ნაწყვეტია? სულ 18 დასახლება ამ ჯგუფისა (№ 350-ის ქვეშ) განუსაზღვრელია, არსად დამოწმება არ არის. უპასუხისმგებლოდ არეულია, ანეულებადნეულია ერთიმეორეში სახარების, საღვთსასწაულოსა და დავითნის ნაწყვეტები, ანალოგური მდგომარეობაა № 351 ფრაგმენტების აღწერილობაშიც.

კრებულების აღწერისას შეინიშნება უამრავი კუროზული წაკითხვა მაგ., (№ 355) ერთგან (გვერდი არ არის მითითებული) იკითხება: 1. „დაკოლს ისარი და ლახვარი ემხით ჰერგულსა“, უნდა იყოს: ემხით ჰვარ გულსა. 2. „ქნიენა კაკოზე“. უნდა იყოს: კატოზე. 3. „ფიშვრდი-

ნისაგან გადმოღებული". უნდა იყოს: ეფრემ ვერდისაგან, და მისთანანი.

ორიოდე სიტყვა აღწერილობის საცნობარო ნაწილზე. შენიშვნა, მინაწერი და ანდერძი ჩვეულებრივ იბეჭდება პერიტით, სარეცენზო ტომებში ეს წესი დარღვეულია (№№ 212, 303, 578, 711 და სხვ.). ჩამოთვლილ ხელნაწერებში ანდერძ-მინაწერები კორპუსითაა აწყობილი. გარდა ამისა, ანდერძ-მინაწერები არ არის გამოყოფილი ერთმეორისაგან (მაგ., № 264, 262). თექვსმეტი სხვადასხვა მინაწერი ანდერძად არის გაერთიანებული, არის შემთხვევა, სქოლიო ანდერძად არის ჩათვლილი, მაგ., № 366 ხელნაწერის ბოლოში იკითხება: „ანდერძ-შავგვარი (I) (აღმწერლის გამოთქმამა) წარწერასა ამას შინა არს იგი რაიცა ნიეთი არ არს თქმად იბრძანების, არამედ იგი რაიცა არის ნიეთი განმარტე-

ბით სათანადო არს და ამისთვის სახლერისგან რომელიცა იწოდების უკუთმითად ღრთლვად სათანადო არს“. ეს ამონაწერი სტრუქტურულად „ანდერძ-შავგვარი“. ასეთი უბეჭდვლური მინაწერები შეინიშნება.

ბევრია კორექტორული შეცდომებიც, ამ სახე-მუშოდ ზოგიერთი მათგანად „პირპირველის“ (25 გვერდზე „ალაგებს ბაგეს“ უნდა იყოს — ალაგებს ბაგეს (63 გვ.) — „ელა შემოზორაბული“ (I) (31 გვ.) „შეშთხუ ჩაყაინი“ (I) (2 გვ.) და სხვ.

აღწერილობის II ტომს დართული აქვს საძიებელი I და II ტომებისათვის, შედგენილი პროფესორ შალვა ჩხეტიას ხელმძღვანელობით, ნაკაშიძის მიერ. საძიებლებზე დიდი და კეთილსინდისიერი შრომაა გაყენული.

დოქ. ლუბა მიყვარვილი

თურქეთი უოლ-სტრიტის სამფლობელოა



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე ი. სტალინმა თანამედროვე ბურჟუაზიის დახასიათებისას თქვა: „წინათ ბურჟუაზია ერის მეთურად ითვლებოდა, იგი იცავდა ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას, რასაც „უფელაზე მალა“ აცენებდა, ახლა „ეროვნული პრინციპისაგან“ ცვლილ აირს დაჩინილა. ახლა ბურჟუაზია დოლარებზე ჰყიდის ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დროშა გადაგდებულია“.

თურქეთის ბურჟუაზიამ დოლარებზე მიჰყიდა უოლ-სტრიტის მაგნატებს თავისი ხალხი და საშრომლო, თურქეთის მშართველი ზროვა ამერიკელი იმპერიალისტების ხელისშეწყობით აქტიურ მონაწილეობას იღებს აგრესიული ბლოკების შექმნაში, რაც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ.

თანამედროვე თურქეთის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ი. ვ. სამილოვსკის წიგნი „თურქეთი უოლ-სტრიტის სამფლობელოა“, რომელიც თარგმნილია რუსულიდან ე. ტორიტიძის მიერ.

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დამთავ-

ი. სამილოვსკი. თურქეთი უოლ-სტრიტის სამფლობელოა. სახელგამი. 1954.

რებისთანავე ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდა თურქეთის ხელში ჩაგდებას. 1918 წლის ნოემბერს ამერიკელ-ინგლისელმა ინტერვენტებმა ხელთ იგდეს სტამბოლი და აზიურებდნენ თურქეთის მთლიანად დამარჩილებას.

თურქეთიდან ამერიკელი იმპერიალისტები ესპარტოზდნენ თეთრგვარდიელთა ჯარებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებაში. ამავ დროს, ამერიკელები ცდილობდნენ ამიერკავკასიის ხელში ჩაგდებას. მაგრამ მათი აგრესიული გეგმები ჩაიფუშა.

მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთის მმართველი წრეები ფაშისტურ გერმანიასთან თანამშრომლობდნენ და მისი დახმარებით ლამობდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიების მიტაცებას.

წიგნი კარგად არის ნაჩვენები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფება — გადააკციოს თურქეთი თავის კოლონიად, ხოლო მისი ტერიტორია — საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებზე თავდასასხმელ პლაცდარმად.

1947 წლის 12 ივლისს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის დადებული იქნა ხელშეკრულება „დახმარების“ შესახებ ტრუმენის დოქტრინის საფუძველზე. 1948 წლის 4 ივლისს მათ შორის ხელმოწერილი იქნა შეთანხმება მარშალის გეგმის მიხედვით „ეკონო-

მიერი თანაშრომლობის" შესახებ, ხოლო 1949 წლის 27 დეკემბერს დაღებული იქნა შეთანხმება „კულტურული თანაშრომლობის“ შესახებ. ამ ხელშეკრულებათა შედეგად თურქეთი აივსო ამერიკელი მრჩევლებით, ექსპერტებით, ინსპექტორებით, რომლებიც კონტრაქტს უწევენ თურქეთის სამინაო და საგარეო პოლიტიკას.

ავტორს კარგად აქვს ნაჩვენები თურქეთის მონაწილეობა სხვადასხვა აგრესიულ დაჯგუფებაში, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ.

თურქეთში შენდება სამხედრო-სახლავო და სამხედრო-საპაერო ბაზები; გაყვავთ სტრატეგიული მნიშვნელობის გზები; აგებენ სამხედრო ავიაციის სტამბოლში, ადანაში, ტრაპიზუნში, ერზურუმში, დიარბექირში, ალექსანდრეტაში და სხვაგან. თურქეთის სამხედრო ნაწილები ამერიკულ ყაიდაზე იქნებიან, აიარალებენ მათ ამერიკული იარაღთა და ტექნიკით. თურქი ჯარისკაცები და ოფიცრები ამერიკელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით იწერნებიან და სხვ.

თურქეთის მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის 60 პროცენტზე მეტს ხარჯავს სამხედრო მიზნებისათვის. „მომარლის გეგმის“ ორბიტაში თურქეთის მოქცევის შემდეგ 1950 წლამდე თურქეთის მთავრობამ ქვეყნის მილიტარიზაციაზე დახარჯა 2 300 მილიონი ლირა, რამაც 2,5-ჯერ გადააჭარბა ამერიკის „დახმარებას“ ამ დროის განმავლობაში.

ამერიკელი იმპერიალისტები თვალმაჯერებლად ირწმუნებიან, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თურქეთს „დახმარებას“ უწევენ მხოლოდ თურქი ხალხის ინტერესებისათვის და თითქოს ისინი სხვა რაიმე იმპერიალისტურ მიზნებს არ ისახავენ. ამასვე იმეორებენ თურქული გაზეთები და თურქეთის რადიო. მაგრამ ამ ცრუ პროპაგანდას არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან.

ავტორი საინტერესო მასალებზე დაყრდნობით გვიხატავს თანამედროვე თურქეთის მდგომარეობას, თურქეთისა, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები სულ უფრო და უფრო იმონებენ. ამერიკელების თურქეთში გაბატონებამ გამოიწვია ქვეყნის გაღატაკება, დღითიდღე იზრდება უმუშევრობა და შიმშილი.

ავტორი ნათლად გვიხატავს თურქეთის მუშების მიმე მდგომარეობას, ისინი 16 — 19 საათს მუშაობენ, გასამრჯელოდ კი მათხოვრულ ხელფასს იღებენ. არანაღებ მშიშე მდგომარეობაში იმყოფებიან თურქეთის გლეხები. თურქეთის 16 მილიონი გლეხიდან 6 მილიონი უმუშაოა და 2 მილიონი — მოხიარული გლეხია. გლეხების უმიწობამ, ძალადობამ და ჩაგვრამ შემაულებლის მხრივ, თურქეთის მთავრობის

ანტიხალხურმა პოლიტიკამ გააღვიძა თურქეთის სოფლის მეურნეობის დაცემა. მუდმივი გადასახადებისა და გლეხების გულატყობა შედეგად თურქეთის ბევრ რაიონში მიმდინარე მუდმივად ვარდნა 1949 — 1950 წ. წ. შიმშილმა 22 ვილეთი მოიცვა. შავი ზღვის სანაპიროს მხოლოდ ხუთ ვილაეტში მაშინ 1,5 მილიონი გლეხი შიმშილობდა.

ხარჯავს რა უდიდეს თანხებს მილიტარიზაციაზე, თურქეთის მმართველი წრეები სულ უფრო და უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების საქმეს. თურქეთში მძვინვარებს ეპიდემიები, წლითწლილად მატულობს სიკვდილიანობა ყველაზე სამიწელ უზედურებას წარმოადგენს ტუბერკულოზი, ტრაქომა, სიფილისი. ტრაქომით დაავადებულია 1 მილიონი ადამიანი, მალარიით კი 2 მილიონი.

ასევე ცუდადაა დაყენებული თურქეთში სახალხო განათლების საქმეც. მოსახლეობის 85 პროცენტს წერა-კითხვა არ იცის, სოფლების 70 პროცენტს სახსებით არა აქვს სკოლა.

წიგნი მოყვანილი მრავალრიცხოვანი ფაქტები იქას მოწმობს, რომ თავისი და ამერიკელი მწავრელების ბატონობის ქვეშ მოქცეული თურქი ხალხი სულ უფრო და უფრო ნადგურდება, განიცდის ვაჭირებებს, შიმშილს, სიღატაკეს.

წიგნის უკანასკნელ ნაწილში ავტორის მიერ გაშუქებულია თურქეთის პრაგრესული ძალების ბრძოლა ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი თურქი დამკავშირების წინააღმდეგ.

თურქეთში სახალხო მოძრაობას სათავეში უღვას იატაკქვეშ მოთხო კომუნისტური პარტია რომელიც იბრძვის ყველა ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიან ეროვნულ ფრონტად გაერთიანებისათვის.

შვიდიობის მომხრეთა საზოგადოების შექმნის შემდეგ ომის წინააღმდეგ მშვიდობისათვის ბრძოლამ განსაკუთრებით ფართო ხსისათი მიიღო თურქეთში, მეტადრე კორეაში ამერიკის აგრესიის დაწყებისა და თურქეთის ჯარების გაგზავნასთან დაკავშირებით. ბრძოლა მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თურქეთში სულ უფრო ძლიერდება.

წიგნი გამართულია კარგბურთული შეცდომებით. ასე მაგალითად, თურქეთის კომუნისტური პარტიის ბელადის მკვლელობა 1912 წ. 29 იანვრით, არის დათარიღებული, უნდა იყოს 1921 წლის 29 იანვარი (გვ. 10), „ენი დღისა“ მაგირ დაბეჭდილია „ენი დღისა“ (გვ. 22) და სხვ.

წიგნი დახმარებას გაუწევს ფართო საზოგადოებას თანამედროვე თურქეთის გასაცნობად.

**გ. ნაუშვიანი
ა. სპანიძე**

საუზრადლო ნაშრომი (პარტიული ლემის შესახებ)

სარტყენით წიგნი მკვლევარის ხანგრძლივი მუშაობის შედეგია და შეეხება ქართული ვერსიფიკაციის საკითხებს. საკვლევი მასალა ავტორის აერჩევია ქართული მწერლობის ძველი პერიოდიდან. მონოგრაფიაში ავტორი ზოგჯერ ეხება ლექსის თეორიის ზოგად საკითხებსაც, რამდენადაც ისინი ეხმარებიან ქართული სილაბურ-ტონური ლექსის ბუნების ვარკვევაში.

შრომის ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ მასში ქართული ვერსიფიკაცია განთავსებულია სქოლასტიკური თეორიებისაგან და მთავარი ყურადღება მიქცეულია ლექსის რეალურ ქვეყანაში, რაც მნიშვნელოვანია ქართული ენის ფონეტიკური ბუნებით.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქართული ლექსის ეროვნულ ნიშნებზე და იხილავს მათ ზოგადი ვერსიფიკაციის თვალსაზრისით. ყოველი საკითხის დამუშავების დროს მას შიშობა მარჯვებული აქვს მარქსისტულ-ლენინური მეთოდი. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები შეკვლევისათვის გზის გამკვლევა ვერსიფიკაციის ზოგადი თეორიული საკითხების დამუშავებისას. ავტორი სამართლიანად ასკენს, რომ „ლექსთწყობა და პროზოდია საერთო-სახალხო ფინდან გამომდინარეობენ და ცალკეულ კლასებს არ შეუძლიათ მისი რადიკალური შეცვლა“ (გვ. 6).

ავტორი მოკლედ ახასიათებს ლექსთწყობათა სისტემებს. ცალკე ჩერდება ქართულ ლექსთწყობაზე, რომელიც, მისი თქმით, სილაბურ-ტონურია. შემდეგ ავტორი ზოგადად მიმოიხილავს ლექსთწყობის შემსწავლელ მიმდინარეობებსა და სკოლებს, დასაბუთებულად აკრიტიკებს მათს არამეცნიერულსა და ფორმალისტურ დებულებებს. ა. გაწერელია აღნიშნავს, რომ ვერც დასავლეთის ენათმეცნიერებამ..., ვერც სიმბოლისტურ-ფორმალისტურმა მიმდინარეობებმა რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაში ვერ შესძლეს ვერსიფიკაციის მთავარი თეორიული საკითხების მეცნიერულად დამუშავება. იდეალიზმი და ენა-ისტორიზმი, სქოლასტიკა და ბუხპალტერული სტატისტიკა ლექსის ცალკეული ელემენტებისა, — იი რითაა აღბეჭდილი მათი შრომებით“ (გვ. 36).

შემდეგ ავტორი დაწვრილებით იძლევა ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიას. პირველი შრომა, რომელშიც განხილულია ქართული ლექსის ბუნება, ეკუთვნის მე-18 საუკუნის მწერალს შამყა ბარათაშვილს. ამ შრომას ეწოდება „ქაშნიკი“ ანუ „ლექსის სწავლის წიგნი“.

ლიტერატურის ისტორიკოსებს ეს შედეგები ერტყვებდათ მარტოოდენ იდეოლოგიური შხრით, მეტრიკის თვალსაზრისით კი ის შეუსწავლელი იყო. კვლევა-ძიების საგნად არ იყო გამხდარი ამ პოეტურ ტრადიქტში მოყვანილი სქემების მეტრული ხასიათი და ბუნება. შესწავლილი არ იყო არც ავტორის კვლევითი მეთოდი.

სარტყენით წიგნის ავტორმა პირველმა გააკრვია მნიშვნელობა იმ ტერმინებისა, რომლებსაც შ. ბარათაშვილი ხმარობს და მოყვცა ვასალები მამუკას კვლევითი მეთოდისა. ავ. გაწერელის დასკვნით, შ. ბარათაშვილის შრომა „არის სილაბურ-ლოგოპეტრული თეორიის ნიმუში, რომელიც ქართულ ლექსს განიხილავს „სიტყვების განწყობის“ შხრიც. საზომი მას (შ. ბარათაშვილს. — გ. 8.) მიანჩნა სიტყვიერ გვეფთებს შორის არსებულ პაუზების მიხედვით დაყოფილ „სტრიქონად“ და არა ტერფების კომბინაციად“ (გვ. 48).

ა. გაწერელია განიხილავს ე. ბოლხოვიტინოვის, იოანე ბატონიშვილის, პლ. იოსელიანის, დავ. ჩუბინაშვილის, კ. დოღაშვილის, ს. ვარგაძის და სხვათა შრომებს ქართული პოეტრიკის დარგში. ვერ დავეთანხმებით ავტორს იმ მოსახრებაში, თითქოს იოანე ბატონიშვილის „კალმასობაზე“ სხვა წყაროებთან ერთად „ნაირობარიც მამუკას „ქაშნიკის“ გავლენას მოწმობს ავრთვე ტაქტის მიმქვევით „განყოფა“ (გვ. 57), რადგან მამუკას დასახელებულ შრომაში ცენზურის გამოსახატავად მიმის ხმარების არც ერთ შემთხვევას არ ვხვდებით.

ქართული მეტრიკის ისტორიის ვრცელი ექსკურსის შემდეგ ავტორი იძლევა დასკვნებს, რომლებშიც მკაფიოდ და დამაჯერებლად დასაბუთებული, რომ ქართული ლექსთწყობა მიეკუთვნება სილაბურ-ტონური ლექსთწყობის სისტემას.

ა. გაწერელია განმარტავს მახვილის ცნებას, იძლევა მახვილის კლასიფიკაციას. მახვილის ცნების განმარტების შემდეგ ავტორი დეტალურად განიხილავს მახვილს ქართულ ენაში, ერთმარკვლიანი სიტყვების ფონეტიკურ ხასიათს ქართულ ენასა და ქართულ დასიკურ ლექსში, ორ და მეტმარკვლიანი სიტყვების, ავრთვე რთული სიტყვებისა და კომპოზიტების თავისებურებებს, ნახევარხმოვნებისა და დიფთონგების მეტრულ ფუნქციას ქართულ ლექსში, მახვილების გადაადგილებას ლექსის ტაქტში და ქართული მეტრული მახვილის ფუნქციის ზოგადი ვერსიფიკაციის თვალსაზრისით. მონოგრაფიის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ რაგი აღნიშნული საკითხებისა ჩვენს მეცნიერებაში პირველად არის დასმული და გაშედეებული.

* ავ. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, „საბჭოთა მწერალი“, 1953.

ქართულში მახვილის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს, მის შესახებ გამოთქმულია ერთიმეორის საწინააღმდეგო სხვადასხვა მოსაზრება. მკვლევარი იძლევა თავის შეხედულებებს ჩამოთვლილი საკითხების შესახებ, თუმცა ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ მოითხოვს უფრო დაზუსტებასა და ღრმა შესწავლას. ვფიქრობთ, საჭირო არ იყო შვიდ და მეტერეკლიან სიტყვებში მახვილის საკითხზე ყურადღების გამახვილება, თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც ავტორი ამბობს, „ქართულ კლასიკურ ლექსში შვიდ, რვა და ცხრამარცვლიანი სიტყვების არც ერთი შემთხვევა არაა ცნობილი...“ (გვ. 123).

ავტორის მიზნად დაუსახავს ქართული კლასიკური ლექსის რიტმული ბუნების საფუძვლიანად შესწავლა, იმიტომ, საკვებით სამართლიანად, შრომის უშედეგი და ძირითადი ნაწილი ეხება ჩვენი ლექსიწერების რიტმიკის საკითხებს.

მკვლევარი არსებითად განასხვავებს მეტრისა და რიტმის ცნებებს და მითხველს აცნობს რიტმის ფაქტორებს სილაბურ-ტონურ ლექსიწერებაში. დაწვრილებით ეხება მეტრული სქემისა და ტერმის საკითხს, იძლევა ტერმების კლასიფიკაციას ქართულ ლექსში, მეტრული აგებულების მხრივ ქართულ სალექსო ტაქში გამოყოფს რამდენიმე მომენტს—ანაკრუზას, კლაუზულასა და ცეზურას, იძლევა მათს ცალკეულ აღწერას. ა. გაწერულია საფუძვლიანად

აშუქებს რიტმისა და სიტყვის, რიტმისა და ინტონაციის, ტემპის საკითხს.

აქვე უნდა დავსძინოთ, რატომ უნდა დაგვიჩინოს რიტმის შესწავლისას უკვე შექმნილი ერთად სათანადო ანგარიში უნდა გავწიოს გადატანასაც (ანეამბინას). გადატანის დროს აზრობრივი მსვლელობა არ ეტევა მოცემული მეტრის ჩარჩოში, რის გამოც წინადადება გადადის მომდევნო ტაქში. ლექსის წაკითხვისას ვედილობთ წინადადების მთლიანი სახით წარმოქმნას, მაგრამ ტაქტის დამახოლოებელი პაუზა გვაიძულებს გავჩერდეთ იქ, სადაც ეს პაუზა აზრობრივად არ არის ნაყარანხვევი. ეს გარემოება კი იწვევს მეტყველების უჩვეულო ელერალობას.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებით გადატანა დამახასიათებელი კომპონიციურია თავისებურებაა მხოლოდ ახალი ქართული პოეზიისათვის. ეს უმართებულო მოსაზრება გაზიარებულია სარეცენზოთ წიგნის ავტორის მიერაც. ა. გაწერულია არაერთგზის წერს: „ქართულ კლასიკურ ლექსში მე-19 საუკუნემდე enjambement-ის არც ერთი შემთხვევა არაა ცნობილი“ (გვ. 159, აგრეთვე 164-ე და 205 გვერდები). ამის გამო გადატანას მკვლევარი ვრცლად არ ეხება თავის მონოგრაფიაში.

აქ გვინდა ვისაზრებლოთ შემთხვევით და აღწიწიწით შემდეგი, გადატანას ეხედებით ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“. აი მათი რამდენიმე ნიმუში:

1. ამა ქალაქსა წესია, დღესა მას ნაეროზობასა
არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა...
(1121)
2. რომე შენ ქალი გყოლია, მე ძენად მიხვე ქალისად
მივლია ყოვლი ქვეუანა, მის შინა მონაცვალისად...
(1264)
3. ტახტსა ზედა ერთგან მსხდომნი ტარიელ და ცოლი მისი
ერთმანერთხა შეაფერობდეს, ქალი ყმისა შესატყვისი...
(1636)



გადატანას ეხედებით აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ სტროფებშიც: 472, 936, 1577, 1649 და სხვ.

გადატანას უხვად ეხედებით ე. წ. აღორძინებისა და გარდამავალი ხანის პოეტებთანაც. აღნიშნულის შემდეგ უნდა დავსაყენოთ, რომ გადატანა გვხვდება ჯერ კიდევ რუსთაველთან. იმიტომ საჭირო იყო სარეცენზოთ წიგნში გადატანის შესახებ უფრო მეტი ყურადღების გამახვილება.

მონოგრაფიაში საკმაოდ ვრცელადაა განხილუ-

ლი რითმა და მასთან დაკავშირებული საკითხები.

რითმის განსაზღვრის შემდეგ ავტორი იძლევა მისი ძირითადი სახეების დავაგუფებებს. მკვლევარი რითმის განიხილავს კლაუზულის, ადგილმდებარეობის, ბგერითი შემადგენლობის, მორფოლოგიისა და ლექსიკის მხრივ. მკვლევარი დაწვრილებით ეხება აგრეთვე რიტმისა და მეტრის საკითხს. იგი საკვებით სამართლიანად დასაყენის, რომ „რითმიან ლექსში ძირითადია ბოლო რითმა, იგი მეტრულ მოყვენად გვე-

ლანება და ტაქის კლავუსის ფარგლებშია მოქცეული" (გვ. 171).

უფოდ სწორია დებულება, რომ „დაქტილური რითმა ძალზე გავრცელებულია ქართულ პოეზიაში და აიხსნება საზოგადოდ ჩვენი მეტყველების დაქტილური ბუნებით“ (გვ. 172).

რითმის მორფოლოგიის მიმოხილვისას ორიოდ სიტყვით ავტორი ჩერდება ტავტოლოგიურ რითმაზეც. სამეცნიერო ლიტერატურაში ტავტოლოგიური რითმა სხვადასხვანაირადაა განმარტებული. ა. ვაწერელის განმარტება სწორი და მისაღებია. ავტორი ამბობს, რომ „ქართულ ლექსში ტავტოლოგიური რითმა იშვიათი მოვლენაა...“ (გვ. 191). მაგრამ უამრავ ტავტოლოგიური რითმა, მაგალითად, „შაშინაძე“ ქართულ ვერსებში. და, რაც მთავარია, აქ გვხვდება ტავტოლოგიური რითმებით დაწერილი სტროფები. ასეთებია, მაგალითად, „ზაქიანის“ 24-ე სტროფი, „საამიანის“ 1019-ე სტროფი, „როსტომიანის“ 3353-ე სტროფი და სხვ. წიგნის მომდევნო თავში საუბარია სტროფიკის შესახებ. სტროფის ცნების განმარტებას მეცნიერებაში არსებითი ხასიათის შენიშვნები და დავა არ გამოუწვევია უოველ შემთხვევაში, ნამდვილი სტროფის მინიმალურ რიცხვად ერთხმად მიღებულია ორი ტაქტი. ე. წ. აღორძინებასა და ვარდამავალი ხანის ქართულ ლიტერატურაში კი ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სტროფად მიჩნეულია ერთი ტაქტი.

ასეთ სტროფს მკვლევარი „სტროფის ექვივალენტს“ უწოდებს და დასძენს: „სტროფიკის თვალსაზრისით ამ შემთხვევაში ტაქტი ასრულებს მთელი ლექსის მაგვირობასაც“ (გვ. 201).

სტროფის დეფინიციის შემდეგ ავტორი ჩერდება მის აგებულებაზე, განასხვავებს ურითმო და რითმიან სტროფებს, აღნიშნავს სტროფების განსხვავებას ტაქტების რაოდენობის შრიც, ახასიათებს თანაზომიერ (იზომეტრულ) და არათანაზომიერ (მეტრომეტრულ) სტროფებს, იძლევა ინტერვალთან სტროფის აღწერას.

წიგნში დაწერილებითაა გაჩვენებული ურითმო და რითმიანი იამბიკური სტროფები. მოცემულია ქართული იამბიკოს შემადგენლობისა და ჩამოყალიბების ისტორია. ეხება რა ურითმო იამბიკური ლექსის აღმოცენებას, მკვლევარი ვერძნობა მეცნიერებაში გამოთქმულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც „ეს საზომი ჩვენ გვხვდება მე-6-7 საუკუნის ერთ ტექსტში“ აღ-

კონიკის დემოდესი ბირველი ივავი“ (გვ. 209). მკვლევარს რომ მიემართა მითითებული პირველწყაროსთვის, დარწმუნდებოდა, რომ ეს ცნობა ტეშმარიტებასაა მოკლებული.

მონოგრაფიის დამატებაში მოცემულია ქართული კლასიკური ლექსის საზომების აღწერა და კლასიფიკაცია. შრომის ეს თავი წარმოადგენს ერთგვარ შემავსებელ ნაწილს, რომლის განზოგადებასაც წინა თავებში იძლევა ავტორი. მის მიერ განხილული საზომების რიგშედილი ვარიაციების მიხედვით ავტორი ასკვნის, რომ „ქართული ლექსის ვერსიფიკაციული შესაძლებლობანი უაღრესად დიდია და, შეიძლება თამამად ითქვას, უნიკალური მსოფლიო პოეტური კულტურის თვალსაზრისით“ (გვ. 282). ჩვენი აზრით, ზოგიერთი საზომის შემომღების ვინაობა ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. რატომღაც თანა ბართათაშვილი (ავტორი „მზეთაშხისი“) და შამუგა ბართათაშვილი ერთ პიროვნებადაა მიჩნეული (გვ. 274), მაშინ როდესაც ისინი მშები იყვნენ.

წიგნს დაართული აქვს შენიშვნები და ბიბლიოგრაფია, რომელიც კარგადაა შედგენილი. განსახილველი საკითხის გარშემო არსებული მეცნიერული ლიტერატურა თითქმის ამოწურავდა მოცემული სისრულისათვის უნდა დამატოს შემდეგი ლიტერატურა: ბაქარ ქართულის (დოქ. უიფიანის) შენიშვნა იამბიკოს შესახებ (სურნ. „ცისკარი“ 1860 წ., № 2, გვ. 155) და ე. გაფრინდაშვილის წერილი ქართული რითმის შესახებ („შვილდისანი“ 1920 წ., № 1, გვ. 15—17). აქვე უნდა შეენიშნოს, რომ ს. გორგაძის ნაშრომი — „ქართული წყობილი სიტყვაობა“ დაიბეჭდა არა კრებულ „გვირგვინში“, როგორც ეს ბიბლიოგრაფიაშია აღნიშნული (გვ. 315), არამედ კრებულ „გრდელში“ (სხვათა შორის, აკად. ს. ჯინაშას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება ამ შრომის ავტორთა — S 1874).

ა. ვაწერელის მონოგრაფია საფუძვლიანი გამოკვლევაა ქართული ლექსთწყობის შესახებ. სასურველია, ავტორმა სარეცენზიო შრომის საფუძველზე დამუშავოს საზოგადოდ ქართულ ლექსთწყობის შესახებ სახელმძღვანელო, სადაც საილუსტრაციო მასალად გამოყენებული იქნება ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშებიც.

ფაილი 88.

ბ. 65/119

ს. სპილავსიძე ვ. კა
1 12 მმ



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ